


კვირის პალიტრა

გურამ სულარაძეს



მოქალაქი
ზემოსწყრა

N37(66) 13/IX.-19/IX.2001.

ფასი 60 თ.




კატასტროფა
ვინ დაგვეხეარება
პარტიველების
მოქმედებაში

1168
2001



სოსო პავლიაშვილის
გეუღლე თავს
ბედნიერად არ თვლის

**ნილო სურგულაძე:
ვეზოვალ ქუჩაზე
მსუბუქი ყოფაქცევის
ქალები იღებენ —
უფრო ზუსტად,
ქალებად
„გადაკეთებულნი“
კახები.
როგორია ამ
სიტუაციაში
უზაღამისას
გარეთ დგომა?!**



ვინიატურები
მაშ რა ეგონათ! 3

კატასტროფა
კანცოზრობის ისტორიაში
ყველაზე მასშტაბური
ტერაქტის ქრონიკა 4

პოეზია
აკაკი ასათიანი:
„ოპოზიციის შევარდნაჲს
„ლაუნჯა“... რჩეულიშვილი კი
არასერიოზული კაცია...“ 6

მეულე
რას ვერ ავატყუებ სოლს
სოსო პავლიაშვილი 7

სახალგაო
„პრეზიდენტის ბარემოცვის
მთავარი მიზანი ღვს
პარლამენტის თავმჯდომარის
პოსტის დაუფლება...“ 10

პულისტიკური
ინგა ფერაქე:
„6 კაცი ღაჭყერი და ვეავე,
მათ შორის - საქართველოს
ჩემპიონი კრივი...“ 12

სიტუაცია
გურამ საღარაჲს
მოქალკარი შემოსწერა 14

ბალანტი
ნინო სურჲულაჲჲ „ლა სკალაში“
ქვების სროლით, სარეცხის
რეცხვითა და მუსიკალური
ბაითქვა სახელი 16

სამართალი
ქართულ „კოკა-კოლაში“
სკანდალი მნიშვნელოვანი 19

კრიმინალი
ვაკის პარკის ღირებულება
ალაშინის სისოცხლე საქუთარი
ბინის რემონტს შესწირა? 22

მეუხერგული
ნატვრისთვალი, როგორსა...
შეაღწერა მოქალკის 23

უხრობი ნახრობი
ილია ჭავჭავაძის
არშემღბარი ღუელი 25

ანტიღარკანანი
ინფორმაციულ-შემეცნებითი
კოლაჲი გონა ღვალის
შემს წიგნაკიდან 26

მეღვინი აგაჲი
„მტკჲა“ ნოღარკანთვის 26

გაგაჲი და შვილკი
ვისი ჲურბით იყო
„გამოქიჲული“
ნინო ღარკანელი „მოგაგაჲი“ 28

ფსიქოლოგიური თაგაჲი
შეაღწერეთ თქვანი
მხედველობითი კოლორინანია 31

გურამ საღარაჲს მოქალკარი შემოსწერა



დიღუბის ეკლესიაში წირვის დროს გაძარში ბაგონი გურამ საღარაჲჲ შემოვიღა. ხელში სანთლები ეჭირა. ვიდრე ანთებულ სანთელს შანდალში ჩაამაგრებდა, მამა ჲეტრემ ხელით ანიშნა, რომ უკან დაეხია. ბაგონი გურამი გაოცებული ღარჩა, მაგრამ ეკლესიის მსახურის ეხგს მაინც დაემორჩილა.

14

ვისი ჲურბით იყო „გამოქიჲული“ ნინო ღარკანელი „მოგაგაჲი“

სიუჲეტის გასაკეთებლად უკანონო ბაჲშვთა სახლში გამიშვეს. იქიდან ისეთი ღათრგუნვილი მოვბრუნდი, გამოვაცხადე, გელევიზიაში ვერ ვიმუშავებ-მეთქი. როცა ღამამშვიდეღს, ღამის შევევეღრე, რაც შეიძლება უფრო მხიარულ და გასართობ რეღაქციაში მამუშავეთ-მეთქი.



28

რას ვერ ავატყუებ სოლს სოსო პავლიაშვილი



სოსო პავლიაშვილის მეულღს, ინგერვიუს ასაღებაღ, ბახტრიონის ქუჩაჲე ვესტუმრეთ. ნინომ თავიღანვე ერთი საიღუმლოც გაგვიმხიღა: თურმე ღიეგას იცაღს, ამ ბოლო დროს წონაში 30 კგ ღაუკლია და კიღეღ 15 კგ-ს ღაულებას აპირებს. როგორც ჩანს, სიურპრიზს უმზადებს მეულღს.

7

„ქვსი კაცი ღაჭყერი და ვეავე, მათ შორის - საქართველოს ჩემპიონი კრივი...“

უნგრელი მეულღე მყავღა - „ფორმულა-1“-ის მენეჲერი იანომ რეღნაში. 1990 წელს ავტოკაგასტროფაში ღაიღუა... ბუღაჲეშტში ჩემთან ბეერი ქართველი მომღერალი სტუმრობღა... თუნღაც ახი მეუაროიღე = ღმერთმა სულ წარმატებით აგაროს, მაგრამ თვეღები ისე გაღა, ერთხელაც არ ღამირეკაღს.



12

სამყარო	ბოგრა და სხვა მრავალი საოცარი ბაღრეული	32
წმინდანები	მას თვით კეისარმა მიავა პატივი	34
საგანძურნი	კოლხი ქალის სხეული ათასგე მებ ოქროს ნივთში გახვეული იკოვას	35
ფაქტობრივი	დენის როდმანი: „NBA-ს მაღონა ვარ...“	36
პეარკვი	ნაბიჭმრეშვილები და კუბინები	39
ქართულიები	ამ კანის მკვლელობამ მის ოქონენტებსას შურისძიების ბრძოლით აუვსო გული	40
პარაკლავი	შემთხვევის წყალობით აღმოჩენილი ძლიერი შრანკა	42
ტანტი	ერთგული მკითხველი	43
რომანი	ბესიკ კეკელიძე, ქალი-ობობა (დასასრული)	44
მეიჭიზი	ყველა შიქრობდა, კონკურსის შემდეგ ჯანო ბაბრატიონს „აიყვანდნენ“...	47
პეტო	საავტომობილო სამყაროს უახლოესი პრემიერები	50
ჯანმრთელობა	• აღენიღები 52 • თაფლი 53 • „უწამლო არღაღებები“ 54 • ღიასახლისის კუთხე 54 • კითხვა-პასუხი 55	
აღმნიანი-ღაგანდა	როკ-ენ-როლის მეფე	56
მეიჭორინა	ღიასახლისი, ბაერთით, ივარჯიშეთ!	60
სკანეროდი		61
კოროსკოვი	კვირის (17-23 სექტემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი	62
ტანტი	შეგიძლიათ თუ არა დასახული მიგნის მიღწევა?	63
კალიფოსკოვი	ჩრეულ-ჩრეული ამბები	64

გარეკანზე: მიხეილ მიჩანაშვილის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“
გამოღის კვირაში ერთხელ, სუთვაბათობით
გაჯამე „კვირის პალიტრის“ დამატება
შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გონა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ნატვრისთვლი, რომელსაც... უგედურება მოაქვს



ახლა კი ნამდვილად დადგა დრო, რომ ნატვრისთვლი მძალადი მეცნიერების კვლევის საგანი გახდეს. საშურის რაიონის სოფელ გომში, გუნმაზაშვილების ოჯახში ათეული წლებია, რაც ნატვრისთვლი იხახება. მათთან მისულმა, ნატვრისთვლის ფირზე აღბეჭდვა კი მოვიხილეთ.

23

დენის როდმანი: „NBA-ს მაღონა ვარ...“

როდესაც კალათბურთის თამაში დაიწყო, 20 წლის იყო. მაშინ ის დალასის აეროპორტის მახლობლად მდებარე სასაფლაოზე მუშაობდა და ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ წლების შემდეგ დენის როდმანი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი კალათბურთელი გახდებოდა.



36

ნიმე სერგულაძე „ლა სკალაში“ ქვევის სტოლი და სარმის რეხვით გაითქვა სხელი



ერთ დღეს, საერთო საცხოვრებელში დაბრუნებულს კარი დაკეცილი დაშვდა. ვაკაკუნებ, მაგრამ ამოდ. მგზობელ ქუჩაზე მსუბუქი ყოფაქცევის ქალები იდგნენ – უფრო მუსგად, ქალებად „გადაკეთებულ“ კაცები – გრანსეექსულები. როგორია ამ სიგუაიაში შუაღამისას გართ დგომა?!

16

ქალი-ობობა

„სასწაულია ცხოვრება, ამის გარდა ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ დაე, დმერთმა განსაჯოს და არა მე. ბოლოს და ბოლოს, ჩემი ქმრის შვილების დედაა“, – გაიფიქრა და ანესტეზიოლოგს შეხედა.



44

მაშ რა ეგონათ!



ნოსტრადამუსს ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში აფასებდნენ არაერთგვაროვნად: ზოგი წინასწარმეტყველს ეძახდა და ზოგი შარლატანს... აგერ რამდენიმე საუკუნე გავიდა და დღესაც არ შეცვლილა მისდამი დამოკიდებულება: ნაწილს ფეხებზე ჰკიდია და შუასაუკუნეობრივ სიბნელეს უწოდებს მის ნამოღვაწარს, ზოგს კი ლამეები არ სძინავს შიშით და მესამე მსოფლიო ომის დაწყებას ელოდება.

ისე, იმ ცხონებულ ნოსტრადამუსსაც პირდაპირ, ყოველგვარი ქარაგმის გარეშე დაეწერა, თუკი რამე „ფაიზალი“ იცოდა, თორემ დაჭამა ხალხმა ერთმანეთი: ზოგი როგორ შიფრავს მის „ნაანდერძევს“ და ზოგი როგორ. თუმცა ბევრმა პურის ფული იშოვა ამით და არც ეს არის ცუდი.

ერთი სიტყვით, სამშაბათს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში დატრიალებულმა ტრაგედიამ ურწმუნოებიც კი გვაიძულა ნოსტრადამუსის „ლექსებში“ ჩაგვეხედა და დაშიფრულ-დაქარაგმებულ პროგნოზებში იმდღევანდელი ამბები გვეპოვა. მეც „ჩავუჯექი“ და ყველა შიშისაგან დაზაფრულს მინდა ვუთხრა, რომ საშიში აღარაფერია. რა თქმა უნდა, რაც მოხდა, საშინელებაა და გამოუსწორებელი ტრაგედია, მაგრამ მას რომ ვაგრძელება არ მოჰყვება – ესეც ზომილი და საქმეა.

ცნობილია და ეს ბუნებრივია, რომ დიდი ფრანგი წინასწარმეტყველი პირდაპირ არ წერდა, რომ მეორე მსოფლიო ომს ჰიტლერი დაიწყებდა, ან საბჭოთა სახელმწიფოს ლენინი შექმნიდა და გორბაჩოვი დაშლიდა. ზოგს „აღმოსავლეთის მბრძანებლად“ მოიხსენიებს, ზოგს „თავზე დადსამულ ხელმწიფეს“, ზოგს „ოკეანისგალმელ სატანას“ და ამდაგვარებს უწოდებს. ამერიკის შეერთებული შტატების შექმნას, მსოფლიოზე მის გაბატონებასა და გუშინწინდელ ამბებსაც თითქმის ნატურალურად აღწერს: „რკინის ფრინველი დაეჯახება ცაღ აზიდულ სასახლეებს“ – ამბობს.

მოკლედ, ფაქტია, რომ „ნოსტრადამუსისტების“ რიგებში ბევრი მანამდე „ურწმუნო თომა“ გადავა, მეც მათ შორის ვარ და სწორედ ამიტომ ვარ დარწმუნებული, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ახლავე ავიხსნით ყველაფერს: ნოსტრადამუსის ერთ-ერთ „ლექსში“, სწორედ იმაში, რომელშიც „რკინის ფრინველისა“ და „ცამდე აზიდული სასახლის“ ამბავია აღწერილი, ნახსენებია ორ ზღვას შუა მდებარე ტურფა ქვეყანა, საიდანაც გამოჩნდება მესია, რომელიც მსოფლიოს ააცილებს გლობალურ

კატასტროფას. ეს მესია იქნება „ლამაზი, მხედარი და კეთილშობილი“, „ურჩხულის ლახვრით განმგმირავი“, „რაინდთა წინამძღოლი“ და ზემოთ ნახსენების მაგვარი „რკინის ფრინველების“ პატრონი...

სულელიც კი მიხვდება, რომ აღწერილი „ტურფა ქვეყანა“ საქართველოა, მაგრამ ვინ არის მსოფლიოს მხსნელი მესია, „რკინის ჩიჭუე“ ამხედრებული წმინდა გიორგის „საქმის გამგრძელებელი“?! მთელი დღე ვიფიქრე, მაგრამ იმდენი „კანდიდატურა“ აღმოვაჩინე ჩვენებურთა შორის ამ „გაკანსიაზე“, რომ თავგზა ამებნა და მკითხაობა საღამოსთვის გადავადე...

საღამოს კი, ერთ-ერთი ქართული სატელევიზიო არხით გამოვიდა „ერთ-ერთი წმინდა გიორგი“ და ყველაფერი ცხადი გახდა:

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი იმ დღეს, როგორც არასდროს, მიზანდასახული და გაწონასწორებული ჩანდა: მეო, ძალიან განვიცადე მომხდარი ამბავი, ლამის არის გულ-მუცელი დამეგლიჯოსო, დღეს გვიანია და ხვალ დილისთვისო, თუ საჭირო იქნება, ოკეანის გაღმა გავჩნდები ჩემი ჩურჩხელებიანი ბიჭებითო. აქ, ჩვენთან კი, ყველაფერი მოვავჯარო: სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ყოფილა შინაგანი ჯარის დანაყოფები და უბნის ინსპექტორების სრული კონტინგენტი, და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... მეგობრებთან ერთად ვუსმენდი მას და სავსებით ბუნებრივი იყო მათი გაოცება, რადგან ნოსტრადამუსისა არაფერი გაეგებათ. მე კი ყველაფერს მივხვდი და ისინიც „გავანათლე“, შემდეგ ყველამ ერთად დავლიეთ მისი სადღეგრძელო...

შაკვე დაღამებული იყო, ტაქსით მივდიოდი შინ და ყოველ გზაჯვარედინზე გვაჩერებდნენ ქართველი პოლიციელები, ხელში უსამა ბინ ლადენისა და იასირ არაფატის ფოტოსურათები ეჭირათ, ჯერ მძღოლს მიანათებდნენ სახეში ფარანს, მერე მე და გვიშვებდნენ. ერთი სიტყვით, ჭიანჭველა ვერ გამოეპარებოდათ. ფაქტია, რომ წასულია ორივე მსოფლიო ტერორისტის საქმე, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამერიკის მთავრობას ბინ ლადენზე ინფორმაციის მიწოდებისათვის 5 მილიონი დოლარი აქვს ჯილდოდ გამოცხადებული, ჩვენს მინისტრს კი 200 ლარი აქვს ხელფასი...

P.S. შინ მისულმა, ცხადია, ტელევიზორი ჩავრთე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ჩემი „აღმოჩენის“ სიმართლეში: იასირ არაფატს ტურები უკანკალებდა და დამფრთხალი ლულულებდა – აშკარაა, რომ მის ინფორმატორებს ყველაფერი შეუტყობინებიათ საქართველოდან.

აბა რა ეგონათ: ოლოლო – უსამას და ოსანა – თარგამაძეს.

პროპოპატორი





კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ტერაქტის ქრონიკა

ვინ დაგვეხმარება ტერორისტების მოქმედებაში?!

ბოჩა ტყეველაშვილი

სამშაბათს, 11 სექტემბერს, ადგილობრივი დროით 8 სთ-სა და 45 წთ-ზე (თბილისის დროით 18 საათზე) რეაქტიული თვითმფრინავი „ბოინგ-767“ ნიუ-იორკის ცენტრში, მანჰეტენზე მდებარე სავაჭრო ცენტრის ერთ-ერთ ცათამბჯენს შეეჯახა. 110 სართულიანი შენობა 85-ე სართულს ზევით ააღდა და ჭვარტლით გაივსო. 18 წთ-ის შემდეგ მსოფლიო სავაჭრო ცენტრის – ტყუპი ცათამბჯენის მეორე შენობასაც შეასკდა თვითმფრინავი. შენობიდან გადმოყრილი დოკუმენტები სამი მილის (დაახ-

ლოებით 5 კმ) რადიუსში მიმოიფანტა. წინასწარი მონაცემებით ორივე თვითმფრინავში 156 ადამიანი იმყოფებოდა, სავაჭრო ცენტრის ტყუპ შენობაში კი იმ დროს 50 ათასზე მეტი ადამიანი უნდა ყოფილიყო. ადგილობრივი დროით 9 სთ-სა და 40 წთ-ზე აშშ-ში ყველაწარმოიშობა საჰაერო მიმოსვლა აიკრძალა.

თვითმზილველების გადმოცემით, დაახლოებით ამ დროს ვაშინგტონში, პენტაგონის (ამერიკის თავდაცვის სამინისტროს) შენობის თავზე მოძრავი თვითმფრინავი მის ტერიტორიაზე ჩავარდა და აფეთქდა. სასწრაფოდ დაიწყო შენობიდან თანამშრომელთა ევაკუაცია. ნიუ-იორკის საერთაშორისო ცენტრში მეოთხე აფეთქება დაფიქსირდა. ტერორისტების მიერ გატაცებულმა კიდევ ერთმა თვითმფრინავმა ვაშინგტონისკენ აიღო გეზი, მაგრამ ქალაქის მისადგომებთან, ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ იქნა განადგურებული. 10 სთ-სა და 45 წთ-ზე პენსილვანიის შტატის ქალაქ პიტსბურგის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში კატასტროფა განიცადა დიდმა თვითმფრინავმა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ვაშინგტონში პენტაგონის დასავლეთი ფრთა ჩაინგრა.

სხვადასხვა წყაროს ცნობით, სულ 5-იდან 11 თვითმფრინავამდე იქნა გატაცებული. მას შემდეგ, რაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მახლობლად დანადგული ავტომობილი აფეთქდა, სტრატეგიული მნიშვნელობის ყველა ობიექტის სასწრაფო ევაკუაცია გამოცხადდა, ნიუ-იორკის პოლიციამ კი ქალაქის ყველა შესასვლელი გადაკეტა. ადგილობრივი დროით 11 სთ-სა და 04 წთ-ზე შეწყდა ყველა მსხვილი ფინანსური ოპერაცია.

ამერიკის მთავრობის ბრძანებით, აშშ-ის ტერიტორიაზე მდებარე ყველა სამოქალაქო აერობორტი დაიკეტა, რეისში გასული ყველა თვითმფრინავი კი სასწრაფოდ დაეშვა მიწაზე.

საქართველოს უამრავი მოქალაქე, ლეგალურად თუ არალეგალურად, ამერიკაში იმყოფება და ამ ვითარებაში, ახლობლები ვერ უკავშირდებიან. მათი ბედის გასარკვევად,





ნობებში — მინდა მჯეროდეს, რომ ვერ შეძლებდნენ, რადგან არალეგალები ძირითადად პატარა შენობებსა და წვრილ ფირმებს აფარებენ თავს. თუმცა, თეორიულად შესაძლებელია ქართველი ბიზნესმენი ან მონღო-ყოფილიყო რომელიმე სართულზე, ისევე, როგორც შესაძლებელია თვითმფრინავშიც მჯდარიყო. ასეთი ინფორმაცია კი ჯერჯერობით არ გვაქვს და იმედს ვიტოვებ, რომ არც მივიღებთ.

— თუ დაზარალებულებს შორის ქართველებიც აღმოჩნდებიან, რომლებსაც იქვე მკურნალობის კურსი დასჭირდებათ, მათი ახლობლების გამგზავრება თუ იქნება შესაძლებელი?

— თქვენ თავზე დგომას გულისხმობთ. ვფიქრობ, რომ ასეთი რამის მოხერხება ძალიან გაგვიჭირდება: აშშ-მა გაამკაცრა სავიზო რეჟიმი.

— აშშ-ში საქართველოს

პრეზიდენტის ვიზიტი ხომ არ გადაიდება?

— ამჟამად ამერიკაში ამ ვიზიტის საკითხების მოსაგვარებლად იმყოფება ჩვენი მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი. და ვფიქრობ, თუ გაეროს მიერ დაგეგმილი ღონისძიება არ გადაიდო, ვიზიტი შედგება. გაერომ კი 11 სექტემბერსვე განაახლა სესია.

— ასეთ დროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს თუ აქვს კონკრეტული ღონისძიებების გეგმა შემუშავებული?

— ჩვენი საელჩო ახორციელებს ექსტრემალურ ღონისძიებებს. თუ ამერიკაში საქართველოს საელჩოს დაუკავშირდებიან ჩვენი მოქალაქეები, დავეხმარებით, რომ ხმა მიაწვდინონ ახლობლებს და, პირიქით — თუ ჩვენ, სამინისტროში მოგვმართავენ კონკრეტული პიროვნებების მოსაძებნად, ინფორმაციას მივაწვდით საელჩოს.

— როგორ უნდა დაგიკავშირდნენ მოქალაქეები საგარეო საქმეთა სამინისტროს?

— 24 სთ-ის განმავლობაში იმუშავებს საკონტაქტო ტელეფონი, რომლითაც მოქალაქეებს ჩვენთან დაკავშირების საშუალება ექნებათ. ტელეფონის ნომერია **98-93-77**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მივმართეთ. აი, რა გვითხრა მინისტრის მოადგილემ შოთა დოლონაძემ:

— ნიუ-იორკში ცხოვრობენ და მუშაობენ ჩვენი მისიის თანამშრომლები (5-8 კაცი). მათი ოფისი გაეროს შენობის პირდაპირ მდებარეობს და ტერორისტული აქტის შემდეგ, ბუნებრივია, პირველ რიგში მათთან დაკავშირება ვცადეთ, მაგრამ ვერ შევძელით. თუმცა, მოგვიანებით ჩვენმა საელჩომ ვაშინგტონიდან მოგვაწოდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, ყველანი ცოცხლები არიან და თავს ჯანმრთელად გრძნობენ. ისინი იმ დროს სამსახურში ჯერ კიდევ არ ყოფილან მისულნი.

— საგაჭრო ცენტრის შენობებში თუ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ქართველები?

— იმ შენობებში მე ნამყოფი ვარ. ტურისტები რიგში დგებოდნენ და მაღალ სართულებზე აღიოდნენ ხოლმე ნიუ-იორკისთვის ზემოდან გადმოსახედად. დილის 9 სთ-ზე არა მგონია, ასეთი რიგი დამდგარიყო. რაც შეეხება იმას, შესაძლებელია თუ არა ქართველებს არალეგალურად ემუშავათ იმ შე-



ტრადიციონალისტებს არცთუ ისე მშვიდი დრო დაუდგაო. საკოორდინაციო საბჭოზე უარის თქმამ ზოგიერთი მათი თანამოაზრე გაანანყენა, ზოგის გაგულისება კი იქამდე მივიდა, რომ ტრადიციონალისტთა ლიდერის ლანძღვაც დაიწყო. აკაკი ასათიანის ყველაზე აქტიური ოპონენტი, ვახტანგ რჩეულიშვილი აღმოჩნდა, რომელმაც ის ზურაბ ფვანასთან ალიანსში დაადანაშაულა. პირველმა სოციალისტმა კბილი მიაა ნადირაძესაც გაჰკრა — ასათიანს გონებას ურევსო... პარლამენტში შექმნილ ბოლოდროინდელ ვითარებაზე ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე აპაპი ასათიანი გვესაუბრება.



ნახაი ასათიანი:

პოლიცია უპარლამენტო „დაუნჯა“...

რჩეულიშვილი კი არასერიოზული კასია...

იშო რიკაძე

— ბატონო კაკო, რამდენად რეალურია საუბრები პარლამენტში არსებულ ძალთა თანაფარდობის შესახებ შეცვლაზე?

— მმართველ პარტიაში რომ რღვევა მიდის, ფაქტია. ეს თავიდანვე ხელოვნური გაერთიანება იყო და პირველი კრიზისისთანავე ბზარები გაუჩნდა.

მოქალაქეთა კავშირში მიმდინარე პროცესებს ჩვენც, ოპოზიციამაც შევუწყვეთ ხელი. ეს მერე და მერე გამჟღავნდება. რომ ამბობენ — ტრადიციონალისტები „მოქალაქეებისკენ“ გადაიხარნენო, იქნებ პირიქით — ისინი გადმოიხარნენ ჩვენკენ?! შევარდნაძეს 4 წელიწადზე ნაკლები დარჩა და ყველა ფიქრობს, თავისი საქმით და იმიჯით დარჩეს პოლიტიკაში.

— იმაზეც საუბრობენ, ახალი უმრავლესობა პარლამენტში ოპოზიციიდან იქნებაო.

— მაშინ უმრავლესობა უკვე აღარ იქნება ოპოზიცია და მმართველი ძალა გახდება. გაერთიანებული ოპოზიცია 94 კაცამდე ავიდა. ამას ამჟამინდელი უმრავლესობიდან 30 მაინც უნდა დაემატოს, უმრავლესობად რომ ვიქცეთ. თუ მოქალაქეთა კავშირიდან 30 კაცი დაგვემატა, ვისი უმრავლესობა ვიქნებით — მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის? ამიტომ, თუ ოპოზიცია აყენებს ლოზუნგს — ფვანას თამაში არ ვითამაშოთო, მე მგონია, არც შევარდნაძის თამაში უნდა ვითამაშოთ.

— რატომ არის თქვენთვის მიუღებელი 30 „მოქალაქე“, რომელიც ოპოზიციასთან მიდის თანამშრომლობაზე?

— განა ვიცით, რატომ და რაზე მიდის ისინი?! მათ რაც მოსწონთ, ის არ არის ჩემი

იდეა. ისინი ამბობენ — გამგებლები და მერე ბი ავირჩიოთო, მე რეგიონულ არჩევნებს მოვიტხოვ. ჩვენ ანგარიში გავუწიეთ ოპოზიციის ერთიანობას და რეგიონალიზმს დავთმეთ. მერე ოპოზიციამ არჩევითობაც დათმო. მან იმდენი მოახერხა, რომ შევარდნაძეს და ზატბეს დაეთანხმა — მერები და გამგებლები დაინიშნონო და ბოლოს, ამაზეც ვერ დაიყოლიეს ისინი. ასეთ ოპოზიციაში, არ ვიცი როგორ ვითანამშრომლებთ და რა იქნება. ვფიქრობ, უახლოეს დღეებში გაირკვევა ყველაფერი.

— ე.ი. ოპოზიცია ერთიანი აღარ არის?

— ოპოზიცია გარკვეულ საკითხებში ერთიანია. ჩვენ „აღორძინების“ ბლოკის წევრები ვართ და იქ დავრჩებით. ახლა საკოორდინაციო საბჭო რომ ითხოვს ბიიკოტს, არ ვეთანხმებით. ეს საარჩევნო კანონი არ ვარგა — გადავლოთ არჩევნები, შევცვალოთ კანონი და ყველაფერი მოესწრება.

— არჩევნების გადაწვევა მოქალაქეებისთვის ხელს აძლევს, ამიტომაც დაგნამეს ალბათ ფვანას თანამოაზრეობა.

— იქნებ, ფვანია ჩემი თანამოაზრე და არა მე მისი?! ოპოზიციის ერთიანობამ შედეგი ვერ გამოიღო, ის შევარდნაძეს „დაუნჯა“, რატომ არ შემოვიდა ასათიანი საკოორდინაციო საბჭოში? — ერთი ამბავი ატეხეს. არ მინდა და არ შევედი.

მე და რჩეულიშვილი რომ ერთად არ ვიქნებით, ეს ცხადია. ის არასერიოზული კაცია და ძალზე შორს დგას პოლიტიკისგან. ბატონი ასლანისთვის ჩემ მიერ მიცემული პირობა არ დაირღვევა. ასევე ვიქნები „21-ე საუკუნისთან“, „მრეწველებთან“ და „ახლებთან“ ნორმალური ურთიერთობა მექნება. არასერიოზულ ადამიანებთან, რომელთაც მხ-

ლოდ თავიანთი გაჭირვება აწუხებთ და შეზღუდული წარმოდგენა აქვთ ღირსებაზე, არაფერი გვექნება საერთო. ასევე არ გვექნება ურთიერთობა კანცელარიასთან.

— კონკრეტულად რომელი „აღმსრულებელია“ თქვენთვის მიუღებელი?

— ვანო ჩხარტიშვილის პოზიცია — არ უნდა შემოწმდეს კაცს საიდან აქვს ქონებაო, — ჩემთვის მიუღებელია. მეც მინდა მქონდეს სახლი, მაგრამ შემიძლია ყოველი ლარი დავასაბუთო. თუ დასაბუთებული ქონება გაქვს, რისი გემინია?! ვანო ნიჭიერი ბანკირი, კარგი ბიზნესმენია, მაგრამ ისეთი პოზიცია დაიკავა, რომ მისი გაზიარება გამძინელებია. ავიღოთ ძაღლებების საკითხიც. არ შეიძლება ქვეყანაში ამდენი გატაცება ხდებოდეს. რაღაც ხომ უნდა გაკეთდეს?! — ან თვითონ უნდა გვითხრან რას აპირებენ, ან ჩვენ უნდა დავსვათ საკითხი, რომ ამას ბოლო მივღოს.

— ე.ი. არ გამოირიცხავთ ზოგიერთი მინისტრის იმპიჩმენტის საკითხის დასმას?

— მე არ მჯერა საკადრო ცვლილებების. აი, მაგაგარიანი მივიდა მთავრობაში, ვერაფერი გააკეთა და წავიდა. ჯერ — რეგიონალიზმა აუცილებელი, მერე — მინისტრთა კაბინეტზე ვიფიქროთო... როდემდე უნდა ვუყუროთ ამ აბდაუბდას?!

— ალბათ ამის გამო დაგაბრალათ რჩეულიშვილმა — ტრადიციონალისტები მთავრობაში ადგილებს ელოდებიანო...

— ადგილებს ვინც ელოდებოდა, მივლამ საქართველომ ნახა: რჩეულიშვილის ვიცე-სპიკერობას გადაჰყვა პარლამენტის მუშაობის პირველი წელი...

— ამბობენ, ირინა სარიშვილი ქანტურია ფვანას გადასაცემებლად მოდის პარლამენტშიო...

— ამ საკითხის წამომჭრელი ისედაც ბევრია, ამისთვის ირინას მოსვლა პარლამენტში აუცილებელი არ არის. ირინა იქნება კარგი დეპუტატი, თორემ ფვანას გადაყენების მოთხოვნაში ხალხი ერთმანეთს ეჯიბრება...

— თუ ეს საკითხი ასე აქტიურად აღიარა ოპოზიციაში, 100 ხელმოწერის მოგროვება რაღა გახდა?

— ეს განცხადება ფვანამ უმრავლესობის შესამოწმებლად გააკეთა. აბა, ოპოზიციას რომ 100 კაცი არ ჰყავს, თავდაც კარგად იცის. ოპოზიცია ამ ამბავში საერთოდ არ აპირებს მონაწილეობას. ფვანია ვინც აირჩია, იმანვე გადააყენოს.

— თქვენზე ამბობენ — პარტია ეხლიჩებაო.

— ამას რჩეულიშვილი ამბობს. სვკობს, ჯგუშმას მიხედოს. იმედია, საზოგადოება შეეჩვივა რჩეულიშვილის გამონათქვამებს და მას სერიოზულად აღარავინ აღიქვამს.



სოსო პავლიაშვილის მეუღლეს, ინტერვიუს ასაღებად, ბასტიონის ქუჩაზე ვესტუმრეთ. 3 წელია, რაც აქ, სასიამოვნო და მყუდრო სახლში, ნინო შვილთან — 14 წლის ლევანთან ერთად გადმოვიდა საცხოვრებლად. გარემოც ძალიან მოგვეწონა, მაგრამ უფრო მეტად, სასიამოვნო, ენერჯიულმა მასპინძელმა მოგვსიბლა. ქობულეთიდან ჩამოსულმა, გარუჯულმა ნინომ თავიდანვე ერთი საიდუმლოც გაგვიმხილა: თურმე დიეტას იცავს, ამ ბოლო დროს წონაში 30 კგ დაუკლია და კიდევ 15 კგ-ს დაკლებას აპირებს. როგორც ჩანს, სიურპრიზს უმზადებს მეუღლეს, რომელიც თბილისში ოქტომბერში უნდა ჩამოვიდეს.

რას

ვერ აკატიებს სოლს

სოსო პავლიაშვილი

ელისო გურბენია

— ნინო, ვიცი, რომ თქვენც და სოსოც — ორივე კონსერვატორიაში სწავლობდით. როგორ გაიცანით ერთმანეთი?

— როგორ და ჩვეულებრივად. მე საფორტეპიანოზე ვსწავლობდი, სოსო — სავოლინოზე. ორივენი პირველკურსელები ვიყავით და საერთო ლექციებიც გვქონდა. ერთმანეთს ამ ლექციებზე ვხვდავდით ხოლმე. სოსო სიმპათიური ბიჭი იყო და თანაც, ფანტასტიკურად უკრავდა ვოლინოზე. გოგონები გიჟდებოდნენ მისთვის. მეც მომწონდა, მაგრამ მუსიკოსი ქმრად ვერ წარმომედგინა და სერიოზულად არ ვფიქრობდი მასზე. ამიტომ ჩვენს ურთიერთობაში აქტიური მე არ ვყოფილვარ. სოსო უფრო ცდილობდა ჩემთვის თავის მოწონებას და არცთუ ისე უშედეგოდ: უკვე ლექციებისთვის, რომანტიკული ურთიერთობა გვქონდა.

— როგორი შეყვარებული იყო სოსო?

— ძალიან ყურადღებიანი. თითქმის სულ ერთად ვიყავით. როცა ვმორიდებოდით, ტელეფონით ვესაუბრებოდით ხოლმე ერთმანეთს. საკმარისი იყო, ერთ დღეს არ გვენახა ერთმანეთი და ხუთჯერ მაინც დამირეკავდა. ძალიან უყვარდა ყვეაილების ჩუქებაც.

— თქვენს მშობლებს თუ მოსწონდათ სასიძო?

— ძალიან კარგად იყვნენ განწყობილნი მის მიმართ. სოსო ისეთი ბიჭი იყო, მშობლებს რომ მოსწონთ ხოლმე: მორიდებული და

ზრდილობიანი... I კურსის შემდეგ ჯარში წაიყვანეს. ბალტიისპირეთში — რივის მახლობლად მსახურობდა. უამრავ წერილს მწერდა ჯარიდან. პასუხად, კვირაში ერთხელ, ტელეფონით ვურეკავდი.

— სოსოს წერილები თუ გაქვთ შემონახული?

— სამწუხაროდ, ვაჟა-ფშაველადან საცხოვრებლად აქ რომ გადმოვედით, არეულობაში თითქმის ყველა წერილი დამეკარგა. ერთადერთი ვნახე მერე შემთხვევით. გინდათ, გიჩვენო?

— მინდა...

„ჩემო ნინო!

წუთი-წუთზე ველოდები, როდის გამომიშვებენ. დიდიდან კამერაში შემაგდეს. რა საშინელებაა, რომ იცოდე, ორიოდე წუთის წინ ვასო გაუშვეს, ახლა ჩემი ჯერია. ვერ წარმოიდგენ, როგორი გასარბული ვარ შენი ღებებით. ვერ დამიჯერებია, რომ დღეს უნდა გელაპარაკო. არც ვიცი, როგორ გამოვხატო სისარული. როგორ ხარ, ჩემო ბაჭია? ამას, კაკრახ, დღეს გავიგებ. ჩემი აზრით, ეს წერილი უკვე დაგვიანებული იქნება. მაგრამ სიყვარული და სითბო ძველებურად ექნება შემორჩენილი. მე შენ მიყვარხარ და მიყვარხარ უზომოდ. აი, როგორც კოსმოსი, როგორც სივრცე, როგორც ოკეანის ჰორიზონტი“. „სულძლიად გადარეული ვარ“.

როდის გნახავ ნეტა, დედას ვფიცავარ, აღარც მჯერა, რომ მაგას მოვესწრები. არადა ჯარი ისეთი ხიფათიანია, რომ რა გელოდება ყოველ ნაბიჯზე, არც სულმა და არც ხორცმა არ იცის. იმ დღეს იყო და, კინაღამ

ბლინივით გამაბრტყელა 30 მეტრიანმა ბებრმა არყის ხემ. გვეონება, 100 წელი იმითომ იცოცხლა, რომ ბოლოს (შენი გულის გასახეთქად) „უშწეო“ პაოლო გაეჭყელიტა. რას გადავრჩი, იცი? სულ რაღაც ნახევარი მეტრით ამცდა. ვიწექი და მეძინა. ხეს პატიმრები ჭრიდნენ. სადაც მათი ვარაუდით უნდა დაცემულიყო, საწინააღმდეგოდ დაეხეთქა ის ძირგასანძობი, თითქოს საიქილოში მიგყავდი თავისთან. არ ვიცი, იქ მაინც რათ ვუნდოდი, რა, მეზადედ დაგუდგებოდი თუ შოშიების სახლებს მივკარავდი ზედ? ღმერთმა იცის. დღეს ჩემი ზამპალიტი იყო და ჭკუას მარიგებდა, რომ ღიზბატში მიშვებდნენ და მაგათ გადამარჩინეს, ჩემს ტალანტს და ნიჭს პატივი სცეს და ჰა და ჰუ და... მოკლედ, ტვინი გამიჭრა რა, იმდენი ლაყბობით. აღარც მჯერა, რომ თავისუფალი ვარ. მაპატიე, ფურცელი მეტი არ მქონდა. მიყვარხარ სივრცემდე. ჭკუით იყავი და თავს მოუფრთხილდი, რამე რომ მოგივიდეს, იცოდე, გამოვიქცევი...“ (სტილი დაცულია. — ავტ.).

— დაქორწინება როდის გადამწყობით?

— ჯარიდან ჩამოვიდა თუ არა, რამდენიმე თვეში ვავიპარეთ. სამწუხაროდ, ჯვარი არ დავვიწერა. ჩვენი ქორწილი მარხვას ღემოხვავდა. ამიტომ ხელის მოწერით შემოვიფარგლეთ.

— რატომ გაიპარეთ? მშობლები ხომ თქვენი დაქორწინების წინააღმდეგნი არ იყვნენ?

— არა, მაგრამ ჩვენ მოცდა აღარ გვინდოდა. როცა ერთად არ ვიყავით, უზომოდ

გენატრებოდა ერთმანეთი.

— ახლა არ გენატრებათ?

— მენატრება რომელია, მაგრამ რა ვქნა? კარგა ხანია არ ჩამოსულა. უამრავი საქმე აქვს და მისი მიტოვება არ შეიძლება. ტელეფონით ვესაუბრებით ხოლმე ერთმანეთს, 3-4 დღეში ერთხელ ან ის მირეკავს, ან მე ვუკავშირდები. შეიძლება, ოქტომბრის ბოლოსთვის ჩამოვიდეს კიდევ.

— თქვენ არ ჩადიხართ ხოლმე მასთან მოსკოვში?

— ვერ არ არის იმის საშუალება, რომ ჩავიდე. სოსო მოსკოვში ძალიან დაკავებულია, მე სახლში ხომ არ ვივლები? ან იქ, სად უნდა ვიმუშაო?

— აქ მუშაობთ?

— არა, მაგრამ მეგობრები და ახლობლები მაინც მყავს. მათ ყოველდღე ენახულობ. სოსო კი ისეა დაკავებული, სახლში საღამომდე არ შემოვა. მარტო ყოფნა კი გამიჭირდება.

— რატომ არ მუშაობთ?

— არანაირი სურვილი არ მაქვს ჩემი პროფესიით ვიმუშაო. მუსიკის მასწავლებელს საკმოდ დაბალი ანაზღაურება აქვს. არც იმისი ნერვები მაქვს, მოსწავლეები ავიყვანო. როცა ადამიანს მატერიალურად უჭირს, არაფერს ითაკილებს და ყველგან იმუშავებს, მაგრამ როცა ამის აუცილებლობა არ არის...

— მატერიალურად, ცხადია, სოსოს საქმიანობა უზრუნველყოფს თქვენს ოჯახს...

— რა თქმა უნდა. სოსო რომ არ იყოს, არ ვიცი, რა გვეშველებოდა. მაშინ შეიძლება, მუშაობაზეც მეფიქრა.

— ბოლოს როდის იყავით მოსკოვში?

— 5 წლის წინ. ადრე ბინის პრობლემა

ჰქონდა. ახლა საკუთარი სახლი აქვს და არემონტებს. რემონტს რომ დაამთავრებს, გამზადებულზე ჩავალ.

— კი, მაგრამ არ ეჭვიანობთ?

— ადრე ძალიან ვეჭვიანობდი, მაგრამ რას იზამ?! შევეჩვიე. ახლა ამაზე აბსოლუტურად არ ვფიქრობ.

— ძნელია ცნობილი მომღერლის ცოლობა?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ახლა უკვე ყველაფერს შევეჩუე და პრობლემებიც აღარ მაქვს. სხვისი თვალით და შორიდან, ყველაფერი უფრო მუქ ფერებში ჩანს. ბევრს უკვირს და მუუბნებიან კიდევ — როგორ შეიძლება, ცოლქმარი ცალ-ცალკე, ისიც სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობდესო?! რა ვქნა — რაც არის, ეს არის!

— ალბათ ახლობლები გირჩევენ, რომ მასთან ჩახვიდეთ?

— ახლა ჩემი ლევანი შეიძლება ჩავიდე მოსკოვში სასწავლებლად. სოსოს უნდა, ერთი გიმნაზიაში შეიყვანოს. იმ სასწავლებელში, სპორტიდან დაწყებული, ხელოვნებით დამთავრებული, ყველაფერს ასწავლიან. ლევანს უკვე სექტემბერში უნდა დაეწყო მოსკოვში სწავლა, მაგრამ რემონტის გამო გადავდეთ მისი რუსეთში გამგზავრება. შეილი რომ მოსკოვში მეყოლება, მეც უფრო ხშირად ჩავალ.

— არ გაგიჭირდებათ შვილის გარეშე თბილისში ცხოვრება?

— ძალიან გამიჭირდება, მაგრამ მისი მომავლისთვის ასე აჯობებს. თანაც, ლევანი ისეთ ასაკშია, რომ მაშინ ხელი უფრო სჭირდება.

— დედამთილთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— ძალიან კარგი. დედამთილთანაც და მულთანაც ახლო მეგობრული ურთიერთობა მაქვს. რაც ქობულეთიდან ჩამოვედი, არ მინახავს და ამ ამბავს უახლოეს დღეებში აუცილებლად გამოვასწორებ.

— ყველა ცნობილ ადამიანს თან სდევს ქორები. ალბათ სოსოს შესახებ გაფრცხვლებული ხმებიც აღწევდა თქვენამდე. როგორ იღებ-



დით ამ ქორებს?

— ჭორს გვერდს ვერ აუვლი. ადრე სოსოზე მართლაც ბევრი ჭორი ვრცელდებოდა. მაშინ ძალიან მიჭირდა. შემდეგ, თანდათან ყველაფერი მართლა მხოლოდ ჭორად მივიღე. ამ ბოლო დროს კი, ახალი არაფერი გამიგია: შეიძლება, უბრალოდ, ჩემამდე არ მოსულა — არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, მე არაფერი ვიცი.

— როცა სოსოს ცოლად მიჰყვებით, ფიქრობდით, რომ პოპულარული მომღერალი გახდებოდა?

— ამაზე არც მიფიქრია. სოსომ ჩვენი დაქორწინების შემდეგ მიაღწია წარმატებებს ესტრადაზე. მანამდე კლასიკური მუსიკით იყო გატაცებული, მოსკოვისკენ გზა კი 1989 წლის თურმალის კონკურსის შემდეგ გაეხსნა. ჩვენ მაშინ უკვე 3 წლის ცოლ-ქმარი ვიყავით.

— ალბათ ამ სამი წლის მანძილზე „დაწყნარებული“ ცოლქმრობა გქონდათ.

— მაშინაც არ გვექონდა მოსვენებული ცხოვრება. მოსკოვში გადასვლამდე, სოსო ანსამბლ „ივერიაში“ მღეროდა და ხშირად ჰქონდა გასტროლები.

— როგორ შეხვდით თქვენი მეუღლის გადამწყვეტილებას, მოსკოვში გაფრცხვლებინა კარიერა?

— ყოველთვის გვერდით ვედექი სოსოს. ხელის შეშლა რომ მდომებოდა, იმ პერიოდში, ალბათ მოვასერებდი. მაგრამ როგორც მომღერალს ისეთი მონაცემები ჰქონდა და იმდენად სჭირდებოდა წასვლა, წინააღმდეგობის გაწევა არც მიფიქრა. პირიქით, ყველანაირად ვენმარებოდი და ახლაც ხელს ვუწყო, როგორც შემძლია. სოსო უცებ არ წასულა მოსკოვში. იურმალაში გამარჯვებულები და კონკურსის დიპლომანტები კონცერტებს მართავდნენ მაშინდელი საბჭოთა კავშირის ქალაქებში. სოსომ, როგორც გამარჯვებულმა, ბუნებრივია, ამ ტურნეში მონაწილეობა მიიღო. ამის შემდეგ მას ხშირად იწვევდნენ მოსკოვში. მაშინ სოსო „ივერიაში“ მღეროდა, მაგრამ ისე ხშირად უწევდა მოსკოვში სიარული, რომ აქ დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა.

— ვინ დაესმარა სოსოს რუსულ ესტრადაზე დამკვიდრებაში?

— აბსოლუტურად არავინ. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ნამდვილად თავისით მიაღწია ყველაფერს. ერთადერთი, რაც დაესმარა — იურმალაში მოპოვებული „გრან-



პრი“ იყო. თურმალის შემდეგ სოსოს ირინა პონაროვსკაიამ მოუსმინა და დაიწყო პავლიაშვილის წინსვლა. იმ დროს, შოუ ბიზნესში ფულის ჩადება არ იყო აუცილებელი.

— **მასსოვს, სოსომ იურმალაში როგორ გაიმარჯვა. წარმომიდგენია, იმ დროს, რას გრძნობდით.**

— ასეთი სიხარული ცხოვრებაში არ მიგრძენია. თურმალაში სოსოსთან ერთად მეც ვიყავი. 9 აპრილის ტრაგედია ახალი მომხდარი იყო. იცით, როგორი სიყვარულით ვიყავით გარემოცულნი ბალტიისპირეთში?.. აქედან დროებით ვიყავით ჩასულები, ქუჩაში ხალხი გვეხვეოდა, დარბაზშიც ყველა გვაშინებდა, გვეულშემატკვრობდა, მაგრამ „გრან პრის“ მაინც არ ველოდი. თუმცა, სოსომ თავიდანვე განაცხადა — ან მთავარ პრიზს ავიღებ, ან არაფერი მიწდაო. კონკურსის დანარჩენ მონაწილეებთან შედარებით, ჩემი მეუღლე ნაკლებად ცნობილი მომღერალი იყო. მასსოვს, სცენაზე გამოსვლის წინ კენჭისყრა ტარდებოდა. ყველაზე მეტად სოსოს პირველ ათეულში გამოსვლა და მეცამეტე ნომრის ამოღება არ უნდოდა. I ტურში სოსოს პირველს მოუწია გამოსვლამ, მეორეში კი — მეცამეტეს... მას შემდეგ, რიცხვი ცამეტი, ჩემს ქმარს ყველაზე მეტად უყვარს.

— **ამჟამად, რას აკეთებს?**

— 2 წელია რაც სოსომ რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. ამჟამად დსთ-ის ქვეყნებში ატარებს კონცერტებს. ძალიან დატვირთული გრაფიკი აქვს — ერთი ქალაქიდან ჩამოსული მეორეში მიემგზავრება. ბოლოს რომ დამირეკა, ოდესიდან ალმა-ათაში მიფრინავდა. მიუხედავად იმისა, რომ ზაფხული მკვდარ სეზონად ითვლება, ერთი დღეც არა აქვს თავისუფალი.

— **სოლო კონცერტებს თუ მართავს?**

— სოლო კონცერტი ძალიან ძვირი ჯდება. ამ ბოლო დროს საკონცერტო დარბაზ „როსიაში“ უნდოდა კონცერტის ჩატარება, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო, ვერ მოახერხა. ძირითადად, სხვა მომღერლებთან ერთად მართავს კონცერტებს ან ღამის კლუბებში მღერის.

— **მეწვევრი თუ ჰყავს სოსოს?**

— დიას, ახალგაზრდა ქალი — ნატამა ჰქვია, გვარი არ მასწავლება. სოსოს თავისი სტუდიაც აქვს და როცა უნდა, მაშინ წერს სიმღერას.

— **აქედან ჩასულ მომღერლებს თუ ეხმარება ხოლმე?**

— სოსო ბუნებით იმდენად კეთილია, რომ გამორიცხულია, შეეძლოს და კაცს არ

დაეხმაროს.

— **სოსოს ახალი სიმღერებიდან, რომელი მოგწონთ ყველაზე მეტად?**

— სოსოს აქვს ერთი ახალი სიმღერა, რომელიც ჯერ ჩვენთან არ მოუსმენიათ. ჩემს მეუღლეს ერთი მეგობარი ჰყავდა: მოსკოველი ქურთი, შანდორი ერქვა — ძალიან კარგი ოჯახის შვილი და თვითონაც საოცარი ბიჭი იყო. 2 წლის წინ ტრაგიკულად დაიღუპა. სანამ ცოცხალი იყო, ყოველ წელს, თავის დაბადების დღეს, კონცერტს მართავდა „როსიაში“, ასეთი კონცერტი თეატრის გარეშე და მის პატივსაცემად წელსაც ჩატარდა. საღამო სოსოს მიჰყავდა ირინა პონაროვსკაიასთან ერთად. სოსომ ამ დღისთვის შანდორის დაწერილი სიმღერა შეასრულა. საოცარი მუსიკა და მართლაც ძალიან კარგი სიმღერა გამოვიდა.

— **რუსეთის გარდა, სხვა ქვეყნებშიც თუ აქვს ხოლმე სოსოს გასტროლები?**

— კარგა ხანია, რუსეთის გარდა, არსად ყოფილა. ბოლოს, ერთი წლის წინ, ამერიკასა თუ შვეიცარიაში იყო ჩასული.

— **სოსო დსთ-ის გარეთ, ალბათ სამოგზაუროდაც დადის ხოლმე. თქვენ თუ დაჰყვებით ასეთ მოგზაურობებში?**

— ორჯერ ვიყავით კრუიში ერთად. ერთხელ სმელთაშუა ზღვის ქვეყნებს ვწვიეთ: ოდესიდან გავედით და იტალია, თურქეთი, მალტა და საბერძნეთი მოვიარეთ. მეორედ ჩრდილოეთ ევროპის ზღვისპირა ქვეყნები მოვიანახულეთ: საფრანგეთში, პოლანდიაში, შოტლანდიასა და ირლანდიაში გახლდით.

— **ამ მოგზაურობიდან რაიმე საინტერესოს ხომ არ გაიხსენებდით?**

— როცა მეუბნებიან, კურიოზი გაიხსენო, ვწუხდები: კურიოზი ცხოვრებაში არ მქონია. თუმცა, საბერძნეთში სოსოს სასაცილო რამ შეემთხვა: გემიდან ჩამოვდით. სოსო მზისგან ისე იყო გარუჯული, ქურთის ბიჭს ჰყავდა. ტანზე აჯაჯულ-ჩაჯაჯული ტილოს ტანსაცმელი ეცვა. ავტობუსში ვსხდებოდით. სოსო კართან იდგა. ჯენტლმენურად, ჯერ ყველა მგზავრი აგვატარა და ბოლოს თვითონ დააბირა ავტობუსში ამოსვლა. მაგრამ მძლოლმა ისეთი ყვირილი აუტყვნა, ყველანი გავოგნდით. ცოცხალი თავით არ უშვებდა სოსოს ავტობუსში. გაოცებულმა ვიდმა მძლოლს ჰკითხა — რა ხდებაო. თურმე საბერძნეთში ტურისტულ ჯგუფებს პატარა მაწანწალა ბიჭები დაჰყვებიან და ოსტატურად წაანიან ხოლმე მგზავრებს ძვირფას ნივთებს. სწორედ ასეთი ქურდბაცაცა ეგონა მძლოლს სოსო... მთელი ავტობუსი ხარხარებდა: მგზავრები ძირითადად,

რუსები იყვნენ და სოსოს ყველა იცნობდა.

— **ყველაზე ლამაზი საჩუქარი, რომელიც სოსოსგან მიგიღიათ?**

— სოსოს საჩუქარი ყველაფერი მიყვარს. ჩემს ქმარს იმდენად დახვეწილი გემოვნება აქვს და ისეთნაირად იცის საჩუქრის მირთმევა, რომ ეს მთელი ცხოვრება დაგამახსოვრდება.

— **გარეგნულად სოსო ემოციური და ფიცხი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ოჯახში როგორია?**

— თავისთვის არის ემოციური — სხვებთან „მშვიდობის მტრედია...“

— **თავის პრობლემებზე თუ გასაუბრებიათ?**

— პრობლემებს ყოველთვის თვითონ აგვარებს. საერთოდ, სოსო თავის გასაჭირს არასოდეს ახვევს სხვას თავს, მე — მით უმეტეს.

— **თუ თვლით, რომ ბედნიერი ქალი ხართ?**

— ვერ ვიტყვი, რომ ბედნიერი ვარ. ყველაფრით ბედნიერი ადამიანი, მე მგონი, არც არსებობს. მე, მით უმეტეს, ვერ ვიქნები გამონაკლისი: როცა ქმარი შორსაა, რა ბედნიერებაზე შეიძლება საუბარი?!

— **ყველა ქალი, ალბათ, რაღაცას ითხოვს მეუღლისგან. თქვენ რას ითხოვთ?**

— არ ვიცი. ამაზე არ მიფიქრია. ასეთ თემებზე ნაკლებად ვფიქრობ. აბსოლუტურად არ ვარ მომიხონი. რასაც მიკითებენ, იმითაც კმაყოფილი ვარ.

— **რას ვერ აპატიებდით სოსოს?**

— ალბათ ყველაფერს ვაპატიებდი. ასე გამოიღის...

— **თქვენ რას არ გაპატიებდათ?**

— ღალატს. ვერც იმას აიტანდა, შვილისთვის რაიმე რომ დამეკლო...



მანანა იაშვილი

— გივი, თავდაპირველად, მოგვიყვი, ვინ ხარ და საიდან მოდიხარ?

— დავიბადე თბილისში, 1968 წლის 23 ივლისს. 1985 წელს დავამთავრე მე-60 საშუალო სკოლა, შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტში ვსწავლობდი. დავხურე მეოთხე კურსი და... გადავედი უნივერსიტეტში — ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეორე კურსზე.

— საიდან სად?

— სამედიცინო ინსტიტუტზე გული ამიცრუვდა, რადგან იქ პირველად შევეჯახე სტრუქტურირებულ კორუფციულ მათემატიკას. ძალიან რთული იყო იქ გაძლვა... მაშინ აღმომაჩნდა სავამომიებო ჟურნალისტიკისაკენ მიდრეკილება და წერაც დავიწყე. საკმაოდ გვიან — 30 წლის ასაკში დავამთავრე ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

— „ანტიკორუფციულ თორმეტკაცაში“ როგორ მოხვდით?

— დღემდე არ ვიცი, ვინ წარადგინა ჩემი კანდიდატურა, მაგრამ ვფიქრობ — ვინც წარმადგინა, ამით კმაყოფილი დღეს არ უნდა იყოს...

— თქვენგან საზოგადოება მეტს ელოდა. რატომ იყო თქვენი და მირიან გოგიაშვილის გამოსვლა მთავრობის სხდომაზე ასეთი რბილი?

— საბჭოს მუშაობის ფორმატს ძალიან შეზღუდული ჩარჩოები აქვს: ჩვენი ფუნქციაა, „ანტიკორუფციული შვიდკაცას“ რეკომენდაციების მონიტორინგი და მისი ანალიზის საფუძველზე, პრეზიდენტისთვის რეკომენდაციების წარდგენა. ამ ეტაპზე საბჭო შეზღუდული იყო აგრეთვე პრეზიდენტის 95-ე ბრძანებულებით, რომელსაც ჩვენ, არასამთავრობო სექტორი, უფრო ფართო ინტერპრეტაციას ვაძლევთ. მირიანმა საკმაოდ ამომწურავი ინფორმაცია გააკეთა და მისი მაღლობელი ვარ.

— როგორ ახერხებს ასეთი განსხვავებული ადამიანებით დაკომპლექტებული საბჭო მუშაობას?

— ურთიერთობისა და თანამშრომლობის პრობლემა საბჭოში არ დგას, თუმცა იქ სრულიად განსხვავებული მდგომარეობისა და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანები არიან თავმოყრილნი: ბუნებრივია, რომ მმართველობის იერარქიულ სისტემაში მომუშავე კაცს გაუჭირდება თავისი კოლეგის საკითხის მწვავედ დაყენება... საბჭოს წევრებს შეეთავაზეთ — გამოვიყენო ჩვენ, არასამთავრობო სექტორი და მასმედია, რადგან კონსტიტუციისგან თავისუფლები ვართ და შეგვიძლია მწვავედ დავაყენოთ საკადრო საკითხები. იგივეს ვთავაზობთ პრეზიდენტს, მაგრამ, სამწუხ-

აგვისტოსა და სექტემბრის მიჯნაზე „რეფორმატორებმა“ ღია პოლიტიკური თამაში შესთავაზეს საზოგადოებას. ამ ვითარებაში თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლის, ანტიკორუფციული საბჭოს წევრის გივი თარგამაძის საქმიანობამ დიდი დატვირთვა შეიძინა.



პრეზიდენტის გარემოცვის მთავარი მიზანი დღეს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტის დაუფლებაა...

აროდ, ის არ იყენებს ამ შესაძლებლობას, რადგან არ სჭირდება.

— იმის იმედი თუ გაქვთ, რომ ოდესმე დასჭირდება?

— არა მგონია, მაგრამ მინდა, ეს სხვებმაც დაინახონ. ამიტომაც იყო ჩემი სიტყვა რბილი და კონსტრუქციული. პრეზიდენტმა ჩვენგან წარდგენილი პაკეტი არ მიიღო და თუ აქამდე ვინმეს კიდევ ჰქონდა იმედი, რომ პრეზიდენტთან კონსტრუქციული თანამშრომლობით შესაძლებელია შედეგის მიღება, ახლა ეს იმედიც აღარავის აქვს. სხვათა შორის, ანტიკორუფციული საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძეა და არა მირიან გოგიაშვილი — ის მხოლოდ მდივანია.

— თქვენი წინადადებების გაზიარების შემთხვევაში, რა ცვლილებებია მოსალოდნელი?

— ჩვენ არ ვიჩემებთ, რომ ჩვენ მიერ შეთავაზებული ზომები ქვეყანას გადაარჩენს. იმ სამ წელიწად-ნახევარში, რაც პრეზიდენტს დარჩა, ქვეყანა ნორმალურ გზას ვერ დაადგება. ლაპარაკია მცირე ღონისძიებებზე, იმაზე, რომ დროდადრო რეანიმაცია ჩავუტაროთ მომაკვდავ ქვეყანას, რომ ამ პერიოდში გაძლოს და „ხელში არ შემოგვაკვდეს“... თუ სარეანიმაციო საშუალებებს უარყოფთ, ქვეყანას მაქსიმუმ ორი თვე დარჩა, რომლის შემდეგაც შეიძლება კატასტროფა მოხდეს.

— რას გულისხმობთ?

— სამთავრობო წრეები დაუსაბუთებელი შემოსავლების კანონპროექტის მიღე-

ბას შესაძლო სამოქალაქო დაპირისპირებას უკავშირებენ. ეს ხომ აბსურდია: რამდენიმე კორუმპირებული მინისტრისა და მათი „ოჯახების“ განაწყენება სამოქალაქო დაპირისპირებად როგორ უნდა გადაიქცეს?! პირიქით — თუ არ მივიღებთ ამ კანონს, არ შეიქმნება მსაჯულთა ინსტიტუტი და დამოუკიდებელი პროკურორის პოსტი, წარმოიქმნება ვაკუუმი, რომელმაც უმართავი პროცესები შეიძლება გამოიწვიოს.

— თქვენ „ხავერდოვანი რევილუცია“ გსურთ თუ პრეზიდენტის დახმარებასა და მისი მმართველობის გახანგრძლივებას ცდილობთ?

— ჩვენ ვცდილობთ, რომ „არახავერდოვანი“ გზით არ მოხდეს მკვეთრი ცვლილებები. სჯობს, პრეზიდენტმა დაასრულოს თავისი ვადა, ვიდრე აღარც ეს პრეზიდენტი გვყავდეს და აღარც ქვეყანა. უმართავი სიტუაციით შეიძლება ისარგებლოს იმან, ვინც ყოველთვის სარგებლობდა ამით — ე.ი. რუსეთმა, და მუხროვანის ტიპის ოპერაციით დაასრულოს ყველაფერი...

— სხვა გამოსავალი თუ არსებობს?

— არის კიდევ ერთი ისეთი გამოსავალი, რომელიც ასევე პრეზიდენტის ძალაუფლებას უქმნის საფრთხეს: ეს არის მისი „ოჯახი“. ამ შემთხვევაში, მხედველობაში მყავს მთელი მისი საახლობლო წრე, მინისტრები და ის ხალხი,

რომელიც მის ძალაუფლებას ემსახურება. დღეს მათი მთავარი მიზანი, პარლამენტის თავმჯდომარის პოსტის დაუფლებაა. როგორც კი ამას მიაღწევენ, შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, რადგან მათ იციან, რომ ახლა „პრეზიდენტი დემტოს ესაუბრება“, ხოლო ერთ მშვენიერ დღეს, დემტომა მას კახა თარგამაძის მოშორება შეიძლება შესთავაზოს. მაგრამ თუ პარლამენტის თავმჯდომარე „ოჯახის“ კაცი იქნება, მაშინ პირიქით – პრეზიდენტს გაუშვებენ „გრძელვადიან შვებულებაში“, ვთქვათ – ლიკანში, რაც იგივე იქნება, რაც გორბაჩოვისთვის ფოროსი იყო...

— პარლამენტის თავმჯდომარეობას უკვე ლიად უწინასწარმეტყველებენ ვაჟა ლორთქიფანიძეს. არადა, მას ჯერ არჩევნებიც არ მოუგია. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?

— რა თქმა უნდა, ფსევდოპოპოლიცია ამ მიზანს არ მალავს: მათ სურთ ვაჟა ლორთქიფანიძისა და ირინა სარიშვილის გაყვანა პარლამენტში, სადაც შეიქმნება ორი ფრაქცია და, რომელიც შეძლებს, ის გაიყვანს თავის ლიდერს თავმჯდომარედ. ვაჟა ლორთქიფანიძეს ამის დიდი შანსი აქვს, რადგან ისეთ რეგიონში იყრის კენჭს, სადაც ბერეჟოვსკი-პატარაკაციშვილის ფული გადამწყვეტი იქნება. რაც შეეხება ირინა სარიშვილს, პრეზიდენტის დღევანდელ აშკარა ფავორიტს და უპრინციპო ადამიანს, მას ვაკის რაიონში გამარჯვების შანსი არა აქვს.

— საზოგადოებაში ხელისუფლების შეცვლის ე.წ. რუსულ ვარიანტზე — ელცინ-პუტინის მოდელზეც საუბრობენ...

— ეს გზა უფრო ჰუმანური იყო: როდესაც „ოჯახმა“ დაინახა, რომ მათ „ბაბუს“ აღარ შეუძლია ქვეყნის მართვა, მან ის ახალგაზრდა ფავორიტით შეცვალა. ჩვენი „ბაბუს ოჯახი“ კი უღმობელია — მას შინაკონფლიქტები ჭამს და მოხუცებულსაც აწვალებს. თუმცა, არც შევარდნაძეა ელცინი, რომ ნებით წავიდეს ხელისუფლებიდან.

— კახა თარგამაძეს თუ აქვს შანსი?

— მის გაპრეზიდენტებაზე, შინაურ წრეებში, როგორც უკვე მომხდარ ფაქტზე, ისე ლაპარაკობენ. არც თვითონ ამბობს ასეთ ამბიციურ უარს: ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებსო... ამავე დროს, მისი ფირმა — „ომეგა“, რომლის ნომინალური ხელმძღვანელი ზაზა ოქუაშვილია, კარგად გამართულ წინასწარჩვენო კონგლომერატს ქმნის



ჟურნალების, გაზეთების, ტელევიზიის, გაერო-ცენტრების სისტემის შექმნის გზით. უკვე ნათელია, რომ ის სერიოზულად ემზადება საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქვეყანაში პოლიცია ერთადერთი ძალოვანი სტრუქტურაა, რომელიც სიტუაციას აკონტროლებს. კახა თარგამაძეს მუდმივად აქვს მოლაპარაკებები რუსეთთან და შეიძლება ეცადოს, არჩევნებს არ დაელოდოს...

— ფვანია-სააკაშვილის გუნდი არ ემზადება საპრეზიდენტო არჩევნებისთვის?

— საზოგადოებას ლიდერი სჭირდება. ფვანიას შანსი ნულის ტოლია — უმძაბლესი რეიტინგი აქვს, აი, სააკაშვილი კი უკვე გამოიკვეთა, როგორც ლიდერი. ამიტომ, ფვანიამ შეიძლება კულუარული პროცესები მართოს. ახლა, როდესაც მან შევარდნაძისეულ ბალანსირების თამაშებს მიჰყო ხელი, გამუდმებით წაგებაშია: ეს მისი თამაში არ არის — შევარდნაძისეულია. რაც შეეხება სააკაშვილს, მას ბევრ საკითხში ვეთანხმები.

— მერე, ცოტანი არ ხართ?

— სწორედ ეს გვითხრა შევარდნაძემ, ჩვენ კი დავუმტკიცებთ, რომ ცოტანი ისინი არიან.

— ევა ბერიძის ახალ გადაცემაში, უმცირესობაში არ აღმოჩნდით?

— გადაცემაზე მომუშავე ჯგუფმა ძალიან დიდი და მძიმე სამუშაო ჩაატარა რადგან, დღეს წარმოუდგენელია, 80 კაცი შეაგროვო და მათ შორის მხოლოდ ორი აკრიტიკებდეს პრეზიდენტს: ჩვენ ვიცით, რომ „პირველი არხი“ აბსოლუტური კონტროლის ქვეშაა და პრეზიდენტის მეუღლის სატელეფონო ზარებზეა დამოკიდებული... ჩემი სიტყვა მთლიანად ამოჭრეს, მაია ნადირაძის — ნაწილობრივ, ასე ჩამოყალიბდა გადაცემაში უარყოფითი აზრი დაუსაბუთებელი ქონების კანონპროექტის მიმართ. გადაცემას ჰქვია „რას ფიქრობს ხალხი“, რაც აშკარა ცინიზმია...

— განა მასმედიის სხვა ორგანოები თავისუფალნი არიან?

— იყო დრო, როდესაც მასმედია სხვადასხვა პოლიტიკურ და ფინანსურ კლანს შორის მიმოწერის საშუალებად გადაიქცა. დღეს სიტუაცია შეიცვალა, ტირაჟებიც გაიზარდა. ხელისუფლების უნიათობა ზრდის საზოგადოების აქტიუობას მის წინააღმდეგ და ინფორმაციის საჭიროებაც იზრდება. ახლა თავისუფლების ხარისხი გაცილებით მაღალია, ვიდრე

სამი თვის წინ. დასავლეთიც კარგად არის ინფორმირებული იმაში, რომ შევარდნაძისეული დემოკრატია მხოლოდ იმიჯია, მაგრამ მათ სურთ გაარკვიონ, რა ძალას შეიძლება დაეყრდნონ. ამიტომ, შეუძლებელია მოქალაქეთა კავშირის ამ სახით არსებობა. არ შეიძლება დაუსრულებლად აცხადო — „მე კარგი ვარ, ის ცუდია, მაგრამ ჩვენ ერთად ვარ“.

— გჯერათ, რომ თქვენი მუშაობა რაიმე შედეგს მოიტანს?

— რა თქმა უნდა, მე არ ვმუშაობ ამ ხელისუფლებისთვის — ვმუშაობ საზოგადოებისთვის. მოვა არჩევნები და ხალხმაც სწორი არჩევანი უნდა გააკეთოს.

— თქვენ ხომ არ აპირებთ მომავალ არჩევნებში მონაწილეობას?

— არ ვიცი. მეც თარგამაძე ვარ და კახას დავესესხები: „მომავლის საქმეა“...

— თქვენც პრეზიდენტობაზე ხომ არ ფიქრობთ?

— არა მგონია. ნეტავი, ნორმალური პიროვნება გამოჩნდეს, პრეზიდენტის პოსტზე ასარჩევად... ავღებოლი და წავილოდი ზღვაზე სამი თვით.

— მერე?

— მერე დავიწყებდი სტატიების წერას ახალ პრეზიდენტზე: ძალიან მიყვარს ჟურნალისტობა და თავისუფლება..

ყურადღება!

თბილისელთაში

თუ სურვილი გაქვთ მიიღოთ ესა თუ ის გაზეთი ან ჟურნალი (ქართული, რუსული ან უცხოური) გამოსვლისთანავე, დილით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილზე (ბინაში, სამსახურში), შეავსეთ ეს ქვითარი და გამოგზავნეთ „კვირის პალიტროს“ საფოსტო ყუთების საშუალებით, ან დარეკეთ 33-26-73

მსურს გამომწერო

კვირის პალიტრა

გზა

სიტყვა და საქმე

სხვა გაზეთი ან ჟურნალი

თქვენთვის სასურველი გამოცემა აღნიშნეთ ასე

თქვენი მისამართი, ტელეფონი

სახელი, გვარი

30 სექტემბრამდე „კვირის პალიტროსა“ და „გზის“ ერთდროულად 1 წლით გამომწერისას თქვენ მიიღებთ სანუშპარს რედაქციისგან.

იყო დრო, როდესაც ინგა ფერაძის სახლში მუდმივად ირეოდა უამრავი სტუმარი და მხიარული მასპინძელი ყოველ მათგანს უნაწილებდა თავის სიბოხსა და ყურადღებას.

დღეს, საქართველოს სახალხო არტისტს, პოპულარულ მომღერალს ერთ ავარიულ სახლში, ორი ციციქა ოთახი აქვს გირაოდ აღებული... მაგრამ ინგა არც გაჭირვებას ებუება და არც ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პრობლემებს. თავის პირმშოს — 15 წლის ანას მკაცრად ზრდის და ამავდროს, ცდილობს, შეილსა და მის მეგობრებს შინ ისეთი გარემო შეუქმნას, რომ ბავშვებმა თავი ლაღად იგრძნონ. ისინი ხშირად იკრიბებიან მასთან, უსმენენ მუსიკას, უკრავენ და მღერიან. ინგა კი მათი მასწავლებელი და გულის მესაიდუმლეა. ამიტომ, სოლოლაკში, ერთი კომუნალური სახლის ღია აივანზე, საღამოობით ხშირად ისმის მუსიკა და გოგონების მხიარული ყრიაბული.



ინგა ფერაძე და იანოშ რეძნაში ქორწილის დღეს

ინგა ლეონიძე

15 წლის კაცი და ვჭერი და ვხემა, მათ შორის — საქართველოს ჩამპიონი კრივში...

მაპო ბაგლაძე

— ინგა, ბავშვები არ გლიან?
— თუ დავიღლები, ვეტყვი კიდევ, მაგრამ როგორ შეიძლება მეგობრების წრეში დაილალო?! ჩვენ კი ნამდვილი მეგობრები ვართ.
— ანა?
— ანა ჩემი ყველაზე ახლობელი მეგობარია. ვიცი, რომ დედას თავისი საქციელით გულს არასოდეს ატყენს... ძალიან ზრუნავს ჩემზე. ძალიან ნიჭიერია, კარგად ხატავს, უყვარს ცეკვა და სიმღერა. დამჯერი და ჩემია, მაგრამ ზოგჯერ ისე გაერთობა მეგობრებთან თამაშით, რომ დროს ვეღარ საზღვრავს. თუმცა მის ასაკში ეს ჩვეულებრივი ამბავია. მაინც მეშინია: ისეთი მძიმე და არეული დროა, რომ არ მინდა, რაღაც ფაქტალური ზეგავლენის მსხვერპლი გახდეს. ამიტომ ვაკონტროლებ მის ყველა ნაბიჯს და არა იმიტომ, რომ მისი არ მჯერა... ალბათ მოვასწავრებ საზღვარგარეთ წასვლას, რათა ანუკიმ იქ გააგრძელოს სწავლა.
— საით აპირებთ?
— ვნახოთ, ვერ არ გადამიწყვეტია. საერთოდ, მინდა აქედან წასვლა — სამუდამოდ. არ მინდა, ამ სამსწავლესში ვიცხოვრო, არ მინდა, ჩემი შვილი აქ იზრდებოდეს — ამ

„მკვლარ“ სახელმწიფოში, ამ „მარაზში“: ქალაქი ქალაქს აღარ ჰგავს, ერთი თოლიანი ბაზრობაა, სადაც უახროდ დაბორილობენ ბოროტი ზომები. ვიცი, ყველა დედა ნერვიულობს, როდესაც ბავშვი ქუჩაში გადის, სკოლიდან მოვლას წუთს რომ გადააცილებს, უკვე ტელეფონზე რეკვა იწყება... რატომ? აბა, ეს ნორმალურია? გასსოვთ, ალბათ, ის გოგონა, ცირკთან რომ დგას და მეძვობით ირჩენს თავს. ნუთუ არც ერთი ქალაქელის გული არ შეტოვდა ამ სიუჟეტის ნახვის დროს?! ცოტა საშუალება რომ მქონდეს, იმ გოგონას შინ წამოვიყვანდი, სულაც გადავმალავდი და წესიერად გავზრდიდი. მას და მისნაირებს კი, უკეთეს შემთხვევაში, „პრიუტში“ უკრავენ თავს, საიდანაც გზა ხშირად ციხემდე მიდის. არადა, რამდენი მდიდარი ოჯახია, რომელსაც საშუალება აქვს, ასეთი ბავშვები შეიფაროს და აღზარდოს, მაგრამ ისინი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ, თავიანთ სასახლებსა და „მერსედებს“ ელო-



„18 წლის ციხეში გავხდი“

ლიავენთან...
— ციხეში რომ იჯექით, მაშინ ბევრი ასეთი უპატრონო იჯდა თქვენთან ერთად?
— კი, იყვნენ, მაგრამ უფროსი ასაკის. მაშინ არასრულწლოვან გოგონებს რუსეთში აგზავნიდნენ.
— თქვენ რამდენ წლის იყავით?
— 18 წლის უკვე იქ გავხდი. შეცდომა ყველას მოსდის, მაგრამ ეს ამბავი ჩემი შეცდომა არ იყო: კაფეში ბიჭებმა ერთმანეთი დაჭრეს და მე და ჩემი მეგობრები დავვიჭირეს. ერთმა მოწმემ ფული აიღო და მისი წყალობით, 4 წელი ვიჯექი. არ მინდა ამის გახსენება. ყველამ იცოდა, რომ დამნაშავე არ ვიყავი, მაგრამ მაინც მე გამასამართლეს: საბრალდებო დასკვნაში ეწერა, რომ 6 კაცი დავჭერი და ვცემე, მათ შორის — საქართველოს ჩემპიონი კრივში... მრავალი წლის შემდეგ სადაც წავიკითხე, რომ მაშინ საკავშირო კამანია მიმდინარებდა ე.წ. „ოქროს ახალგაზრდობის“ წინააღმდეგ

და ჩვენი მთავრობა „ცეკას“ ამ ღირეტივას ასრულებდა. მეც და ბევრი სხვაც ამ კამპანიის მსხვერპლი გავხდით.

— შემდეგ როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება?

— შემდეგ ვმღეროდი — აქ, მოსკოვში, ბუდაპეშტში, უნგრელი მეუღლე მყავდა — „ფორმულა-1“-ის მენეჯერი ანონს რენდაში. 1990 წელს ავტოკატასტროფაში დაიღუპა... როდესაც ბუდაპეშტში ვცხოვრობდი და მერე — მოსკოვში, ჩემთან ბევრი ქართველი მომღერალი სტუმრობდა. მაშინ სხვა დრო იყო, სხვა ურთიერთობები... თუნდაც აჩი მეფარიძე — ახლა კარგადაა და ღმერთმა სულ წარმატებით ატაროს, მაგრამ თვეები ისე გავა, ერთხელაც არ დამირეკავს. არც მე დავურეკავ — რატომ უნდა დავურეკო?! ირინა აქ ჩემ გამო ჩამოვიდა, ჩემმა თანამემამულეებმა კი... ყველამ თავის თავში ჩაიხედოს...

— ირინა პონაროვსკაიამ კონცერტის პონორარი თქვენ გადმოგცაო?

— მას ეგონა, რომ 12 ათას დოლარს, რომელსაც ყოველ კონცერტში იღებს, მე გადმომიცემდნენ, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, თურმე ამ ფულით ძლივს გადაფარეს ხარჯი. მეც „დავიჯერე“ — სხვა გზა არა მაქვს, ირინა კი გაგიჟებული იყო: მომიცეს 1.400 დოლარი და ამ ფულიდან მისი მგზავრობის თანხა და დამატებით, კიდევ 350 დოლარი გადამახდევინეს...

— ბინა რატომ გაყიდეთ?

— ბინა დავკარგე. ირინას და ია ნინიძეს ამ კონცერტით ჩემი დახმარება სურდათ. ეს პრობლემა კი ასე გამიჩნდა: მეგონა, ამერიკულ კომპანიაში ვეშობოდი — მე და ჩემმა მეგობრებმა საქმეში ბინები ჩავდეთ. ფირმას „ელელ-ჯი“ ერქვა და მცირე საწარმოებისთვის სესხებს გასცემდა, ამ საქმიდან კი ღივიდნელები უნდა აგველო, მაგრამ მოულოდნელად, მთავარმა მენეჯერმა — ნუგზარ გიორგობიანმა თავი მოიკლა და ჩვენი ფულიც გაქრა. აღმოჩნდა, რომ კომპანია არც ამერიკული იყო და არც რეგისტრირებული. დავრჩი ქუჩაში. რას იხამ — მოვტყუედი და ვაკოტრდი, ასეთია აქ ცხოვრება. შემდეგ, მეგობრების დახმარებით, ეს ბინა დავივირევე.

— ახლა რას აპირებთ?

— არაფერს, რადგან სრულ ვაკუუმში მომაქციეს. თურმე იქით უნდა გადაუხადო ფული, რომ რადიოთი გამოხვიდე ან კონცერტი გამართო. მე კი სპონსორი არ მყავს. რომ იცოდეთ, როგორ მენატრება სცენა, როგორ არანორმალურად მენატრება სცენაზე სიმღერა... პროექტები მაქვს, მაგრამ... მხოლოდ დათო ეგვენიძე დამხირდა დახმარებას და იმდღს არ ვკარგავ.

— კონცერტში ფულს ყველა მომღერალი იხდის?

ბუდაპეშტში, ჩემთან ბევრი ქართველი მომღერალი სტუმრობდა

— კონცერტიდან შემოსულ გარკვეულ თანხას — დარბაზის არენდისა და მომსახურებისთვის ყველა იხდის, მაგრამ არიან გამოინაკლისები, რომლებსაც ძლიერი მფარველები ჰყავთ მთავრობასა და პარლამენტში. ბიძაშვილ-მამიდაშვილობით და ნათესავური კუთვნილებითაა ქართული ესტრადა შექმნილი. ნიჭი ნაკლებად აინტერესებთ. ჩაწერენ ერთხელ მაგნიტოფონზე, თანაც პლუსით (ვოკალთან ერთად. — ავტ.) და ატრიალებენ დაუსრულებლად. ეს მაყურებლის დამცირებლად და შეურაცხყოფად მიმაჩნია.

— მგონი, ახლა ყველა ასე მღერის — ასეა მიღებული...

— „მაგარი“ მომღერლები რომ არიან, იმიტომ. მე ყოველთვის მინუსით (ინსტრუმენტული თანხლების ფონორამა. — ავტ.) ვმღეროდი. ზოგჯერ მართლა საჭიროა ფონორამის გამოყენება, აუცილებელიცაა: როდესაც კონცერტს ტელევიზია იწერს, რადგან ეთერში ხმა არ გადის — ორკესტრი და სხვა ხმაური ფარავს. ეს ცოდვა არ არის, მაგრამ მაყურებლის მოტყუება, პროფესიონალიზმის დაკნინება, ღირსების შელახვაა.

— ტელევიზიასა და რადიოსაც მომღერლები უხდიან?

— არ ვიცი, აქ რა ხდება, წესით — პირიქით უნდა იყოს. რადიოს მეორე არხის გაუზრდელმა რედაქტორმა, როდესაც ჩემი ჩანაწერები მიუტანეს, დამირეკა და მითხრა: „ქალბატონო ინგა, წლებთან ერთად, დაბალი ობერტონები მოგმატებათ...“ გავმრი. ან გაუნათლებელი ტლუა, ან გამიზნულად მომყენა შეურაცხყოფა. შემდეგ ვილაცამ დაწერა — ფერაძე ტირისო. თვითონ იტირონ და იმ რედაქტორმა, რადგან „ბანანების რესპუბლიკაში“ ვცხოვრობთ და ასეთ გაუნათლებელ ხეობებს ნიშნავენ მუსიკალურ რედაქტორებად. მე ყოველთვის დაბალი ხმა მქონდა — კონტრალტო. ვმღეროდი ქალაქურ სიმღერებს, რომელსაც ახლა ბევრი მღერის. ძალიან მიყვარს ჯაზ-როკი, პიპ-პოპი, საერთოდ პოპ-მუსიკა...

— ქართველ მომღერალთაგან ვინ მოგწონთ?



ანა ჩემი ყველაზე ახლობელი მეგობარია

— შეიძლება, ძალიან მომთხოვნი ვარ, მაგრამ უსაზღვროდ მიყვარს სიმღერა და მუსიკა და სიყალბეს ვერავის ვაპატიობ. მიყვარს და მომწონს სოსო პავლიაშვილი, ეკა კვლიაშვილი და ძალიან მიყვარს მია ჯაბუა.

— რატომ გასუქდით?

— ზუსტ მიზეზს ვერ გეტყვით — საფუქვლიან გამოკვლევას დიდი თანხა სჭირდება და ამის საშუალება არ მაქვს. ძალიან ბევრი სანერვიულო მქონდა, განსაკუთრებით — ბოლო წლებში, რამაც ნივთიერებათა ცვლის დარღვევა გამოიწვია. ფატალური გავლენის შემინია-მეთქი, ვითხარით: როდესაც ჩერნობლის აფეთქება მოხდა, კიევში ვიყავი გასტროლებზე. რამდენიმე დღე იქ მოვიწვია დარჩენამ, სანამ ევაკუაცია მოხდებოდა. მას შემდეგ ზურგისა და წელის არეში ტკივილები დამჩქიდა. შემდეგ, 9 აპრილს, გამთენიისას, უნივერსიტეტთან მოვხვდი. ხალხი იქ იკრიბებოდა და მითხრეს — რუსთაველზე და ტელევიზიასთან ადამიანებს ზოცავენო. როგორღაც მოვახერხე ტელევიზიასთან ჩასვლა. ჯარისკაცები არ გვიშვებდნენ, ხელკეტებით ჩამომხვრიეს მანქანის მიწები, მაგრამ მაინც გავძვერი და დარბევის დროს ხალხი გამოვიყვანე. იმ დამეს, სანამ შემქელო და ბენზინი მქონდა, დილამდე გადამყავდა ადამიანები სახლებში. არ ვიცი, რა განი იყო, ან როდის ჩავისუნთქე, მაგრამ მას შემდეგ სუნთქვისა და მასსოვრობის პრობლემები გამიჩნდა. შესაძლოა, ეს იმ დამის სტრესის შედეგაც იყოს — არ ვიცი.

— თავიდან რომ იყოს შესაძლებელი ცხოვრების დაწყება, რას შეცვლიდით?

— ალბათ ბევრ რამეს, მაგრამ ყველაფერი უფლის ნებაა. ბევრი შეცდომა ჩავიდინე, პირველ რიგში — დრო გავაცდინე, ძვირფასი დრო, რომელსაც ვერ დაიბრუნებ. ღმერთმა ამხელა ნიჭი მომცა, ამხელა ტალანტით დამასაჩუქრა და მე ის მაქსიმალურად უნდა გამომეყენებინა. არ უნდა გამეფლანგა დრო, მეორეხარისხოვან რაღაცებს არ უნდა გამოვკიდებოდი. სწორედ ამას ვასწავლი ჩემს ანუკის, რომ უფლისგან ბოძებულ ძვირფას „საჩუქრებს“ მოუფრთხილდეს...

ამ რამდენიმე ხნის წინ ასეთ ფაქტს შევესწარი: დიდუბის ეკლესიაში წირვის დროს ტაძარში ბატონი გურამ სალარაძე შემოვიდა. ხელში სანთლები ეჭირა. ვიდრე ანთებულ სანთელს შანდალში ჩაამაგრებდა, მამა პეტრემ ხელით ანიშნა, რომ უკან დაეხია. ბატონი გურამი გაოცებული დარჩა, მაგრამ ეკლესიის მსახურის უხმო ფესტს მაინც დაემორჩილა. ბოლოს ტაძარი დატოვა და თვალს მიეფარა..



გურამ სალარაძეს

მოძვარი შემოსურა

მარი ჩაჟარიძე

— მამა პეტრე, ეკლესიაში სალოცავად შემოსულ ღვანღმოსოლ მსახიობს სანთლის დაწვების საშუალება არ მიეცით და ანიშნეთ, რომ უკან დაეხია. რატომ?

— ეს ადამიანი სატანაა. მას არავითარი უფლება არა აქვს, რომ ღვთის სახლის ზღურბლს გადმოაბიჯოს. იმისთვის, რომ ეს უფლება მოიპოვოს, უნდა მოვიდეს, ეკლესიის კართან მიწას თავი ახალოს და შენდობა ითხოვოს. ეშმაკისეული როლის განსახიერება იგივეა, რაც სატანად გადაქცევა. მღვდელმსახურებაში ასეთი ტერმინი არსებობს — „მე ვავასხებ (ე.ი. ვასესხებ) ღმერთს ჩემს ხელს“, მან კი ავასხა თავისი სული ეშმაკს და ახლა მთელი გულით უნდა შეინანოს.

— მაგრამ ეს ხომ მისი პროფესიაა?

— პროფესია არ ამართლებს მას. ქრისტიანული სარწმუნოება არ ცნობს მსახიობის პროფესიას, მაგრამ ჩვენ მაინც ვიღებთ შემწეობას და მიუტყვევებთ. მსახიობი ყალბი კაცია. ქრისტიანობა საკუთარ თავში ჩაღრმავებას გვასწავლის. მსახიობი კი გაურბის საკუთარ თავს და სხვად გარდაიქმნება — ითავისებს როლს, რომელსაც თამაშობს. ამიტომ, რაც უფრო კარგად ახერხებს გარდაქმნას, მით უფრო ცნობილი მსახიობი ხდება და რაც უფრო ცნობილია, მით უფრო ცოდვილია...


— მაგრამ გქონდათ თუ არა იმის უფლება, რომ ეკლესიაში

ღვთაშობის სალოცავად შემოსულ ადამიანს ამის საშუალება არ მიეცით? იქნებ, მთელი გულით ცდილობდა ცოდვების მონანიებას?

— მე მისთვის არ მომიჭრია ეკლესიისკენ მომავალი გზა — მხოლოდ ვანიშნე, რომ მისი ადგილი წინ არ არის, ეს მოხდა წირვის დროს. ამ დროს მღვდელი აღტაცებულია, ეიფორიაშია და სულიერ აღმაფრენას განიცდის... ტაძარში მისი შემოსვლისას, შინაგანად ვიგრძენი უარყოფითი აურა. ამას ყველა ვერ მიხვდება, ეს საიდანადაც, შიგნიდან მოდის და ჩემი ეს შესტიც უნებლიედ წამოსული იმპულსის შედეგი იყო. მან კი ალბათ იგრძნო, რომ მისი ადგილი იქ არ იყო და საერთოდ დატოვა ტაძარი.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ცნობილ პიროვნებას შეურაცხყოფა მიაყენეთ?

— მან უფრო მეტი შეურაცხყოფა, ხალხის წინაშე, მიაყენა საკუთარ თავს, რამეთუ განასახიერა სახე ჩვენი მტრის — ეშმაკის. მე მის მიმართ რაიმე პირადი ინტერესი კი არ მაქონდა, პირიქით — მინდა მთელი სერიოზულობით შეიგნოს ცოდვის სიმძიმე და შეინანოს. თქვენ რა გგონიათ, თითოეული ჩვენგანი ცოდვიანია, მათ შორის მეც, მაგრამ აქ უნდა მეპატიოს აქ, ამქვეყნად, რათა იქ განწმენილი წარვლევ უფლის წინაშე... ამრიგად, ის უფლის კართან უნდა მივიდეს და ცხონდეს, მაგრამ ამას ერთი კინკილა მღვდელი ვერ უშველის — საბატარაქოს უნდა მიმართოს. მან ეს ცოდვა საქვეყნო მასშტაბით ჩაიდინა და ასევე საქვეყნოდ უნდა მოხდეს მისი განკანონება.



ბუნებრივია, მომხდარის შესახებ ბატონი გურამის კომენტართაც დაინტერესდი და ქობულეთიდან ახალჩამოსულ მსახიობს შინ ვესტუმრე. თუმცა, თავდაპირველად, მისი შემოქმედებითი ცხოვრების შესახებაც დაგუსვი რამდენიმე კითხვა.

— ახალ სეზონს როგორ ხვდებით?

— სეზონს შექსპირის „მეთორმეტე ღამით“ გავხსნი. სხვათა შორის, ეს ჩემი 51-ე სეზონია. ამასთან, თეატრალურ ინსტიტუტში პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ვწვევი. წელს ლიტერატურული თეატრის გახსნა გვაქვს დაგეგმილი, სადაც ძირითადად, მე-4 კურსის სტუდენტები წარდგებიან მაცურებლის წინაშე. ეს მათთვის პრაქტიკაც იქნება და გამოცდაც.

— ნათქვამია: ახალგაზრდე-

ბი ვერასოდეს დაემსგავსებინა გარდასულ დროთა ახალგაზრდებსო...

— გეტანხმებით, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ თანამედროვე ახალგაზრდები რაიმით ჩამოუვარდებიან წინათაობებს. მიხარია, რომ ძალიან ნიჭიერი და კარგი თაობა გვყავს. მიხარია, რომ სპექტაკლებზე, მაყურებლებში სწორედ ისინი ჭარბობენ. ჩვენ ჩაკეტილ სივრცეში გვიწევდა მოღვაწეობა — საბჭოთა კავშირის იქით იშვიათად გვახედებდნენ. ახლანდელი თაობისთვის გზა გაიხსნა მსოფლიო თეატრალური ხელოვნებისაკენ და ბუნებრივად, ჭორების მორევით გაიხსნა ახალი თეატრები.

— ბატონო გურამ, რამდენიმე წლის წინ თქვენ ითამაშეთ მთავარი როლი პირველ ქართულ სერიალში „სახლი ძველ უბანში“.

— ვითამაშე და ამას დიდი მითქმამოთქმაც მოჰყვა: ჩვენ ხომ ჭორაობა გვიყვარს და, ფაქტობრივად, ჭორების მორევი ვცურავთ...

— რატომ დათანხმდით ამ როლზე? პირობებმა მიგიზიდათ?

— არა, უბრალოდ, ამ სამუშაო დამაინტერესა: ეს იყო პირველი ქართული ტელესერიალი და გადავწყვიტე, შემოთავაზებული როლი მეტამაშა.

— რამდენიმე ხნის წინ, დიდუბის ეკლესიის მოძღვარმა ლოცვის საშუალება არ მოგცათ. მან თავისი საქციელი სწორედ იმით ახსნა, რომ თქვენ სატანისეული როლი განასახიერეთ ამ ფილმში.

— არ ვიცი, მამა პეტრე რატომ მოიქცა ასე. ეს ერთადერთი შემთხვევა იყო — სხვა მამები ყოველთვის პატივისცემით მეპყრობიან ხოლმე... მე მორწმუნე ადამიანი ვარ და არა სატანა, როგორც ზოგიერთი მოძღვარი თვლის. რაც შეეხება როლს, მსახიობის ცხოვრება ასეთია — უარყოფითი როლების თამაშიც გვიხდება. ასეთი სახე ძალზედ საინტერესოა. ეს მე კი არა ვარ — ის არის, ეშმაკისეული, რომელიც უბრალოდ განვასახიერე და მეტი არაფერი. რეჟისორისა და სცენარისტის ჩანაფიქრი სწორედ ასეთია, რომ დაგვანახონ მავნე თვისებები, აღმოფხვრან მავნე ჩვევები და მაყურებელი უარყოფითად განაწყონ მის მიმართ. მე ვკილავედი ამ პიროვნებას, საზოგადოების წინაშე ვასახიერებდი და

ამით, მის წინააღმდეგ ვიბრძოდი.

ფილმზე მუშაობის დაწყებამდე მეც და ჩემი ოჯახის წევრებიც სიონის ეკლესიაში ვიყავით და შენდობა ვთხოვეთ უფალს. იგივე იყო ფილმის დამთავრების შემდეგ და იგივე გრძელდება დღემდე. ხატისა და ეკლესიის წინაშე მოვინანიე და აუცილებელი არ არის, საზოგადოებას საჯაროდ გამოვუცხადო ამის შესახებ. რასაც გულით მოინანიებ, ყოველი მიგეტევება.

— ქორებს თუ დაუჯერებ, იმას ამბობდნენ, თითქოს ფილმის გადაღების შემდეგ თქვენ კოშმარები განუხებდათ, რომელიც სატანისტური სექტის წარმომადგენლებიც დაგიკავშირდნენ და თანამშრომლობა შემოგთავაზეს.

— კოშმარებს ნამდვილად არ შევუწუხებდვარ. სექტის წარმომადგენლები კი მართლა დამიკავშირდნენ, მაგრამ ვერც გამიბედეს რაიმეს შემოთავაზება: მივხვდი თუ არა, რომ რაღაც უცნაური და უცხო ხალხი დამეკონტაქტა, გასაუბრების საშუალებაც არ მივეცი.

— ხელახლა რომ შემოგთავაზონ მსგავსი როლი, თუ დათანხმდებოთ?

— დიას, დავთანხმდები.

— როლების არჩევისას, პრეტენზიული არ ბრძანდებოთ?

— არა, პრეტენზიული არც სამსახურში ვარ და არც შინ. არ მაქვს განსაკუთრებული მოთხოვნები და პრეტენზიები. დიდ მნიშვნელობას არც იმას ვანიჭებ, სადილად რას დამახვედრებენ, თუმცა გემრიელი საჭმელი მიყვარს და თავადაც მეხერხება მომზადება. ოღონდ, თუ რამეს ვაკეთებ, აუცილებლად ყველა კომპონენტი უნდა მქონდეს — ისე არ ღირს სადილთან ჭიდილი, გემრიელი მაინც არ გამოვა.

— ბატონო გურამ, თქვენი ოთახი საცხეა ძველი ნივთებით. ეს თქვენი პობია?

— არა, ეს ჩემი

მეუღლესთან (მარჯვნივ), ქალიშვილთან და შვილიშვილთან ერთად

გარდაცვლილი მეუღლის ჰობი იყო (ბატონი გურამის მეუღლე ტატიანა ბუხბინდერი, რეჟისორი, თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი იყო. — ავტ.). მე მხოლოდ ხელს ვუწყობდი ამ გატაცებაში. თითოეული ნივთი ძალიან ძვირფასია ჩემთვის: ისინი მის სულს მაგონებს და მის ამ სახლში არსებობას ახანგრძლივებს. ცხონებულისგან მზითვად სამი სულიერი არსებაც დამრჩა: ორი ძალღი — კინტო და ბენჟამენი და კატა. მისთვის უსაყვარლესი არსებები იყვნენ და ბოლომდე ჩემთან იქნებიან...

— თქვენი ოცნება მერამდენე ზეცას სწვდება?

— მე სულ მუდამ ოცნებათა სფეროში ვარ — ჩემი პროფესიიდან გამომდინარე. კარგად მოვეხსენებათ ლექსებთან ჩემი დამოკიდებულება. ამიტომ შეუძლებელია, არ ვოცნებობდე. აუხდენელი როლიც მაქვს, მაგრამ ეს ჩემი საიდუმლოა. გამოგიტყდებით, არც პრემიაშია ჩემთვის უცხო, ასე ვთქვათ — მიწიერი ცხოვრების მხარეები. მიყვარს ქეიფი, დროს ტარება, მეგობრები...

— ეი. — „ღვინო, დუდუკი, ქალები“?

— (იცინის) კი, ესეც იყო, მაგრამ ეს უკვე წარსულს ჩაბარდა. თუმცა, ჯერ არც მომავლის იმედი გადამიწურავს ბოლომდე.

— თქვენ მიერ განსახიერებული გმირების ენით თუ გიყვართ ლაპარაკი?

— კი, ხშირად ვიყენებ ფრაზებს ჩემი გმირების „რეპერტუარიდან“, განსაკუთრებით თავადი ყაზბეგის ერთ გამონათქვამს „კავკასიური ცარცის წრიდან“: „მე რასაც ვაკეთებ, ყველაფერს ლაზათიანად ვაკეთებ!“





ალბათ ბევრს ახსოვს ფილმი „მეტიჩარა“ და პატარა ნინო სურგულაძე, რომელიც შემდგომში უკვე ესტრადის მომღერლად მოგვევლინა. შარშანდელ საახალწლო ტელეგადაცემაში აქლერებული „ფოსტალიონის სიმღერა“, ნინო სურგულაძის საესტრადო საქმიანობის ბოლო აკორდად იქცა: ნინომ ამპლუა კიდევ ერთხელ შეიცვალა და „ლა სკალის“ აკადემიას მიაშურა. ამჟამად იტალიიდან ცოტა ხნით ჩამოსული ნინო ჩვენი ჟურნალის სტუმარია.

ნინო სურგულაძემ „ლა სკალაში“ ქვების სრულით, სარქვესხის რქვესხვითა და მუსიკალურრობით გაითქვა სახელი

ელისო გურგენიძე

— ნინო, როგორ მოხვდით იტალიაში?

— თბილისში იტალიის საელჩომ სტუდენტებს შორის კონკურსი ჩაატარა. სხვადასხვა სპეციალობის 30 სტუდენტი კვალიფიკაციის ასამაღლებლად 3 თვით იტალიაში უნდა გამგზავრებულიყო. სანამ ჩემთვის საბოლოო შედეგები გახდებოდა ცნობილი, ესპანეთში — ბარსელონის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსზე გავემგზავრე. თავის დროზე ამ კონკურსის ლაურეატობისთვის მიუღწევით ზურაბ სოტკილაძეს, მაია თომაძეს, ლადო ათანელიშვილს, მოგვიანებით — ეთერ ჭყონიასა და იანო ალიბეგაშვილს. 10 წელი გავიდა, რაც ქართულ მომღერალს ბარსელონაში წარმატება არ მოუპოვებია... კონკურსში 40 ქვეყნიდან ჩასული 250 მომღერალი მონაწილეობდა. ჟიურის წევრებს შორის გამოჩენილი მომღერალი ჯოან საზერლენდი და „ლა სკალის“ სამხატვრო ხელმძღვანელი ლუკა ტარჯეტი იყვნენ. პირველმა ტურმა ჩემთვის ძალიან კარგად ჩაიარა. ჯოან საზერლენდმა ტაშითაც კი გამოხატა თავისი განწყობა ჩემ მიმართ. ასეთი რამ, საერთოდ, არ ხდება — ჟიურის წევრი ფინალამდე არ ავლენს სიმპათია-ანტიპათიას. საბოლოოდ, მეორე ადგილი დავიკავე. ამასთან, 2001 წლის სექტემბერში „ლა სკალაში“ მოსმენის უფლებაც მივიღე. ამას სხვა პრიზებიც დაემატა. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. კვილით გადავხვებოდი იქვე მყოფ ჩემს პედაგოგს — ქალბატონ გულიკო კარიაულს და კონცერტმაისტერ მანანა ჯანგაგაძეს...

— იტალიაში რომელი კონკურსის შედეგის მიხედვით გაემგზავრეთ?

— უკვე თბილისში ჩამოსულმა გავიგე, რომ „ლა სკალაში“ 3 თვიანი სტაჟირების უფლება მოვიპოვე. თებერვალში კონსერვატორიაში სწავლა მეწყებოდა. ნახევარი წელი აღარ დამიცდია და პირდაპირ გავემგზავრე. როცა იტალიაში ლუკა ტარჯეტიმ მნახა, ძალიან გაუკვირდა: მე შენ სექტემბერში გელოდიო, — მითხრა. აღმოჩნდა, რომ თბილისის კონკურსით გათვალისწინებული კვალიფიკაციის ამაღლების კურსი, „ლა სკალაში“ თავისუფალ მსმენელობას გულისხმობდა: არც გაკვეთილებს ჩამიტარებდა ვინმე და არც მომისმენდა. მაგრამ ლუკა დამპირდა, რაღაცას მოვიხერხებო. მესამე დღეს დამიკავშირდა. წლეულს ჯუზეპე ვერდის გარდაცვალებიდან მე-100 წლისთავს აღნიშნავენ, ამ ფაქტთან დაკავშირებით, ვერდის „ფალსტაფს“ დგამდნენ. მოულოდნელად, მეგის პარტია შემომთავაზეს. ასე რომ, ჩემი I კონტრაქტი „ლა სკალაში“ დაიდო. ვერდის მშობლიურ ქალაქ ბუსეტოში ჩამიყვანეს. სპექტაკლში ჩემთან ერთად მღეროდა რობერტო ფრონტალი, რომელიც რამდენიმე წლის წინ პაატა ბურჭულაძეს ჰყავდა ჩამოყვანილი თბილისში. რობერტო ხუმრობდა — რაც იმ 4 დღეში ვკამე და ვსვი, მეონი, მთელი ცხოვრება არ მიჭამიაო. აღფრთოვანებული იყო ქართული სამზარეულოთი. საერთოდაც, ძალიან კარგი წარმოდგენის ბრძანდებო-

ჯოან საზერლენდთან (შუაში) და კონცერტმაისტერ მანანა ჯანგაგაძესთან ერთად

და ჩვენზე და მეც შევეცადე, ეს წარმოდგენა არ გამეფუჭებინა...

— როგორც გავიგე, სამი თვის შემდეგ სწავლის ვადა გიმთავრდებოდათ. ბარსელონის პრიზით კი, სექტემბერში გინეგდათ ჩასვლა. ამ სამთვიან შუალედში რას აკეთებდით?

— ძალიან გამიჭირდა. თუმცა ვესწრებოდი ყველა სპექტაკლს და ამან ბევრი რამ მომცა, როგორც მომღერალს, მაგრამ მინდოდა, ჩემთვის მოესმინათ. ჩასვლიდან 3 თვის შემდეგ გაკვეთილები ჩამიტარა ცნობილმა მომღერალმა ლუჩანა სერამ, რომელიც თავის დროზე ირანის ყოფილი შაჰის ცოლი იყო და ამის გამო ერთი პერიოდი აკრძალული ჰქონდა სიმღერა, დღეს კი მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მომღერალადაა აღიარებული. საროიამ (ასე ეძახდნენ ლუჩანა სერას ირანში) რომ გაიგო, ჩემთვის აკადემიაში ჯერ არ მოესმინათ, გაოცდა: ესენი გიჟები იქნებიან, რომ არ მივიდნენ — დამამიფადა. ბოლოს და ბოლოს, დამირეკეს და მითხრეს, „ლა სკალის“ მუსიკალური ხელმძღვანელი რიკარდო მუტი მოგისმენსო. იმდენი რამ მქონდა გაგონილი



მის შესახებ, საოცარი შიში დამეუფლა: მისალმების დროსაც კი დავიბენი. ბოლოს ვიფიქრე – ამდენი ნერვიულობით ყველაფერს გავაფუჭებ, ჩვენთან რა, მასზე ნაკლები მსმენელია-მეთქი?! წარმოვიდგინე, რომ საქართველოში ვმღეროდი... შუა სიმღერის დროს, დარბაზში მტრედი შემოფრინდა. კარგად მენიშნა და გული მომეცა... მუტი ისე გავიდა დარბაზიდან, ჩემთვის არაფერი უთქვამს. ცოტა ხანში ლუკა ტარჯვჭემი მითხრა – მაესტროს ძალიან მოეწონეთ, მაგრამ კიდევ უნდა თქვენი მოსმენა, ახლა უნდა დაჯდეთ და ერთ კვირაში ლუიჯი ქერუბინის მესა ისწავლოთ. რომ ჩავხედე, ხელში 200 გვერდიანი სანოტო ფურცლების დასტა შემრჩა. ხელმძღვანელის გარეშე, მისი მომზადება შეუძლებელი იყო. პედაგოგი იქ არ მყავდა. ყოველდღე ვუკავშირდებოდი გულიკო კარიაულს ტელეფონით და მეცადინეობა მობილური ტელეფონის მეშვეობით მიმდინარეობდა. რამდენიმე დღის შემდეგ მუტიმ აკადემიაში დარეკა და ღირეკტორმა მაესტროს დანაბარები გადმომცა: „მესასთან“ ერთად, „ღონ კარლოსიდან“ ებოლის პარტიაც უნდა მომეზადებინა. ერთ კვირაში მასალა მზად მქონდა. მაესტროს ჩემთან ერთად რამდენიმე მომღერლისთვის უნდა მოესმინა. ყველაზე საინტერესო ის აღმოჩნდა, რომ პიანისტს ნოტები დარჩენოდა. რა უნდა მექნა – პიანისტს ჩემი ნოტები დავუდე წინ. მეც იმავე ნოტებში ვიყურებოდი და წელში მოხრილი ვმღეროდი. მაესტრო გაცოცხდა: გვერდით იხრებით, ჩემკენ არც ხმა მოდის და არც არაფერი მესმისო. სცენაზე წინ გამოდით, გაიმართეთ და ისე იმღერეთო, – მითხრა. წინ გამოვედი და ებოლის არია შევასრულე. როცა დავამთავრე, რიკარდო მუტიმ მკითხა: კი, მაგრამ, ეს რეპერტუარი რატომ შეარჩიეთ? დავიბენი და ვუპასუხე: ვიცო, რომ თქვენ გაინტერესებდათ ჩემი ამ რეპერტუარში მოსმენა-მეთქი. ყველანი გაისუსნენ და სკანდალისთვის მოემზადნენ (მაესტროს უზომოდ მკაცრი სახელი აქვს აკადემიაში), მაგრამ მას არაფერი უპასუხია და დარბაზიდან გავიდა. ლუკამ მითხრა, აკადემიაში მიღებული ხარ, მაგრამ ივლისში კიდევ უნდა ჩამოხვიდე, რომ ჟიურის სხვა წევრებმაც მოვისმინონო.

— რადგან მაესტროს მოეწონეთ, ჟიურის სხვა წევრების სიმპათიების დამსახურება აღარ გაგიჭირდებოდათ.

— მაესტროს აზრი ბევრს ნიშნავდა, მაგრამ არა ყველაფერს. ივლისში რომ ჩავედი, 350 კაცი დამხვდა, რომელიც ჩემთან ერთად გაივლიდა კონკურსს. უმრავლესობას 30-32 წლის ჩამოყალი-

ბებული მომღერლები წარმოადგენდნენ. საკმაოდ რთული კონკურსი იყო – ღირიჟორის გარეშე მღერი და შენ თვითონ მიგყავს ტემპი. ამ დროს შეიძლება ბევრი სადავო მომენტი წარმოიშვას. ყველა მომღერალსა თურეჟისორს თავისებურად ესმის ესა თუ ის ნაწარმოები, მაგრამ ვიცოდი, ასეთ რამეებზე რომ არ უნდა მეფიქრა და არც მიფიქრია. სამტურიანი კონკურსის შემდეგ „ლა სკალას“ აკადემიაში 10 სტაჟირი მომღერალი მიგვიღეს, აქედან – 3 უცხოელი. სწავლების პერიოდში ყოველთვიურად 1.000 დოლარს მივიღებ სტიპენდიის სახით. პარალელურად, მაძღვეენ მეორეხარისხოვან როლებს „ლა სკალაში“. ამ აკადემიის დიპლომის შემდეგ ყველა თეატრში გზა ხსნილი გაქვს.

— იტალიაში საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდით?

— დიახ. საერთო საცხოვრებელი ყოფილი სოციალისტური ბანაკის მოქალაქეთათვის გაცილებით იაფია, დასავლეთ ევროპიდან ჩამოსულებს ჩვენზე მეტს ახდევინებენ. იმჟამად ჩემი სტიპენდია 600 დოლარს შეადგენდა და ჩემთვის ყოველწლიურ შეღავათს მნიშვნელობა ჰქონდა. თავიდან მითხრეს, რომ ცალკე ოთახი მექნებოდა, მაგრამ დიასახლისმა გამაფრთხილა – ერთ გოგონასთან ერთად იცხოვრებო. ეს გოგო კვირაში ერთ ღამეს ათევედა საცხოვრებელში – ღამის ცვლაში მუშაობდა, ასე რომ, დღისით მისი გაცნობა ვერ მოვახერხე. ჰოდა, ერთხელ ღამით ვიღვიძებ და ვხედავ, რომ ჩემს ოთახში დგას 2 მეტრიანი ზანგი, დაწნული თმით. გაცოცხდის და შიშისგან კინადამ შევყვირე, ისიც გაფართოებული თვალებით მიყურებდა...

— სხვა კურორტში სომ არ გადაგხდენიათ იტალიაში ყოფნისას?

— კურორტები იტალიაში ჩასვლის დღიდან დამეწყო. ალბათ იცით, რომ იტალიაში ნინო კაცის სახელია და ყველას უკვირდა, ნინო როგორ მერქვა. ამ პრობლემის მოგვარება არც ისე ძნელი იყო: ჩემი სახელის დაბოლოება – „ო“ „ა“-თი შეეცვალე...

ერთ დღეს „ლა სკალაში“ გვიანობამდე შევყოვნდი და საერთო საცხოვრებელ-



„ლა სკალას“ დარბაზში

ში დაბრუნებულს კარი დაკეტილი დამხვდა. ახალი ჩასული ვიყავი და არ ვიცოდი, რომ შაბათ-კვირას კარს ადრე კეტავდნენ. ვაკაკუნებ, მაგრამ დარაჯს დაუძინია და ვერაფერი გავაგებინე, კაკუნთან ბრაზუნზე გადავედი, მაგრამ ამაოდ. მეზობელ ქუჩაზე მსუბუქი ყოფაქცევის ქალები იდგნენ – უფრო ზუსტად, ქალებად „გადაკეთებულ“ კაცები – ტრანსსექსუალები. როგორია ამ სიტუაციაში შუადამისას გარეთ დგომა?! მეტი ვერაფერი მოვიფიქრე და სხვადასხვა ფანჯარაში ქვების სროლა დავიწყე – ვიფიქრე, ვინმეს მაინც გაეღვიძება და, ბოლოს და ბოლოს, კარს გამიღებენ-მეთქი. მგონი ყველა გავაღვიძე – დარაჯის გარდა. კარი კი გამიღეს, მაგრამ მეორე დღეს მთელი საერთო საცხოვრებელი მცნობდა – ეს ის გოგო არ არის, გუშინ ფანჯრებში ქვებს რომ გვესროდაო?! კიდევ ერთი კურიოზი შემემთხვა. საერთოდ, სარეცხს დედა მირეცხავს ხოლმე. იტალიაში კი, სხვა რა გზა მქონდა – ამაზე მე თვითონ უნდა მეზრუნა. საერთო საცხოვრებელში დიდი სარეცხი მანქანა გვექონდა: ჩააგდებ ჟურნონს და რეცხე, რამდენიც გინდა. ეტყობა, რაღაც სწორად ვერ დავაყენე: გარეცხვის ნაცვლად, ყველაფერი მოიხარშა. სხვა ტანსაცმელთან ერთად, მანქანაში ბეწვიანი ჟაკეტიც მქონდა ჩადებული. ჩაიხვია მანქანამ და წყალმა დაიწყო გადმოღვრა. სასწრაფოდ მოვეწმინდე იატაკი და ბეწვში გახვეული ტანსაცმელი ამოვიღე. შემერცხვა საშრობში ასეთი სარეცხის გაფენა და ოთახში 3 დღე ვაშრობდი და ბეწვებს ვაცლიდი. იმ დღეებში თუ ვინმემ სარეცხი დარეცხა, ყველას ბეწვიანი ტანსაცმელი ამოჰქონდა მანქანიდან. მერე მანქანაც მოიშალა და ბოლოს, სულ გაფუჭდა...

— იტალიელებს როგორ

შენწყვეთ?

– ყველას ვერ შეეწყობი, მაგრამ „ლა სკალაში“ ყველასთან კარგი ურთიერთობა მქონდა. აკადემიაში მყოფმა ქართველმა პიანისტმა მზია ბახტურიძემ ერთ-ერთ ჩვენს საერთო ნაცნობს დაურეკა თბილისში და უთხრა: ნინო სურგულაძე ისე გრძნობს თავს „ლა სკალაში“, როგორც თბილისის კონსერვატორიაში... იტალიაში საკმაოდ იგრძნობა სოციალური სხვაობა: მაგალითად, „ლა სკალის“ სასადილოში პედაგოგები, სტუდენტები და სცენის მუშები ცალ-ცალკე უსხედან მაგიდებს, პროფესორი მუშას არ დაელაპარაკება და ა.შ. ჩემზე ეს წესები არ ვრცელდებოდა – პროფესორებთან და სასადილოს პერსონალთან, ერთნაირად კარგი ურთიერთობა მქონდა და ეს სასიკეთოდაც მიბრუნდებოდა: სასადილოში სხვებზე მეტ ულუფას მძღვედნენ და ხანდახან ხილში ფულს სულაც არ მახდევინებდნენ. მოსამსახურე ქალი თვალს ჩამიკრავდა და მანიშნებდა – შენთვის უფასოა...

– იტალიური საჭმელები როგორ მოგწონდათ?

– ძალიან მომწონდა – არ მეტყობა? (ნინო ძალიან განიცდის – წონაში მოვიმატეო, მაგრამ სიმართლე რომ თქვა, საგანგაშო ვერაფერი შევნიშნე, – ავტ.). ვინ თქვა, ქართველები ბევრს ჭამენო?! ყოველ შემთხვევაში, არც იტალიელები იკვებებიან უარესად. ჯერ მიირთმევენ პირველს, ეს არის მაკარონი ტომატით და ბარმეჯანოთი – ყველით, რომელსაც 2 წელი ამზადებენ და ინახავენ, შემდეგ ფშვნიან წვრილად და ძალიან მცირე რაოდენობით აყრიან მაკარონს. ამას მოჰყვება მეორე: მოცარელა – სულგუნის მაგვარი ყველი, რომელსაც პომიდვრით აზავენ. მოცარელა შეიძლება ღორის ან ცხვრის ხორციით შეცვალონ. შემდეგ სალათს მიირთმევენ. მგონი, ამ სალათში ყველაფერია არეული, რაც კი დედამიწაზე არსებობს. სადილსა და ვახშამს ევზოტიკური ხილით ავირგვინებენ ხოლმე... წარმოიდგინეთ, რომ დღეში ორჯერ დაახლოებით ასე ვიკვებებოდი. იტალიელებს ჭამისთვის ზუსტად დადგენილი საათებიც აქვთ: მიუღი მილანი შუადღეზე – 2-3 საათზე, საღამოს კი – 7-დან 9 საათამდე იკვებება. სხვა დროს ქალაქში ყველა კაფერესტორანი დაკეტულია და ძალიანაც რომ მოგშივდეს, ვერაფერს შეჭამ.

– თქვენ პოპულარული საესტრადო მომღერალი იყავით. რატომ დაანებეთ თავი ესტრადას?

– როცა „ფოსტალიონის სიმღერა“ გამოვიდა, ესტრადისთვის პრაქტიკულად, უკვე დანებებული მქონდა თავი. მაგრამ

საახალწლო გადაცემაში გამოსვლა რომ შემომთავაზეს, დავთანხმდი. სიმღერაც ძალიან მომწონდა, მაგრამ, როგორც ვთქვი, არჩევანი უკვე გაკეთებული მქონდა: ოთხი წელი ვემზადებოდი კლასიკური მუსიკისათვის, ამის გამო ბევრ რამეზე უარიც ვუთხარი საკუთარ თავს. არ დავიმაღავთ, ძალიან ძნელია, უარი თქვა პოპულარობაზე. ესტრადას თავისი ხიბლი აქვს, მეც უკვე პოპულარული მომღერალი ვიყავი, მაგრამ ჩვენს ესტრადაში სერიოზული სიტყვის თქმა ძალიან ძნელია. მისი დონე ძალიან დაბალია, უფრო მეტიც – საერთოდ არ არსებობს. რაღაც დონე ზომ უნდა იყოს, რის მაღლა ან დაბლაც აღმოჩნდები... არადა, სანამ მატერიალური პრობლემები არ მოგვარდება და მოსახლეობისთვის ბილეთის საყიდელი ფული პრობლემა იქნება, მაღალმატერიებზე საუბარიც ზედმეტია.

– ეი. ესტრადას საბოლოოდ დაემშვიდობეთ?

– ასეა, მაგრამ ნათქვამია – არასოდეს თქვა „არასოდეს“. შეიძლება, რაიმე სიმღერა მომეწონოს და ჩავწერო. მაგრამ კონცერტებს ვერ გავმართავ. არჩევანს რომ გააკეთებ, შუა გზაზე არ უნდა გაჩერდები.

– ნინო, საკმაოდ ბევრ ჟანრში სცადეთ ბედი: კინო, ესტრადა, ოპერა. საკუთარ თავს ეძებთ?

– ჩემი შემოქმედება ხელოვნების აკადემიიდან დაიწყო. I სატელევიზიო ფილმი, სადაც მონაწილეობა მივიღე, „ბუპი – გრძელიწინა“ იყო. მას მოჰყვა „მეტიჩარა“. როცა პირველად დავდექი არჩევანის წინაშე – თეატრალური ინსტიტუტი თუ კონსერვატორია, – ვიფიქრე, თეატრალურმა, რაც ვიცი, იმაზე მეტი რა უნდა მომცეს-მეთქი?! – და კონსერვატორიაში ჩავაბარე. სწორედაც მოვიქეცი: დღეს საქართველოში კინო თითქმის აღარ არსებობს. ხალხს ფული არა აქვს, კინოში რომ იაროს. 10 წლის წინ ლანა ლოლობერიძემ, კერძო ფირმის დაკვეთით, „ვალსი პენორაზე“ გადაიღო. ეს ფილმი საზღვარგარეთის 40 ქვეყანაში შეიძინა. მაგრამ საქართველოს მოსახლეობის 2%-ს თუ ექნება ნანახი.

– შვეიცარიულმა ფირმამ საათებისთვის რეკლამაში გადაღება ამ ფილმის შემდეგ შემოგთავაზათ?

– დიახ, მე და ლანა

ლოლობერიძე შენევაში მიგვიწვიეს კინოფესტივალზე, რომელსაც „ევროპული კინოს იმედები“ ერქვა. ამ ფორუმის დასურვა ევროარხითა და TV-5-ით გადაიდა. „ევროპული კინოს იმედის“ პრინციპი დამავილდოეს, მივიღე ფესტივალის მთავარი სპონსორის – ჟან ლასალის მიერ დაწესებული ფულადი ჯილდოც. ლასალი სახელობითი საათების ფირმის პრეზიდენტია. პრინციპი ერთად, მან სახელობითი საათების რეკლამირება შემომთავაზა და კოტრაქტიც გამიფორმა. შენევაში ძალიან ვიწრო წრისთვის – ძირითადად, ფესტივალის მონაწილეთათვის, კონცერტი გავმართე. მაგრამ ამან მსახიობებს შორის კეთილგანწყობაზე მეტად გაღიზიანება გამოიწვია. როგორც მითხრეს, „ზედმეტი მომივიდა“: ევროპაში უზომო არაფერი უყვართ... თუმცა, პრესაში ძალიან კარგი წერილები დაიბეჭდა. შემდეგ თბილისში, მოწვევაც გამომიგზავნეს – კლიპებში გადაღებას მთავაზობდნენ. მაგრამ წერილი 40 დღის დაგვიანებით მივიღე.

– ნინო, გათხოვილი ბრძანდებით?

– 19 წლის ასაკში გავთხოვი. საერთო მეგობარმა გაგვაცნო ერთმანეთი. მე და გიორგიც თავიდან მეგობრები ვიყავით. ვერც კი მივხვდი, როგორ შეიცვალა ჩვენი ურთიერთობა და... როგორ გავთხოვი.

– იტალიაში მეუღლე არ გენატრებოდათ?

– როგორ არ მენატრებოდა?! თითქმის ყოველდღე ველაპარაკებოდი ტელეფონით.

– არ ეჭვიანობდა?

– ვენდობით ერთმანეთს.

– ალბათ იტალიელი თაყვანისმცემლებიც გეყოლებოდათ?

– როგორ არა?! – ბევრს მოვწონდი, მაგრამ როცა იგებდნენ, გათხოვილი რომ ვიყავი, უკან იხევდნენ...



მეზი ტანავა

ადვილი მოსალოდნელია, რომ ცოტა ხანში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მსხვილ მწარმოებელ ფირმაში – „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიაში“ სერიოზული სკანდალი ატყდეს. ასეთი პროგნოზის საბაზი ამ დღეებში საოლქო სასამართლოში გამართულმა ხმაურიანმა პროცესმა მოგვცა. სხდომაზე განუწყვეტლივ გაისმოდა ჩვენი ყურისთვის უკვე ჩვეული სიტყვები: უკანონობა, დარღვევა, გაყალბება, მიტაცება, მისაკუთრება და ა.შ. ყველა ეს ბრალდება სწორედ ზემოთ ხსენებული ფირმის მისამართით ჟღერდა.

უკვე წელიწადზე მეტია, რაც შპს – „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ – ხელმძღვანელობას მისივე ყოფილი თანამშრომელი – ფირმის ყოფილი მთავარი ტექნოლოგი ნანული ყიფიანი უჩივის. იგი საზოგადოებას თავისი კუთვნილი წილის და თავისთავად, ამ წილის შესაბამისი თანხის უკანონოდ მიტაცებაში სდებს ბრალს.

ყველაფერი კი თურმე ასე დაიწყო: 1992 წლის 18 დეკემბერს სახელმწიფო საწარმო „თბილხილწყლებში“ ხელმძღვანელობამ საგანგებო კრება გამართა, სადაც საწარმოს ყველა თანამშრომელი მიიწვია. სწორედ ამ კრებაზე გადაწყდა, რომ „თბილხილწყლები“ იმ დღიდან სამეწარმეო-სავაჭრო ფირმად – შპს „კავკასიონად“ უნდა გარდაქმნილიყო. სათანადო ოქმებისა და საბუთების გაფორმების შემდეგ საწარმოს უკვე შპს „კავკასიონი“ დაერქვა, მისი სახელით კი სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია მოხდა.

აღნიშნული პრივატიზაციის შედეგად სახელმწიფო ქონება მთლიანად შრომითი კოლექტივის წევრებმა – 259-მა თანამშრომელმა შეისყიდა. მათ შორის განხლდათ ნანული ყიფიანიც, რომლის წილმა 0,9411% (შემდგომში, ახალი საწეს-



მეზი „კოკა-კოლა“ სკანდალი უჩივლენ

შპს-ს წინადასახელები ახალ

დებო კაპიტალის შესაბამისად – 1,0556%) შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მთელი გამოსყიდული ქონება, ე.ი. საწესდებო კაპიტალი, 19 მილიონ რუსულ რუბლზე მეტს უდრიდა. წესდების მიხედვით, „კავკასიონის“ საკუთრებას (მთავარი ორგანიზაციის გარდა), გარდაბნის ლიმონათის ქარხანა, ადიგენის საწარმო „ქეაბლიანი“, „გურია-91“, „თბილისური წყლები“, „კავკასიონი“ – ბაგებში, „კავკასია-1“ – მუხიანში, „გულშემატკივარი“ და მაღაზია „ნორიო“ წარმოადგენდა.

ამ პერიოდიდან მოყოლებული, შპს „კავკასიონის“ თანამშრომელ-აქციონერებს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდათ, თითქოს მათ წილებსა და საწესდებო კაპიტალთან დაკავშირებით ყველაფერი რიგზე იყო, არანაირი პრობლემა ან გაურკვეველობა არ წარმოქმნილა და ხელმძღვანელობას კრების მოწვევა ერთხელაც არ დასჭირვებია. 1996 წელს შპს-მ სახელი შეიცვალა და იგი „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიად“ დარეგისტრირდა. სათანადო წესდება და მასზე თანდართული წილობრივი განაწ-

ილების ფონდი საზოგადოების ხელმძღვანელობას ყოველი მოწილე თანამშრომლისთვის უნდა წარედგინა, რადგან თითოეულისაგან აუცილებელი ხელმოწერა იყო საჭირო. როგორც ნანული ყიფიანი აცხადებს, მისთვის საბუთები არავის უჩვენებია, არც ხელმოწერა უთხოვია მისგან ვინმეს. თუმცა, დიდუბის რაიონის სასამართლოში შპს-ის „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“-დ დარეგისტრირების დროს ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილ საბუთებზე ყიფიანის ხელმოწერები ყველგან დაფიქსირებულია. სულ ცოტა ხნის წინ, ექსპერტიზის კატეგორიული დასკვნით, ცნობილი გახდა, რომ ეს ხელმოწერები ყალბია და ისინი ნანული ყიფიანს არ ეკუთვნის.

იმავე, 1996 წელს შპს-ის ხელმძღვანელობა ნანული ყიფიანს სამსახურიდან ათავისუფლებს. მიზეზად, ფირმის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით საჭირო შტატების შემცირებას ასახელებენ. შეამცირეს, თუმცა დადგენილია, რომ ცოტა ხნის შემდეგ იგივე შტატი ისევ აღდგა.





ნანული ყიფიანი, მოსარჩელე: „სხვათა შორის, მე თემურ ჭყონიასთან („კოკა-კოლას“ გენდირექტორი) ადრე ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა, ყოველთვის ვამბობდი – ძალიან ნიჭიერი და მოხერხებული ბიზნესმენია-მეთქი. უთანხმოება ჩვენ შორის მერე წარმოიშვა. მე ამ ფირმაში მთავარ ტექნოლოგად ვმუშაობდი, ხშირად გვილაპარაკია შპს-ის განვითარებაზე, იმის შესახებაც მითქვამს ჭყონიასთვის, რომ „კოკა-კოლა“ ძირითადად, ქიმიას და ვერასოდეს შეედრება ლალიძის წყლებს. „კოკა-კოლას“ ერთადერთი უპირატესობა ის გახლავთ, რომ შენახვის ხანგრძლივი ვადა (6 თვე) აქვს, ჩვეულებრივ, ხილის ქართულ ლიმონათს კი – მხოლოდ 12 დღე. ესეც იმიტომ, რომ „კოკა-კოლა“ ათასნაირ შენარევს, სპეციალურ ნივთიერებებს შეიცავს – იმისთვის, რომ არ აიჭრას. ვამბობდი – კი, ბატონო, ვაწარმოოთ ეს „კოკა-კოლა“, მაგრამ მასთან ერთად ხილის ლიმონათი, ლალიძის წყალიც გამოვუშვათ-მეთქი. როგორც ჩანს, ხელმძღვანელობას ეს არ მოსწონდა, ხოლო თუ რატომ არ მოსწონდა და რისთვის უნდოდა „კოკა-კოლის“ ასე აქტიურად გამოშვება – ეს ბიზნესის საკითხია. მოგეხსენებათ „კოკა-კოლას“ მასშტაბები – მას მსოფლიო აქვს დაპყრობილი და მთელი კავკასიაც უნდა დაიპყროს... აი, რა აძლევდა მათ ხელს. საპირისპირო აზრისა და მოწოდების მქონე თანამშრომელი კი ფირმაში, რასაკვირველია, არ უნდოდათ. ალბათ ამის გამოც გამათავისუფლეს სამსახურიდან – მე მგონი, შემცირება მხოლოდ საბაბი იყო...“

სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ ნანული ყიფიანს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიამ“ პენსიად თვეში 80 ლარი დაუნიშნა. ცოტა ხანში ეს თანხა 120 ლარამდე გაზარდეს.

ნანული ყიფიანი: „შვილი მეუბნებოდა – ხალხს 12 ლარი აქვს პენსია, შენ მეტი რა გინდაო?! როცა „კოკა-კოლას“ საბუთებში ჩავიხედე, მივხვდი, რომ პენსიით მხოლოდ თვალს მიხვევდნენ. საზოგადოების გარკვეული წილი ნიკო ლეკიშვილსაც ჰქონდა შესყიდული. როცა მოვითხოვე – გამაგებინეთ, ლეკიშვილი თუ იღებს დივიდენდებს, მე რატომ არ მაძლევთ-მეთქი? – მიპასუხეს: რა დაგეშართა, ნანული, ის კაცი ფულს დივიდენდების სახით იღებს, შენ კი პენსიის სახით – რა მნიშვნელობა აქვსო? აი, სწორედ მაშინ გამიზარდეს 80 ლარიანი პენსია 120 ლარამდე, მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა: ერთ მშენიერ დღეს პენსია მომიხსნეს. სწორედ ამის შემდეგ დავადგინე წილის გასხვისებისა და მიტაცების ფაქტიც. ბუნებრივია, დავინტერესდი, რის საფუძველზე შემიწყვიტეს პენსია: მოვიძიე საბუთები და აღმოვაჩინე, რომ ჩემი წილი 1,0556% კი არა (როგორც ეს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ საწესდებო კაპიტალის შესაბამისად გამოდის), არამედ 0,27% იყო“.

ნანული ყიფიანის ადვოკატის ალექსანდრე სიხარულის თქმით, ფირმის ხელმძღვანელობამ უნებშად დაარღვია საწესდებო კაპიტალისა და პარტნიორთა წილების ფორმირების წესები – საბუთების

„კოკა-კოლას“ გენერალური დირექტორი თემურ ჭყონია



დამალვით, პარტნიორების ყალბი ხელმოწერებით 259 კაციანი მოწილე თანამშრომელთა სია 31 კაცამდე დაიყვანა, ისე, რომ სათანადო ხელშეკრულებები წილის გასხვისებისა ან დათმობის შესახებ არ გაუფორმებია. სასამართლოზე „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ ადმინისტრაციას ნოტარიულად დამტკიცებული ზემოთ ხსენებული ხელშეკრულებები მოსთხოვეს, მაგრამ საბუთები სასამართლოში არავის წარუდგინა.

ალექსანდრე სიხარულიძე: „ადმინისტრაცია თვითნებურად და უკანონოდ ღებულობდა გადაწყვეტილებებს, ყოველგვარი საბუთებისა და შეთანხმების გარეშე ამცირებდა ან აუქმებდა პარტნიორთა წილებს და მათ ხარჯზე ფირმის ხელმძღვანელები საკუთარ კაპიტალს ზრდიდნენ. ამ გზით თავად გენერალური დირექტორის – თემურ ჭყონიას წილი 71%-მდე გაიზარდა. წარმოუდგენელი რაღაცები აქვთ გაკეთებული: მაგალითად – საზოგადოების პარტნიორის ვ. ჯორჯაძის მიერ მისი კუთვნილი წილის გასხვისება, მაშინ, როდესაც ეს პიროვნება იმ მომენტისთვის ერთ წელზე მეტი ხნის გარდაცვლილი იყო. ასევე არც ერთ სიაში არ ყოფილა მითითებული ვინმე მალრადე, რომელსაც წილის კომპენსაციის სახით საზოგადოებამ 40.500 ლლარი გადაუხადა; ფალსიფიცირებულია კრების ოქმები, ზოგიერთის მიხედვით, ნანული ყიფიანი თურმე „სიტყვითაც გამოსულა“...“

ყოველივე ამას ყიფიანისგან „კოკა-



კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ საწინააღმდეგოდ მიმართული სარჩელი მოჰყვა. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში მათ ზემოთ მოყვანილი მაგალითების დამამტკიცებელი საბუთები და სიყალბეების დამადასტურებელი ექსპერტიზის დასკვნები წარადგინეს. სასამართლო პროცესზე „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ წარმომადგენლებმა მოსარჩელე მხარეს საქმის მორიგებით დამთავრება შესთავაზეს.

ალექსანდრე სიხარულიძე:
„კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ წარმომადგენლებმა სასამართლო პროცესზე სარჩელი აღიარეს, განაცხადეს, რომ ცნობენ სასარჩელო მოთხოვნას და ერთ დღეში დირექტორის ხელის მოწერით შესაბამის განცხადებასაც წარმოადგენდნენ. მოსამართლემ მათ ერთი დღის ვადა მისცა. თუმცა, მეორე დღეს მოპასუხე მხარე სასამართლოში არ გამოცხადდა. მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ მათ სარჩელი აღიარეს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ეს აღიარება სასამართლოს საკმარის მტკიცებულებად უნდა ჩაეთვალა. აღსანიშნავია ისიც, რომ მოპასუხე მხარეს თავისი აღიარება შემდეგაც არ უარუყვია. ყოველივე ამის მიუხედავად, მოსამართლე სოსო მუმლაძემ სრულიად მოულოდნელად და უსაფუძვლოდ, საქმის მასალების შესწავლის გარეშე „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ ჩვენი მოთხოვნების არასათანადო მოპასუხედ გამოაცხადა.

ერთ-ერთი შუამდგომლობით მოვითხოვეთ, საწესდებო კაპიტალს ყალბა დასდებოდა. მოსამართლე

მუმლაძემ ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა, მაგრამ იგივე მოსამართლემ მოპასუხედ შპს „კოკა-კოლა“ კი არა – მისი პარტნიორები გამოაცხადა, რის შედეგადაც შპს ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან თავისუფალი აღმოჩნდა“.

მოსამართლე მუმლაძის გადაწყვეტილების შემდეგ მოსარჩელე მხარემ საოლქო სასამართლოს მიმართა და სააპელაციო საჩივარი შეიტანა. საჩივარში ნაწული ყიფიანი კვლავინდებურად წილის – არსებული საწესდებო კაპიტალის 1,0556%-ის აღდგენას მოითხოვს. „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ ზემოთ მოყვანილ ბრალდებებზე, თავის მხრივ, ძალზედ მოკლე კომენტარს აკეთებს: ჩვენ „არასათანადო მოპასუხე“ ვართო.

ზვიად კორძაძე, „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ ინტერესების დამცველი ადვოკატი:

– ჩვენი დამოკიდებულება მთელი ამ საქმის მიმართ ძალზედ მარტივია – არ ვთვლით თავს სათანადო მოპასუხედ. შესაბამისად, შპს „კოკა-კოლა“ ვერ იმსჯელებს იმაზე, მართალია თუ მტყუანი მოსარჩელე. ისე კი, ფირმამ გამოთქვა სრული მზადყოფნა და მოსარჩელებს წილის აღდგენა შესთავაზა, მათ კი მაღა გაეღვიძათ და გაცილებით მეტი მოითხოვეს – რა თქმა უნდა, სრულიად უკანონოდ. ამჯერად, შპს „კოკა-კოლამ“ გადაწყვიტა კანონის ფარგლებში იმოქმედოს – თუკი ესენი როგორმე დაამტკიცებენ, რომ ნაწული ყიფიანის წილი უკანონოდ შემცირებულია, ფირმა მათ ზარალს აუნაზღაურებს. ოღონდ, ამას დამტკიცება სჭირდება.

– მოსარჩელე ირწმუნება და სასამართლოს სხდომაზეც არაერთხელ ითქვა, რომ შპს „კოკა-კოლას“ წარმომადგენელმა, ისევე, როგორც თქვენ – ადვოკატმა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში წილის უკანონოდ გასხვისების ფაქტი დაადასტურეთ და სარ-

ჩელიც აღიარეთ. შესაბამისად, თქვენი ეს სიტყვები სასამართლოს სხდომის ოქმებშია დაფიქსირებული.

– შპს „კოკა-კოლას“ წარმომადგენელს წილის უკანონოდ გასხვისების ფაქტი არ დაუდასტურებია. სხდომაზე ჩვენმა მხარემ უბრალოდ აღნიშნა, რომ იგი მზად არის ეს საკითხი შეისწავლოს და თუკი რაიმე დარღვევა მართლაც აღმოჩნდა, გამოასწოროს. ამ ფრაზას მოწინააღმდეგე მხარემ შემდეგ გაუკეთა თავისებური ინტერპრეტაცია. პირადად ჩემთვის გაუგებია, რა უნდა დღეს მოსარჩელეს? წილს, რომელსაც იგი მოითხოვდა, საქმის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში განხილვის დროს ჩვენ ვაძლევდით, მათ კი ამაზე რატომღაც უარი გვითხრეს.

– რადგან წილს სთავაზობდით, გამოდის, რომ დარღვევებსაც აღიარებდით...


– დარღვევებს იმ შემთხვევაში ვაღიარებდით, თუკი ასეთი რამ აღმოჩნდებოდა, თუმცა მოსარჩელის მიერ მოყვანილი არგუმენტებით, საქმის შესწავლა ჩვენი ვალდებულება არ გახლავთ, რადგან სათანადო მოპასუხეს არ წარმოვადგენთ.“

ასე რომ, შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ ჯერჯერობით არ აპირებს გასცდეს „არასათანადო მოპასუხის“ ლოგიკას. თუმცა, სწორედ მისი მოპასუხეობის საკითხი უნდა გაარკვიოს ამჯერად საოლქო სასამართლო. შედეგს მომავალი გვიჩვენებს. მოსარჩელე მხარემ კი მოსამართლეთა მიმართ თავისი დამოკიდებულება უკვე გამოხატა და მისი აცილება მოითხოვა. მოსამართლეებმა შუამდგომლობა არ დააკმაყოფილეს.

ამჟამად შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიასში“ 31 პარტნიორიდან, ნაწული ყიფიანის გარდა, თითქმის ყველა მუშაობს. როგორც შევითქვეთ, ისინი სოლიდურ ხელფასებს იღებენ და ასეთი სამსახურის დაკარგვას უფრთხიან...



ვაკოს ვაკოს დიკიეზორკა პლაჟისის სიბოხსულ საკუთარი ბინის ჩემონგს უხსნიკა?



მეგი ტანავა

რამდენიმე დღის წინ თბილისში ჩადენილი საშინელი დანაშაულის შესახებ მთელმა საქართველომ შეიტყო: ვაკის პარკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ – ვია მანჯგალაძემ 25 წლის მამუკა ზარიძეს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა. ბევრისთვის დღემდე წარმოუდგენელია, თუ როგორ ან რისთვის ჩაიდინა მანჯგალაძემ საზარელი მკვლელობა. ახლობლები, მეზობლები და თანამშრომლები მას სერიოზულ, უკონფლიქტო და დინჯ მამაკაცად ახასიათებენ. რაც შეეხება ოჯახის წევრებს, მომხდართან დაკავშირებით ისინი არაფერს ამბობენ, თუმცა წინასწარი გამოძიების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დანაშაულის მიზეზი სწორედ საოჯახო საქმესთან – კერძოდ, ბინის რემონტთან დაკავშირებული კონფლიქტი იყო.

ერთ-ერთი ვერსიით, შემთხვევამდე ცოტა ხნით ადრე, ყაზბეგის გამზირის №28-ში, ვია მანჯგალაძესა და მამუკა ზარიძეს ურთიერთშელაპარაკება მოუვიდათ. მამუკა ზარიძე მანჯგალაძეს ბინაში რემონტს უკეთებდა, ამ უკანასკნელს კი მის მიერ შესრულებული სამუშაო

არ მოეწონა და უსაყვედურა. საყვედური ჩხუბში გადაიზარდა, ჩხუბი კი მანჯგალაძემ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაასრულა...

ფაქტი 2001 წლის 6 სექტემბერს, საღამოს, დაახლოებით 9 საათისთვის მოხდა. ვია მანჯგალაძემ გასროლის შემდეგ შემთხვევის ადგილი დატოვა და მიიმალა. პოლიციელებს იგი ჯერჯერობით არ დაუკავებიათ.

მამუკა ზარიძე რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმავე დღეს მოათავსეს. მას ტყვია თავის არეში ჰქონდა მოხვედრილი, რის გამოც მის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა. დაჭრილს ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს, თუმცა ექიმებმა მისთვის სიცოცხლის შენარჩუნება მაინც ვერ მოახერხეს. იგი საავადმყოფოში ორ დღეში გარდაიცვალა.

მამუკა ზარიძე თბილისში გურჯაანის რაიონის სოფელ კაკაბეთიდან სამუშაოდ გახლდათ ჩამოსული. იგი უცოლმვილი იყო.

თავიდანვე ცნობილი გახდა, რომ შემთხვევას არაერთი თვითმხილველი ჰყავდა. მათ გამოძიებას უკვე ჩვენებებიც მისცეს, თუმცა ვაკე-საბურთალოს რაიონ-

ული პროკურატურის თანამშრომლები თვითმხილველთა ვინაობისა და მათი ჩვენებების გამოაშკარავებისგან ამ ეტაპზე თავს იკავებენ.

კოტე ცაცუა, გამომძიებელი:
„გამომძიების ინტერესების გამო არ შეგვიძლია იმ დეტალების გამჟღავნება, რაზეც შემთხვევის თვითმხილველები მიუთითებენ. თუმცა, აღვნიშნავ, რომ მოწმეთა ჩვენებების სახით მანჯგალაძის წინააღმდეგ მტკიცებულებები გამოძიებას უკვე აქვს“.

თუმცა, როგორც გამომძიებელმა გვითხრა, ჯერ კიდევ არ არის დადგენილი, თუ რა სისტემის იარაღიდან მოხდა გასროლა. არც ისაა გარკვეული, თუ რამდენჯერ გაისროლა მანჯგალაძემ და შესაბამისად, რამდენი ტყვია მოხვდა მამუკა ზარიძეს.

კოტე ცაცუა:
„წინასწარი ინფორმაციით, ზარიძეს ერთი ტყვია მოხვდა, თუმცა დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვით. საბოლოო პასუხი ამაზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ უნდა გაგვცეს“.

მკვლელობის მოტივიც ტელეფონს აჩაბოს უნაკუნს

ამ დღეებში ქალაქის პროკურატურამ იუსტიციის მინისტრის მოადგილეს – ირაკლი ოქრუაშვილს ბრალდება მოუხსნა. ცნობილია, რომ პროკურატურა მას პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევასა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლას სდებდა ბრალად. სამაგიეროდ, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ახლა პოლიციელს – ბეჟან ნადირაშვილს ემუქრება. ოქრუაშვილის ინტერესების დამცველი ადვოკატი – ეკა ბესელია აცხადებს, რომ ნადირაშვილმა მისი კლიენტის მობილური ტელეფონი მიითვისა. სააგენტო „გეას“ ინფორმაციით, ქალაქის პროკურატურა ამჟამად ადვოკატის ახალ შუამდგომლობაზე ფიქრობს, სადაც ეს უკანასკნელი იუსტიციის მინისტრის მოადგილის წინააღმდეგ საქმის შეწყვეტას მოითხოვს.

ყაჩაღება იუსტიციის სამინისტროს დახვის თანამშრომელი დახსრილს

2001 წლის 6 სექტემბერს თბილისში, საღამოს, იუსტიციის სამინისტროს ბაღრავის თანამშრომელი – ბუხუტი ჯანყარაშვილი დაცხრილეს. მკვლელობის საქმეს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურატურა იძიებს. პროკურატურის ინფორმაციით, ერთ-ერთი ვერსიით, იმ საღამოს ჯანყარაშვილი სამსახურიდან მეუღლესთან სტამბაში წავიდა, სადაც ეს უკანასკნელი მოლარედ მუშაობდა. სწორედ იმ დროს, სტამბას შეიარაღებული პირები აყაჩაღებდნენ. ჯანყარაშვილის მისვლის მომენტში ყაჩაღები გაიქცნენ, თუმცა როცა დაინახეს, რომ იგი მათ დაედევნა, ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა დაუწყეს. ბუხუტი ჯანყარაშვილი სასიკვდილოდ დაიჭრა და გარდაიცვალა.

ილია ქაფქაფაძემ თქვა:
 „ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ და ზოგი კი იმისთანაა, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ“-
 ილიას სიტყვების აზრი შეიძლება ასეც ჩამოყალიბდეს: თუ ირწმუნებ, დაინახავ კიდევ და მოხდება სასწაული. ის ამბავი, კი რომელიც უნდა გადმოგცეთ, საპირისპიროდ მოხდა... სასწაული იმ შემთხვევაში თვალთ შეიძლება დაინახოს ნებისმიერმა ადამიანმა, ვისაც სურვილი გაუჩნდება და გამბედაობაც ეყოფა. ეს სასწაული მითურ ნატურისთვის უკავშირდება.



ნატურისთვის, რომელსაც... უბედურება მოაქვს

ლიანა ჭანკოტაძე

ქართულ სიტყვათა განმარტებით ლექსიკონში ნატურისთვის ასე განისაზღვრება: „ქვა, რომელსაც ბედნიერება მოაქვს და რომელიც თავის მფლობელს ნებისმიერ სურვილს უსრულებს.“ იქვე მინიშნებულია: „მხოლოდ ზღაპრებში“, მაგრამ სინამდვილე საპირისპიროს ამტკიცებს. ამ ბოლო დროს საკმაოდ გახშირდა მთარული ხმები სასწაულების შესახებ, რომელიც წმინდა ხატების ადგილმონაცვლეობას, მირონმდინარებასა თუ ჩარჩოში ჩასმული ხატის გამოსახულების მინაზე გაჩენის ამბავს გადმოგვცემს. რაც შეეხება ნატურისთვის, მისი არსებობა რეალურად დაფიქსირებული არ არის. ახლა კი ნამდვილად დადგა დრო, რომ ნატურისთვის მაღალი მეცნიერების კვლევის საგანი გახდეს.

ხაშურის რაიონის სოფელ გომში, გუმბაზაშვილების ოჯახში ათეული წლებია, რაც ნატურისთვის ინახება. მათთან მისულმა, ნატურისთვის ფირზე აღბეჭდვაც კი მოვინდომე, მაგრამ მასპინძელმა სასტიკი უარი განმიცხადა და მეც აღარ დავიჟინე, რადგან მას უამრავ ბოროტებას მიაწერენ და ცოტა არ იყოს, შემეშინდა კიდევ. სოფელში, დიდმა თუ პატარამ, ყველამ იცის, ამის შესახებ. აი, რა მიაბო



ოჯახის უფროსმა, სამოცდაათ წელს მიტანებულმა ქალბატონმა:

– დაახლოებით 150 წლის წინათ ჩემი მამამთილის მამამ მოიტანა ნატურისთვის. ის გორში მუშაობდა და იქ ცხოვრობდა კიდევ. ერთ დღეს გვიან, ღამის საშუალოდ სახლში მიმავალს, გზაში უცნაური ხმა გაუგონია. შეჩერებულა და ყური მიუგდია. ხმა იმდენად არაბუნებრივად მოსჩვენებია, რომ წასულა იქით, საიდანაც ის მოისმოდა და დაუნახავს კიდევ ორი დიდი გველი, რომლებიც თავებით რაღაცას ათამაშებდნენ. რატომღაც არსებობს მოსაზრება, რომ თუ გველი შეგხვდება, აუცილებლად უნდა მოკლა და მასაც კეტით დაუხოცია ისინი, ხოლო ის ნივთი, რომელსაც ისინი ერთმანეთს ესროდნენ, აღმოჩენილა მცირე ზომის მბრწყინავი ქვა.

სოფელში ასეთი თქმულებაც არსებობს ოდითგანვე: ნატურისთვის გველი პირში მალავს და მხოლოდ ახალ მთვარისას იღებს მას, სულ რამდენიმე წუთით. თუ მოასწარი და წაართვი, ის ბედნიერებას მოგიტანსო. ალბათ, ეს იცოდა ჩვენმა წინაპარმაც, რადგანაც მბრწყინავი ქვა უბეში დაუძალავს და უზომოდ ბედნიერს, შინ წაუღია.

– თავის სიცოცხლეშივე თუ დარწმუნდა თქვენი დიდი წინაპარი, რომ ეს ქვა ნამდვილად ნატურისთვის იყო?

– რადგან ამ ქვამ არანაირი სიკეთე და წარმატება არ მოუტანა, ალბათ იფიქრა, რომ შეცდა და როცა გორიდან გომში გადმოვიდა, მისი არსებობა აღარც კი გახსენებია: ე.წ. ნატურისთვის ძველ კარმიდამოში დატოვა. მაგრამ ორი თუ სამი დღის შემდეგ სახლის საპირკველზე მბრწყინავი ბურთი დაინახა. ეს იყო პირველი სასწაული, რომელიც მას ნატურისთვის აჩვენა. დღემდე ვერაფერს შეძლო აქვს, რა ძალამ ჩამოიყვანა ან ჩამოიტანა ეს ქვა გორიდან. ამის შემდეგ ოჯახში ყველა მოწინააღმდეგე იქცეოდა მას და ასე ხდებოდა ყოველთვის. მასსოვს, ჩემი მამამთილი მას სანთლებს უნთებდა, მის წინ ლოცულობდა... უმზადება ტკბილეულის მაგ-

იდას. უყრდა გვერდით შაქარსა და ხურდა ფულს და თან საგულდაგულოდ მალავდა, რომ არავის თვალს არ დაენახა იგი. ყველას გეგმავდა, რომ ის ოდესმე ნამდვილ სასწაულს მოახდენდა.

ამის საფუძველს რა გაძლევდათ? გახსენდებათ თუნდაც ერთი შემთხვევა, როცა ე.წ. ნატურისთვალის დაგეგმვა-რათ?

— ორჯერ იყო ასეთი შემთხვევა: ერთხელ, ჩემმა ვაჟმა იგი ჩუმად აიღო და სკოლაში წაიღო, სადაც თავის თანაკლასელს აჩუქა. შინ რომ დაბრუნდა, ეს ამბავი გაგვიმხილა, მაგრამ ნატურისთვალი სულ რამდენიმე წუთში, რაღაც საოცრების ძალით, ისევ თავის ადგილას აღმოჩნდა. შემდეგ გოგონა ბატონებით გამიხდა ავად. ისე ცუდად იყო, მისი გადარჩენის იმედი აღარავის ჰქონდა. დღითი დღე უკან-უკან მიდიოდა. ერთ საღამოს კი, როცა სიცხემ ძალიან აუწია, ვეცი ყუთს, გადმოვიღე ნატურისთვალი, დავიჩოქე მის წინ და შვილის გადარჩენა ვთხოვე. მეორე დღით ბავშვი საწოლიდან თავისით გადმოვიდა. ეს ნამდვილი სასწაული იყო. მე პირადად ამ ორი ფაქტის შემდეგ ვირწმუნე მისი სასწაულობელების უნარი. თუმცა მეტი სიკეთე მას ჩვენთვის აღარ მოუტანია — პირიქით.

რატომ „გაგინან-ყენდათ“? ნუთუ შენ-ყვითელ მისი პატივისცემა?

— მახსოვს, აღდგომის მეორე დღეს ჩემმა მეუღლემ ნატურისთვალი აიღო და მისი გულდასმით დათვალირება დაიწყო: აინტერესებდა — ქვა იყო იგი თუ რაიმე ცოცხალი ორგანიზმი. მოულოდნელად, ის ხელიდან გაუვარდა. ამის შემდეგ, სულ რამდენიმე დღეში, ჩემი მეუღლე გარდაიცვალა... ჩვენი უბედურება ამით არ დასრულებულა: თუ ახლომანლო მეზობელს სახლში მამაკაცი ჰყავდა, ყველა დაიღუპა, და ფაქტობრივად, ჩვენი უბანი უკაცოდ დარჩა: იყო პერიოდი, როცა ამ დასახლებაში მხოლოდ ქალები და ბავშვები ვცხოვრობდით...

უბედურების თავიდან ასაცილებლად არ გიცდიათ ე.წ.

ნატურისთვალი საერთოდ გაგეტანათ სახლიდან?

— მრავალჯერ დავაპირეთ მისი თავიდან მოშორება, მაგრამ ამაოდ. როცა მეუღლე დაძვლებოდა — ჩემმა მამამთილმა იგი გორში წაიღო და იმავე ადგილას დატოვა, სადაც მამამისმა იპოვა... მიცვალებული რომ გაასვენეს ეზოდან, მამამთილმა დაიგმინა — მაინც მოვიდაო და ყველამ ერთდროულად დავინახეთ სახლის საძირკველზე როგორ იდო (თუ იდგა) ნატურისთვალი.



იქნებ, სჯობდა, ისევ გველებსთვის დაგებრუნებინათ?

— ერთ ღამეს მესიზმრა ორი ქალი. მათ გამაფრთხილეს: ვინც გაბედავს და ნატურისთვალს ხელს მოჰკიდებს სახლიდან გატანის მიზნით, აუცილებლად დაიღუპებაო. ამის შემდეგ აბა, ვინღა გაბედავდა მის გადაგდებას. მან ისედაც ბევრი სიცოცხლე შეიწირა... ამ ამბიდან ძალიან ძალიან, სახლი ავაშენეთ და იქ გადავედით საცხოვრებლად. ნატურისთვალი, რა თქმა უნდა, ძველ სახლში დავტოვეთ. დღესაც იმ ძველ ადგილას იმყოფება... ჩვენ აღარ

გვიცდია არც მისი მონახულება და არც „შემორიგება“. ალბათ, მარტო რომ „დაიგულა თავი“ ეს, „გაუხარდა“: ფაქტია, რომ მას შემდეგ ჩვენთვის ზიანი აღარ მოუყენებია, თუმცა, არც სიკეთე გვასხოვს მისგან. სახლი, რომელშიც ის იმყოფება, უკვე ავარიულ მდგომარეობაშია. არ ვიცი, კიდევ ერთ ზამთარს თუ გაუძლებს, არც მინდა იმის წარმოდგენა, რა შეიძლება მოხდეს, ეგ სახლი რომ დაინგრეს...

ვერჯერობით გამოკვლეული არ არის ნატურისთვალი, რომელიც ვუჩინა ზევილების ოჯახში ინახება. შესაძლებელია, ეს ჩვეულებრივი ქვაც არის — ისეთივე, როგორიც ბუნებაში უთვალავია. ქვებს კი, მოვეხსენებო, როგორი უცნაური და მაგიური თვისებები აქვს: არსებობს ხელოვნური ქვები, რომელიც ძვლობელს სიცოცხლის დღეებს აკლებს, ართმევს სიხარულსა და ჯანმრთელობას. არსებობს ქვების სხვა ჯგუფიც, რომელიც თვისებებით ხელოვნურად შექმნილს ჰგავს, თუმცა ნატურალურია, მაგრამ მიუხედავად ამისა — უსარგებლო, უბედური, ავი, ნეგატიური ენერგეტიკის მქონეა. ასეთია, მაგალითად, ალექსანდრიტი: ის ემოციურ დისკომფორტს უქმნის პატრონს, აღამიანს უბედურების ზონაში „ითრევს“... შერილი ჯადოქრების ქვაა და ყველაზე საშიშელი მიზნების მისაღწევად იყენებენ. შესაძლოა, რომ ე.წ. ნატურისთვალი რომელიმე მაგიური ქვა იყოს და ამიტომაც მოჰქონდეს უბედურება ძვლობელისათვის. ის ამბები კი, რომელსაც ნატურისთვალს გომელები მიაწერენ, მართლაც დაუჯერებელი და გასაოცარია. აი, რა მიაბზო გუჩმაზაშვილებს ის ერთ-ერთმა თანასოფელმა:

— მაგ ოჯახის უფროსი, დეთისმოსავი, კეთილშობილი კაცი იყო, სულ ამბობდა — მეშინია, ნატურისთვალი ეშმაკის ქვა არ იყოს, შვილებსა და შვილიშვილებს ცოდვა არ აკვიდო. ამიტომაც გაბედა — აიღო იგი და მომადგა სახლში: უნდა გადავადგო, ოღონდ ისეთ ადგილას, სხვათაგან რომ ვერ მიაგნოს, არ მინდა, ვინმე კიდევ გაბოროტდესო. ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ — იქვე, გზის პირას მდგარი წიფლის ხის ფულუროში ჩაგვედო.

მართლაც, ასე მოვიქცით. ორი თუ სამი დღე მშვიდობიანად გაილია, მაგრამ მესამე დამეს ისეთი გრგვინვა და ჭექა-ქუხილი ატყდა, ვიფიქრეთ, ცა ჩამოიქცევას. საერთოდ, გომში იშვიათი არ არის მეხის ჩამოვარდნა, ასეთი რამ თითქმის ყოველ ზაფხულს ხდება. ამიტომ არც გაგვკვირვებია, იმ დამეს მეხი გზის პირას რომ დაეცა, დილით კი ნამდვილი სასწაულის მოწმენი გავხდით: მეხი სწორედ იმ წიფლის ხეს დასცემოდა, რომლის ფუღუროშიც ნატვრისთვალი დავმალეთ, ხოლო თავად ნატვრისთვალი ხელუხლებლად ილო ყუთში, რომელიც გუჩმაზაშვილებმა სპეციალურად მისთვის წლების წინ შეიძინეს... ჩემთვის გაუგებარია, როგორ გადაურჩა იგი მეხის ძალას და როგორ დაუბრუნდა პირვანდელ ადგილს...

— კიდევ ერთი უცნაური ამბავი ახსოვთ სოფელში — განაგრძო თხრობა მეორე მოხუცმა: როგორც ხედავთ, გზის პირას მოსაცდელია. მანდ ღვება ხოლმე ხალხი, რათა გამველეს ავტობუსს გაჰყვეს საჭირო მიმართულებით. რაც თავი მახსოვს, ეგ მოსაცდელიც მანდ დგას. დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ ერთი მგზავრი იქვე, მინდორში გადასულა ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, სადაც მდებარეობდა დამშრალი ჭა. ჭიდან უცნაური ხმები ისმოდა თურმე. მგზავრს შიგ ჩაუხედავს და დაუნახავს უამრავი გველი. ისინი ერთმანეთში იხლართებოდნენ. თავით აავდებდნენ რაღაც ბრჭყვიალა ბურთს, შემდეგ ისევ დაიჭერდნენ — თითქოს ბურთაობდნენ. ეს გველები ჭიდან რომ ამოვიდნენ, მთელ სოფელს დაგესლავნო — უფიქრია მას, იქვე, გზის პირას მდგარი მანქანის მძღოლთან მისულა და უთხოვია: ცოტა ბენზინი მომეციო. ჭაში ბენზინი ჩაასხეს და გველები დაწვეს. რა თქმა უნდა, ვიფიქრეთ, რომ

ნატვრისთვალიც შიგ ჩაიწვა, მაგრამ მეორე დღეს ის ისევ თავის ყუთში იპოვეს. განა ეს სასწაული არ არის?

— თანასოფლელებთან არავის უცდია ამ ნატვრისთვის მოპარვა და მისი დასაკუთრება?

— არა. არ ყოფილა არც ერთი ასეთი შემთხვევა. მთელმა სოფელმა იცის, რომ მაგ ნატვრისთვალს მხოლოდ უბედურება მოაქვს: უკაცოდ დატოვა ოჯახი, საბრალო ქალს მამამთილიც წაართვა, ქმარიც და შვილიც. ვინ შეეცდება ეგეთი ცოდვიანი ნივთის ოჯახში შეტანას?! მე სურვილიც არ გამჩენია, რომ დამენახა. ცოტა არ იყოს, მეშინია კიდევ. არც ჩემს ბავშვობაში მივკარებდითვარ ახლოს. ხშირად მითამაშია მაგ სახლში. ვიცოდი, რომ ნატვრისთვალი იქვე, ხის კომოდზე ილო, მაგრამ ერთხელაც არ გამიხედავს იმ მხარეს. ბავშვურმა ცნობისმოყვარეობამაც კი არ მძლია... მამაჩემისგან გამიგონია: შესაწირს ითხოვს და იმ-იტომაც განრისხებულიო. ისიც გამიგია, სისხლში თუ ჩადებ, ერთ დამეში ისე შეიწოვს, სისხლის კვალსაც კი აღარ დატოვებსო...

სოფელში იმასაც ამბობენ — ასეთი ქვები უწინ კუდიანებს ჰქონდათ, ჩვილ ბავშვებს სწირავდნენ ავვისტოს ბოლო ორშაბათსო... ისიც გამიმხილეს საიდუმლოდ: გუჩმაზაშვილების წინაპარი თურმე კუდიანების დღესასწაულზე — „შაბაშზე“ (იმართებოდა 1 მაისს), შემთხვევით მოხვედრილა და იქ მოუპარავსო... სოფელში უამრავი ჭორი დადის, ერთი რამ კი ცხადია: ჩემი მასპინძელი ქრისტიანი ქალია, ოჯახიც ქრისტიანული ადათის მიმდევარია და მის წვერებს ქათამიც კი არ დაუკლავთ ოდესმე ნატვრისთვალისთვის. იქნებ, ამიტომაც არის „განრისხებული“...

ჩემს მასპინძელს, რა თქმა უნდა, შეეძლო უამრავი საინტერესო რამ მოეთხრო ნატვრისთვალის შესახებ, მაგრამ იმის წარმოდგენამ, რომ მის ოჯახს ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ ბევრი ცნობისმოყვარე მიადგება, საიდუმლოს გამჟღავნება გადააფიქრებინა. არავინ იცის, რას მოუტანს ამ მართლაც დაუჯერებელი ამბის გახმაურება ისედაც მრავალ უბედურებაგამოვლილ ოჯახს...



**ილია
ჭავჭავაძის
არშემდგარი
დუელი**

ორმოცდაათწლიანი მოღვაწეობის მანძილზე, ილია ჭავჭავაძეს რვა-ცხრა დუელი ჰქონდა, რომელთა მიზეზი, ხან მის შემოქმედებას, ხანაც — საბანკო საქმიანობას უკავშირდებოდა.

იგი დაულაღავი კალმოსანი — მებრძოლი და უებრო პოლემისტი გახლდათ, მაგრამ როდესაც, მოწინააღმდეგე ეთიკურობის ყოველგვარ ფორმას კარგავდა და მისი პიროვნული ღირსების შელახვას შეეცდებოდა, უცილობლად დუელში გამოიწვევდა გაკადნიერებულს... მკითხველს აძვირად ილიას ბანკში 30 წლიანი მოღვაწეობის პერიოდში (აქედან, 10 წელი ბანკს ხელმძღვანელობდა) არშემდგარი დუელის ისტორიას მოვუთხრობთ:

ილია ჭავჭავაძე ბანკის კრებაზე წლიურ ანგარიშს კითხულობდა და თან განმარტებებს იძლეოდა. საუბრისას არწრუნისეულ მამულსაც შეეხო, რომელიც საკმაოდ დიდ ადგილს მოიცავდა ქალაქის შუაგულში, სასახლის ქუჩაზე, სადაც მდებარეობდა ქარვასლა, ქართული თეატრი და თვით ბანკი. ეს მამული ექვსი ათას მანეთად დარჩა ბანკს, რაზედაც ილია დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდა. გენერალი სუმბათაშვილი გაეპასუხა: „რას იქაღნით, რომელ სიმდიდრეზე ლაპარაკობთ. მე მგონია, ფულები გადაგიყრიათ. რა დაინახეთ მაგ მამულში, ქვების მეტი რა ყრია?“ „თუკი ასეა, — მშვიდად მიუგო ილიამ, — მაშ, მუქთად გავვიცა ქალაქის მამულებზე მილიონები. ქალაქის მამულებში, შენობებში, ხომ ქვების მეტი არა ყრია რა...“

მწერალმა გენერალმა სიტყვა აღარ აცალა:

„შენი სიცოცხლე სულ მაგნარი ოინზაზობაში გაგიტარებია!“

„მაგაზე სხვა ადვილას მომცემ პასუხს.“ — ანთო ილია, მერე კი, ძველჩვეულად განაგრძო კითხვა-განმარტება.

იმავე საღამოს, ბატონ სუმბათაშვილს „ოინზაზის“ გავზავნილი სეკუნდანტები ეახლნენ. გენერალი შეცბა, მოიბოდიშა, გავცხარდიო...



ინფორმაციული-შეხვედრითი კონკალი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკრძან:

1. განუკურნებელი სენით დასნეულების შიშს ნოზოფობია ჰქვია.
2. ბლიცკრივი ელვისებურ ომს ნიშნავს. ეს ტერმინი ჰიტლერის შემოღებულია.
3. ამერიკული ტყვიამფრქვევი „ბრენი“ ჩეხური დიზაინის გამოყენებით გაკეთდა და საუკეთესო იყო მეორე მსოფლიო ომში.
4. ფილოსოფოსი ჰობსი მოჩვენებებისა და მოღანდებების შიშით ბნელ ოთახში მართო ვერ რჩებოდა. P.S. ჰობსი მატერიალისტი განხლდა.
5. ახალბედებს რუსები „ჩაინიკებს“ ეძახიან. კომპიუტერის შემსწავლელთა ერთ-ერთ რუსულ სახელმძღვანელოს პირდაპირ აწერია – „WINDOWS для чайников“.
6. გემის იმ ნაწილს, სადაც ეკიპაჟის საცხოვრებელი კაიუტებია განლაგებული, კუბრიკი ეწოდება.
7. რუსეთის სამხედრო-საზღვაო დროშას „Андреевский флаг“ ჰქვია.
8. საბლი ამერიკის შერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიის სიმბოლოა.
9. დედამიწის პოლუსებზე ადამიანების წონა ოდნავ უფრო მეტია.



10. 2004 წლის ოლიმპიური თამაშები ათენში გაიმართება. P.S. ერთხელ მანც აღარ იქნება ოლიმპიური ცეცხლი იმ სიშორიდან სათრევი.

11. ჯეი, ჯორჯი და ჰარისი – ასე ერქვათ ჯერომ ჯერომის ნაწარმოებში ძაღლთან ერთად ნავში მგდომ სამ მამაკაცს.
12. „მაიკლი – ჯერის ძმა“, „თეთრი ეშვი“, „წინაპართა ძახილი“ – ჯეკ ლონდონის ამ ნაწარმოებთა ყველა მთავარი მოქმედი გმირი, ძაღლი ან ნახევრად მგელია.
13. ლონდონში სამთავრობო დაწესებულებები უაითჰოლის ქუჩაზეა განლაგებული. ამის გამო, ინგლისელები თავიანთ მთავრობას ამ ქუჩის სახელით მოიხსენიებენ.
14. მდინარე დუნაის ნაპირზე ვეროპის ოთხი სახელმწიფოს დედაქალაქი – კენა, ბუდაპეშტი, ბელგრადი და ბრატისლავა – მდებარეობს.
15. მეფის რუსეთში ასმანეთიან ასიგნაციებზე ეკატერინე II იყო გამოსასული და ამის გამო მათ ხალხი „ეკატერინეებს“ ეძახდა.
16. ავტობიოგრაფიული ტრილოგიის პირველი მოთხრობა, „ბავშვობა“, ლევ ტოლსტოიმ 1852 წელს თბილისში დაწერა.
17. ევრესტი პირველად ახალხელანდიელმა ედმუნდ ჰილარიმ და შერპამ ნ. ტენცინგმა დაიპყრეს.



მის დროს კაცებს იმდენი კურიოზი გადახდნიათ, რომ მათზე სერიალის გადაღებაც კი შეიძლება.

თუმცა, მე სერიალს არ დავუცდი და ფრამენტულად შემოვთავაზებთ იმ ფაქტორებს, რომელიც ბახუსის მოყვარულთ სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ვითარებაში გადახდნით თავს.

80-იან წლებში ეწ. „გეპის“ (პოლიტექნიკური ინსტიტუტის) სტუდენტი ვაჟები რუსეთის სხვადასხვა ქალაქში გადიოდნენ პრაქტიკას.

ერთ ზაფხულს, როცა ხიდებისა და გვირაბების მომავალ მშენებელთა ჯგუფი სოჭში გაგზავნეს, სტუდენტთა სინარულს საზღვარი არ ჰქონდა. ხუმრობა ხომ არ იყო? – გაგანია სეზონის დროს ზღვაზე ყოფნა მოუწევდათ, თანაც ემუდებოდათ, რომ სამშენებლო ობიექტიდან იოლად დაიბრუნდნენ თავს.

იმედი გაუმართლდათ: ობიექტზე რამდენიმე რუსი მუშა დახვდათ. დილით გამოცხადებოდნენ მშენებლობაზე, 2 სთ-მდე ხელს შეაშველებდნენ რუსებს, მერე კი თბილისიდან წაღებულ ჭაჭის არაფს უფვეშაშებდნენ და ისინიც სინარულიც უშვებდნენ: В такое жарыще что вы здесь делаете? – Идите и гуляйте на здоровье!..

ბიჭებსაც მეტი რა უნდოდათ?.. ერთადერთი პრობლემა, რომელიც ვერაფრით გადაჭრეს, მათი ძმაკაცი – წალენჯიხელი ნოდარა გაგუა იყო: იმისთანა ცული სიმთვრალე ჰქონდა, ისეთ ჭინჭულ ხასიათს ავლენდა, რომ მის გვერდით ყოფნა აღარავის სურდა. არადა, გამოფხიზლდებოდა თუ არა, ბოდიშებდა იღვრებოდა, ყველას სიყვარულს ეფიცებოდა და „აღთქმას“ ღებდა, რომ იფივეს აღარ გაიმეორებდა... გავიდოდა ორიოდე დღე, ხელი და სული კვლავ ჭიქისკენ წაუცდებოდა და ხელახლა იწყებოდა ტრადიციად ქცეული დავიდარაბა.

ერთხელ, ბიჭებმა მთელი თვის მანძილზე გამოთუმეგებული ფული აიღეს, რესტორანში წავიდნენ და პირველი ხელფასი „დაასვენეს“ კი არა – „ჩააღებეს“. რაც შეეხება ნოდარს, ისე გადავიდა ჭკუდან, ზღვაში ნავით შევიდა, იქ თავზე ჭიქაშემოიდგებოდა, „შალახო“ იცეკვა, მერე ის ერთი ჭიქაც დალია და თავდაყირა გადაეშვა ზღვაში. ძლივს გამოათრეს ნაპირზე. ბიჭები ამ ალიაქოთში გამოფხიზლდნენ, გადარჩენილი კი გონზე ვერ მოიყვანეს – ყურებამდე გადიმბულს ეძინა და აზრზეც არ იყო, რომ ღვინის მერე ზღვის წყალიც ბლომად ჰქონდა ნაყლაბი.

მეგობრებმა ნოდარა გაგუა „აიღეს“, „წაიღეს“ და სასტუმროში, თავის ნომერში საწოლზე „დააღეს“. ნოდარას კვლავ ტკბილად ეძინა.

ასე გაგრძელდა რომ აღარ შეიძლება, ამას ყველა მიხვდა, ამიტომაც გამოსავალს დაუწყეს ძებნა.

– ბიჭო, სანამ ეს ფული გამოლევა, სულს ამოგვართმევს ყველას. რაღაც უნდა მოვი-



ფიქრით, თორემ გავეიმწარებს და ჩავკაშხამებს სოჭში გასატარებულ დღეებს, – თქვა დათიმ და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

– გაი ხანია, ამაზე მეც ვფიქრობ. მოდი, ერთი მაგარი „მტკუა“ გავუკეთოთ და მოვაჭკუახე! – დაუმბა შალვამ და მერე ისეთივე სცენა გათამაშდა, როგორც ფილმ „ქეთო და კოტეში“ ხანუამ და მისმა დამქაშებმა „ჩუმად, ჩუმად, არვენ გაგვივო“-ს ძახილით გაითამაშეს...

მეორე დღეს, როცა ნოდარას გაეღვიძა, მზე კარგა ხნის ამოწვილი იყო. თავი კი უბრუნდა, მაგრამ ჩახანა დაღე კარგ განწყობას უქნია. ბიჭები უკვე წასულიყვნენ. ის იყო, ადგომა დაპირა, აბაზანიდან წყლის შხაპუნი მოესმა; მერე ისიც დააფიქსირა, რომ ტრუსი არ ეცვა. სახეზე აღმოჩნდა გადაჭკრა და გულში ტკივილით გაიფიქრა: ნეტავ, გუშინ რა სისულელე ჩავიდინეო?.. მოკუნტული ადგა, კარადიდან ახალი საცვალი გამოიღო და ჩაიცვა. სარკესთან წარწერას მოჰკრა თვალი – „ვაი, შენს პატრონს!“ (იცნო, დათოს ხელი იყო), უცებ აბაზანის კარი გაიღო და იქიდან ყურე-ბამდე გადიმბული ვერაჩკა გამოვიდა. ნოდარა სახტად დარჩა. ქალმა არ დაყოფნა – მივიდა, მიუაღერსა და უთხრა: Ну что, муженёк, когда сыграем свадьбу?.. Что-о? – ქვედა ყბა ჩამოუვარდა გაგუას. Ладно, пусть будет всё скромненько, сейчас мне некогда – потом поговорим – თქვა ქალმა, ნოდარას დაბიჯინებულ ლოყაზე აკოცა და სწრაფად გავიდა ოთახიდან.

ნოდარა საწოლზე ჩამოვდა, ყელში განხერილი ნერწყვი ძლივს გადავლდა და გონება ააბუშავა: „ვერ რესტორანში წავედით, მაგრამ დავლიეთ, მერე ვიცეკვე, მერე? ოთხი საათი იქნებოდა, მგონი, სანაპიროზე რომ გავედით... აი, მერე რა მოხდა, ნამდვილად აღარ მახსოვს“. ამ ფიქრებში რომ იყო, კარი ლამის

შემოგლიჯა დათომ. მას დანარჩენებიც შემოჭყენენ.

- ე, ბიჭო, მითხარი, რა ჩავიდინე გუმინ? „ეტაჟნიცა“ ვერა ღამე ჩემთან იყო? - ამოიხვალა გაგუამ.

ბიჭებს ქირქელი აუტყდათ.

- მართო ღამე რომ ყოფილიყო, მაგას რა უჭირდა?! მასე ჩვენთანაც კი ყოფილა... - თქვა დათომ და ნოდარას თვალები დაუბრიალა. - მაინც, ეს როგორ გადაირი და გადაევირე ყველა - მილაღ აუშვი აფრება! ამ „ეტაჟნიცას“ მეტი ვერავინ ნახე?! ფელინის „ამარკორდის“ გმირივით რომ ღრიალებდი - Я хочу женщину! და საცკალგახდელი მისდევდი ვერას, აბა, რა გვეონა? - არ ინლობდა მძაკაცო.

- ე, ბიჭო, გული ნუ გამიწვრილე - ბოლომდე მითხარი, რა ექენი?

- რა და, ბუღა ხარივით გაეკიდე იმ ქალს. ვერაჩკას ვერ შეუმინდა, მერე, რომ გაიგო, რაც გინდოდა, ულტიმატუმე წავიყენა: ჩემი მეგობარი მამის ბიუროში მუშაობს, ვერ იმასთან მივიღეთ, ხელი მოვაწეროთ თვითცალკურად და მხოლოდ მერე დაგენებდები! ნოდარამ ისე იკბინა ტუჩზე, სისხლის გემო იგრძობ პირში.

- მერე? ვერას მძაკაცები ხართ თუ ჩემი?! თქვენ სად ყვართ? - დაკოდილი დათვივით დაიღრიალა მან.

- ვერ გაგაკავეთ, ძმაო! ყველას ყელს გამოვადრავთ, ვერა თუ ცოლად არ გამომყვებაო - ასე დაღვებუქრე და რა გვექნა?! - არც ვოჩამ უხათრა და პირში მიახალა „მწარე სიმართლე“.

- აუ, ჩემი... - შუბლზე ხელი იტკიცა გაგუამ. - გამოვიქვებიან ჩვენები, ვაგა, ჩქიმი ცოლდა?! - „ჩამეგროლა“ გამწარებულმა.

- რას აპირებ? - მრავალმნიშვნელოვნად ჩაეკითხა დათო.

- რას უნდა ვაპირობდე?... იმ ქალს ორი ბაემვი უკვე ჰყავს და მესამეც თუ „დაწყებულ“ მატქს (თანაც, თვითცალკურად ხელიც მატქს მოწერილი) - ცოცხლად მიტირეთ და ეგაა!.. ხომ ხართ ჩემი ძმები? ოღონდ ახლა მიშველეთ და ოდესმე პირში თუ გადავფეშვა სასმელი, ტყვია დამახალეთ შგ შუბლში! - მოლბა ნოდარა და თვალები აუწყლიანდა.

გოჩამ ცხვირზე ხელი მოიჭირა, რომ სიცილი არ წასკლომოდა და გარეთ გავარდა.

- იცი, რას გეტყვი?... რუსი მაინც რუსია... ამ ჩვენს „ეტაჟნიცას“ კი უნდოდა ქართველი ქმარი, მარა ფულს თუ მივცემთ და ვეტყვი, არ იყო მაგი შენი ღირსი და ფული დაგიტოვა-თქვა, არა მგონია „იბუნისო“!

- მაინც რამდენი ყყოფა? - ამ „აღმოჩენაზე“ თვალები გაუბრწყინდა ნოდარას.

- ალბათ, ხუთასი მანეთი!

- აუჰ, სულ სამასი რომ მატქს?! - ყურები ჩამოყარა გაგუამ.

- მერე ძმები ტყვიად ვართ? დანარჩენს ჩვენ მოვიგროვებთ, შე კაცი! - მხარზე ხელი

დაჰკრა დათომ.

ნოდარა მკვირცხლად შეტრიალდა, კარადიდან კონვერტში შენახული ფული გამოიღო და დათოს გადასცა.

- შენ კი, ადექი და ხვალვე „მოცოცხე“ აქედან - „ბლეტი“ ქენი, რა!

- მერე პრაქტიკა, სამსახური?... ინსტიტუტში რა ვთქვა?

ბიჭებს სიცილი აუტყდათ.

- გამაძიებებს ეს კაცი! მადლობა გვითხარი, „МЕЖДУНАРОДНАЯ“ ვერაჩკა რომ მოგამორო! ქალი დღე-ღღეზე ქორწილის ელოდება და ნათესავებს ეპატივებს!

- მერე და, პრაქტიკა რომ დამთავრდება და აიხმოს - თბილისში უნდა წამოგყვით, ნოდარა მძენეთო? - წარმოიდგინა შემხარავი პერსპექტივა გაგუამ და ტანში დაბურბლა.

- მაგაზე ნუ ნერვიულობ, ყველაფერს ჩვენ მოვაგვარებთ!

ბიჭები „საქმის“ ჩასაფარცხად წავიდ-წამოვიდნენ, ნოდარამ კი საწოლის ქვეშედან ჩემოდანი გამოათრია და თავისი ბარგი-ბარხანის ჩალაგებას შეუდგა...

იმავე საღამოს ბიჭებმა დავალების სანიმუშოდ შესრულებისთვის „ეტაჟნიცა“ ვერაჩკას ხელში ოცი მანეთი ჩაუკუჭვეს, თვითონ კი კვლავ რესტორანს მიაშურეს, რომ ახვერად მაინც შფოთისთავ ნოდარას გარეშე გემო ჩაეტანებინათ ღვინისათვის.

ავვისტოს ბოლოს, მშენიშობიებული და დასვენებული „მშენიშობები“ სოჭის მტარებლიდან „ჩამოიცალდნენ“ და მხიარულად გაემშურნენ სადგურის გასასვლელისკენ. სწორედ ამ დროს, ერთ კუთხეში მიმალულმა ნოდარამ გამოყო თავი. ჩუმაღ წაუსტვინა და დათოს ხელი დაუქნია. დათო ვერ დაიბნა, მერე გაასწინდა მოწყობილი „შტუკა“ და ხალისით გადაეხვია მეგობარს.

- რაფერაა საქმე? აღარ გამოგყვით ვერაჩკა? ხომ არ მიჩივის? - ზედიზედ მაყარა კითხვები.

- გაუკეთებელი არაფერია, ძმაო! შენს დატოვებულ ფულს ჩვენიც შევაშველეთ და ყვავილებთან ერთად მივართვით „ეტაჟნიცას“. ცოტა კი წაიწირა, მარა ფული რომ დაინახა, მალე შეიშრო ცრემლები... წამო, აღვნიშნოთ ეს ამბავი, ჩემთან გეპატივები! - ალაღად მიიპატივა დათომ.

- აჰ, არა, ძმაო! - ხელები გაასავსავა ნოდარამ, - დაეფიცე: ოღონდ ამ დავიდარაბას გადამარჩინე და წვეთსაც აღარ დავლევ-მეთქი.

- ოო... თუ ფიცი გაქვს დადებული, მაშინ ნულარ დაარღვევ - ეგ, მართლაც, დიდი ცოლვა! - მრავალმნიშვნელოვნად დაუქნია თავი დათომ.

მას მერე აღარ დაუღვევია ნოდარა გაგუას და ვერაჩკას კლანჭებიდან გამოხსნილს ახლა მშენიშობი ცოლი და სამი შვილი ჰყავს.

ა, ბატონო! ზოგჯერ ტყვილიც სასარგებლო ყოფილა!

ინფორმაციული-შეხვედრითი კოლაჟი

ეოჩა ღვალის უბის წიგნაკოდან:

18. ჰარვარდის უნივერსიტეტი კემბრიჯში 1636 წელს დაარსდა. თავიდან კოლეჯი იყო. ეს სახელი მას ამერიკაში ემიგრირებული ინგლისელი მინისტრის, ჯორჯ ჰარვარდის, პატივსაცემად ეწოდა, რომელმაც კოლეჯს თავისი ქონების ნახევარი და მდიდარი ბიბლიოთეკა დაუტოვა.

19. საქართველოში ტახტის მემკვიდრის აღმზრდელ ვეზირს ათაბაგს ეძახდნენ. პირველად ეს ტიტული იფანე მხარგრძელს ებოძა. მოგვიანებით ათაბაგი სამცხის მთავართა ტიტულად იქცა.

20. ერთი ღამის განმავლობაში ბეჭემოთი ერთ ცენტნერამდე ბალახს ღოვს.

21. ღენდი, ფრანტი და კლოზარი სინონიმები არიან.

22. ჩვენამდე მოღწეული 50 ბერძენ-რომაელი მოღვაწის ცხოვრების პლუტარქესული აღწერიდან 46 ბიოგრაფია წველეულა და პარალელიზმის პრინციპით არის აგებული. სულ 23 წველია. ამით შორის XIX და XX ტეტრადას წარმოადგენს - ოთხი მოღვაწის ბიოგრაფია ერთადაა დალაგებული: ორი ბერძენი მოღვაწის ცხოვრებას უბირისპირდება ორი რომაელის ცხოვრების აღწერა. დანარჩენ ოთხ ბიოგრაფიაში იმ მოღვაწეთა ცხოვრებაა აღწერილი, რომელთაც, როგორც ჩანს, პლუტარქემ პარალელები ვერ მოუძებნა. ბიოგრაფიები შემდეგნაირად არის დაწველებული: 1. თევზესი - რომულუსი (ერთი ბერძენი - ერთი რომაელი და ა.შ.); 2. ლიკურე - ნუმა 3. სოლონი - პუბლიკოლა; 4. თემისტოკლე - კამილუსი; 5. პერიკლე - ფაბიუს მაციმუსი; 6. ალკიბიადე - გაიუს მარციუსი; 7. ტიმოლეონტი - ემილიუს პაულუსი; 8. პელოპიდა - მარცელუსი; 9. არისტიდე - კატონ უფროსი; 10. ფილოპოიმენი - ტიტუს კვინციუს ფლამინიუსი; 11. პიროსი - გაიუს მარციუსი; 12. ლისანდრე - სულა; 13. კიმონი - ლუკულუსი; 14. ნიკია - კრასუსი; 15. ემპენე - სერტორიუსი; 16. აგესილაე - პომპეუსი; 17. ალექსანდრე მაკედონელი - გაიუს ოულიუს კეისარი; 18. ფოკიონი - კატონ უმცროსი; 19-20. აგისი და კლეომენე - ტიბერიუს და გაიუს გრაკუსები; 21. დემოსთენე - ციცერონი; 22. დემეტრიოს პოლიერკეტე - ანტონიუსი; 23. დიონი - ბრუტუსი. პარალელის გარეშე წარმოდგენილი სპარსთა მეფის არტაქსერქსე მეორის, არატოსის და იმპერატორების - გალბასა და ოტონის - ბიოგრაფიები.





ამას წინათ, ერთმა კოლეგამ მკითხა, შენი მორიგი რესპონდენტი ვინ იქნება, ამჯერად ვისზე „ნადირობო“? რომ ვუთხარი ნინო დარასელზე-მეთქი, — ნეტავ, მაგას რაღა სჭირს „მოსანადირებელი“, განა ისეთი რა უნდა გითხრას... „ისეთი“ და „ასეთი“ არ ვიცი, მაგრამ დიდი ზაზა დარასელის პატარა შვილმა ბევრი რამ მართლაც გულწრფელად და დასამახსოვრებლად მიაშპო. იმდენად გულწრფელად, რომ ვერც კი შევამჩნიე, ოფიციალური „თქვენ“-ობით საუბრიდან უშუალო „შენ-ზე პირველად როგორ გადავედი...“

ვისი ზურგით იყო «გამოქიშული» ნინო დარასელი «მოამბეში»

რუსულან ლებანიძე

— ნინო, ყველანი ბავშვობიდან მოვიდვართ და მოდი, ჩვენც შენი ბავშვობის გახსენებით დავიწყოთ...

— უნდა გამოგიტყდე, რომ ძალიან უნასიათო და ჭინჭყლზე ჭინჭყელი ბავშვი ვიყავი, რაც ჩემზე მეტად, ცხადია, ჩემს ახლობლებს აწუხებდათ და დღემდეც მწარედ ახსოვთ. მე კი ჩემი ბავშვობიდან ყველაზე ცხადად ჩემი საქციელით განრისხებული მამა მაგონდება. ეს განსაკუთრებით იმიტომ დამამახსოვრდა, რომ მას შემდეგ ჩემზე სერიოზულად გაბრაზებული ზაზა, საერთოდ აღარ მინახავს.

— ასეთი საშინელი, მაინც, რა იყავი?

— რა გითხრა... მაგალითად, ჭამით საერთოდ არაფერს ვჭამდი. ის კი არა და, საკმარისი იყო, საჭმელი დამენახა, რომ მაშინვე კედელს თავს ვახლიდი. უფროსებიც, ტვინის შერყევა მაინც აღარ ღამართოსო, საჭმელს საერთოდ არ მამალვებდნენ. ჩაცმას რაც შეეხება, ბებიამედი დღემდე გიჟდება თეთრ და უჩვეულოდ გახამებულ კაბებზე და მაშინ ზომ ასეთ კაბას ლამის კაბაზე მაცმევდა. მე კი მათ ტანზე გულმოდგინედ ვიკლევდი... ისე, ჩემი ჭინჭყლობა მხოლოდ სასკოლო ასაკამდე გრძელდებოდა. სკოლაში კი, ყველას გასაოცრად, არნახულად დისციპლინირებული და გამოჩინებული „ხუთოსანი“, დედ-მამისა და ახლობლების ნამდვილი სიამაყე ვაგზდი...

— მშობლებმა და-ძმა რატომ არ გაგიჩინეს?

— მართალი გითხრა, არ ვიცი და ეს კითხვა მათთვის არც დამისვამს. შეიძლება, იმიტომ, რომ მე და ჩემს დეიდაშვილს — გუკას ბებია ერთად გვზრდიდა

და სანამ დიდი არ ვაგზდი, არც კი მიფიქრია, რომ ძმა არ მყავდა. ის კი არა, დღემდე ერთმანეთს ასე ვიფიცებთ: დას ვფიცავარ და ძმას ვფიცავარ... აი, ჩემს შვილს, ზაზუკას კი უკვე აკლია დედ-მამიშვილი და სულ მეკითხება: როდის გააჩენ, ნინო, და როდის გააჩენ, ყველამ გააჩინა შენ გარდა და შენ რაღა დაგე-მართათო?...

— სახელს გეძახის?

— აბა, დედას როგორ დამიძახებს, როცა დედის ფუნქციას თითქმის ვერ ვასრულებ, რაც ძალიანაც მაწუხებს, მაგრამ რა ვქნა... ჩემს შვილს დედობას და ბებიობას, ორივეს ერთდროულად დედაჩემი უწევს.

— რამდენი წლისაა?

— ვინ, ზაზუკა? რვის.

— რაო, აკვანში გათხოვდი?

— არა. უკვე ოცდაშვიდი წლის ვარ, თუმცა, ყველას ბევრად უმცროსი ვგონივარ. ის კი არა, ბევრს ჩემი პირველი დანახვისას, „დედა, შენ რა პატარა ყოფილხარ“, ისე გაოცებულს აღმოხდება ხოლმე, რომ თავი მართლა გნომი მგონია. ეს, ალბათ, იმიტომ ხდება, რომ ეკრანზე უფრო დიდ-იც ვჩანვარ და ბევრად უფროსიც...

— თანაც, ძალიან სერიოზულიც...

— ეს უკვე საქტელერადიოკოროპორაციის თავმჯდომარის ზაზა შენგელიას დამსახურებაა, სულ იმიჯს გაუფრთხილდი და იმიჯს გაუფრთხილდიო, რომ დამძახოდა...

— ტელევიზიასთან შენი საქმიანი შეხება როდის და როგორ დაიწყო?

— დღემდე მგონია, რაც თავი მახსოვს, სულ ტელევიზიაში ვარ-მეთქი. თუმცა, სინამდვილეში, ეს საკმაოდ გვიან მოხდა. პროფესიითაც, ჟურნალისტი კი არა, გერ-

მანული ენის სპეციალისტი ვარ. ტელევიზიაში პირველად „მეორე არხზე“ მივედი...

— თავიდანვე მამის „ფრთებს“ შეეფარე?

— მართალი გითხრა, მაშინ მამაჩემის გარეშეც ყველაფრის გაკეთება ძალიან ადვილი მეგონა. მაგრამ, როცა მკითხეს, რისი გაკეთება გინდაო, უცბად მივხვდი, რომ საერთოდ არ ვიყავი აზრზე, რა მინდოდა. კარგო, მითხრეს, შენ თუ არ იცი, მაშინ ჩვენ დაგავალდებოთ და სიუჟეტის გასაკეთებლად უპატრონო ბავშვთა სახლში გამიშვეს. იქიდან ისეთი დათრგუნვილი მოვბრუნდი, რომ არათუ სიუჟეტი ვერ მოვამზადე, ისიც კი გამოვაცხადე, ტელევიზიაში საერთოდ ვერ ვიმუშავებ-მეთქი. მერე, როცა დამამშვიდეს და დამაიმედეს, მეორე სიუჟეტი უფრო ადვილად გამოგივაო, სასწრაფოდ ვთხოვე, მეტიც — ლამის შევევედრე, რაც შეიძლება უფრო მხიარულ და გასართობ რედაქციაში მამუშავებო-მეთქი. მართლაც, ორი წელი სულ გასართობ გადაცემებს ვაკეთებდი. მათგან ერთს „ობიექტივი“ ერქვა, მეორეს — „ანტრე“. ახლა ვფიქრობ, რომ სწორედ ამ გადაცემებში ვაკეთებდი იმას, რაც მართლა მინდოდა...

— თუ ასე იყო, მოგვიანებით „პირველ არხზე“, თანაც „მოამბეში“ თავი რატომღა ამოყავი?

— დღემდე არ ვიცი, რატომ. ეს უფრო ზაზა შენგელიას გადაწყვეტილებაა... არა, გადაწყვეტილება კი არა, ზუსტად ახლაც ვერ ვამბობ, რა იყო...

— ახირება?

— ახირებაც არა, ალბათ უფრო, დაჟინებული თხოვნა... თუმცა, საბოლოოდ, ყველაფერი მაინც ჩემი ბრალი იყო. იმ-იტომ, რომ ძალიან უპრინციპო ადამიანი



ვარ და „არა“-ს თქმაც ძალიან მიჭირს. მეტიც, ფაქტობრივად, „არა“-ს არც კი ვამბობ ხოლმე. ამიტომ, ხანდახან, ცოტა კიდევ მეშინია, ვინმემ რამე საშინელება არ მოხვოს-მეთქი... მოკლედ, ასეთი გაუგებრობის შედეგად მოვხვდი „მოამბეში“, რომელმაც ბოლომდე მაინც ვერაფრით ჩამითრია.

— როგორც ჩანს, კარგი მსახიობიც უნდა იყო, რადგან ეკრანზე ეს „ჩაუთრეველობა“ ნამდვილად არ გეტყობოდა...

— სხვათა შორის, ამას მართლაც ბევრი მეუბნებოდა. იმიტომ, რომ როგორც კი კამერის წინ ვხვდებოდი და ლაპარაკს ვიწყებდი, თითქოს სულ სხვა ადამიანიც ვხდებოდი... გაწონასწორებული და ზედმიწევნით სერიოზული... ერთხელ, სუფრასთან მოვხვდი, სადაც ერთმა ქალმა მიყურა, მიყურა და... დედა, ამ ბავშვს სიცილიც სცოდნიაო, ლამის შეიცხადა...

— როგორც ვიცო, შენი „გაპირველარხელება“ მამაშენსაც საკმაოდ შეიცხადა და მძიმედაც გადაიტანა...

— „პირველ არხზე“ ჩემი გადასვლა მამაჩემის ავადმყოფობას დაემთხვა. თანაც, კონკრეტულად იმ პერიოდში აქაც არ იყო, საზღვარგარეთ მკურნალობდა. თავიდან ძალიან წინააღმდეგი წავიდა, მაგრამ საერთოდ ისიც ჩემსავით დამთმობი იყო და, როგორც კი ზაზა შენგელიამ დაურეკა, უცხად მოლბა და დათანხმდა. თუმცა, ამ ფაქტს ბოლომდე მაინც ვერაფრით შევეუბა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თავადაც იყო საინფორმაციოში ნამუშევარი და კარგად იცოდა, ეს რამხელა პასუხისმგებლობაა, თანაც, დიდად არც ჩემი ახალი იმიჯი მოსწონდა: „რა არის, სალდაფონივით რომ გაჭიმულხარ, ცოტა მოეშვი, გაიდიმე, პერანგის საყელოც ნიკაპამდე რომ შეგიკრავს, ოღონდ მაინც შეიხსენი“... ერთი სიტყვით, ისეთი, როგორც მასთან „მეორე არხზე“ ვიყავი, ბევრად უფრო მოვწონდი. თუმცა, შეიძლება ეს „პირველ არხზე“ ეჭვიანობაც იყო. მისთვის ხომ „მეორე არხი“ მართლაც ყველაფერი იყო...

— ზაზას გარდაცვალების შემდეგ მგონი, სადღაც ისიც ამოვიკითხე, რომ ბოლომდე, ისე, როგორც მის ნიჭსა და გაქაჩნებას შეეფერე-

ბოდა, მაინც ვერავინ აპყველო...

— ამ აზრს ვერაფრით დავეთანხმები. ის კი არა და, პირველ წლებში, არ ვიცი, ზაზა აპყვა ახალგაზრდებს თუ — პირიქით, „მეორე არხი“ ზუსტად ისეთი გააკეთეს, როგორც პირველ რიგში, თავად ზაზას სურდა. ეს იყო ყვე-

ლანაირი ცენზურისა და დოგმისგან თავისუფალი არხი... მაგრამ მერე ზაზას ავადმყოფობამ, თითქოს, „მეორე არხიც“ მასავით ჩამოაღწია... თუმცა, ატმოსფერო ბოლომდე არ შეცვლილა. მეტიც, „მეორე არხს“ დღემდე შემორჩნენ ადამიანები, ვინც, უამრავი შემოთავაზების მიუხედავად, ფეხი არ მოიცვალა, რადგან მათაც ზაზასავით სჯერათ, რომ ხვალ მართლაც ყველაფერი კარგად იქნება! მეც სწორედ ამ რწმენით ვბრუნდები „მეორე არხზე“.

— ისე, როგორც ამახსენებთ პრესაში „იმუქრებოდი“, რაღაც განსაკუთრებულად გამორჩეული გადაცემის გაკეთებასაც აპირებ. მაინც, როგორ წარმოგიდგენია ეს ყველაფერი?

— როგორ და... გადმორთავს ადამიანი ტელევიზორს „მეორე არხზე“ და დაინახავს, რომ ამ ქვეყანაში, პოლიტიკის გარდა, კიდევ რაღაც ხდება. რომ, თურმე, დათო ევგენიძე მშვენიერ მუსიკას წერს, ირაკლი ჩარკვიანი კი მუსიკასაც წერს და კიდევ რაღაც ფსიქოლოგიურ ტრაქტატებსაც, რომელიც ასევე ძალიან საინტერესოა; რომ ვია ბულაძე, მართალია, ზოგჯერ ოუსტიციის სამინისტროს კედლებზეც, მაგრამ მაინც ძველებურად შესანიშნავად ხატავს; რომ ლაშა ბულაძის პიესა უკვე ლონდონში იდგმება; რომ რატი ამდღობელი საოცარ ლექსებს წერს... რომ, საერთოდაც, ცხოვრება არ შემწყდარა და მასში ახალი მუხტის შეტანა მართო სააკაშვილს ან თარგამაძეებსა და გოგიტიძეებს როდი შეუძლიათ; რომ იქნებ, სჯობდეს, ვისაც რისი ნიჭი აქვს, ის აკეთოს და თუ ვთქვათ, ვიოლინოზე ვირტუოზულად უკრავ, ეგებ პოლიტიკოსობაზე აღარ იფიქრო და ხალხს სიამოვნება და სიხარული სწორედ ვიოლინოზე დაკვრით მიანიჭო...

— ოლონდ, კარგი იქნება, თუ ვიოლინოზე დაკვრა ამ ვირტუოზს მართო მინისტრებმა გადასასვლელელებში არ მოუწვეს...

— დიახ. კარგად მესმის, რომ ჩვენს პირობებში ამის გაკეთება ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ იმასაც ვგრძნობ, რომ დაწყება მაინც აუცილებელია.

— უკვე ზაზა დარასელის სახ-

მაზა დარასელი შეილიშვილთან, პაგარა მაზასთან ერთად

ელობის ფონდმაც ხომ არ დაიწყო მოქმედება?

— მამაჩემმა მთელი ცხოვრება ახალგაზრდა ჟურნალისტების გამოზრდას შეაღწია. ერთხელ კიდევ იხუმრა: არ სჯობდა, სკოლა გამეხსნა, ცოტა ფულსაც ხომ ვიშოვიდიო... ზაზას სახელობის ფონდიც სწორედ ახალგაზრდა ჟურნალისტთა ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა. შეიძლება, ეს მათი მატერიალური დახმარების სახით მოხდეს, შეიძლება, შემოქმედებით კონკურსებში გამარჯვებულები დავაჯილდოოთ...


— რამდენადაც ვიცი, ფონდი გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის გამოძიებასაც შეეწევა.

— ბევრი ვიფიქრეთ, ეს როგორ გავგეგმეთინა და ბოლოს, იმ დასკვნამდე მივედი, რომ აქცენტი მოწმის ჩვენებაზე უნდა აგვედო, ე.ი. გარკვეული თანხით ის ადამიანი დავგვეჯილდოებინა, ვინც თავისი ჩვენებით ამ საშინელი მკვლელობის გახსნას ხელს ყველაზე მეტად შეუწყობს. ვიცი, ამ გადაწყვეტილებას, ცოცხალი რომ ყოფილიყო, მამაც უთუოდ მიესალმებოდა.

— რაკი სიკვდილ-სიცოცხლეს შევეხეთ, თავად ზაზა დარასელი როგორღა შეხვდა სიკვდილს, ხომ არ შეეშინდა?

— ბოლოს, საოცრად რელიგიური გახდა. მართლა ძალიან სწორად იცხოვრა. და ყველაზე დიდი საოცრება, იცი, რა იყო? იცი, რა მოუტანა უსაზღვრო რწმენამ?... ამ დაავადებისათვის ჩვეული, საშინელი ტკივილები დაუამა. ზაზა ტკივილით გატანჯული კი არ მოკვდა, უბრალოდ, დაიღალა, დაიღია და გარდაიცვალა. პირდაპირ საოცარი იყო... სულ ვეკითხებოდი: ზაზა, არ გტკივა-მეთქი? არა, ნინი, არ მტკივაო, — ისე მშვიდად მპასუხობდა, რომ მერე ვფიქრობდი, ასე უნდა ირწმუნო და ღმერთი შეგლას ყოველთვის მოგვერის-მეთქი. აკი მოჰკვარა კიდევ...

მანამდე კი, მამაჩემმა ისეთი სისხლსავსე, ბობოქარი ცხოვრებით იცხოვრა,



იმდენად ბევრი, წარმოუდგენლად ბევრი იბრძოლა სიცოცხლისათვის, რომ ხანდახან ისიც კი მეჩვენება – მარტო თავისი კი არა, სხვისი წილი ასე წელიც იცოცხლა-მეთქი და ამიტომ აღარ მებრალებს. უფრო სწორად, მასზე მეტად საკუთარი თავი მებრალება, რომ მამა აღარ მყავს. იმიტომ, რომ ზაზა ჩემთვის ყველაფერი იყო. ახლა, ხანდახან, იმასაც კი ვფიქრობ, რომ საერთოდაც არაფრის კეთება არ მცოდნია, თურმე ყველაფერს მას ვეკითხებოდი, მისი რჩევით, მითითებით ვმოქმედებდი... თუმცა, პირდაპირ არასდროს არაფერი მიუთითებია. გამოსავალს კი ყოველთვის მაპოვნინებდა ხოლმე. მაშინაც კი, როცა მეგონა, რომ ცა ჩამოშექცა და არაფრის შეცვლა აღარ შეიძლება-მეთქი, ჩემი დამშვიდება და საპირისპიროში დარწმუნება შეეძლო...

— როგორც თავად აღნიშნე, ასე იყო შენი ერთი სკანდალური ინტერვიუს შემდეგაც ასეთი საშინელი მაშინ მაინც რა თქვი?

— რა ვიცი, ალბათ, ყველაფერი... მოვყვი, როგორ ვცხოვრობ... მაგალითად, ვთქვი, კაზინოში დავდივარ-მეთქი. ისე, უფრო ხშირად, კარტს ოჯახში, მეგობრებში ვთამაშობ. თუმცა, კაზინოშიც ვთამაშობ და ამის თქმის სულაც არ მრცხვენია – ძალიან აზარტული ვარ და რა ვქნა?!

— ბევრ ფულს აგებ ხოლმე?

— ბევრი ფული არც არასდროს წამიგია და არც მომიგია... ჰო, იმ ინტერვიუში ჩემი გათხოვების ამბავიც მოვყვი, რაც ზაზასთვის მართლაც ძალიან ცუდი გასახსენებელი იყო...

— მამისთვის შვილის გათხოვება ასე „ძალიან ცუდი“ გასახსენებელი მაინც რატომ უნდა ყოფილიყო?

— უბრალოდ... საქმე ისაა, რომ ჯერ ერთხელ გაეთხოვდი... შემდეგ – მეორედაც... და მეც ეს ყველაფერი გულწრფელად მოვყვი. ეს იყო და ეს. თორემ ის კი არ მითქვამს, ეს ძალიან კარგი იყო-მეთქი. თუმცა, ზოგი ამანაც საშინლად აღაშფოთა. ზაზამ კი ყველაფერი ზუსტად ისე გაიგო, ისე მშვიდად მითხრა – რა კარგია, რომ მაღალფარდოვანი სიტყვების კორიანტელი არ დააყენე და რაც სინამდვილეში ხარ, ის მოყვიეო, – რომ მე საოცრად დამამშვიდა. თუმცა, ახლა რომ ვფიქრობ, ვხვდები: იმდენად ჩემი საქციელი კი არ მოეწონა, რამდენადაც მიხვდა, რომ ძალიან შემეშინდა და ჩემი დამშვიდება ყველანაირად სცადა და შეძლო კიდევ. თანაც, იმდენად კარგად, რომ მართალი ვითხრა, ახლა უკვე ისიც კი აღარ ვიცი, ის ინტერვიუ, რომელსაც ზაზას გარეშე მივიცემ, მართლა კარგი იქნება თუ ცუდი...

— გინდა თქვა, რომ ზაზასთან ერთად შენი უდარდებლობაც დას-

რულდა და ახლა ყველაფერზე პასუხი თავად უნდა აგო?

— ალბათ. არ ვიცი! ზაზას შემდეგ ჯერ კიდევ იმდენი რამ არ ვიცი, როგორ იქნება, რომ...

— შენი პირველი გათხოვებაც მამის ხელში განებივრებული გოგოს უდარდებლობა ხომ არ იყო?

— მე უფრო გაუგებრობას დავარქმევდი. თუმცა, დღევანდელი გადასახედიდან იმასაც ვფიქრობ, რომ მაშინ, უბრალოდ, ძალიან პატარა, უფრო სწორად – ძალიან ინფანტილური ვიყავი... თორემ, დღეს ბევრი 16 წლის გოგო საკმაოდ წინდახედულიცაა...

— შენს დღევანდელ მეუღლეს სიყვარულით გაჰყავი?

— ეს ნამდვილად ერთი ნახვით შეყვარება იყო! მე და ნიკამ ერთმანეთი 15 აპრილს, ჩემი მეგობრის დაბადების დღეზე გავიცანით, სადაც სულ თხუთმეტი წუთით ავირბინე. ქვემოთ მძლოლი მელოდებოდა, რომელსაც, ჩემი მშობლების მკაცრი მითითებით, საჩუქრის გადაცემისთანავე, ისევ შინ უნდა დავებრუნებინე... ერთი წლის შემდეგ, ისევ ზუსტად 15 აპრილს კი, ნიკას ცოლადაც გავყვი. უფრო სწორად, გავიპარეთ...

— როგორი ცოლი და დიასახლისი აღმოჩნდი?

— ურიგო ცოლი ნამდვილად არ უნდა ვიყო. თუმცა დიასახლისობისა კი რა ვითხრა... ძალიან ცუდი დიასახლისი ვარ, რაც ჩემი ოჯახის წევრების დიდი „დამსახურებაა“. ჩვენს ოჯახში ყოველთვის იმდენი ქალი ტრიალებდა, რომ სამზარეულოში, რომ იტყვიან, ფეხის დასაბიჯებელი ადგილიც აღარ იყო. თუმცა, ერთხელ მაინც „ვიმარჯვე“ და ერობოკვერცხიც „შევიწვი“ – უფრო სწორად, ტაფაზე პირდაპირ „ცოცხალი“, ნაჭუჭიანი, კვერცხი დავახალე და გვერდზე კარაქის მოზრდილი ნაჭერიც მივუდე... ამით დაიწყო და დამთავრდა კიდევ ჩემი დიასახლისობა...

— როგორც ჩანს, ყველაფერთან ერთად, ზედმეტად დიდსულოვანი ქმარიც უნდა გყავდეს...

— ძალიან. ჩემი ქმარი ჩემგან აბსოლუტურად განსხვავებული, ღინჯი, მშვი-

დი, საოცრად გაწონასწორებული ადამიანია. ემოციებზე დაყრდნობით არასდროს არაფერს აკეთებს. თორემ ისიც რომ ჩემნაირი იყოს, ხომ წარმოგიდგენია, ჩვენს ოჯახში რა მოხდებოდა. ისე, ამაშიც სულ მამას ვგავარ. როცა მე და ზაზა სახლში ერთად ვიყავით, ისეთი ხმაური იდგა, რომ დედაჩემი და ჩემი ქმარი – ეს ორი მშვიდი ადამიანი – ხან სად და ხან სად მიიფუფებოდნენ ხოლმე. თუმცა, საბოლოოდ, ოჯახში ყველაფერი მაინც ისე კეთდებოდა, როგორც ნიკას და რუსოს – დედაჩემს – სურდათ. მე და ზაზას კი მხოლოდ ყვირილი და ხმაური ილა შეგვრჩებოდა ხოლმე. აკი „მოამბემში“ ჩემს გადასვლაზეც თავიდან ორივემ ამდენი ვინმამურეთ და ვივიშვიშეთ, საბოლოოდ კი მთელი ორი წელი სწორედ იმ „მოამბის“ ეთერში ვიყავი მშვიდად და უღრტვინველად „გამოჭიმული“...

— ისე, ამ სიმშვიდეში, ალბათ, მამის „ზურგიც“ ძალიან გშველიდა...

— მართლაც ასე იყო... თუმცა, მის სიცოცხლეში ამას ნამდვილად ვერ ვგრძობდი... ახლა, როცა ზაზა აღარ არის, ირგვლივ ცოტა დამფრთხალი და შეშინებულად კი ვიყურები...


— უმამოდ ყველაფრის ნულ-იდან დაწყებაც ხომ არ გიხდება?

— არ მინდა, ჩემი უფროსების ქება გამომივიდეს, მაგრამ ზაზა შენგელია ნამდვილად არ არის ის კაცი, ვინც ზაზა დარასელს ასე ადვილად დაივიწყებს. ამას მე ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ. იგივეს ვიტყვოდი „მეორე არხის“ ახალ ხელმძღვანელზე – კოკა ყანდიაშვილზეც, რომელიც მზადაა, ყველა წამოწყებაში გვერდში ამომიყენოს. ერთი სიტყვით, ზაზას გარეშეც, ოღონდ ისევ ზაზას გამო, ძველებურად ყველას ვჭირდები...


— დაბოლოს, განახლებული „მეორე არხის“ ეთერში პირველად გასული ნინო დარასელი თავის გადაცემას როგორ დაინყებს?

— უბრალოდ ვიტყვი... თუმცა, არა – უბრალოდ კი არა, სიამაყით გამოვაცხადებ: „ეს „მეორე არხია!““





შეამოწმეთ თქვენი მხედველობითი კოორდინაცია
შეამოწმეთ თქვენი მხედველობითი კოორდინაცია
შეამოწმეთ თქვენი მხედველობითი კოორდინაცია
შეამოწმეთ თქვენი მხედველობითი კოორდინაცია



სურათი №1

№1 სურათზე მოცემულია ერთმანეთისგან გარკვეული მანძილით დაშორებული 10 წრე. თქვენი ამოცანაა, მცირე დროში თითოეულ წრეში განათავსოთ 5 წერტილი შემდეგი წესების დაცვით: უნდა დაიწყოთ პირველი წრიდან და ხელის სწრაფი მოძრაობით, შეუჩერებლად დასვათ თითო წერტილი პირველ, მეორე, მესამე და ყველა სხვა მომდევნო წრეში. შემდეგ ისევ

შეუჩერებლად გადახვიდეთ პირველ წრეზე, შემდეგ მეორეზე და ა.შ. სანამ თითოეულ წრეში (ან მასთან ახლოს) ხუთ-ხუთი წერტილი არ აღმოჩნდება.

აუცილებელია, წერტილები ჩასვათ ხელის თითო, მკვეთრი მოძრაობით, სწრაფად და სასურველია, გამოიყენოთ კარგად წათლილი ფანქარი.



სურათი №2

შედეგი იქნება დაახლოებით ისეთი (უკეთესი ან უარესი), როგორც გამოსახულია მე-2 სურათზე. დათვალეთ, თქვენ მიერ შესრულებულ თამაშში სულ რამდენი წერტილი აღმოჩნდა წრის გარეთ და შეამოწმეთ შედეგები:

1) თუ წრეებს გარეთ სულ 10-ზე ნაკლები წერტილი აღმოჩნდა, ე.ი. თქვენ საკმაოდ კარგი მხედველობითი კოორდი-

ნაცია გაქვთ;

2) 10-იდან 15 წერტილამდე იმის მაჩვენებელია, რომ მხედველობითი ორიენტაცია საშუალო დონეზე გაქვთ განვითარებული;

3) თუ წრეებს გარეთ 15 წერტილზე მეტი აღმოჩნდა – თქვენი მხედველობითი კოორდინაცია სუსტად არის განვითარებული.

სურათი №3

შეგიძლიათ შედეგი კიდევ ერთი მეთოდით გადაამოწმოთ:

თქვენ წინაშე, სურათზე №3 მოცემულია ერთმანეთის პარალელური ორი წრე. სცადეთ და ხელის ერთი მოსმით, ფანქრით ან საწერი კალმით მათ შორის გაავლეთ ამ ორი წრეის პარალელური წრე (რა თქმა უნდა, სახაზავის დახმარების გარეშე).

თუ თქვენი ხაზი ზედა ან ქვედა წრეებს 2-3 ჯერ შეეხო – კარგი შედეგია, 4-10 ჯერ შეხება – საშუალო შედეგს ნიშნავს, ხოლო 10-ზე მეტი შეხების წერტილის შემთხვევაში, გაითვალისწინეთ, რომ თქვენი მხედველობა კარგი კოორდინაციით არ გამოირჩევა.

ადამიანის საყვარელი ბოსტნეულის უმეტესი ნაწილი სინამდვილეში ბალჩეულია. რუკაზე თითქმის არ დარჩენილა ადგილი, სადაც არ შეუღწევია კიტრის, ნესვის, საზამთროს, ყაბაყის, პატისონისა თუ გოგრის უღვაშებმა და ლიანებს.


დაახლოებით 6000 წლის წინ, ინდოეთის ერთ-ერთი პატარა ტომის მზარეულმა თავისი ქოხის ღობის ირგვლივ გაზრდილი ველური ნაყოფი გასინჯა. მას ნაყოფმა წყურვილი მოუკლა და ამასთანავე, გემოც მოეწონა. აღმოჩენა სწრაფად შეაფასეს მისმა თანატომელებმა და ნაყოფს, რომელიც 95% წყალს შეიცავდა, სხვადასხვა სანელებლითა და ბალახით უცვლიდნენ გემოს. წყურვილის მოსაკლავ ბალჩეულს ან, როგორც მას საუკუნეების შემდეგ უწოდეს – კიტრს, ძალიან აფასებდნენ ინდოეთის მბრძანებლები. დიდი ხნის მანძილზე აკრძალული იყო ქვეყნის გარეთ მისი გატანა. გამოყვანის საიდუმლო კი იმდენად დაცული იყო, რომ შუა საუკუნეებშიც კიტრი ეგზოტიკურ და იშვიათ დელიკატესად ითვლებოდა.

ერთხელ, თურქეთის სულთანმა მუჰამედ მეორემ თავის შვიდ მოსამსახურეს სიკვდილი მხოლოდ იმისთვის მიუსაჯა, რომ გაეგო – ვინ შეჭამა მისთვის ძღვნად მირთმეული კიტრი.

კიტრის უახლოეს „ნათესავად“ ნესვი ითვლება. თავისი „უფროსი ძმისგან“ განსხვავებით, ეს სათუთი ლამაზმანი უპირატესობას სამხრეთის მზიან ქვეყნებს ანიჭებს. შესახედავად უხეში გარსის მიღმა, C ვიტამინით, ლიმონისა და ვაშლის მჟავით მდიდარი, წვნიანი, თეთრი, სურნელოვანი და ძალიან ტკბილი რბილობი იძლევა. მისი არომატი ყველგან აღწევს, სწორედ სურნელის მიხედვით გამოირჩევა ერთმანეთისგან მკვახე და მწიფე ნესვი.

ნესვს ძირითადად, ცოცხლად მიირთმევენ, მაგრამ მისგან კომპოტის, მურაბისა და სასმელების დამზადებაც შეიძლება; ნესვს ამწნილებენ კიდევ, ხოლო მისი კანისგან ნამცხვრისთვის საჭირო ცუკატებს იღებენ.

ის გურმანები, რომლებიც დესერტს





გემო და სხვა მრავალი საოცარი

ფერის მიხედვით ირჩევენ, ძალიან ფასებენ კიდევ ერთ ბალჩეულ კულტურას – საზამთროს. საზამთროც, მისი „ნათესავების“ მსგავსად, კულინარიული ნიჭის გამოვლენის უსაზღვრო შესაძლებლობებს იძლევა: საზამთროსგან ხარშავენ თაფლს, მას ზამთრისთვის ამწნილებენ კასრებში, აკეთებენ უელეს და ნაყინსაც კი. ცოცხლად მისი შენახვა გაზაფხულამდე შეიძლება, თუ ნაყოფს კარგად წავუსვამთ თიხის სქელ ფენას. უთიხოდ კი, ახალ წლამდე ის ცივი სარდაფის თაროზეც შეინახება... მწიფე საზამთროს შერჩევის ნიშნები – წკრიალა ხმა და მშრალი ყუნწი – საშუალებას გაძლევთ მოახდინოთ მუსიკალური სმენისა და კარგი მხედველობის საჯარო დემონსტრირება. ამიტომ არის, რომ ვეებერთელა

ნაყოფის მიმზიდველობას თვით ლუჩანო პავაროტიც ვერ გაურბის და უდიდეს მომღერალს საზამთროს დესერტი ყველა სხვა დანარჩენს ურჩევნია.

ევროპელი სოფლელების საყვარელი გასართობის – მოსავლის დღესასწაულის უცვლელი დედოფალი, გოგრაა. მათი აზრით, რაც უფრო დიდი და თვალშისაცემია იგი, მით უკეთესია. გოგრას უამრავი სასარგებლო თვისება აქვს: მისი რბილობი შეიცავს გლუკოზას, კალიუმის მარილებს, ფოსფორს, მაგნიუმს და რკინას, C, B1, B2, PP ვიტამინებსა და A პროვიტამინს (კაროტინს). მასში ძალიან მცირე რაოდენობით არის ორგანული მჟავები, ამიტომ გოგრის მირთმევა შეუზღუდავად შეუძლია ყველა ადამიანს.

ერთ-ერთი უდიდესი ჩანჩქერი	... კლუბ-კლუბი	მანქანის კორპუსი	მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება	ხელში მოსამსახურე მამაკაცი	ელვარ ალან	შეიქმნა ცოლი ინდურ მითში	ტელე... ლი... უაქ...
... მწიფე	იაპონელი მწიფომი	სახხვლეკი იარაღი	უაშის ნიჭი	პარიკმახერი	ქვეყნიერების დასასრული, განკითხვის დღე		






გაგა

ბაღჩეული

გემოთი და სტრუქტურით გოგრას ქველაზე მეტად ყაბაყი და პატისონი უახლოვდება. გოგრისგან განსხვავებით, საჭმელად მხოლოდ მათი ახალი ნაყოფის გამოყენება შეიძლება. შემოდგომის პირას დამწიფებული ბოსტნეულისგან საჭმლის მომზადება საკმაოდ დროს და მონდომებას მოითხოვს, სამაგიეროდ, შედეგი ნამდვილად აგინაზღაურებთ დახალისებულ ენერჯიას. არ არის აუცილებელი მისდით ჩინელი მზარეულების რეცეპტებს, რომელთა მიერ ბოსტნეულისგან მომზადებული კერძები გემოთი და შესახედობით ძალიან ჰგავს ხორცის, ფრინველისა და თევზის კერძებს. ძალიან სასარგებლო და ადვილად მოსამზადებელი სალათის ერთ მარტივ რეცეპტს აქვე გაგაცნობთ:

მსხვილი სახეხით გახეხეთ 200-300 გრამი გოგრა და ამდენივე ვაშლი (სასურველია „ანტონოვის“ ჯიშის), დაუმატეთ ერთი ჩაის კოვზი შაქარი ან თაფლი, ამდენივე ლიმონის წვენი და ცოტაოდენი გახეხილი კანი. ყველაფერი ერთმანეთში კარგად აურიეთ და მიირთვიეთ. სალათი ძალიან გემრიელი, მარგებელი და, ამავე დროს, დაბალკალორიულია.



გოგრა	... ქუეაჩოვა	ფილიპინების დედაქალაქი	ხე. ზომის ნაყოფი უცვლილ- ით იშლება	ივიევა, რაე გიგა ან ტიულაპაი	სიყვარულის ღმერთი ბერძ. მითოლოგიაში	სიფრძის საზომი ერთეული	აღამისა და ევას შეილი
ქართული	გლეხის ფეხსაძეული	გყავის	დაკოლილი ცხენი	მინიჭეული წოდებულება	ბურთაქის ერთ- ერთი წოდებარი	პროპორციულობა ცენტრის ან ღერძის მიმართ	ღათის შეილი



მას თვით კმისარმა მიამო პატივი

ღირსი მამა ილარიონი იყო კახელი აზნაურების – ღონაურების შთამომავალი. მის მშობლებს სხვა შვილებიც ჰყავდათ, ილარიონი კი შობითგანვე ღვთისათვის იყო შეწირული. ილარიონის მამამ სოფელში ააშენა მონასტერი და ყრმა ილარიონი იქ იზრდებოდა. თოთხმეტი წლის ილარიონმა დატოვა მონასტერი და გარეგნის უდაბნოს პატარა გამოქვაბულში დაეყუდა. დაუცხრომელად მლოცველი ბერის სანახავად თუ ლოცვა-კურთხევის მისაღებად უამრავი ადამიანი მიდიოდა. მალე წმინდა ილარიონი მღვდლად აკურთხეს, რის შემდგომაც მან გადაწყვიტა მონასტრის წინამძღვრად დაეტოვებინა ერთი ძმათგანი. თვითონ კი წმინდა ადგილების მოსალოცად იერუსალიმს გაემგზავრა.

გზაში ღირს ილარიონს ავაზაკები დაესხნენ თავს და მახვილები იმშველეს მის მოსაკვინებლად. მოულოდნელად მათ ხელები გაუშემდათ. შემინებული და გაოცებული ავაზაკები მიხვდნენ, რომ ღვთის სასჯელი დაატყდათ თავს წმინდა ბერზე ხელის აღმართვის გამო. ფეხებში ჩაუვარდნენ მას და შენდობა სთხოვეს. წმინდა მამამ ჯვარი გადასახა ავაზაკებს, განკურნა და მშვიდობიანი გზა უსურვა.

წმინდა ილარიონმა მოილოცა იერუსალიმი, შემდეგ ორდღიან უდაბნოს მამურად და ერთ გამოქვაბულში დაეყუდა. ერთ ღამეს მან ჩვენებით იხილა, თითქოს ზეთისხილის მთაზე, საიდანაც უფალი დიდებით ამაღლდა, თორმეტი კაცის თანხლებით მღვარი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წინაშე წარდგა. მარადის ქალწულმა უთხრა: „ჰოი, ილარიონ, წარვედ და მიისწრაფე სახედ შენდა და უმზადე სერი უფალსა და ძეს ჩემსა“.

გამოღვიძებისთანავე წმინდა ილარიონმა გულისხმაპყო ჩვენება და სამშობლოში გამოეშურა. საქართველოში დაბრუნებულმა ნეტარმა ილარიონმა ააშენა დედათა მონასტერი, შესწირა მას სოფლები და განუჩინა წესი. შემდეგ სამოცდათექვსმეტი ღირსი

მოღვაწე შეკრიბა და მამათა მონასტერიც დააარსა. მერე ისევ დატოვა საქართველო და ორ ძმასთან ერთად კონსტანტინოპოლს გაემგზავრა. ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ილარიონმა და მისმა თანამგზავრებმა ულუმბოს მთას მიაღწიეს, ერთი მცირე მიტოვებული ეკლესია იპოვეს და შიგ დაბინადრდნენ.

მამა ილარიონი ხუთი წელი ცხოვრობდა ულუმბოს მთაზე, შემდეგ კონსტანტინოპოლს გაემგზავრა, თავიანთი სცა უფლის ცხოველმყოფელ ჯვარს. მოილოცა ყველა მკვლელობა და წმინდა პეტრე და პავლე მოციქულთა საფლავების თავყვანსაგებდ რომს გაემგზავრა, საიდანაც ორი წლის შემდგომ კვლავ კონსტანტინოპოლში დაბრუნდა. გზად თესალონიკში – ქალაქის მთავრის კართან შეისვენა. სახლიდან მხევალმა ოთხი წლის დამბლადაცემული ყრმა გამოიყვანა და შვის გულზე დააწვინა. ღირსმა მამამ ქალს წყლის მოტანა სთხოვა. როცა ქალი წავიდა, წმინდა ილარიონმა ჯვარი გადასახა ყრმას და განკურნა.

როცა ყრმის მამამ, ქალაქის მთავარმა, ეს სასწაული იხილა, ბრძანა, მოენახათ სასწაულომოქმედი. მთავარი შეევედრა წმინდანს, თესალონიკში დარჩენილიყო და სამოღვაწეო ადგილი თვითონ ამოერჩია. წმინდანმა მთავრის ღვთისმოყვარეობა რომ იხილა, თხოვნა შეუსრულა – სამოღვაწეოდ გამოირჩია მარჯვე და მყუდრო ადგილი, სადაც მთავარმა ეკლესია ააშენა.

მთელმა თესალონიკმა გაიგო წმინდა ილარიონის მოღვაწეობისა და სასწაულების ამბავი. წმინდა ილარიონმა ცხოვრების დარჩენილი ნაწილი თესალონიკში გაატარა. თავისი აღსასრული მას წინასწარ უწუყა უფლისაგან. მან ქალაქის მთავარი დაიბარა, მადლობა უთხრა ყველაფრისათვის და ანდერძად გლახაკთა და მონაზონთა სიყვარული, სამართლიანობა დაუტოვა. წმინდანი გარდაიცვალა 857 წლის 19 ნოემბერს.

დამწუხრებულმა მთავარმა მარმარილოს

ლუსკუმა გაამზადებინა წმინდანის ნეშტისათვის. წმინდა ილარიონის სამარხთან სარწმუნოებით მისულნი ყოველგვარი სენისგან იკურნებოდნენ. თესალონიკის მთავარმა და მთავარეპისკოპოსმა ამ სასწაულების შესახებ ბიზანტიის კეისარს, ბასილი მაკედონელს აცნობეს. ბასილი დაინტერესდა წმინდა მამის ცხოვრებით და ილარიონის თანამემამულე მოწაფეებთან გასაუბრება ისურვა. მას მიჰგვარეს სამი მოხუცებული ბერი. მამების გონიერებით გაკვირვებულმა კეისარმა ისინი ლოცვა-კურთხევისათვის კონსტანტინოპოლის პატრიარქთან გაგზავნა. პატრიარქმა ძმური სიყვარულით მოიკითხა ისინი.

კეისარმა წმინდა ილარიონის მოწაფეებს შესთავაზა, ამოერჩიათ რომელიმე მონასტერი დასამკვიდრებლად. მამებმა უარი შეჰკადრეს, რადგან არასწორად მიიჩნიეს სხვის აშენებულში დასახლება. მაშინ ბასილი კეისარმა თვითონ შეარჩევინა მამებს სამონასტრო ადგილი, სადაც მალე დიდი ტაძარი ააშენა. იქვე თავისთვის ერთი სენაკიც მოიწყო. მონასტერს რომანაწმინდა უწოდეს.

კეისარმა თავისი ორი ძე, ლეონი და ალექსანდრე მიჰგვარა ღირს მამებს აღსაზრდელად. შემდეგ წმინდა ილარიონის ნაწილების გადმოხვენება სატახტო ქალაქში ინება. ამისათვის თესალონიკში თავისი ხალხი გაგზავნა და თან წერილიც გააყოლა: ბასილი მეფე, ცოდვილი მონაი ცათა მუუვისაი, გვეკვდრები, წმინდაო მამაო ილარიონ, ღირს მყავ ამბორისყოფად წმიდათა ნაწილთა შენთა.

თესალონიკელები არ დათანხმდნენ წმინდა ილარიონის ნაწილების მიცემაზე. კეისარის კარისკაცები იძულებულნი გახდნენ, ღამით გაეხსნათ ლუსკუმა და წმინდანის ნაწილები მალულად წაეყვანებინათ.

კეისარმა, პატრიარქმა, მთელმა ერმა გალობით, ლიტანიოთ, საკმეველის კმევით მიიღეს სიწმინდე. ვიდრე მისთვის განსაკუთრებულ საძვალეს ააშენებდა, კეისარმა ის დროებით თავის პალატში დასვენა.

მესამე ღამეს მეფე კეთილსურნელებამ გამოაღვიძა. სასახლეში არავინ იცოდა, თუ საიდან მოვიდა ის. როცა მეფემ კვლავ მიიღო თვალები, სამღვდლო შესამოსელოში ჩაცმული წმინდა ილარიონი გამოეცხადა და უთხრა: „კეთილად ჰყავ შეწყნარებაი ჩემი, ჰოი მეფე...“

კეისარმა პატრიარქს და მთავრებს აუწყა ყოველივე, შემდგომ დიდი პატივით წაასვენა წმინდა ილარიონის ნაწილები რომანაწმინდის მონასტერში და მის მოწაფეებს ჩააბარა...

ღირსი მამის ილარიონ ქართველის ხსენების დღედ 2 დეკემბერია დადგენილი.

ლოცვითა წმინდისა მამისა ჩვენისა ილარიონ ქართველისათა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩემო, შეგვიწყალებ ჩვენ!

წიგნი ბარყაშვილი



ელენე სალარიძე

გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან იწყება ვანში წინაპართა „შეცდომების გამოსწორება“. გასაყიდად და გადასადნობად ველარ იმეტებენ ახვლედიანების გორაზე, უძველეს ნასახლარებში შემთხვევით ნაპოვნ გასაოცარ ნივთებს. 1929 წელს სახელმწიფო მუზეუმში მიაქვთ ოქროს ბალთა ვეფხვთან მეომარი რაინდის გამოსახულებით და რამდენიმე სხვა უნიკალური ნივთი...

ანტიკურ ქალაქში პირველი მნიშვნელოვანი გათხრები და მეცნიერული გამოკვლევები, ასევე პირველი ქართველი არქეოლოგი ქალის ნინო ხოშტარაიას სახელს უკავშირდება.

... ეს მართლაც სენსაციური აღმოჩენაც ვანის ნაქალაქარში 1961 წლის ზაფხულში განხორციელდა. ნინო ხოშტარაიას მიერ გათხრილი დიდგვაროვანი კოლხი ქალის სამარხი თვალისმომჭრელად ელვარებდა. ახალგაზრდა ქალი მთლიანად ოქროს ნივთებში ყოფილა გახვეული. მიცვალებული ესვენა თავით ჩრდილოეთისკენ, ხელეჩაშტებული. სხვათა შორის, ნინო ხოშტარაია 1947 წლიდან ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ გათხრებს ვანში და ეს აღმოჩენა ყველაზე ძვირფასად ითვლება, რომელსაც უდიდესი გამოხმაურება მოჰყოლია ჯერ მაშინდელ საბჭოთა კავშირში და შემდგომ მთელ მსოფლიოშიც.

ქვის სამარხი ხით ყოფილა გადახურული და რკინის ლურსმნებით შეკრული (ხელაპირის ზომა 4 მ X 3,4 მ). დადგინდა, რომ სამარხში აღმოჩენილი ძვირფასეულობა ძვ.წ.აღ-ის V საუკუნის შუა ხანებს განეკუთვნება და მისი უმთავრესი ნაწილი ადგილობრივ ნაწარმად არის მიჩნეული. ერთ სამარხში ჩატანებულმა აურაცხელმა სიმდიდრემ კიდევ ერთხელ ცხადყო, თუ რატომ დაუნგრე-

ვია და გადაუწვავს მტერს ასე ბარბაროსულად ვანი. ეს ნგრევა ძვ.წ.აღ-ის I საუკუნის შუა ხანებით თარიღდება და ამ თარიღითვე მთავრდება მითების ქალაქის არსებობა...

ჩვენ კი ისევ მდიდარი კოლხი ქალის სამარხს დავუბრუნდეთ, რომლის თითოეული ნივთი უნატიფესი ხელოვნების ნიმუშია. თუნდაც ოქროს დიადემა ავიღოთ. ერთმანეთთან კავებით გადაბმულ რომბისებრ ფირფიტებზე ცხოველთა ბრძოლის სცენებია გამოსახული – ორი ლომი თავს ესხმის შუაში მოქცეულ ხარს. აღმოსავლურ ხელოვნებაში ლომის მიერ დათრგუნვილი ხარის გამოსახულებას ასტროლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა – აღქმული იყო გაზაფხულის ბუნიობის სიმბოლოდ; თებერვლის დასაწყისში ასურეთისა და ირანის მეფეთა სასახლეებიდან ჩანდა, თუ როგორ გადაეფარებოდა („კლავდა“) ლომის თანავარსკვლავედი ხარისას. გამოსახულება აღიქმებოდა აგრეთვე, როგორც ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების სიმბოლო.

დიადემა ფორმით წმინდა კოლხურია, იგი ადგილობრივი ოსტატის ნახელავი უნდა იყოს, თუმცა კი ირანული და ბერძნული ხელოვნების გავლენაც იგრძნობა. კოლხური დიადემა ერთი შეხედვით სამეფო (სადელოფლო) გვირგვინის წინასახედ შეიძლება ჩაითვალოს...

ვილიგრანული ტექნიკის შეუდარებელი ნიმუშია ოქროს წყვილი საყურე, რომელზეც, თითოეულზე, ოთხთავა ბაქანზე მდგარი წყვილი მხედარი იწონებს თავს. დიას, საყურეზე მხედრები – უმშვენიერეს ბედაურებზე ამხედრებული რაინდები... თითოეულ ფიგურას აბოლოებს ბეწკებზე დაკიდული ბურთულები რკოს გამოსახულებით.

სამარხში მრავალი ბეჭედი იყო ე.წ. საბეჭდავი, ზოგი ნიაპორის, ზოგი ჯიზვის

გამოსახულებით. ერთ ბეჭედზე კი აღამიანია გამოკვეთილი, რომელსაც ლომი ესხმის თავს. აქვე ყოფილა აუარებელი ყელსაბამი და საყურე, ყველა მათგანი ორიგინალური და გასაოცარი ოსტატობის ნიმუში.


სამარხში ოქროს ზოდებიც უპოვიათ, ვერცხლისა და მინის ჭურჭელიც... მიწას აუარებელი წვრილი პასტის მძივიც ერია, რაც იმის ნიშანია, რომ მძივებით ნაქარგი ქსოვილიც უხვად იყო ჩატანებული.

ერთი სიტყვით, ამ სამარხმა გაამყარა წინა პერიოდის მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ ვანი ანტიკურ ხანაში უდიდესი კულტურის ცენტრი ყოფილა.

... მომდევნო წელს ჩვენ მიერ აღწერილი ძვირფასი სამარხის გვერდით კიდევ ერთისთვის მიუკვლევიათ, ოღონდ ის უკვე კარგა ხნის გაძარცვული ყოფილა... გადარჩენილი რამდენიმე იშვიათი ნივთის წყალობით, ძნელი არ ყოფილა დაედგინათ, რომ ამ სამარხიდან არანაკლებ საყურადღებო ნიმუშები მიმოიფანტა და განადგურდა...


სურათებზე: ძვ.წ.აღ-ის V საუკუნის ოქროს დიადემა (ზემოთ) და ოქროს საყურე.





დონია:

სრული სახელი: დენის კიდ როდმანი
დაბადების თარიღი: 13.05.1961
სიმაღლე: 203 სმ
წონა: 100 კგ
კლუბები: „სამხრეთ-აღმოსავლეთ ოკლაჰომა“, „დეტროიტ პისტონსი“, „სან ანტონიო სპურსი“, „ჩიკაგო ბულზი“, „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“, „დალას მავერიკსი“.



დენის როდმანი: NBA-ს

მადონა შერ...



... მას ბევრი აღმერთებს, როგორც ერთ-ერთ უდიდეს კალათბურთელს NBA-ს არსებობის მანძილზე. ზოგი პატივს სცემს, როგორც შესანიშნავ შოუმენს, მსახიობს, კომედიანტსა და არაორდინარულ, კოლორიტულ პიროვნებას. ნაწილი კი, ვერ იტანს უდისციპლინობის, სიფიცხის, ამორალურობის, სექსუალური აღვირაბსნილობისა და არაეთიკური გამონდომების გამო. ასეთია დენის როდმანის იმიჯი დიდი სპორტისა და შოუბიზნესის სამყაროში. ერთი შეხედვით, ის ყველაზე ამოუცნობი პიროვნებაა, თუმცა არაერთი ახალგაზრდა სწორედ ამ თვისებების გამო ეთაყვანება. თავად დენისი კი, მიიჩნევს, რომ მისი თმასავით მრავალფეროვანი „ნიღბების“ მიღმა გულკეთილი ადამიანი იმალება, რომელსაც უყვარს ყველაფრის დაპყრობა, რაც ცხოვრებისეულ გზაზე შესვდება.

ალექსი რეხვიაშვილი

„მინდოდა, თეთრკანიანი ვყოფილიყავი“

დენის როდმანის ბავშვობის წლები ამერიკის უახლესი ისტორიის იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც შავკანიანმა მოსახლეობამ, მარტინ ლუთერ კინგის ლიდერობით, აქტიურად დაიწყო ბრძოლა საკუთარი უფლებების დასაცავად. ღარიბი ოჯახიდან გამოსული პატარა დენისი იძულებული იყო თავად მოემეხნა სამსახური. ამ მხრივ კი, შავკანიანებს არცთუ ისე ღიდი არჩევანი ჰქონდათ, ისინი მართლაც „ქუჩის შვილები“ იყვნენ და თავის სარჩენად მხოლოდ ორი გამოსავალი რჩებოდათ: მძიმე ფიზიკური შრომა მცირე ანაზღაურებით ან ნარკოტიკების გასაღება და გამუდმებული რისკის ქვეშ ყოფნა. „ადრე ხშირად ვიჯექი და ვფიქრობდი: კარგია თეთრკანიანი იყო. მე დალასის მიგდებულ უბანში გავიზარდე, სადაც მხოლოდ შავკანიანები ცხოვრობდნენ, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ეს გარემოცვა საჩემო არ იყო, თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობდი. იქ არავინ არაფრად მაგდებდა. მე მეტისმეტად გამხდარი, მეტისმეტად შეუხედავი ვიყავი და საერთოდ, მილად რაღაც „მეტისმეტი“ ვიყავი. თეთრკანიანი რომ ვყოფილიყავი, ცოტათი მაინც უფრო ბედნიერი ვიქნებოდი. თეთრკანიანი რომ ვყოფილიყავი, იმიტომ მინდოდა, რომ კანის მუქ ფერს ყოველთვის არასწორად, არაბუნებრივად მივიჩნევდი“, – იხსენებს დენის როდმანი.

ბელის ანაბრად მიტოვებული შავკანიანი მოზარდებისთვის კალათბურთი ის ერთადერთი გამოსავალი იყო, რომლის საშუალებითაც მათ ყოველთვის შეეძლოთ საკუთარი ღირსების დაცვა და თეთრკანიანებზე მაღლა დგომა. კი. დენის როდმანმაც სწორედ ეს გზა აირჩია, თუმცა საკმაოდ გვიან: როდესაც კალათბურთის თამაში სერიოზულად დაიწყო, უკვე 20 წლის იყო. სკოლაში დენისის კალათბურთი არ უთამაშია (რადგან სპორტის ამ სახეობისთვის იმ დროს საკმაოდ დაბალი – დაახლოებით 180 სმ იყო), მაშინ ის დალასის აეროპორტ FORT WORTH-ის მასლობლად მდებარე სასაფლაოზე მუშაობდა და ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ წლების შემდეგ დენის როდმანი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი კალათბურთელი და საქვეყნოდ პოპულარული პიროვნება გახდებოდა. დღეს საკუთარ წარმატებებს სკეპ-

ტიკურად უყურებს თავად დენისიც: „მე ამას ნამდვილად არ ვიმსახურებ. ყოველთვის შოკირებული ვარ, როდესაც რაღაც დაუჯერებლის გაკეთება შემიძლია. მე უბრალოდ დარწმუნებული ვარ, რომ NBA-ში შემთხვევით მოვხვდი. როდესაც წამოვიზარდე და დავინახე, რამდენი ბიჭუნაა გარშემო, რომელიც ჩემზე გაცილებით ნიჭიერია, მაგრამ ვერ შეძლო თავის გამოჩენა. მრცხვენია მათი და საკუთარი თავის...“

„ცხოვრებისაგან უფრო მეტს იღებ, როდესაც რჩები იმად, რაც ხარ“

მიუხედავად იმისა, რომ დენის როდმანმა საკმაოდ გვიან დაიწყო კალათბურთის თამაში, მან მაინც მიაღწია ყველაფერს, რისი მიღწევაც კი შეიძლება დიდ კალათბურთში. ის არაერთხელ დაასახელეს ფარიდან „ბურთის მოხსნის მეფედ“, რამდენჯერმე იყო NBA-ს ჩემპიონი, შეკავდათ ასოციაციის სიმბოლური ნაკრების შემადგენლობაში... თუმცა, მთელი მსოფლიოსთვის როდმანი ცნობილია, როგორც არა მარტო დიდი სპორტსმენი, არამედ არაორდინარული პიროვნება და გამოუსწორებელი სკანდალისტი.

... დენის როდმანი დისკვალიფიცირებულია მსაჯის გალახვის ან მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშესთან მუშტიკრივის გამართვის გამო; უდისციპლინობისთვის საკუთარმა გუნდმა დააჯარიმა; ტელეკომპანიათაგან, ყველაზე უხერხულ ადგილას, წინსვლი ამოარტყა; ამორალურად მოიქცა ან ვინმე უცნაურ სიტყვებით მოიხსენია... დენის როდმანის შესახებ პრესითა და ტელევიზიით ამგვარი ინფორმაციების გავრცელება იშვიათი ნამდვილად არ ყოფილა, თუმცა სპორტსმენი ამის გამო არც უხერხულად გრძნობდა თავს და არც ნამოქმედარს მალავდა: „მე ბოლო ვარ მათ სიაში, ვისაც სურს, მისაბაძი მაგალითი იყოს. დაე, ბავშვები საკუთარ მშობლებს დაემსგავსონ და არა მე, თუმცა ვიცი, რომ ბევრი ბიჭუნა მბაძავს. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ მე განვსხვავდები სხვებისგან და ყოველთვის ისეთი ვიყავი,

როგორც ვარ“.

1993 წელს „სან ანტონიო სპერსში“ გადასვლისთანავე დენის როდმანმა კლუბის ინვესტორები, ყურნალისტები და უამრავი მაყურებელი შოკში ჩააგდო, როდესაც გუნდის წარდგენის ცერემონიაზე თეთრად შეღებილი თმით გამოვიდა. როდესაც დენისის ჯერი დადგა, მან მოიხადა ქუდი წარწერით – „როდმანის მიწის სამუშაოები“...

თეთრი თმის გამო მას „დამანგრეველი“ უწოდეს (ამავე სახელწოდების ფილმის მიხედვით, სადაც ანალოგიური ფერის თმითა და ვარცხნილობით თამაშობს უესლი სნაიპსი). „სან ანტონიოში მე შევიცვალე, როგორც პიროვნება. თმას წითლად, ნარინჯისფერად, მწვანედ ვიღებავდი. ამით ხაზს ვუსვამდი იმას, რომ ყოველთვის იმას გავაკეთებ, რაც მინდა და ისე მოვიქცევი, როგორც მინდა“, – ამბობს როდმანი, რომელიც NBA-ში შეღებილი თმის გარდა, მოსვირინებულ სხეულსაც „უკეთებდა რეკლამას“.

ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, საკალათბურთო ასოციაციის თავაკცები შემოფოთებულები აღევენდნენ თვალს, მაგრამ მალე როდმანს მიმდევრებიც გამოუჩნდნენ და კალათბურთის მოედნებზე გულშემატკივრებს არაერთი ტატუირებული სპორტსმენი მოეგლინა. დენისი ირონიით საუბრობდა NBA-ს ხელმძღვანელებისა და წესიერებით ცნობილი კალათბურთელების შესახებ: „სპორტის საქმიანი მხარის გარდა, ისინი ვერაფერზე ფიქრობენ. მე არასოდეს ვყოფილვარ და არც ვიქნები მათი ხელის ბიჭი და არასოდეს ვიქნები ისეთი სამაგალითო და თითოთ საჩვენებელი, კონსერვატიული და რესპექტაბელური, როგორებიც არიან რობინსონი, ოლაჯიუვონი, იუნგა, ევერი ჯონსონი... მათ უნდათ ასეთები იყვნენ? ჯანდაბას მათი თავი! მე კი ისეთი ვიქნები, როგორც ვარ“.


მადონას მიზაძევაში როდმანი ხანდახან აჭარბებს ხოლმე



დენის როდმანის მშფოთვარე სპორტული ცხოვრებიდან გავისხენებთ რამდენიმე წლის წინ ჩატარებულ მატჩს, რომელიც „ფერადთმანმა“ სწორედ ისე წარმართა და დაამთავრა, როგორც მის რეპუტაციას შეეფერებოდა. მაშინ ერთმანეთს „იუტა ჯაზი“ და „ჩიკაგო ბულზი“ ხვდებოდნენ. მატჩის მსვლელობისას კარლ მელოუნსა და როდმანს შორის რამდენჯერმე წარმოიშვა კონფლიქტი. შემდეგ დენისი არბიტრებსაც აღარ დაემორჩილა და მათთან კამათი დაიწყო, რის გამოც მოედნიდან გააძევეს. იმ შეხვედრაში როდმანმა კალათში მხოლოდ ერთი ბურთის ჩაგდება მოასწრო, მან საჯარიმო ტყორცნა თვალდახუჭულმა შეასრულა... თუმცა, როდმანის ოინბაზობა ამით არ დამთავრებულა: როდესაც მოედანს ტოვებდა, მაისური გაიხადა და მაყურებლებში ისროლა. ალბათ იმ შეხვედრას მარტო ესლა აკლდა... ორმა მაყურებელმა მაისური ვერ გაიყო და შეტაკების შედეგად, ერთ-ერთი მათგანი ტრიბუნიდან საკაცით გაიყვანეს...

„მე თეთრკანიან ქალებს ხვდები...“

დენის როდმანის სკანდალებში ერთ-ერთი ყველაზე „საბატიო ადგილი“ სექსს უკავია. „ცხოვრება NBA-ში ორმოცდაათი პროცენტით სექსია, ხოლო დანარჩენი



ორმოცდაათი პროცენტით – ფული“, – ამბობს დენისი და თავისი მშფოთვარე სასიყვარულო თავგადასავლებით ადასტურებს კიდევ ნათქვამს.

როდმანი ყოველთვის თეთრკანიან ქალბატონებს ანიჭებდა უპირატესობას. რა თქმა უნდა, საკუთარი კანის ფერის გამო მას დიდი პრობლემები ექმნებოდა გოგონების მშობლებთან. თავის წიგნში – „ისეთი ცუდი, როგორც მინდა რომ ვიყო“, დენისი იხსენებს შემთხვევას, როდესაც მან მორიგი რომანი გააბა ერთ-ერთ თეთრკანიან გოგონასთან, რის შესახებაც ამ უკანასკნელის მშობლებმა არაფერი იცოდნენ. ერთხელ, როდესაც ისინი რამდენიმე საათით სახლიდან წასულან,




„კალათბურთელ დონ ჟუანს“ დრო უქმად არ დაუკარგავს და... „შემდეგ ყველაფერი საშინელებათა ფილმის მსგავსად წარიმართა: ისინი ადრე დაბრუნდნენ და საძინებელ ოთახში, თავიანთ ქალიშვილთან ერთად ყოფნისას წამასწრეს. მათი დაბრუნების შესახებ რომ გავიგე, ტანსაცმელს ხელი ვტაცე და უკანა გასასვლელიდან ვცადე გაქცევა. მამამისი იარაღით დამედევნა, როდესაც კიბეზე ჩავრბოდი, მესროლა. მე, მიყრუებულ უბანში გაზრდილ ადამიანს, პირველად მესროლეს და ნამდვილად შემეშინდა...“

დენის როდმანის საყვარლების რიგში მადონაც იყო. მათი ურთიერთობის შესახებ მაშინ უამრავი ჭორი დადიოდა, თუმცა რა აზრი ჰქონდა ჭორების გავრცელებას, როდესაც თვითონ დენისი არაფერს მალავდა?! „ვფიქრობდი, რომ ის სექსს ეძებდა, მაგრამ ის ეძებდა იმას, ვინც მასზე იზრუნებდა... მას ძალიან

უნდოდა დაფეხმძიმება. ის მართლაც საინტერესო გოგონაა და მე მოვწონვარ. ალბათ იმიტომ, რომ სხვანაირი ვარ. მე NBA-ს მადონა ვარ...“

დენისი ხშირად იხსენებს იმ პერიოდსაც, როდესაც ის ჯერ კიდევ ყველასთვის უცნობი, შეუხედავი, ღარიბი მოხარდი იყო. შავკანიან გოგონებს დენისი არ აინტერესებდათ და მასთან ურთიერთობას გაურბოდნენ.

საერთოდ, შავკანიანთა დასახლებებში მას „ზედმეტად თეთრკანიანად“ მიიჩნევდნენ, თუმცა, როდესაც კოლეჯში დაიწყო სწავლა, არც თეთრკანიანებმა გაიკარეს სიახლოვეს. გავიდა წლები და დენის როდმანი მთელ ამერიკაში სახელგანთქმული კაცი გახდა. იგივე შავკანიანი ქალები, რომლებიც ადრე სრულიად გულგრილნი იყვნენ მის მიმართ, ახლა დიდი ინტერესით ეკითხებოდნენ დედამისს: „როგორ არის იქ თქვენი ვაჟიშვილი, როგორ მიდის მისი საქმეები?“ თავად კალათბურთელის ქცევით კი უკმაყოფილონი იყვნენ, რადგან ის თეთრკანიან ქალებს ანიჭებდა უპირატესობას. როდმანი თვლიდა, რომ ქალებს მასში მხოლოდ ფული, მოღური ჩაცმულობა და ავტომობილები იტაცებდა: „მე ახლაც შეუხედავი ვარ, მაგრამ ისინი ჩემს დიდებასა და ფულს ხედავენ და უკვიროთ, რატომ ვხვდები თეთრკანიან ქალებს და არა მათ. თეთრკანიანი ქალები, რომლებიც შავკანიან მამაკაცებს ხვდებიან, ამბობენ, რომ ისინი მათ უკეთესად ექცევიან, ვიდრე თეთრკანიანები. ეს ყოველთვის მართალი არ არის, მაგრამ ჩემი აზრით, თეთრკანიანი ქალისთვის შავკანიანთან რომანი საუკეთესო რამ არის: ეს ხომ რაღაც ახალია. სიახლის გარდა, აქ სექსის ფაქტორია: ქალე-



ბი ფიქრობენ, რომ შავკანიანთან მას მეტი სიამოვნება ახლავს. არც მე უარვყოფ ამას...“

კალათბურთის, ალკოჰოლისა და სექსის გარდა, დენის როდმანს ბევრი სხვა გატაცება აქვს: მას იღებენ ფილმებში, პოპულარულ კინომსახიობ ჰალკ ჰოგანთან ერთად გამოდის რესტლინგის მოუქეში, ხშირი სტუმარია MTV-ის მიერ მოწყობილი შეკრებებისა, წერს წიგნებს... დენისი ერთ ადგ-

ილზე არასოდეს ჩერდება და ყოველთვის სიახლეს ეძებს, თუნდაც ეს ყველაფერი უჩვეულო და სხვებისთვის მიუღებელი იყოს: „მე საკუთარი ბედისა და ცხოვრების ბატონ-პატრონი ვარ, მე პიროვნება ვარ, რომელიც არ არის ვალდებული, გარკვეული წესების შესაბამისად იქცეოდეს“, – აღნიშნავს როდმანი და დასძენს: „ცხოვრება არ განებოვრებს საჩუქრებით. თუ სიძნელეებს გადაეყრები, მინც წინსვლა უნდა განაგრძო. საკუთარი წარმატება თავად უნდა მოიპოვო, იცხოვრო ყოველდღიური ცხოვრებით და ეს გინაროდეს, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოამჟღავნო და არ შეეპო „არა“-ს – ვისგანაც არ უნდა გეცმოდეს ის“.



იაკობ ახუაშვილი

რატომ დაერქვა გვარად კბილცეცხლაშვილი, ან როგორ გაჩნდა გვარი ნაოჭაშვილი, ბზუკაშვილი, ბასკანაშვილი, ნიდაგვიშვილი, კუჭაშვილი, ჭიპაშვილი და მისი. სწორედ ასეთი ტიპის გვარებზე გადავწყვიტეთ ამჯერად მკითხველის ყურადღების შექერება.

საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენს წინაპრებში საკუთარ სახელებთან ერთად ოდითგანვე გაჩნდა მეტსახელები, რამეთუ უმეტეს შემთხვევაში ოფიციალურ, კალენდარულ სახელთან ერთად, კაცს ჰქონდა მეორე სახელიც – ე.წ. შინაური სახელი. ხშირ შემთხვევაში პიროვნებას მეტსახელით უფრო იცნობდნენ, ვიდრე ოფიციალური სახელით.

ქართველები გვართწარმოების ნაირფეროვნებისა და სიმრავლის მიხედვით გამორჩეულნი, სხვა ხალხებისაგან განსხვავებულები გაუჩინებლად განგებას. ასე განსაჯეთ, ერთი მილიარდ ორას მილიონამდე ჩინელი ატარებს სულ რაღაც 130-ოდე გვარს. ასევე მცირეა გვარების რაოდენობა იაპონიასა და კორეაში. ამის გამო, ცხადია, თანამოგვარეთა რიცხვი ამ ქვეყნებში ძალიან დიდია. მაგალითად, იაპონიაში ცხოვრობს ორი მილიონი სუბუკი და თითქმის ადგილივე სატო. სულ რაღაც 4,5-5 მილიონამდე ქართველს დაახლოებით 25 ათასამდე გვარი გააჩნია.

ნაბიჭვრიშვილი, გასაკილი და ხელწამოსაკრავი გვარი არ არის. იოანე ბაგრატიონი წიგნში „აღწერა საქართველოს თავდაზნაურთა გვარებისა“, ქვეყარში „აზნაური ნაბიჭვრისშვილი წერს: ესენი არიან მაჩაბელთაგანვე ხარჭთაგან შობილნი და მცირე აზნაურად მიღებულნი მეფეთაგან ძველადვე და მოხსენებულნიცა ტრაკატატსა შინა. ამისთვის იყო ეს გვარი მიღებული აზნაურად, ვინაიდან ძველად იყო გაწესებული, რომელ მეფეთა ანუ მეფეთა ძეთაგან უწყისით შექმნილთა აქენდათ ხარისხი თავადობისა, თავიდან უკანონოდ შექმნილი აქენდათ ხარისხი მცირე აზნაურისა. აზნაურთაგან შთამომავალთა ამასვე სახედ აქენდათ მსახურის მეფისა ადგილი. ხოლო გლეხთაგანი მიეცემოდენ ეკლესიათა ყმად, რომელისა საეპისკოპოსა შინა იქმნებოდა ესე გვარი შემთხვევა, მის საყდრისა იქმნებოდაცა ყმად იგი“ (გვ. 82).

როგორც ვნახეთ, გვარის ფუძეა ნაბიჭვარი (სამართლ. ისტ.), ქორწინების გარეშე ნაყოლი შვილი ძველ საქართველოში. ნაბიჭვარი კანონიერ ანუ „მართალ შვილს“ (ბუნებით შვილს) უპირისპირდებოდა. ყმა ქალის ნაბიჭვარი მის ბატონს ეკუთვნოდა. „დიდებულისა შექმნილ“ ნაბიჭვარს აზნაურობა ენიჭებოდა.



ნაბიჭვრის

რამდენნაირ გვარს არ გაიგებს ადამიანის ყური. აქეთ კბილცეცხლაშვილი, იქით ცივაძე და ქარცივაძე, ექვსშაურაშვილი და ცხრაპურანგაშვილი, ქვასროლიაშვილი და ქვასხარშიაშვილი, ყეთილაძე და ავბენვაშვილი, მშვენიერაძე და საძაგლიშვილი, გვერდნითელი და შავიშვილი, ყვითელაშვილი და წითელაშვილი, მასხარაშვილი და აგიაშვილი და სხვა მრავალი.

ნაბიჭვრიშვილები და ჰყციბები

ნაბიჭვრიშვილთა გვარი დღეს თითზე ჩამოსათვლელია. 1995 წლის თებერვალში ვაუჩერი მიუღია 38 სულს. თბილისში – 16-ს, გურჯაანში – 10-ს, სიღნაღში – 4 სულს (დანარჩენი 8 სხვადასხვა ქალაქრაიონიდან). სინამდვილეში ნაბიჭვრიშვილების გვარს სისხლისმიერი ნათესაობა აქვს მაჩაბლების გვართან. გავისხენოთ ისტორიიდან სამაჩაბლო – ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული – სათავადო, წარმოიშვა მდინარე ლიანვის შუა და ხეში წელზე, ისტორიულ ანაბეთის ხეში, რომელსაც იცნობს VII საუკუნის სომხური გეოგრაფია.

XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დასაწყისის აღწერების მიხედვით, სამაჩაბლო ქვეყანა საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე იხაზება. მასში შედის ლიანვის ხეობა ცხინვალი-დგვრისის ხეობიდან როკამ-

დე, დვალეთში – ჟღელესა და ზროგოს ხეობები, მდინარე ყვირილას და დვანის წყლის სათავეები. აღნიშნულ მხარეთა მოსახლეობა მთლიანად მაჩაბლებს ეკუთვნოდა. მათვე ჰყავდათ ყმა-გლეხები ქართლის ბარის სხვა სოფლებში.

ნაბიჭვრის მდგომარეობა საქართველოში შედარებით უკეთესი იყო, ვიდრე ფეოდალური დასავლეთისა და აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში. მაგალითად, გერმანიასა და ინგლისში უკანონოდ შობილს თითქმის არავითარი უფლება არ გააჩნდა.

XVIII საუკუნის ბოლოს რუსეთში წესად იქცა, ჩუქებნათ თავანთი ნაბიჭვრებისათვის, ასე ვთქვათ, საკუთარი გვარის ნაწილი: პნინი – რეპინიდან, ლიციანი – გოლიციანიდან, უმიანცევი – რუმიანცევიდან, პუტინი – რასპუტინიდან და ა.შ.

ამ კაცის მკვლევლობამ მის ოპონენტებსაც შურისძიების გრძნობით აუვსო გული



გალაქტიონ ტაბანაშვილი

XIX და XX საუკუნეების მიჯნას ისტორიაში „რავაშოლის ეპოქითაც“ მოიხსენიებენ. დღეს ბევრ ჩვენგანს ეს სახელი არაფერს ეუბნება, არადა, სწორედ ის – ლეოპოლდ რავაშოლად ცნობილი ფილიპ კენინგშტეინი გახლავთ პოლიტიკური ტერორიზმის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა, რომელსაც უამრავი მიმდევარი ჰყავდა ბევრ ქვეყანაში. ის საფრანგეთში ცხოვრობდა და მღებავად მუშაობდა. რამდენიმე მკვლელობის გამო დააპატიმრეს. ციხიდან გაქცევაც მოახერხა და კიდევ რამდენიმე ტერორისტული აქტი განახორციელა პოლიტიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეთა წინააღმდეგ. კვლავ დააპატიმრეს და გილიოტინაზე თავი მოჰკვეთეს. თუმცა, ამის შემდეგაც, მისი იდეებით დიდხანს საზრდოობდნენ პოლიტიკური ტერორის მიმდევრები, საუკუნის დასასრულს კი, ყველას კარგად მოგვხსენება, რარიგ „გაიფურჩქნა“ ეს საშინელი მოვლენა.

თუმცა, სჯობს, კვლავ მე-20 ასწლეულის დასაწყისს დავუბრუნდეთ. საქართველოში, ამ მხრივ, განსაკუთრებით ტრაგიკული იყო 1906 წელი: მძიმედ დაჭრეს ცნობილი საზოგადო მოღვაწე ია კარგარეთელი, მოკლეს ილია ჭავჭავაძის ახლო მეგობარი – პუბლიცისტი და იურის-

1906 წლის ზაფხულში პარიზისა და ჟენევის გზებზე დაიბეჭდა ცნობები თბილისის ქართული გიმნაზიის დარბევისა და მისი დირექტორის – შიო ჩიტაძის მკვლელობის შესახებ. წერილების ავტორი მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი იყო. როგორც ავტორი აღნიშნავდა, რავაშოლის მიმდევრები საქართველოშიც გაჩნდნენ...

ტი ნიკო ხიზანიშვილი, ტერორიზმის მსხვერპლი გახდა ქართული გიმნაზიის დირექტორი შიო ჩიტაძე.

რუსეთის ე.წ. პირველი რევოლუციის დაწყებისას, 1905 წელს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეებმა თბილისის ქართულ გიმნაზიაშიც იჩინა თავი. 26 აპრილს შიო ჩიტაძის თაოსნობით გიმნაზიის მასწავლებელთა საერთო კრება გაიმართა, რომელზეც თვითონ შიო გამოვიდა პოლიტიკური შინაარსის მოხსენებით. მან დაახასიათა პოლიტიკური ვითარება რუსეთში, ილაპარაკა ხალხის უფლებობასა და სკოლისა და საზოგადოდ სწავლა-აღზრდის სისტემის მანკიერ მხარეებზე. კრებას ესწრებოდა მთავრობის წარმომადგენელი ვინმე ა. სლოვინკსი. მან ქათინაურით მიმართა შიო ჩიტაძეს: Я ны желал, чтобы ученики грузинской гимназии так же хорошо говорили по-русски, как говорит Шио Алексеевич... შიომ მკვახედ უპასუხა: Важнее, чтобы грузины-ученики правильно выражали свои мысли на грузинском языке... ბუნებრივია, ჩიტაძის ეს სიტყვები მთელ ქალაქს მოედო და,

იმდროინდელი პრესა გაივსო სამგლოვიარო განცხადებებით შიო ჩიტაძის მკვლელობის გამო

რასაკვირველია, მალევე დაფიქსირდა ჟანდარმერიის საიდუმლო დოკუმენტებში.

ამასობაში გახშირდა გაფიცვები, მიტინგები, დემონსტრაციები, ტერორისტული აქტები. ქართული გიმნაზია, რომელიც მაშინდელი ერომლოგის (ამჟამინდელი 9 აპრილის) ქუჩაზე მდებარეობდა, პოლიციისა და ჟანდარმერიის სხვადასხვა სამსახურით იყო გარშემორტყმული: კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწის (საპოლიციო ნაწილში) შირნიკინის კანცელარიის ფანჯრიდან ფოტოაპარატიც კი „იმზირებოდა“ და გიმნაზიაში თითქმის ყოველ შემსვლელ-გამომსვლელს აფიქსირებდა. ცოტა ქვემოთ, იმავე ქუჩაზე მეფისნაცვლის მცველთა რაზმი განეთავსებინათ. პეტრე დიდის (ამჟამად ინგოროყვას) ქუჩაზე კი თბილისის პოლიცემისტერი მარტინოვი ცხოვრობდა...

1905 წლის 22 დეკემბერს მორიგი დემონსტრაციის დროს შავრაზმელები სასტიკად დაერივნენ ხალხს და ნამდვილი ხოცვა-ჟლეტა გამართეს. შიო ჩიტაძის მეგობარი სეით იაშვილი იგონებდა: „იმ დღეს მე და შიო კინალამ საბედისწერო ხიფათში ჩავარდით. სამხედრო ტაძართან ვიდექით. ამ დროს მუხრანის ბაზრიდან ბომბის ხმა მოისმა. გავიდა



პატარა ხანი და კიდევ გავარდა ბომბი, შემდეგ კი თოფის სროლა ატყდა. ამ ამბით დაფრთხობილი ხალხი გარბოდა და გამორბოდა... რამდენიმე ხანში, პროსპექტზე სახანო თეატრის მხრიდან გამოჩნდა პლასტუნების (ქვეითი ჯარისკაცები) დიდი რაზმი. ისინი მოგვიანლოვდნენ. შეამჩნიეს ჩვენი მხრისკენ მომავალი ვიღაც კაცი, ესროლეს და დაჭრეს (როგორც შემდეგ გამოირკვა, ის იყო გაზეთ „Возрождение“-ს თანამშრომელი ი. გორდელაძე). პლასტუნები ის იყო, უკვე მოგვადგნენ მოღერილი თოფებით, რომ ამ დროს ერთმა ოფიცერმა გამოიარა – „აბა, შიო, გავყვით იმ ოფიცერს უკან“, – ვუბნები. გავყვით ოფიცერს უკან, მაგრამ პლასტუნები არ მოერიდნენ ოფიცერს და ძახილით: „Вот он директор, вот он“ უნდა ესროლათ, რომ ოფიცერმა ხმაძალა შესძახა: „Не стреляйте, они со мной“ და შეაყენა პლასტუნები... შემთხვევით გადაურჩა შიო სიკვდილს იმ დღეს, მაგრამ მთავრობას შიო მიზანში ჰყავდა ამოღებული...“

1906 წლის ივნისის დამლევს, როცა მასწავლებელთა ძირითადმა ჯგუფმა მუშაობა დაასრულა, რამდენიმე მათგანი შიოს ბინაში შეიყარა (ღირექტორი გიმნაზიის შენობაშივე ცხოვრობდა). უცებ მათთან გაფთხრებული დარაჯი – ა. ანტონოვი (შავრაზმელთა აგენტი) შევარდა და მიახალა – ამა და ამ კლასში ფანჯარაზე ყუმბარები ვნახეთ. შიო და მასწავლებლები კლასში ჩავიდნენ და ფანჯრის რაფაზე დადებული სამი ყუმბარა ნახეს.

რამდენიმე დღის შემდეგ შავრაზმელებმა კვლავ შეიტანეს შენობაში ყუმბარები. 4 ივლისს პეტრე დიდის ქუჩაზე მიმავალ პოლიცემისტერ მარტინოვს გიმნაზიის შენობიდან ყუმბარა ესროლეს. მარტინოვი ხელში და ფეხში დაიჭრა. გიმნაზიაში ორი ოფიცრის მეთაურობით კაზაკთა რაზმი შეიჭრა. ხმაურზე თავისი ბინიდან ღირექტორი გამოვიდა. ერთ-ერთმა ოფიცერმა ჰკითხა: „ვინა ხართ თქვენ? შიომ უპასუხა: „გიმნაზიის ღირექტორი...“ სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ პირდაპირ თავში ესროლეს. შიო ჩიტაძე უსულოდ დაეცა...

მკვლელი ოფიცრების ვინაობის

დასადგენად, ცოტა ხნის შემდეგ პეტერბურგიდან საგანგებოდ ჩამოვიდა შიოს ცოლის ძმა – გვარდიის პოლკოვნიკი შჩერბინი, მაგრამ ისინი უკვე საღვაც შორს გადაეყვანათ...

იმავე საღამოს მასწავლებლებმა კრება ჩაატარეს. ამ კრებასაც თავს დაესხნენ და დაარბიეს შავრაზმელებმა. ორი მასწავლებელი მძიმედ დაშავდა, გიმნაზიის ავეჯი, თვალსაჩინოება, დოკუმენტაცია ერთიანად განადგურდა, შემდეგ კი შენობაში ჯარი ჩააყენეს. სწორედ მაშინ დაიღუპა ამ მასწავლებლის უნიკალური საარქივო მასალა, რის გამოც ძალზედ ცოტა რამ ვიცით გიმნაზიის ისტორიის შესახებ...

შიო ჩიტაძის მხეცურ მკვლელობასა და გიმნაზიის ბარბაროსულად დარბევას მთელი საქართველო გამოეხმაურა. გაზეთებმა დაწვრილებით აღწერეს ეს შემზარავი და ტრაგიკული ამბავი... გულწრფელად გლოვობდნენ შიოს – ძვირფას ადამიანს, საუცხოო მეგობარს, დიდ პედაგოგს...

საგულისხმოა, რომ ბოლშევიკურმა გაზეთმა – „ახალმა ცხოვრებამაც“ გამოაქვეყნა ნეკროლოგი, რომელშიც წერდა: „შიო ჩიტაძე ჩვენი იდეური მოწინააღმდეგე იყო, მაგრამ მისი მოკვლა ჩვენც არანაკლებ გვივსებს გულს შურისძიების გრძობით. დაე, ეს მსხვერპლიც მუდამ განუშორებელი იყოს ჩვენი ხსოვნიდან და სისხლის ასაღებად მოგვიწოდებდეს“...

შიო ჩიტაძეს 34 წელიც არ უცოცხლია. ის გორში, 1873 წელს დაიბადა, გორის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, რომლის დამთავრების შემდეგ, ჯერ თბილისის ვაჟთა მე-2 გიმნაზიაში განაგრძო სწავლა, ხოლო შემდგომ – კიევის უნივერსიტეტის ისტიორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ქართველ სტუდენტთა წრის ხელმძღვანელი, სწავლაშიც რჩეულთა შორის იყო.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი, შიო კიევის მასწავლებლებში მუშაობდა რუსული ენის მასწავლებლად და ყველგან საერთო სიყვარულითა და პატივისცემით იყო გარემოცული: მოწაფეებიცა და მასწავლებლებიც მას „ჩვენს ძვირფას შიოს“ ეძახდნენ.

1904 წელს ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივით, შიო ჩიტაძე რუსული ენის მასწავლებლად თბილისის



შიო ჩიტაძის ცოლი – უსტინა შჩერბინა

ქართულ გიმნაზიაში მიიწვიეს. იმავე წლის პირველი სექტემბრიდან კი – ღირექტორად დანიშნეს.

პედაგოგ შიო ჩიტაძის დასახასიათებლად, კვლავ სეთ იაშვილს დავესესხებით: „შიოს გაკვეთილი იყო ცოცხალი, მიმზიდველი, რაღაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, თბილი... სწავლების წარმატებისათვის ცოდნის გარდა საჭიროა კიდევ „რაღაცა“, რასაც ასე ეძებს ყოველი მოწაფე მასწავლებელში და რომლისთვისაც მოწაფე მასწავლებელს „ჩემს მასწავლებელს“ ეძახის. ჩემი აზრით, ეს „რაღაც“ ის თვისებაა, რომელსაც ადამიანობას ეძახიან. ადამიანობა კიდევ – სხვა პიროვნებისადმი გულისხმიერი მოპყრობა... მოკლედ, მხოლოდ კარგ ადამიანს შეუძლია იყოს კარგი მასწავლებელი. შიო კარგი ადამიანი და ამიტომ კარგი მასწავლებელიც იყო...“

შიოს დაკრძალვის შემდეგ ერთ კვირას არც კი გაველო, რომ მისმა მეუღლემ – უსტინა შჩერბინამ – თავი მოიკლა. მათ სამი მცირეწლოვანი შვილი დარჩათ: ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. გოგონა იმავე წელს გარდაიცვალა. ბიჭებს გიმნაზიის საზოგადოებამ 50-50 მანეთი დაუნდნა – ვიდრე სასკოლო ასაკამდე წამოიზრდებოდნენ. შემდეგ ობლები – უფროსი ვასილი და უმცროსი სიკო – ამავე საზოგადოების ზარჯით ქართულ გიმნაზიაში სწავლობდნენ...

„პოტენტე“ იტალიურად „ძლიერს“ ნიშნავს. ფრანკა პოტენტე, რომელმაც სახელი ფილმში – „გაიქეცი, ლოლა, გაიქეცი“, შესრულებული როლით გაითქვა, ძლიერი ქალების როლებზე უარს არ ამბობს, თუმცა აღნიშნავს, რომ ჰოლივუდელ სუპერმენებამდე ბევრი უკლია... მისი მთავარი იარაღი კი – ქალური სისუსტეა.

შემოხვევის წყარობით აღმოჩენილი



ძლიერი ფრანკა

ფილმი „გაიქეცი, ლოლა, გაიქეცი“, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩვენი ცხოვრება შემთხვევითობათა ჯაჭვია. „ლოლას“ ვარსკვლავის – მსახიობ ფრანკა პოტენტეს სახელ-დიდებისკენ სვლა კი ამ სურათში მომხდარი ამბების პირდაპირ ილუსტრაციას ჰგავს. კინოს ისტორიას უამრავი საინტერესო ამბავი ახსოვს, რომელშიც აღწერილია, როგორ აღმოაჩინეს მსახიობთა აგენტებმა მომავალი ვარსკვლავები სცენაზე, პოდიუმსა თუ მუსიკალურ სტუდიაში. ფრანკა პოტენტე კი... ტუალეტში იპოვეს. ერთ მშვენიერ დღეს, ბარში მჯდომმა გოგონამ უეცრად შენიშნა, რომ მას დაჟინებით აკვირდებოდა ვიღაც ქალი. პოტენტემ მაშინვე გადაწყვიტა, იქაურობას გარიდებოდა, მაგრამ წასვლამდე ტუალეტში შევიდა. ქალი აედევნა და როცა ისინი ერთმანეთს შესასვლელში შეეჩხენენ, ჰკითხა: „შეგიძლიათ, თქვენი თავი ერთი სიტყვით დაახასიათოთ?“ „ე,ს იმდენად უცნაური იყო, რომ დავიბენი, – იხსენებდა მოგვიანებით პოტენტე. – რაიმე სხვა რომ ეკითხა, უბრალოდ ხელს ვკრავდი და გავექცეოდი. ქალი თურმე მსახიობთა აგენტი ყოფილა და ახალგაზრდული ფილმებისთვის ახალ, გამორჩეულ სახეებს ეძებდა.“ მაშინ პოტენტე უკვე 22 წლის

იყო. ბოლო ათი წელიწადი კი იმი-სთვის ჰქონდა მიძღვნილი, რომ მსახიობი გამხდარიყო. მისი ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა. გოგონა მსახიობის ოსტატობას ჯერ გერმანიაში სწავლობდა, შემდეგ ნიუ-იორკში გაემგზავრა, სადაც ლი სტრასბერგის ცნობილ თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარა. მასწავლებლები მას აქებდნენ, მის ნიჭიერებასაც არ უარყოფდნენ, მაგრამ არც სცენაზე და არც კინოში სამუშაოდ არავინ იწვევდა. იმ დროისთვის, როცა იგი ტუალეტის შესასვლელში „აღმოაჩინეს“, პოტენტეს აღარ ხიბლავდა მსახიობის პროფესია და უკვე ნებისმიერი სტაბილური და სოლიდური პროფესიის დაუფლებაზე ფიქრობდა. „აგენტთან შეხვედრა შემთხვევითობათა ჯაჭვის რგოლი იყო, – ამბობს მსახიობი. – იმ დღეს, მარტო რომ არ დავრჩენილიყავი, წვიმა რომ არ წამოსულიყო და მეზობელ კინოთეატრში საინტერესო ფილმის ჩვენება რომ ყოფილიყო – არავითარ შემთხვევაში არ მოვხვდებოდი იმ ბარში, ვერ გავხვდებოდი მსახიობი და ვერ ვითამაშებდი „ლოლაში“...“ ფრანკა პოტენტე 1974 წლის 22 ივლისს, გერმანიის პატარა ქალაქ დიულმენში დაიბადა. მამამისი სკოლის

მასწავლებელი იყო. როცა ფრანკა 3 წლის გახდა, მას ძმა შეეძინა. ბიჭუნა მუდმივად ავადმყოფობდა და ამიტომაც, მშობლების ყურადღება დიდი ხნის მანძილზე მასზე იყო კონცენტრირებული. ფრანკა საშინლად ბრაზობდა და მშობლების მიერ ძმის მიმართ გამოჩენილი ზედმეტი მზრუნველობის გამო ეჭვიანობდა. სკოლაშიც და შინაც გამუდმებით მსახიობობდა, უყვარდა, როცა გარშემომყოფთა ყურადღებას იპყრობდა. მასწავლებლებმა მისი ენერჯის მშვიდობიანი მიმართულებით შებრუნება შეძლეს: ფრანკა სასკოლო თეატრის პრიმადონად აქციეს. მას ძალიან მოეწონა სცენაზე თამაში და ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდში გადაწყვიტა, რომ პროფესიონალი მსახიობი გამხდარიყო. პოტენტეს დებიუტი კინოში 1996 წელს შედგა, ორიოდე წელი საკმაოდ უფერულ ფილმებში მონაწილეობდა, შემდეგ კი ისევ ბედნიერი შემთხვევა დაეხმარა: რეჟისორმა ტომ ტიკვერმა, რომელიც ფილმში იხილა და გადაწყვიტა, სურათში – „გაიქეცი, ლოლა, გაიქეცი“ – მიეწვია. პოტენტე გასაუბრებაზე მაშინ მივიდა, როცა ტიკვერს არც სცენარი ჰქონდა და არც ფული – ის მხოლოდ იდეით იყო „შეიარაღებული“. ახლობლები შერეკილად რაცხდნენ, მისი იდეა კი – შეშლილი კაცის მონაჩმახად მიაჩნდათ: მათთვის გაუგებარი იყო, როგორ შეიძლებოდა სამი ერთი და იმავე 20 წუთიანი ამბის გადაღება სხვადასხვაგვარი ფინალით და ამ ყველაფრის სრულმეტრაჟიანი ფილმის სახით შეთავაზება მაყურებლისთვის?!. იმ დროს პოტენტეს უკეთესი წინადადებები ჰქონდა მიღებული, მაგრამ ის თითქმის უყოყმანოდ დათანხმდა „გიჟი“ ტიკვერის ფილმში მონაწილეობას. რატომ? „მე უბრალოდ შევხედე ტომს და მივხვდი, რომ ეს ჩემი ბედისწერა იყო“, – ამბობს მსახიობი. თავიდან პოტენტეს მხოლოდ სამსახიობო ფუნქცია ჰქონდა. სულ მოკლე ხანში ის ტიკვერის მეგობარი გოგონა, მუზა და თანამემწე გახდა: პოტენტემ ფილმისთვის სიმღერა დაწერა, მუშაობდა დიალოგებზე, უყოყმანოდ დათანხმდა თავისი წაბლისფერი თმის მკვეთრ წითელ ფერად შედგებაზე, გადაღებებზე კი ყოველგვარი წუწუნის გარეშე ასრულებდა იმ სცენების 15-

20 დუბლს, რომელშიც ფილმის გმირს 200-400 მეტრი უნდა გაერბინა.

„გაიქეცი, ლოლა, გაიქეცი“, ძალიან ენერგიული ფილმია. სიუჟეტის მიხედვით, პოტენტეს პერსონაჟმა 20 წუთში 100 ათასი მარკა უნდა იშოვოს, რომელიც მის მეგობარ ვაჟს მეტროში დარჩა და კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდა. მიზნის მიღწევამდე ლოლა სამჯერ გაირბენს ერთსა და იმავე მარშრუტს.

ფილმის დასრულების შემდეგ, ეკრანებზე მის გამოსვლამდე არავინ იცოდა, რა გამოვიდა — შედეგრი თუ უღიმღამო სურათი. პრემიერის შემდეგ კი პოტენტესა და ტიკვერს, ოვაციები, აღტაცებული რეცენზიები და დიდი შემოსავალი ელოდა. 1 მილიონ დოლარზე ოდნავ მეტი ბიუჯეტის მქონე ფილმმა გერმანიაში 14 მილიონი მოიტანა და 1998 წლის ყველაზე შემოსავლიანი გერმანული ფილმი აღმოჩნდა. გერმანია წითური, მხრებზე ჩამოყრდითიანი გოგონებით გაივსო: ყველას უნდოდა, ლოლას დამსგავსებოდა. საქმე კურიოზუბამდეც კი მიდიოდა: ბერლინის მერის მიერ საარჩევნო კამპანიის დროს გამოყენებული სააგიტაციო ფურცლები წყლის ორი წვეთით ჰკავდა „ლოლას“ სარეკლამო

პლაკატს — ამით მერს თავისი პროგრესულობისა და მოდურობის დემონსტრირება სურდა.

„სანდენის“ კინოფესტივალზე მაყურებელთა სიმპათიის პრიზის მოპოვების შემდეგ, 1999 წელს „ლოლა“ მთელი მსოფლიოს კინოეკრანებზე, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც გავიდა. პოტენტე მაშინვე მიიწვიეს ჰოლივუდში. მან სიხარულით მიიღო მსოფლიოს კინოდედაქალაქის მონახულების წინადადება, მაგრამ საცხოვრებლად ამერიკაში გადასვლა არ ისურვა.

ამჟამად პოტენტე კვლავ თავისი პიემალიონის — ტომ ტიკვერის ერთგულია. ცოტა ხნის წინ ფრანკამ ითამაშა მის ფილმში — „პრინცესა და მებრძოლი“. მასში დრამატული და რომანტიკული სასიყვარულო ამბავია გადმოცემული, რომელიც, ფილმის „შუასაუკუნოვანი“ დასახელების მიუხედავად, თანამედროვე გერმანიაში ვითარდება.

მართალია, ტიტრებში სცენარის ავტორად მხოლოდ ტომ ტიკვერი ფიგურირებს, მაგრამ ის ირწმუნება, რომ პოტენტე თამამად შეიძლება მის თანაავტორად ჩაითვალოს: მსახიობი აქტიურად მონაწილეობდა თავისი გმირის ხასიათის ფორმირებაში, იგონებდა მის რეპლიკებს, თავად განსაზღვრავდა სიარულის მანერასა და ვარცხნილობასაც.

„ფრანკა ჩემი ნამდვილი მუზაა, — ამბობს ტიკვერი. — შთაგონებას მუდამ სხვა ადამიანებში ვეძებ. ფრანკა კი ჩემი შთაგონების უშრეტე წყარო გახდა. ჩვენ ცხოვრებაში, სამუშაოსა და საერთოდ, ყველაფერში, პარტნიორები ვართ, მაგრამ ფრანკას არასოდეს უცდია, თავს მოეხვია ჩემთვის საკუთარი იდეები. მან იცის, რომ მამაკაცი ქალის სისუსტის ხარჯზე ძლიერდება“.

წლეულს პოტენტემ საერთაშორისო კინოკარიერა დაიწყო — ის ჰოლივუდის ორ ფილმში გადაიღეს. აპრილში ამერიკის კინოეკრანებზე გამოვიდა ფილმი „კოკაინი“, რომელშიც ფრანკა ჯონი დეპის მეგობარ გოგონას ასახიერებს. საშობაოდ კი, დაგეგმილია ფილმის — „ბურნის პიროვნება“ ეკრანებზე გამოსვლა, სადაც პოტენტე მეთ დეიმონთან ერთად მონაწილეობს.

როგორია მსახიობის მომავალი? „არ ვიცი, — ამბობს ფრანკა. — მე უწინდებურად მჯერა შემთხვევის...“



ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რას ნიშნავს „კოქტეილი“ სიტყვის სიტყვით?




- ა) სპირტიანი სასმელების ნაზავს;
- ბ) ფანტაზიის უნარს;
- გ) მამლის კულს.

2. რომელ მწერალში იხსენიება შავი ყორანი პანიკურ შიშს?



- ა) ედგარ პოში;
- ბ) ვაჟა-ფშაველაში;
- გ) ლევ ტოლსტოიში.

3. წარმოშობით რომელი ქვეყნიდან არის გაეროს განვითარებული მდივანი კოფი ანანი?



- ა) გერმანიიდან;
- ბ) ირანიდან;
- გ) განიდან.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

დასაწყისი იხ. „გზა“, №32—36

ნანას და გიორგის შეხვედრის ერთადერთი ადგილი, საფლავი იყო. ქალი გრძნობდა, რომ მის ბინძურ საცეცებს კაცი დაუსწლტა, თავისთვის სხვა სამყარო შეიქმნა და მას ხაზი გადაუსვა. მოსვენება დაეკარგა, როდესაც მშობელთა უმრავლესობა, გიორგისა და მერისთან ერთად ტაძარში დადიოდა, ლოცვებს ესწრებოდა და რაც მთავარია, ერთმანეთთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ. ბავშვების პანაშვილს ეკლესიაში თვითონაც რამდენჯერმე დაესწრო.

გიორგიმ იგრძნო, რომ ქალს მრევლში შემოსვლა უნდოდა. ძველებს საუბრისას სთხოვა:

— მამა ზენონ, ჩემი ყოფილი ცოლი ზშირად ჩნდება ეკლესიაში, მე მგონი, მრევლში უნდა შემოსვლა და თუ შეიძლება, არ მიიღოთ. არ მინდა, ჩემი ცოლი და ყოფილი ცოლი ერთ სივრცეში იმყოფებოდნენ, თან მოძღვარი ჰყავს, ტვერელის ეკლესიაში დადის.

— გიორგი, ნუ ნერვიულობ, არ მივიღებ, — დაამშვიდა მამა ზენონმა.

ნანამ იგრძნო, რომ მრევლში ვერ შევიდოდა და სხვა ხერხს მიმართა: ზოგიერთი გარდაცვლილი ბავშვის ღედას დაუახლოვდა, რამდენჯერმე თავისთან სახლშიც კი დაპატიჟა. მათთან საუბარში გიორგი დევრადირებულ, ზნედაცემულ და საზიზღარ პიროვნებად დახატა.

— წამოდით, განახვებთ, ეგეთ კაცთან როგორ უნდა მეცხოვრა? — პატარა ოთახში, სადაც დაღწეული მადიდა იდგა, ქალები შეიყვანა. გადასაფარებელი გადაადრო და აღელვებული ტონით მოყოლა დაიწყო, — სულ გვაწიოკებდა, სახლიდან გვყრიდა, ავეჯს გვიტყვევდა, გამუდმებით მცემდა, სკამის ფეხითაც კი ვუცემივარ.

— რას ამბობ? — გაიკვირვეს ქალებმა.

— აბა, აი ასე დამტანჯა მაგ არაკაცმა.

ქალებზე ნანას მუდმივი ზემოქმედება ავტომატურად მათ ქმრებს გადაეცემოდა. ნელ-ნელა გიორგი მშობლებმა გარიყეს, ჩამოშორდნენ და ჩამოიშორეს. სამაგიეროდ, მათ წრეში ნანამ მყარად დაიმკვიდრა ადგილი.

გიორგის ჩამოშორების პროცესი იმით დაიწყო, რომ მშობლები სხვადასხვა მონასტერში ბავშვების პანაშვილს ერთად იხდიდნენ, მაგრამ ამის თაობაზე გიორგის არასოდეს აფრთხილებდნენ. გიორგი დაგვიანებით გეზულობდა პანაშვილის გადახდის ამბავს, გაურკვეველი რჩებოდა თუ მას რატომ არ ეუბნებოდნენ. როდესაც

რომელიმე მშობელი შეხვედებოდა, ჰკითხავდა ხოლმე:

— რატომ არ მითხარით?

ისინიც ხან რას და ხანაც რას იმიზეზებდნენ. აღშფოთებულმა აღსარებაში მოძღვარსაც კი უთხრა, რომ ამას საშინლად განიცდიდა. ზენონმა იგი დააწყნარა. სხვადასხვა მონასტერში პანაშვილების გადახდამ ისეთი სისტემატური სახე მიიღო, რომ ეს ყველაფერი წარმოდგენას დაემსგავსა. შესაბამისად გიორგისაც რეაქცია გაუჩნდა.

ერთ-ერთი ასეთი კოლექტიური პანაშვილის შემდეგ ყველა მშობელი ამაღლების ტაძარში შეიკრიბა. გიორგიც საღამოს ლოცვისთვის ეკლესიაში მივიდა. ერთ-ერთმა ღედამ მიმართა:

— გიორგი, ორი კვირის წინ ზომ გაგაფრთხილეთ, რომ ღდეს მცხეთაში ბავშვებს პანაშვილს ვუხდიდით და რატომ არ მოხვედი?

აღშფოთებული მამაკაცი ქალს მიუბრუნდა:

— ციცი, მე თქვენს მოწყობილ შოუებში მონაწილეობას აღარ ვღებულობ. ჩემი შვილის სულითვის უთქვენოდაც ვილოცებ, — შემობრუნდა და მერისთან ერთად მაგალობლებთან მივიდა.

იმ დღის შემდეგ მშობლებთან ურთიერთობა, „გამარჯობა“ — „ნახვამდის“ — ამ ორი სიტყვით შემოიფარგლებოდა.

— მერი, მე ამ ხალხს ბავშვების გარდაცვალებამდე არ ვიცნობდი, ჩვენმა შვილებმა შეგვახვედრეს ერთმანეთს. ვერ გამიგეს და რა გქნა? კარგად იყვნენ, ღმერთმა ხელი მოუპართოთ, — ეტყოდა ხოლმე გიორგი მეუღლეს.

ღიდი მარხვაც მიიღია. კოლექტიური პანაშვილების გადახდამ ჩვეული ხასიათი მიიღო, ოღონდ გიორგის გარეშე ისიც შეეგუა ამ ამბავს და ყურადღებას აღარ აქცევდა. თამუნას პანაშვილს ამაღლების ტაძარში ის და მერი იხდიდნენ.

მერისთან ნანას ზარები ისევ განახლებდა. ყოველ დარეკვაზე, ხან სახლში და



ბესიკ კეპელიძე

ქალი-ობობა

ხანაც სამსახურში, ნანა შხამის ულუფას მიზანმიმართულად აწვდიდა მერის. ბოლოს ტელეფონში ნანას ხმის გაგონებაზე მერი ყურმილს კიდებდა და აღარ უსმენდა, მაგრამ იმის გამო, რომ ვერც გიორგის და ვერც ვერავის თავის უზომო ტკივილს ვერ უყვებოდა, ქალს ხასიათი შეეცვალა, თავის თავში ჩაიკეტა და ნაღველის საკუთარ სხეულში გადახარშა მოიწადინა. ძნელია, როდესაც დარდს მეგობარს, ან ახლო ადამიანს ვერ უზიარებ, შეუძლებელია იცხოვრო ადამიანთან, ვის მიმართაც ეჭვის ჭია სულს გიღრღნის, გონებას გიმღვრევს და სიმშვიდეს გაკარგვინებს.

ალბათ ოჯახების უმრავლესობა ეჭვიანობის მსხვერპლი გამხდარა. ურთიერთობაში ერთხელ წარმოშობილი ბზარი იზრდება, იტოტება, როგორც ცადაწვდილი ხე და ყოველწამიერად ცდილობს, ორ სულიერს შორის არსებული ურთიერთობის დასამარებას, გათელვასა და დანაკუწებას. ბოროტი ძალა ღონიერია, მისი გასაქანი — უსასრულოდ ღიდი და ძალიან ძნელია, ყოველივე ამისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

მერი ამ ტკივილს საკუთარ სხეულში ხარშავდა. ხარშავდა, როგორც გადაბერებულ ხორცს, თან სჯეროდა და თან

არა. ბოლომდე რომ ერწმუნა, იგი გიორგისთან ერთად ვედარ იცხოვრებდა, ამიტომ ცდილობდა, ამ თემაზე ნაკლებად ეფიქრა, მაგრამ ეს თემა გონებაში თავისდაუნებურად ისე ამოუტივტივებდა ხოლმე, როგორც წყალში ჩაძირული ხის ნაჭერი, მოსვენებას უკარგავდა და ცხოვრების ხალისს უკლავდა.

გიორგი ცოლის დამოკიდებულებაში ცვლილებებს გრძნობდა, მაგრამ ამას მუცლის მოშლას აბრალებდა და ყოველნაირად ცდილობდა ქალის დამშვიდებასა და დაწყნარებას.

ერთ საღამოს გიორგი სასაფლაოზე ნანას შეხვდა.

– წამოდი, სკამზე დავსხდეთ, რაღაც მაქვს სათქმელი.

ნანა უკან გაჰყვა:

– რა უნდა მითხრა? – გვერდით მიუჯდა გიორგის.

– ერთი რაღაცა მინდა გკითხო.

– რა?

– რა და მერის რომ ბინა არ ჰქონოდა, ქუჩაში უნდა მეცხოვრა? ფულს რატომ არ მაძლევ?

– რა ვქნა, ბინა არ იყიდება.

– როგორ გაიყიდება, როდესაც ისეთ ფასს ადებ, რომ ხალხს შევაჭრების სურვილიც არა აქვს. მაგას იცი, რა ჰქვია? – ბინას ვითომ ჩემს დასანახად ყიდი, თორემ სინამდვილეში სულ ფეხებზე გკიდევარ და არაფერსაც არ ყიდი.

– აბა, ხომ არ გადავაგდებ? რა ვქნა, ფასზე დაცემულია.

– უბრალოდ, ნამუსი არ გაქვს და რა უნდა ქნა, – ირონიულად მიუგო გიორგიმ, – პოლიციაში განცხადება რამ შეგატანინა, თან რა დაწერე, შვიდი წლის წინ მართალია, მესროლა, მაგრამ მე ამ პერიოდში მასთან მაინც ვცხოვრობდი და როდესაც სხვა ქალი მოიყვანა ცოლად, აი, ახლა გამოიკვლიეთ ეს ამბავიო, არა?!

ნანამ ვერაფერი უპასუხა, თავის საქციელზე თვითონვე ჩაეცინა.

– ერთხელ რატომ არ დაინტერესდი, ბავშვის საფლავი რითი გვაკეთე?! მართო პროექტის შეთანხმება გინდოდა?! თამუნას სახელზე შემოსული ფული რაში მოიხმარე, დედაკაცო?! – გიორგი განცვიფრებული შესწერებოდა ნაცოლარს, რომელიც მასში გულის რევის გრძნობას იწვევდა და სხვას არაფერს, – ჩემს წინააღმდეგ როგორ ამხედრე ეს მშობლები, საკუთარი შვილები, მარიკას ქმარი და დედამთილი?! ღამით როგორ გძინავს, მიწაზე რა ნამუსით დადიხარ, სად არის შენი ადამიანობა?!

ნანამ საკუთარ თავზე ამდენი უარყოფითის მოსმენას ვედარ გაუძლო, უხმოდ წამოდგა და თავისი მანქანისკენ წავიდა.

– შე ნადირალა! – ჩაილაპარაკა გიორგიმ და ბავშვის საფლავისკენ გაემართა.

ოქტომბერი იწურებოდა, თამუნას წლისთავი მოახლოვდა. გიორგიმ შემთხვევით გაიგო, რომ მშობლები ბავშვების წლისთავის გადახდას ერთად აპირებდნენ, მაგრამ მისთვის არავის არაფერი უთქვამს. ამ ამბით ისე იყო გაოგნებული, რომ დანა პირს არ უხსნიდა.

წლისთავის დღეს, ოცდარვა ოქტომბერს, მერი, გიორგი და ყველა მშობელი, მათ შორის ნანაც, ამაღლების ტაძარში შეიკრიბნენ. მამა ზენონს ყველანი უნდა ეხიარებინა. აღსარებაში გიორგიმ აღმოთქვამა მოუყვა მოძღვარს მშობლების გადაწყვეტილების შესახებ.

– მე ეს არ ვიცოდი, – უპასუხა ზენონმა.

– სულ უკანასკნელი ნადირალა რომ ვიყო, თამუნას მამა ვარ და მე რატომ არ მითხრეს?!

გაურკვევლობისგან ზენონმა მხრები აიჩეჩა:

– გიორგი, მე მთხოვეს, რომ წლისთავის სუფრას ვუთამაძო, – ირონიულად ჩაუღიმა მოძღვარს, – ეგ რომ მცოდნოდა, ნაღდად არ დაეთანხმდებოდი. დამშვიდიდი, მიუტევე, – დააწყნარა ზენონმა.

ყველა მშობელმა აღსარება თქვა, ეტყობა, მღვდელმა ასეთი საქციელი არც ერთს არ მოუწონა და უსაყვედურა, რის გამოც ერთ-ერთი ბავშვის მამა გიორგისთან მივიდა:

– გიორგი, დღეს ხუთ საათზე, ბავშვების საფლავზე ყველანი „ხორამ“ ვიკრიბებით და მეუღლესთან ერთად მოდი.

– იცი, რას გეტყვი, მე „ხორამ“ არსად დავდივარ, – მიუგო გიორგიმ.

მამაკაცი ცივად შებრუნდა და დანარჩენ მშობლებს შეუერთდა.

მოძღვარმა ყველანი აზიარა. როდესაც პროცესი დამთავრდა, გიორგი და მერი საფლავზე გავიდნენ, ორ საათზე ახლობლები ჰყავდათ დაბარებული. ნელ-ნელა თამუნას საფლავზე ხალხი შეიკრიბა, შემდეგ ყველანი ტაძარში შევიდნენ და ბავშვს პანაშვიდი გადაუხადეს. თამუნას წლისთავი გიორგიმ თავისი მშობლების სახლში, ძალიან ვიწრო წრეში აღნიშნა. როგორც მოგვიანებით გაიგო, საბურთალოს სასაფლაოს გზაზე, საბანკეტო დარ-

ბაზ „ფაზისში“ მშობლებს ხუთასკაციანი წლისთავი გაეკეთებინათ.

წლისთავის შემდეგ მერი და გიორგი რამდენჯერაც ეკლესიაში მივიდნენ, ნანა დანარჩენ მშობლებთან ერთად იქ იმყოფებოდა. განცვიფრებულმა გიორგიმ მღვდელს ჰკითხა:

– მამა ზენონ, ნანა მრევლში მიიღეთ?

– გიორგი, მეუფემ მთხოვა და უარი ვერ ვუთხარი, – უპასუხა მოძღვარმა.

თითქოს მღვდელმა სილა გააწნაო, იმის ტოლფასი იყო მისი პასუხი. გიორგის არაფერი უპასუხია.

რამდენიმე დღის შემდეგ ცოლ-ქმარი საღამოს ლოცვაზე დასასწრებად მივიდა, მაგრამ მოძღვარი ორივეს ისე ცივად, უგულოდ შეხვდა, რომ გიორგიმ გაიკვირვა, ვერ გაერკვა, რა ხდებოდა და მღვდელთან მივიდა:

– მამა ზენონ, მოხდა რამე?

– ლოცვის შემდეგ დაგელაპარაკები, – უპასუხა ზენონმა.

გიორგიმ თავი ვერ შეიკავა და მიახალა:

– მამაო, ბოროტი ხომ არ მოგერიათ?!

მღვდელს არაფერი უპასუხია. გიორგიმ იგრძნო, რომ მოძღვართან ურთიერთობის გაფუჭებაში ნანას დიდი წვლილი მიუძღოდა, მთელი ლოცვის მანძილზე, თითქოს კვლებზე იდგა, ბოლოს მღვდელთან მივიდა:

– მამა ზენონ, მოხდა რამე?

– გიორგი, შენ თურმე აღსარებას ბოლომდე არ მეუბნებოდი...

– როგორ? – სიტყვა გააწყვეტინა გაოგნებულმა მამაკაცმა.

– როგორ და, შენ იმ მძღოლის მოკვლა რომ გინდოდა და მშობლებს აქეხებდი, ცოდვა არ არის?! აღსარებაში არ უნდა გეთქვა?!

– მე ეს როდესაც ვთქვი, ნასვამი ვიყავი და მართალი გითხრაო, აღარც გამსხსენებია, თორემ აღსარებაში მაგას როგორ დავამალავდიო?

– გარდაცვლილი ბავშვების პანაშვილებს რომ ვინდი, მე შოუს ვაწყობ? – ნაწყენი კილოთი იკითხა მღვდელმა.

– ჰმ, – გამწარებული ღიმილი დაედო გიორგის, – მამაო, მე თქვენი გადახდილი პანაშვილებისთვის შოუ არასოდეს მიწოდებია, უბრალოდ სხვადასხვა მონასტერში მოწყობილ კოლექტიურ პანაშვილებს დავარქვი შოუ.

მღვდელს არაფერი უპასუხია, გაბრუნდა და საკურთხევლისკენ გაემართა. გიორგიმ იგრძნო, რომ ტაძარში ის და

მერი ზედმეტნი იყვნენ.

– წავედით, – გადაულაპარაკა მეუღლეს.

– რა იყო? – ტაძრიდან გამოსვლი-სას ჰკითხა მერიმ.

– არაფერი, – ჩაეცინა გიორგის, – საოლო ნანა, ყველაფერი მატერიალური ხომ წამართვა, ახლა მოძღვარი და ეკლესიაც „დამაწერა“, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს. ზენონზე ვარ გაგიჟებული...

– რატომ?

– თუ შეცდომილი შეილი ვარ, ასე როგორ გამიმეტა, მე ამ ტაძარში დამბრუნებელი აღარ ვარ.

– მართალი გითხრა, ნანასთან ერთად ტაძარში ყოფნის სურვილი არც მე მაქვს, – უპასუხა მერიმ.

– მოვნახოთ ვინმე მოძღვარი და სხვა ტაძარში გადავიდეთ.

– აუცილებლად, – დაეთანხმა მეუღლე. გიორგიმ გაიკითხ-გამოიკითხა და ქაშვეთის ეკლესიაში არჩევანი მამა გიორგიზე შეაჩერა. ამაღლებაში ავიდა და მამა ზენონისგან კურთხევა მიიღო, რათა სხვა მოძღვართან გადასულიყო. შინ მიბრუნებულს, მერიმ ჰკითხა:

– რა ქენი?

– კურთხევა მომცა, მაგრამ წარბიც არ შესტოკებია, სულ ერთი ბეწო სინანული არ გამოუხატავს, ვითომ მთელი

წლის მანძილზე ურთიერთობა არ გვექონოდა.

ნანამ ტაძარშიც თავისას მიადწია, თავიდან წირვა-ლოცვებზე ხშირად ჩნდებოდა, ბოლოს მობეზრდა სათობით ფეხზე ღვთა და ეკლესიაში ათასში ერთხელ თუ გაიფლიდა. მით უმეტეს, მისი გასამწარებელი ობიექტი – გიორგი, იქ აღარ დადიოდა.

მერი და გიორგი თითქოს ნანას უხილავი საცეცებისგან გათავისუფლდნენ, ამ ქალის შხამიანი ნესტარი მათ ვეღარ სწვდებოდა. შესაბამისად, ცოლ-ქმრის ცხოვრებაში სიმშვიდემ დაისადგურა.

– გიორგი, სამსახურიდან სახლში როცა მიხვალ, მაცივარში ჩახოხბილია, გააცხელე და ისაილე, – ოფისში დაურეკა მერიმ ქმარს.

– გასაგებია. შენთან საავადმყოფოში რა ხდება?

– ჯერ არაფერი, მიძღებში აურზაური ღამით იწყება, – მიუგო მერიმ.

– აბა, კარგად, სახლში როცა მივალ, დაგირეკავ, – დაკიდა ყურმილი გიორგიმ.

ნოემბრის მშვიდი საღამო იდგა. შემოდგომა თავის ძალაუფლებას ნელ-ნელა ზამთარს უთმობდა, ღამის სიცივე ახალფენადგმული ბავშვივით თამამდებოდა და ყველა სულიერს მკაცრი ზამთრის მოხლოებას ამცნობდა.

მერი თავის კოლეგებთან ერთად ოთახში იჯდა და ყავას მიირთმევდა. მოულოდნელად კარი გაიღო და თავი აფორიაქებულმა სანიტარმა შემოყო:

– მერი ექიმო, ნაავარი ივეი ქალი და კაცი მოიყვანეს.

ექიმები ღერეფანში გაცვივდნენ. მერიმ ქალს როდესაც შეხედა, გააჟრჟოლა: მის წინ გონებადაკარგული ნანა იწვა – ქალი, რომელიც ალბათ ყველაზე და ყველაფერზე ძალიან ეზიზღებოდა, მაგრამ პროფესიულმა გრძნობამ თითქოს ცივი წყალი გადაასხაო, მომენტალურად გამოფხიზლდა და სანიტარს მიმართა:

– ამ ქალს მე მივხედავ, სასწრაფოდ საოპერაციოში!

მერიმ და მისმა ასისტენტმა ხელი დაიბანეს, სპირტი გადაივლეს და ხელთათმანების ჩაცმით საოპერაციო მაგიდას მიუახლოვდნენ. ქალმა ერთი წამით ნანას ფერდაკარგულ, ნიღაბდაფარებულ სახეს შეხედა: „სასწაულია ცხოვრება, ამის გარდა ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ დაე, ღმერთმა განსაჯოს და არა მე. ბოლოს და ბოლოს, ჩემი ქმრის შვილების დედა“, – გაიფიქრა და ანესთეზიოლოგს შეხედა, – წნევა?

– ძალიან სუსტი წნევა აქვს.

– სკალპელი, – სანიტარს მიმართა მერიმ.

მუცლის ღრუ გახსნა.

– ელენთა გახეთქილი, – ჩაილაპარაკა ასისტენტმა.

– იმიტომაცაა წნევა ასე დაბალი, ბევრი სისხლი აქვს დაკარგული. ამოკვეთოთ! – ბრძანება გასცა მერიმ.

გამსკლარი ორგანო ამოკვეთეს. ორივე ქირურგმა მუცლის ღრუ დაკვირვებით შემოიწმა და კერავითარი დაზიანება ვერ ნახა.

– რა ჯგუფის სისხლი აქვს? – იკითხა მერიმ.

– მეორე ჯგუფის, რეზუსუარყოფითი, – უპასუხა სანიტარმა.

– ჯიმშერ, – მერიმ ასისტენტს მიმართა, – შენ გაკერვა გააგრძელე, მე სისხლს ჩაეგებარებ, ჩემი სისხლი ჰქონია, – ქალი საოპერაციოდან გამოვიდა და სისხლის ჩასაბარებლად გასწია.

ოპერაციის შემდეგ ნანა რეანიმაციის განყოფილებაში გადაიყვანეს. მერი გვერდიდან არ მოშორებია, მთელი ღამე მის მდგომარეობას აკონტროლებდა. დილისკენ ნანა გონს მოეგო. ოთახი, რომელშიც იწვა, ცნობისმოყვარე თვალთ მოათვალიერა:

– სად ვარ? – ძლივს გასაგონად ამოილულულა.

– საავადმყოფოში, ავარიაში მოჰყვევი, ახლა არაფერი გიჭირს, – უპასუხა მერიმ.

ქალმა მისკენ გაიხედა. მერის დანახვაზე გაოგნდა, თვალზე ცრემლი მოაწვა, ტუჩები აუთრთოლდა.

– მოიწვი, რაღაც მინდა გითხრა, – გადაუწურწულა მერის, რომელიც დაიხარა და სახე ახლოს მიუტანა, – მერი, რაც შენ გიორგის ცოლი გახდი, მას ჩემთან არასოდეს დაურეკავს, – წამოსცივდა ცრემლები ნანას.

– ვიცი, ნანა, ვიცი, დამშვიდდი, – საბანი გაუსწორა ექიმმა.



ლელო ჩიყაშვილი

„თუ ადამიანის დაბადებას მარტო ერთი აზრი და მიზანი აქვს, მაშინ ჩემი ცხოვრების აზრი ქართული ცეკვა ყოფილა...“ – უთქვამს თავის იუბილეზე ირაკლი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონს, რომელსაც ყველა, ჯანო ბაგრატიონის სახელით იცნობს... მაგრამ ის არა მარტო ქორეოგრაფის სათავეებთან იდგა – უდიდესი ღვაწლი დასდო ქართული საცირკო დასის შექმნას, ქართული ჯაზის ჩამოყალიბებას.

1909 წლის 15 სექტემბერს ქარელის რაიონის სოფელ აბანოში დაიბადა. მამამისი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ბაგრატიონი, მომხიბლავი გარეგნობისა და მდიდარი სულიერი სამყაროს მქონე ადამიანი იყო. ბუნებრივია, ყველა „ბატონობით“ მიმართავდა, ამავე დროს, ვახტანგ გოგოლაშვილს ასეთი ცნობა შემოუნახავს მის შესახებ: „ბატონს ამბობდნენ, თორემ ბატონი კი არა, ყველას მეგობარი და მოკეთე გახლდათ. ყველა ოჯახში თითო ნათლული ჰყავდა, ყველაზე სანატრელი სტუმარი იყო და ყველას ღიღებულ მასპინძლობას უწევდა.“ კოტე ბაგრატიონს გორის სემინარია ჰქონდა დამთავრებული. ხშირად, საფიზვროზე დაჯდებოდა და დღიური შრომით დაქანცულ გლეხებს უამბობდა ახალ ამბებს თუ საქართველოს ისტორიის ნაწილებს. ღიღ ბატონს სცემდნენ, „ზურგთან სკამს“ მხოლოდ მას მიართმევდნენ და სულგანაბლები უსმენდნენ ხოლმე.

კოტეს მეუღლე ულამაზესი და უსათნოესი ქართველი ქალბატონი – ოლღა გიორგის ასული ამირეჯიბი იყო. მას ზეპირად სცოდნია „ვეფხისტყაოსანი“, შესანიშნავად მღეროდა ძველებურ ქართულ რომანსებს. 1915 წელს გამოსულა კიდევ გრამფირფიტაზე ჩაწერილი მისი 2 სიმღერა: „აღმართ-აღმართ მივიდი, მე, ნელა“ და „შეეჩვია“. შემორჩენილია მხოლოდ ერთადერთი ასეთი გრამფირფიტა, რომელიც იოსებ გრიშაშვილის სახლ-მუზეუმში ინახება.

როცა კოტე ბაგრატიონს პირველი ვაჟი შეეძინა, ტრადიციისამებრ, ერეკლე მეორის პატივსაცემად, ირაკლი დაარქვა... მხოლოდ ერთი რამ დაავიწყდა თავადს: მისი სიყმაწვილის უახლოესი მეგობარი, კარგი ვაჟაკი და ჩოხოსანი ჯანსუღ დაღეშქელიანი მუდამ სთხოვდა: პირველი ვაჟი რომ შეგეძინება, ჩემი სახელი დაარქვი და მე მომანათვლინეო. 1909 წელს ჯანსუღი უცხოეთში იმყოფებოდა. როცა მეგობრის თხოვნა გაასვენდა, იმდენად შეძრწუნდა კოტე ბაგრატიონი (თანაც, მას ჯანსუღი განუზომლად ჰყვარებია), რომ იმ დღიდან, პატარა ირაკლის შინ ჯანოს ეძახდნენ... იშვიათად, მხოლოდ ოფიციალური შეხვე-



ჯანო შვილებთან — გიორგისთან (მარცხნივ) და ჯანოსთან ერთად

ყველა ფიქრობდა, კონკურსის შემდეგ ჯანო ბაგრატიონს „აიყვანდნენ“...

დრები თუ გაასვენებდა, რომ ჯანო კი არა, ირაკლი ერქვა... სხვათა შორის, წლების შემდეგ, როცა უკვე ჭარმაგი კოტე პირველი შვილიშვილი ვაჟის დაბადებას მოესწრო, მას ოფიციალურად ჯანსუღი დაარქვეს (ოლიმპიური კომიტეტის დღევანდელი პრეზიდენტი, ყოფილი ხელბურთელი ჯანო ბაგრატიონია ეს შვილიშვილი).

ქარელის რაიონში, ხალხური ცეკვისა და სიმღერის, ქართული ზღაპრების ატმოსფეროში იზრდებოდა ჯანო (ირაკლი) ბაგრატიონი. თუ მამამისი სიამაყით ასვენებდა თავისი წარმოსობის შესახებ პატარა ვაჟს – არ დაგავიწყდეს, ბაგრატიონი ხარ, ყველას თავი არ გაუყადრო! – ოღონდ სიტყვის უთქმელად გაიყვანდა ხოლმე პირმშოს მერე ოთახში და აუხსნიდა: „არ დაუჯერო – მამამ იხუმრა, ბაგრატიონობა რა შუაშია? თუ გინდა, კაცური კაცი გაიზარდო, ყველასთან უნდა იმეგობრო“. იმის გამო, რომ უბრალო ხალხთან საერთო ენა არ დაეკარგა, ოღონდ სურვილით, ჯანოს შინ მეზობელი გლეხის ბიჭი კიბოთე სებისკვარაძე მოუყვანეს. ისინი ერთად იზრდებოდნენ, ერთნაირად ეცვათ, ერთნაირად შრომობდნენ ყანაში.

კიდევ ერთ პიროვნებას ჰქონდა უდიდესი წვლილი შეტანილი ჯანო ბაგრატიონის ჩამოყალიბებაში. ეს იყო ბიძა – გოგინა, რომლის შესრულებული ქართული

ხალხური ცეკვები დღესაც ლეგენდად გამოიციმა. ეს მოხდენილი, მშვენიერი ვაჟაკი, უზადო ქართული სულის მქონე პიროვნებაც იყო. მწერალი დავით კასრაძე იხსენებს: „როდესაც გოგინა ბაგრატიონი პარიზის კოლეჯში სწავლობდა, ფრანგი საზოგადოების ერთ-ერთ თავფრილობაზე ისა და ელო ანდრონიკაშვილი, ცნობილი ქართველი მსახიობი, შემდგომში მწერალ შალვა დადიანის მეუღლე, ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილები მივიდნენ. ბანკეტის დროს, საზოგადოების თხოვნით მათ შეასრულეს ცეკვა „ქართული“. ის, რაც მოხდა, ყოველგვარ მილოდინს გასცდა. აღფრთოვანებულმა მასურებელმა ხანგრძლივი, წარმოუდგენელი ოვაციები მოუწყო მოცეკვავეებს“.

...ერთხელ მთელი ღამის ნაქიფარ გოგინას აივანზე მისძინებოდა. პატარა ჯანო ბიძის დოღს წააწყდა იქვე, ტახტზე მიგდებულს, აიღო... ალბათ გონებაში გოგინას ჰბაძავდა: მუხლზე მოიგლო საყვარელი საკრავი, დაჰკრა ერთხელ, მეორედ... ხმაურით შეწუხებულ, ნაბახუსევ გოგინას ის იყო, ძმისშვილი უნდა დაეტუქსა, რომ უცებ აღმოაჩინა – ბიჭს მელიოღია აეწყო, თანაც საკმაოდ კარგად და საკმაოდ თავისებურად... გასარეუბლმა აიტაცა ხელში ძმისშვილი და გადაკოცნა. შემდგომში, ასაკოვანი ჯანო ბაგრატიონი იხსენებდა: „ბი-



ჯანო ბაგრატიონი 1978 წელი

ძია გოგინას კოცნა პირველი ჰონორარი გახლდათ, რომელიც დოლის დაკვრაში გადამიხადეს.“

ბევრ საკრავს ფლობდა ჯანო ბაგრატიონი: ფანდურს, სტვირს, სალამურს, გიტარას, ჩონგურს, მაგრამ დოლი მის უსაყვარლეს საკრავად დარჩა. თურმე ამბობდა ხშირად: დოლის ხმაზე ყრუანტელი მივლის, ფეხები თავისთავად ამიტოკდება, მაგრამ რას იზამ, აღარ შემიძლია ცეკვაო... სიბერეს არ დააბრალოთ, ეს ოხერი გული მღალატობს, თორემ მუხლი ძველებურად მიჭრისო.

ბავშვობაშივე ეზიარა სათეატრო ხელოვნებასაც – ოჯახში, სახლის აივანზე გამართულ წარმოდგენებში. ერთხელ, კომპოზიტორ უზიერ ჰაჯიბეკოვის ოპერეტა „არში მალ-ალან“ უნდა წარმოედგინათ. სიმართლე რომ ითქვას, არც ტექსტი იცოდნენ ზუსტად, არც მუსიკა, მაგრამ მაინც... ჯანოს უსაზღვროდ მოსწონდა მსახურის როლი. რამდენი არ ევედრა მამამისს – ამ როლს შევასრულებო, გადაჭრით უარი მიიღო... კოტე ბაგრატიონმა ქვა აავლო და თავი შეუშვირა: ჩემმა შვილმა მსახურის როლი როგორ უნდა ითამაშო!..

კიდევ ერთი გატაცება ჰქონდა ბავშვობაში ჯანო ბაგრატიონს – ფეხბურთი. უკვე თბილისში გადმოსვლის შემდეგ, დიდიდან საღამომდე იკარგებოდა „სობროსი“ ეზოში (დღევანდელი მთავრობის სახლის ტერიტორია). თუმცა ფეხბურთს არ გაჰყოლია, შესანიშნავ გულშემატკივრად და თამაშის კარგ მკოდნედ დარჩა. უახლოესი მეგობრებიც ჰყავდა ფეხბურთელებში, მათ შორის იყო ანდრო ჟორდანიაც. ცეკვის სიყვარულს მაინც ვერ სძლია ფეხბურთის სიყვარულმა.

ხშირად ბრაზობდა მამამისი: რა არის,

ტვინი ფეხებში გაქვს წასულიო... მაგრამ ჯანოს შეკავება აღარაფერს შეეძლო – ცეკვა და სიმღერა მისი განუყოფელი ნაწილი გახდა.

1931 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩაირიცხა. პროფესორ-მასწავლებლები აღფრთოვანებულნი იყვნენ მისი ხმით. ამბობდნენ, მეორე ვანო სარაჯიშვილი მოვიდაო. პირველ კურსზევე კონცერტზე გაიყვანეს. დარბაზი ოვაციისგან ინგრეოდა ჯანო ბაგრატიონის შესრულებული „ურმულის“ შემდეგ. სინარულისგან აცანცახებულმა, მოხუცებულმა დიმიტრი არაყიშვილმა ბიბლიოთეკაში შეიყვანა ყმაწვილი, გადმოაღებინა თავისი ახალგაშობილი ნოტები, აკანკალებული ხელით წააწერა: „განსაკუთრებულ ლირიკულ ტენორს განსაკუთრებული შესრულების სამადლობლოდ“. არაყიშვილი რუსულად წერდა. ეს რელიკვია დღესაც ინახება ბაგრატიონების ოჯახში... სამწუხაროდ, დიდი დღე არ ჰქონდა ჯანოს სიმღერას: ძალიან მალე ხმა დაკარგა. და თუმცა წლების მერე სიმღერა კვლავ შეძლო, საოპერო ხმა აღარასოდეს დაჰბრუნებია.

1933 წელი... ცხადდება ხალხური ცეკვის ოლიმპიადა. მეგობრებმა თითქოს სპეციალურად გაატარეს ჯანო იმ აფიშასთან და გულთმისნებივით დაიყინეს: გამოდი ოლიმპიადაზე და იცეკვეო. ბოლოს და ბოლოს, გაუბედავს და „ქართული“ შეუსრულებია. შეამჩნიეს. ჯავრიშვილმა – პირველმა ქართველმა ქორეოგრაფმა იმ დღესვე თავისთან დაიბარა. კოტე ბაგრატიონი სასტიკი წინააღმდეგი იყო: როგორ შეიძლება ქართველი ვაჟკაცის სათაყვანებელი ჩოხით სანახაობა მოაწყო?! ერთი პერიოდი, დამდურებულიც კი იყო შვილთან. მალე, კონკურსის შედეგად, საოპერო თეატრის დასში ჩაირიცხა. გულის ფანცქალით ელოდა დიდ სცენაზე პირველ გამოსვლას. „მთიულურში“ სოლო უნდა შეესრულებინა, ოპერაში „დაისი“. მისი ცეკვის შემდეგ დარბაზმა ისეთი ოვაცია მოაწყო, რომ თვითონ მსახიობებიც კი ვერ მოეგნენ გონს. ჯანო ბაგრატიონი მეორედაც აცეკვავს.

ამ ნომრის შესრულების შემდეგ უთხრეს:

ფოიეში ვილაც გკითხულობსო. გავიდა და მამამისი დანახა. ბატონი კოტე ჯერ მკაცრი სახით მიუახლოვდა და თითქოს გაჯავრებულმა, ყური აუწია. შემდეგ კი შვილი გულში ჩაიკრა და სინარულით უთხრა: ყოჩაღ, ბიჭო, არ მეგონა, თუ ამდენი შეგეძლო, მიპატიებია... რაკი ცეკვა გინდა, ღმერთმა ხელი მოგიმართოსო: როცა გავიგე დღეს ცეკვალი, ჩუმად შემოვიპარე, ცუდად რომ გეცეკვა, ისევ ჩუმად გავიპარებოდიო...

1938-1939 წლები. საბჭოთა საქართველომ გამოაცხადა კონკურსი ქართულ ხალხურ ცეკვაში. გამარჯვებული ინგლისში უნდა წასულიყო. კონკურსანტებს შორის ჯანო ბაგრატიონიც იყო. მას ალექსანდრა თოიძესთან – მოსე თოიძის ქალიშვილთან ერთად უნდა ეცეკვა. კონკურსამდე რამდენიმე დღით ადრე, პარტნიორმა უარი უთხრა: ჯანო, მე სხვასთან ერთად უნდა ვიცეკვო: შენ ისე ცეკვავ, მაინც არ გაგიჭირდება, პარტნიორსაც იოლად მოძებნიო. ეს დარტყმასავით იყო: ორი-სამი კვირით ადრე წარმოუდგენელია პარტნიორის მოძებნა. გაახსენდა: თამარ ციციშვილი! მაშინ მთელი საქართველო შეეყვარებული იყო ამ ქალბატონზე, ის „დარიოში“ ასრულებდა მთავარ როლს. როცა ჯანოს ამ წინადადებით მიუმართავს, თამარს უარი უთქვამს: ხომ იცი, ცხოვრებაში არ მიცეკვიაო... მაგაზე არ იდარდო – უთქვამს ჯანოს... 2 კვირით ჩაიკეტნენ ოპერის საცეკვაო კლასში და დღე და ღამე გაას-



თამარ ციციშვილი და ჯანო ბაგრატიონი



დაბადებიდან 60 და შემოქმედებიდან 40 წლის იუბილე

წორეს. ასე მოამზადეს „ლეკური“... უნდა გავიხსენებ კონკურსზე, მაგრამ მოულოდნელად გამოუცხადეს: ჯანო ბაგრატიონი პროგრამაში შეყვანილი არ არის, მას ხომ პარტნიორი არ ჰყავსო... დიდი ძალისხმევით მოახერხეს კონკურსზე გასვლა. როცა თამარ ციციშვილი და ჯანო ბაგრატიონი გამოცხადეს, დარბაზი ფეხზე ადგა და ტამა იქუხა... ისეთი აღფრთოვანება იყო, რომ სამთავრობო ლოჯაში მჯდარი ლავერენტი ბერია წამოდგა და პარტერს გადახედა (ალბათ იმის დასადგენად, ვინ იყო, ასე რომ „ანგერედა“ დარბაზს ციციშვილისა და ბაგრატიონის ხსენებაზე...). უცერად, დუმილი ჩამოწვა... დაიწყო „ლეკური“. თამარმა და ჯანომ ორიგინალურად დაიწყეს: წესით, სცენაზე გამოსული თამარი უნდა გაჩერებულიყო, ვაჟს წრე დაერტყა ცეკვით და შემდეგ გამოეწვია ის. ციციშვილმა კი (ჯანო ბაგრატიონს ჰქონდა ცეკვა ასე დადგმული) მთელი სცენა გაიარა, სამთავრობო ლოჯასთან გაჩერდა, შემობრუნდა და ბერიაკენ ზურგით დადგა. ამას ისეთი გამბედაობა სჭირდებოდა, რომ ყველა ფიქრობდა, კონკურსის შემდეგ ჯანო ბაგრატიონს „აიყვანდნენ“... ასე არ მოხდა. კონკურსში გაიმარჯვეს. გავიდა ორი დღე. კოტე ბაგრატიონმა რესტორან „ორიენტში“ დიდი გაცილება მოუწყო ინგლისში მიმავალ შვილს... თვითმფრინავთან მისული ჯანო და თამარი კი წამსვლელთა სიაში არ ამოუკითხავთ: არ გაუშვეს...

ჯანო ბაგრატიონი საერთოდ, არასოდეს გაუშვიათ თავისი ცეკვით საზღვარგარეთ, მხოლოდ საბჭოთა კავშირის ფარგლებში აძლევდნენ გასტროლების უფლებას.

1946 წელს ქართული ჯაზი ჩამოაყალიბა. საესტრადო სიმღერებში მოსინჯა თავი... მისი ყველა წამოწვება ქართული ეროვნული სულით იყო გამსჭვალული. ვერავის წარმოედგინა, ჯაზური მუსიკის თანხლებით ქართული ცეკვა შესრულებულიყო – ესეც კი გააკეთა. ის კი არა და, მიკროფონსაც ვაზის ფორმა მისცა... რა თქმა უნდა, ქართულ ჯაზსაც

არ ეწერა დიდი დღე. არც არსებობის საშუალება მისცეს და მაშინდელი ხელოვნების მუშაკთა სამმართველოს (კულტურის სამინისტროს ფუნქციების ორგანოს) ბრძანებით, ყველა ფირიც კი დაწვეს. ჯანო ბაგრატიონის საუნივერსიტეტო დასის მოცეკვავე – შემდგომ, რადიოს ცნობილი დიქტორი ქეთევან ლანდია იხსენებდა: ეს განკარგულება რომ გასცეს, ცრემლები მასწრობდა: ვხედავდი როგორ ნადგურდებოდა ეროვნული საგანძურით.

მრავალ ტკივილგამოვლილი ჯანო ბაგრატიონი საბჭოურმა რეჟიმმა სულიერად მაინც ვერ გატეხა, თუმცა ბევრი მწარე დღე არგუნა. მისი ვაჟი, ბატონი ჯანო ბაგრატიონი იხსენებს: „ხშირად სასოწარკვეთილი იყო, ერთხანს ნერვიულობის ნიადაგზე მთელ სხეულზე დაფოთილი იყო. შეშინებულიც მასსოვს. თბილისში ტარდებოდა ცნობილი საერთაშორისო ტურნირი ფრენბურთში. ვეროპული გუნდები მონაწილეობდნენ. დეკემბერი იდგა. ერთ დღეს ამ გუნდების ხელმძღვანელები დაეპატიჟე სახლში... მაშინ რომ



ჯანო ბაგრატიონი 1932 წელს

გაიგო, კატეგორიული უარი მითხრა: უცხოელების სახლში მოყვანა არ შეიძლებაო... არ დავეთანხმე... იმ საღამოს მამა შინ არ მოვიდა. ნაწყენი იყო. იმასაც განიცდიდა, რომ საშინელი წყობილების გამო მე მაწყენინა... შიში ჰქონდა გამოყოლილი. წასულა მეგობრებთან ერთად რესტორანში. დამის 2 საათზე გამოცხადდა კარგად შეზარხოშებული, ქალაქელი მუსიკოსებიც მოიყვანა... დილის ექვს საათამდე აქეიფა ჩემი სტუმრები... ისე დაამახსოვრდათ ევროპელებს ის ღამე, მას შემდეგ სულ პირზე ეკერათ...“

დიდხანს ელოდა ჯანო ბაგრატიონი გაფართოებას. როგორც იქნა, მისცეს პავლოვის ქუჩის ბოლოში, IV სართულზე სამოთახიანი ბინა. მაშინ ეს ქალაქის კიდე იყო. რომ ეკითხებოდნენ, ბინა სად მიიღე – ხაშურშიო, ხუმრობდა. კიბეზე სიარული კი სულს უმწარებდა... სულ ოცნებობდა, დაბალ სართულზე გადაეცვალა ბინა. „ერთხელ დედამ დაგვიძახა (ქალბატონმა ქეთევან მაგლობლიშვილმა. – ავტ.) – ნახეთ, მამათქვენი რას ამბობსო: თურმე ვაკე-საბურთალოს გადასახვევთან გასაცვლელი ბინა უპოვია ბელეტაჟზე, ორთახიანი... მერე რა მოხდა? – სხვაობა ის არის, რომ იმ ბინას 16 კვმ ლოჯია აქვს, ჩვენსას კი – 18 კვმ, სამაგიეროდ, დავისვენებ ამ კიბეებისგანო... კი, მაგრამ, ამ სამოთახიანში რომ ვეღარ ვეტყვეთ სამი ოჯახი (მამინ მეც ცოლიანი ვიყავი და ჩემი ძმაც), ორთახიანში როგორ დავეტყვეთო?! – ეკითხებოდა გაცივებული დედა,“ – იხსენებს ბატონი ჯანო.

სისხლმადრღვების შევიწროება აწუხებდა, დიპეტიც ჰქონდა... მერე ინსულტი დაემართა. 1979 წელს I საავადმყოფოში მოათავსეს... გამოვიდა მღვთმარობიდან, წამოსვეს კიდევ... შვილი მისულა სანახავად. ესაუბრებოდა. უცებ ავადმყოფმა ამოიოხრა და თავი ჩამოუვარდა. „მამა, მამა!-მეთქი, მივედი და ხელი შევახე... თავი გადმოუვარდა, უკვე აღარ იყო...“ – იხსენებს ბატონი ჯანო.

ეპილოგის მაგივრად კი, ბატონი ჯანოს კიდევ ერთ მოვონებას მოვიყვანთ და ამით დავასრულებთ კიდევ დიდი ქორეოგრაფისა და ხელოვნის პორტრეტს: „მამას არ უნდოდა, მეცეკვა. ვმღეროდი... კი ბატონო, იმღერეო... მაგრამ ცეკვის წინააღმდეგი იყო. ერთდღერთხელ გამომიყენა პატარა კინტოლ, როცა ცეკვა „ძველი თბილისის სურათები“ დადგა... ეს იყო და ეს... წითური ვიყავი... ეს აბრკოლებდა. მაგრამ ნამდვილი მიზეზი გვიან მითხრა: შვილო, ამ ცეკვიდან მე ნერვიულობისა და სიმწრის მეტი არაფერი მინახავს... ეს ისეთი დაუფასებელი შრომა ყოფილა, სჯობია, არ იცეკვო...“

საავტომობილო სამყაროს უახლოესი ჰემიუხები

მაღე გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში ტრადიციული ყოველწლიური ავტოსალონი გაიხსნება. ბუნებრივია, საავტომობილო მრეწველობის გიგანტები ამ გამოფენაზე თავიანთი ახალი პროდუქციის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ.

MAYBACH – უნიკალური მონსტრი

ყველას მზერა უპირველესად, „დაიმლერ კრაისლერისკენ“ არის მიმართული, რომელიც სექტემბრის სალონზე „არისტოკრატიულ“ ქმნილებას – MAYBACH-ს გამოიტანს საზოგადოების სამსჯავროზე. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, მონსტრი, რომელსაც პრაქტიკულად, ხელით აკეთებენ, ორი სახით იქნება წარმოდგენილი – ჩვეულებრივი დაგრძელებული ბაზებით. ორივე, V12 ტურბო ძრავით არის აღჭურვილი.

როგორც ავტომოყვარულთათვის ცნობილია, ჯერ კიდევ 30-იან წლებში „მაიბახის“ მარკა უმაღლესი ხარისხისა და ჭეშმარიტი გერმანული სტილის ნამდვილ სინონიმად იქცა. ინჟინერი ვილჰელმ მაიბახი გოთლიბ დაიმლერის კომპანიის იყო, მისმა შეიღმა კარლმა კი 1921 წელს ქალაქ ფრიდრიხსჰაფენში ააშენა ქარხანა, რომელიც ძრავებს, ტრანსმისიებსა და რაიხში ყველაზე ძვირფას ავტომობილებს აწარმოებდა.

„მაიბახის“ მარკას იმისთვის ვიყენებთ, რომ ხაზი გაუსვავთ უმაღლესი კლასის ჩვენი მომავალი მოდელების უნი-



კალურობას“, – აცხადებს „დაიმლერ კრაისლერის“ დირექტორთა საბჭოს წევრი პროფესორი იურგენ ჰუბერტი.

კონცეპტ-კარისაგან განსხვავებით, 30-იანი წლებიდან ცნობილი 2M-ის ამსახველი ემბლემა დღეს სხვაგვარად იშიფრება: თუ წინათ ის MAYBACH MOTORENBAU-ს („ძრავების წარმოებას“) ნიშნავდა, ახლა სახელწოდება ასე გამოიყურება: MAYBACH MANUFAKTUR სადაც სიტყვა „მანუფაქტურა“ პროდუქციის ერთადერთობის, გამორჩეულობის დატვირთვას ატარებს.

თითოეულ ავტომობილს მხოლოდ კლიენტთან მოთხოვნების შემდეგ, დაკვეთით ააწყოვენ. საამისოდ ქალაქ ზინდელფინგენში საგანგებო საკონსულტაციო ცენტრი იქმნება, რომელსაც ექსპერტები უკვე უწოდებენ მსოფლიოში ყველაზე უჩვეულო ავტოსაკონსტრუქტორ ბიუროს. სუპერლიმუზინის წარმოება 2002 წლის შემოდგომაზე დაიწყება და, კომპანიის მესვეურთა ვარაუდით, წელიწადში 1000-1500 ცალს მი-აღწევს.

სტილების ჭიდილი



„დაიმლერ კრაისლერის“ მუდმივი კონკურენტის – კონცერნ BMW-ს საპრემიერო მოდელად ფრანკფურტში შესანიშნავი „შიედიანი“ იქნება. დიზაინითა და „შიეგნეულობით“ ის კონცეპტუალურ სუპერკუბეს – Z9-ს „ეხშიანება“, რომელიც პირველად

ასაკეცი სამსექციიანი სახურავის კონსტრუქციასია. ანალოგიურით, „მერსედეს ბენც SLK“ არის აღჭურვილი. ახალ მოდელში, როდესტერად კუპეს გადაქცევის პროცესს სულ 16 წმ დასჭირდება. ავტომობილს ჭეშმარიტად რევოლუციური სამუხრუჭე სისტემა ექნება: SENSOTRONIC BRAKE CONTROL (SBC), რომელიც მუხრუჭების ელექტრონული



ქენევის შარშანდელ ავტოსალონზე წარდგა მაყურებელთა წინაშე (ჩვენ მაშინ ვრცლად ვწერდით ამ მოდელის შესახებ, ამიტომ აღარ შევჩერდებით).

ახლა კი კვლავ „მერსედესს“ დავუბრუნდეთ. ამჯერად ის სუპერ-როდსტერ SL-ს წარმოადგენს, რომლის ძირითადი განსხვავება წინამორბედისგან,

(სადენებით) მართვის პირველი ცდაა მსოფლიოში; პელალს მთავარ სამუხრუჭე ცილინდრთან არა მექანიკური, არამედ ელექტრონული კავშირი ექნება, რაც უფრო სწრაფს ხდის დამუხრუჭების პროცესს და, შესაბამისად, ამცირებს სამუხრუჭე მანძილს.

„მერსედესის“ სიახლეთა სპექტრში იქნება მინი-ვენის Vaneo რომელიც A კლასის პლატფორმაზე შეიქმნა (მის შესახებაც ვწერდით „გზის“ წინა

ნომრებში). M კლასის განახლებული ყველგანმავალი, კომპანიის მესვეურთა თქმით, 1100 გადამუშავებული ან სრულიად ახალი დეტალითა და კვანძით იქნება აღჭურვილი. ფრანკფურტში კომპანია წარმოადგენს აგრეთვე ML 500-ის ახალ მოდიფიკაციას, რომელიც 430-ე მოდელს შეცვლის. S კლასისგან დასესხებული V8 ტიპის ძრავის სიმძლავრე 292 ცხ.ბ-ს შეადგენს.

მეოხე სუნთქვა


ფრანკფურტში კიდევ ორი რისტიკალინგი – მე-3 სერიის BMW და SAAB 9-5 იქნება წარმოდგენილი. ბავარიელებმა ცვლილებები ძირითადად, ძარის წინა ნაწილში შეიტანეს. ძრავების მოდერნიზაცია კი 318i-სა და 320D-ს შეეხო.

შვედებმაც რამდენადმე განაახლეს თავიანთი ფლაგმანი. განახლებული „საბ 9-5“ (სედანიცა და უნივერსალიც) ცოტათი – სულ 22 და 20 მმ-ით დაგრძელდა, რადიატორის ცხაური კი ბამპერთან გაერთიანდა და უფრო მკვეთრი გეომეტრიული „ნახატის“ სახე მიიღო. მოდელი აღჭურვილია ABS-ის სამუხრუჭე და ESP-ს მასტაბილიზებული სისტემით.


ფრანკფურტის ავტოსალონზე მისული ავტომოყვარულები იხილავენ 2003 საზოდელო წლის CADILLAC CTS-ს, რომელიც ჯერ ბოლომდე მზად არ არის, მაგრამ, სპეციალისტთა აზრით, სრულად შესაბამეობა ფირმის „წახნაგოვანი“ კონცეფციის სტილისტიკას. მანქანას კლასიკური წყობა ექნება და ისევე, როგორც ახალი „ოპელ თემგა“, „ჯენერალ მოტორსის“ მიერ შექმნილი SIGMA-ს პლატფორმას დაეფუძნება.

კონცერნ FORD EUROPE-ის მთავარი კოზირი, ახალი თაობის FIESTA იქნება. ამ მანქანის ძირითადი დანიშნულება, OPEL CORSA-ს, VW POLO-ს, FIAT PUNTO-სა და ამ კლასის ზოგიერთი სხვა მოდელისთვის კლიენტების „წართმევა“ წარმოადგენს.

სავარაუდოა, რომ ფრანკფურტში ყურადღების ცენტრში იქნება AUDI A4 CABRIOLET-ი, რომელიც ამჯერად წარმოდგენილი იქნება, როგორც პროტოტიპი, მაგრამ სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ სერიულ ვერსიასაც ზუსტად ასეთივე სახე ექნება, ევროპის სავაჭრო სალონებში კი, სავარაუდოდ, 2002 წლის გაზაფხულზე გამოჩნდება. ამ ავტომობილის წინამორბედი – AUDI 80-ის ბაზაზე შექმნილი „კაბრიოლეტი“ 1991 წლიდან გამოდიოდა და წარმოებიდან შარშან მოიხსნა.



ადენოიდები



რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამასაშვილი

ადენოიდები, სამეცნიერო ენაზე – ცხვირ-ხანის ნუშურა ჯირკვლები – ლიმფური ქსოვილია, რომელიც ინფექციისაგან იცავს ჩვენს ორგანიზმს. როცა ბავშვი ცივდება და ავად ხდება, ადენოიდები იზიარჯვება, იზრდება და მიკროორგანიზმებთან გამკლავებაში გვეხმარება. მაგრამ თუ ბავშვი ხშირად ავადმყოფობს, ის აღარ უბრუნდება საწყის ზომებს. ხოლო გაზრდილი ადენოიდები მუდმივად გაუვალ ცხვირს და ნორმალური სუნთქვის შეუძლებლობას ნიშნავს. ჩვეულებრივ, სურდო ადამიანს ერთი-ორი დღე ან, მაქსიმუმ, ერთ კვირამდე აქვს, ხოლო გაჯირჯვებული ადენოიდებით ბავშვი ცხოვრობს თვეობით და იგი თვეობით ვერ სუნთქავს ცხვირით. მთელი ამ დროის განმავლობაში ტვინი და სხვა ქსოვილები ჟანგბადის ნაკლებობას განიცდის. სწორედ ამის გამო აქვს თავის ტკივილები და ცუდი განწყობა. ასეთ მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, ბავშვი სწავლობს უფრო ცუდად, ვიდრე შეეძლო ესწავლა, ხოლო ხანგრძლივად მიმდინარე დაავადების დროს, მისი სახე ხდება „ადენოიდური“ – არის მედიცინაში ასეთი ტერმინი.

როცა ადენოიდები იმდენად იზრდება, რომ ცხვირ-ხანას კეტავს, უკვე დროა, მას გამოემშვიდობოთ.

მშობლები, ბუნებრივია, შიშობენ, ცდილობენ, გადაღონ ოპერაცია. მათ გაუგიათ, რომ 12 წლის შემდეგ ბავშვებს ადენოიდები ეჭმუნებათ და უპატარავებათ. მართლაც, ლიმფოიდურ ქსოვილს აქვს ასეთი თავისებურება, მაგრამ ეს მაშინ, როცა ბავშვი იშვიათად ავადმყოფობს და ქსოვილი ჯანსაღია. ექიმებიც, რა თქმა უნდა, ცდილობენ, თავი შეიკავონ ოპერაციისაგან, განსაკუთრებით, როცა ბავშვი პატარაა, რადგან, რაც უფრო მცირეა ასაკი, მით უფრო მეტია ოპერაციის შემდეგ ადენოიდების ხელახლა გაზრდის ალბათობა. თუმცა, აუცილებლობის შემთხვევაში ოპერაცია შესაძლოა ერთი წლის ბავშვსაც გაუკეთდეს. თუ ექიმი გეუბნებათ, რომ საჭიროა ოპერაცია, მისი რჩევა ყურად უნდა იღოთ.

რამდენიმე რჩევა ადენოიდების ჯანსაღად შენარჩუნებისათვის

ეს რჩევები ყველასთვის ცნობილია, მაგრამ რატომღაც, მხოლოდ ერთეულები ითვალისწინებენ:

1. ბავშვი პატარაობიდანვე უნდა გააკაყოთ.
2. ქალაქში მცხოვრები ბავშვები ზაფხულობით ქალაქგარეთ უნდა გაიყვანოთ. მათი იმუნური სისტემა ვერ უძლებს მეგაპოლისის გარემოს.
3. გაცივებისას ბავშვი ბოლომდე უნდა განიკურნოს! საბავშვო ბაღებში, ბავშვების ორი მესამედი, ცხვირიდან გამოინადენით დადის. გახანგრძლივებული სურდო კი ლიმფური ქსოვილის ზრდას უწყობს ხელს.
4. მშობლები, რეკლამების გათვალისწინებით, საკუთარი შეხედულებისამებრ უნიშნავენ შვილებს მკურნალობას და ხშირ შემთხვევაში, მის საზიანოდ მოქმედებენ. გახსოვდეთ: მკურნალობა მხოლოდ ექიმმა უნდა დაგინიშნოთ!

ადენოიდების გაზრდა, უფრო ხშირად, 3-5 წლის ბავშვებში აღინიშნება. მისი ადრეული სიმპტომია ცხვირით სუნთქვის გაძნელება. ხოლო როცა ადენოიდების ზომა საგრძნობლად მატულობს (II-III ხარისხის ადენოიდები), ავადმყოფი მუდმივად პირით სუნთქავს, ძილში ხვრინავს, ხშირად აქვს მწვავე რესპირატორული დაავადება, ოტიტი (ყურის ანთება). ასეთი ავადმყოფის სპეციფიკურ სახეს ექიმები ფერანადელის სინდრომს უწოდებენ (ალბათ გახსოვთ ასეთი ფრანგი მსახიობი). მსგავს სიტუაციაში საჭიროა ადენოიდების მოცილება. მშობლებს, რომლებიც ყოველნაირი მეთოდით ცდილობენ, თავიდან აიცილონ ოპერაცია, უნდა ახსოვდეთ შემდეგი:

- ცხვირის გაუვალობა III ხარისხის ადენოიდების დროს, გავლენას ახდენს ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედებაზე, იწვევს თავის ქალის ვენურ შეგუბებას;
- ბავშვებს ცუდად სძინავთ, აქვთ თავის ტკივილები, თავბრუსხვევა, ადვილად იღლებიან, გაღიზიანებულები არიან;
- ირღვევა ხანის ძვლების ნორმალური ზრდა. ადენოიდებიან ბავშვებს ადენიშებათ დაგრძელებული, ვიწრო თავის ქალა, პირი ნახევრად ღია აქვთ, ცხვირში ლაპარაკობენ, ზედა კბილები უწესრიგოდ ეზრდებათ, ქვედა ყბა წინ აქვთ გამოწეული;
- ბავშვები დაბნეულები, უყურადღებონი ხდებიან, ჩამორჩებიან გონებრივი განვითარებით;
- ადენოიდებთან არის დაკავშირებული ღამით შარდის შეუკავებლობა (შემთხვევათა 15 %-ში), აგრეთვე ეპილეფსიური შეტევები, ლარინგოსპაზმი (ხანის შევიწროება), ბრონქული ასთმა, მხედველობისა და სმენის დარღვევები, გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციის მოშლა;
- ცხვირ-ხანის ნუშურა ჯირკვლების ანთებითი პროცესი ხელს უწყობს ორგანიზმის ალერგიზაციის პროცესს.
- ადენოიდების ზომიერი გადიდების დროს, თუ არ აღინიშნება სხვა ორგანოებისა და სისტემების პათოლოგიური ცვლილებები, ნაჩვენებია კომპლექსური კონსერვატიული მკურნალობა, ანტიანთებითი და სისხლძარღვთა შემავიწროებელი წვეთებით, იმუნოსტიმულატორებით, ვიტამინებით; სუნთქვითი ვარჯიშები, გაკაყება, კლიმატოთერაპია. თუ ეფექტი არ არის და ადენოიდები ზომაში მატულობს, მაშინ საჭირო ხდება მათი ამოკვეთა – ადენოტომია.

თაფლი

სამკურნალო თვისებები

თაფლის სამკურნალოდ გამოყენებაზე ალბათ არაერთხელ გსმენიათ, მაგრამ ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ახალ ქვერუბრიკაში, მანც უთუოდ ნახავთ მრავალ სიახლეს ამ საოცარი პროდუქტის შესახებ. ჩვენი ჟურნალის შემდგომ ნომრებში წაიკითხავთ თაფლით ცალკეული ორგანოებისა და სისტემების მკურნალობის კონკრეტულ შემთხვევებზე: გაეცნობით ამ მკურნალობის შედეგებს უშუალოდ პაციენტთა მონათხრობიდან. ეს ინფორმაცია მიღებულია ბულგარეთიდან, სადაც არსებობს სპეციალური სამკურნალო დაწესებულებები, რომელშიც პაციენტებს თაფლოთერაპიის ინტენსიურ კურსებს უტარებენ.

დღეს კი გთავაზობთ ჩვენი რუბრიკის ზოგად, შესავალ ნაწილს.

თაფლი არაჩვეულებრივი გემოს მქონე მაღალკალორიული პროდუქტია. თავისი შემადგენლობით ძალიან ახლოს დგას ადამიანის სისხლის პლაზმასთან და სრულიად განსხვავდება კვების სხვა პროდუქტებისაგან. კვების პროდუქტთა კალორიულობის შეფასების ცხრილში თაფლს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. მისი ენერგეტიკული მაჩვენებელი ხორცის, თევზის, ღვიძლის, რძის, ხორბლის პურის და სხვათა კალორიულობას უტოლდება.

თაფლი შეიცავს ზრდის ფაქტორებს. ამიტომ, იგი აუცილებელია მოზარდი ორგანიზმისთვის. ძველ ეგვიპტეში თაფლს იყენებდნენ სკოლებში. ცნობილი იყო, რომ მოსწავლეები, რომლებიც თაფლს იღებდნენ, ფიზიკურად და გონებრივად უკეთესად ვითარდებოდნენ და უფრო ნიჭიერები იყვნენ.

ბერძნები თავიანთ მებრძოლებს აძლევდნენ თაფლის ულუფას, რაც მათ უფრო ძლიერებს და გამბედავებს ხდიდა.

თაფლის შემადგენლობაში შედის შემდეგი ძირითადი კომპონენტები: შაქრები, ცილები, მინერალური ნივთიერებები, ფერმენტები, ორგანული მჟავები, ვიტამინები და სხვა.

ორგანული მჟავები და ვიტამინები ზრდის კუჭ-ნაწლავის მოძნელებულ ფუნქციას და აუმჯობესებს საკვების ათვისების პროცესს. ორგანიზმი სხვადასხვა



პროდუქტს სხვადასხვა პროცენტით ითვისებს: მაგალითად, ხორცს – 95%-ით, კვერცხს – 95,5%-ით, შავ პურს – 85%-ით, თეთრ პურს – 96%-ით, რძეს – 91%-ით, კარტოფილს – 89%-ით, ხოლო თაფლს – 100%-ით!

თაფლი შეუცვლელია ბავშვისთვის, რადგან იგი არ საჭიროებს კუჭ-ნაწლავის დატვირთვას, მთლიანად შეიწოვება ბავშვის მოძნელებულ სისტემაში და პირდაპირ გადადის სისხლში. ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ თაფლის რეგულარული მიღება ბავშვებს უმატებს ჰემოგლობინს, ზრდის ორგანიზმის დამცველობით უნარს.

თაფლი სამკურნალო-პროფილაქტიკური პროდუქტია. მასში შემავალი შაქრები მონაწილეობს ნერვული სისტემის მოქმედების რეგულაციაში, აწესრიგებს არტერიულ წნევას, აფართოებს სისხლძარღვებს, აუმჯობესებს გულის კუნთის კვებას, აძლიერებს შარდვას, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას და აჩერებს სისხლდენას.

ფუტკრის თაფლი ამცირებს კუჭის მჟავიანობას, აძლიერებს მუცლის წარმოქმნას, ამიტომ რეკომენდებულია ჰიპერაციდოზისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის დროს.

თაფლის მუდმივი მიღება იწვევს ადამიანის სიცოცხლის განანგრილობას. ბულგარელმა ექიმებმა ჩაატარეს გამოკვლევა, რომლის დროსაც 20 დღის განმავლობაში აკვირდებოდნენ 220 ავადმყოფს. მათ ყოველდღიურად აძლევდნენ

150 გ თაფლს და უმოწმებდნენ სისხლის საერთო სურათს. შედეგი გასაოცარი აღმოჩნდა: თაფლის რეგულარულმა მიღებამ ლეიკოციტების რაოდენობის მოწესრიგება გამოიწვია. ედს – ერითროციტების დალექვის სიჩქარე (PO3) ნორმას დაუბრუნდა, ერითროციტების რაოდენობა საშუალოდ 200000-800000/კუბ.მ-ით გაიზარდა. მოიმატა ჰემოგლობინმა – 10-20%-ით. თრომბოციტების საშუალო რიცხვი გაიზარდა. დაკვირვების დროს არ აღინიშნა წონის მნიშვნელოვანი მატება ან დაკლება. ძილი ყველას გაუუმჯობესდა, შემცირდა ნერვული აგზნება, გაიზარდა შრომისუნარიანობა.

გამოკვლევის შედეგები უჩვენებს, რომ თაფლის რეგულარული მიღება ზრდის ორგანიზმის იმუნობიოლოგიურ რეაქტიულობას, გამძლე ხდის მას ინფექციებისადმი.

თაფლში მცენარეებისგან მოხვედრილი ფიტონციდები განაპირობებს მის განსაცვიფრებელ ანტიბაქტერიულ თვისებებს. იგი ანტიმიკრობულ მოქმედებას ამჟღავნებს, საკმაოდ დიდ განზავებაშიც კი.

ყურადღებია აგრეთვე თაფლის კიდევ ერთი – სრულიად უნიკალური უნარი: მასში შენახული პროდუქტი წლების განმავლობაში უცვლელი რჩება – თაფლი აკონსერვებს მას. მაგალითად, კუნძულ ცეილონის მცხოვრებნი ხორცს ჭრიან ნაჭრებად, ზევიდან წაუსვამენ თაფლს და ასე ინახავენ ხის ფულუროში. ხორცი არ ფუჭდება და ინარჩუნებს გემოს ერთი წლის შემდეგაც.

ეგვიპტეში, ასირიასა და საბერძნეთში თაფლს გვაშების ბალზამირებისთვის იყენებდნენ.

იმავე ბულგარელმა ექიმებმა შემდეგი ექსპერიმენტი ჩაატარეს: თაფლში შეინახეს ცხოველთა ცალკეული ორგანოები, აგრეთვე თევზი, ბაყაყი, გველი. 4 წლის შემდეგ ქსოვილთა გამოკვლევა ჩაატარეს. აღმოჩნდა, რომ მათ შენარჩუნებული ჰქონდათ პირვანდელი სახე და არ შეიმჩნეოდა ლპობის ან რღვევის რაიმე ნიშნები. ასეთივე მაცოცხლებელი ძალა აქვს თაფლს ადამიანის ორგანიზმზე მოქმედების დროს.

საქართველო მდიდარია თაფლის რესურსით, მაგრამ ჩვენში სათანადოდ არ არის დაფასებული ბუნების ეს საოცრება.

მიერთვით თაფლი ყოველდღიურად და იცოცხლეთ დიდხანს!

„უნამლო არდადეგები“

ევროპისა და ამერიკის ყოველი 10 მცხოვრებიდან 7-ს პერიოდული ან მუდმივი თავის ტკივილი აწუხებს. ასეთია ოფიციალური სტატისტიკა. სინამდვილეში, თავის ტკივილის მსხვერპლი მთელი დედამიწის მოსახლეობის 90%-მდეა. მათგან ნახევარი ექიმთან მისვლის ნაცვლად, ტკივილს საკუთარი ძალებით — ანალგეტიკების მეშვეობით უმკლავდება.

სატელევიზიო რეკლამა გვპირდება: დალევ აბს და პრობლემაც მოხსნილიაო. სინამდვილეში კი ყველაფერი არცთუ ისე იოლად წყდება: თავის ტკივილის სამკურნალო მრავალ საშუალებას თავად შეუძლია მისი გამოწვევა.

თქვენ უკვე დალიეთ დღეში 1 გ-ზე მეტი (2 აბი) პარაცეტამოლი ან ასპირინი, მაგრამ თავი მაინც „გისკდებათ“? ყოველთვის იყენებთ ამ პრეპარატებს, მაგრამ „შავი დღეები“ თქვენს კალენდარში უფრო მომრავლდა? მიზეზი, წამლის დოზის გადაჭარბებაა. ტკივილგამაყუჩებლების ხანგრძლივი და ჭარბი მიღება ნერვული სისტემის ტკივილის მაკონტროლებელი სტრუქტურების გამოთიშვას იწვევს. ამის შედეგად, ორგანიზმი ვეღარ ებრძვის ტკივილს, თავის ტკივილი ძლიერდება, ხშირდება და თქვენ გამოუვალ სიტუაციაში ვარდებით: ხდებით წამალზე ფსიქოლოგიურად და ფარმაკოლოგიურად დამოკიდებული.

უსიამოვნებები ამით არ მთავრება: ანალგეტიკებს გვერდითი მოქმედების მთელი წყება ახლავს: სწორედ ამ გვერდითი ეფექტებით იტანჯება მსოფლიოში ყოველწლიურად 200 ათასი ადამიანი,



ხოლო 20 ათასამდე კაცი საავადმყოფოშიც კი ზვდება ტკივილგამაყუჩებლების მიღებით გამოწვეული გართულებების გამო. ამ ჯგუფის პრეპარატები ასუსტებს იმუნიტეტს. ვინც ხშირად სვამს მას, უფრო ადვილად ავადდება გრიპით, ანგინით, პირის ღრუს და ენის ანთებითი დაავადებით (გინგივიტი, გლოსიტი). თავის ტკივილის მოსახსნელად აბების უკონტროლო მიღება აუარესებს ღვიძლის, თირკმლების მოქმედებას, აზიანებს საჭმლის მომნელებელ სისტემას და ხშირად საკმაოდ სერიოზულ გართულებას — კუჭის წყლულსაც კი იწვევს, მაგრამ ყველაზე მძლავრი არგუმენტი ანალგეტიკების ჭარბად გამოყენების წინააღმდეგ, მოსალოდნელი შედეგის უქონლობის გამო გაწბილებაა. თქვენ აღმოჩნდებით ტკივილის ჩაქეტილ წრეში, რომლიდან გამოსვლაც თავად არ შეგიძლიათ. საჭიროა

ექიმ-ნევროლოგის სასწრაფო ჩარევა, რომელიც აბების ალტერნატივას მიაგნებს. სპეციალისტები ამას „უწამლო არდადეგებს“ უწოდებენ. არსებობს ტრადიციული თერაპიის უამრავი უწამლო მეთოდი: ფსიქო, ნემს, ფიზიო და მანუალური თერაპია, აგრეთვე ახალი მეთოდები — ჰიდრომასაჟი, ფიტოთერაპია.

P.S. ყოველივე ზემოთ თქმული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ავადმყოფმა საჭიროების შემთხვევაშიც უარი უნდა თქვას ტკივილგამაყუჩებელი აბების მიღებაზე. ის გართულებები და გვერდითი ეფექტები, რომლის შესახებაც გვსაუბრეთ, აბების მხოლოდ უკონტროლო, ხანგრძლივი და ჭარბი მიღების დროს ვითარდება ხოლმე.



მწიფე პამიდორში მოშუშული კიგრი

4-5 თავი ხახვი მოშუშეთ 300 გ ზეთში, დაუმატეთ პატარა ოთხკუთხედად დაჭრილი 1 კგ კიტრი, ძალიან წვრილად დაჭრილი (თითო პატარა კონა) ნიახური, ოხრახუში, ცერეცო, რეპანი, 5-6 კბილი ნიორი, 1 კგ კანგაცილილი და წვრილად დაჭრილი პამიდორი ან 1 ჩაის ჭიქა ტომატი, პილპილი, მარილი გემოვნებით, აურიეთ და განაგრძეთ მოშუშვა ნელ ცეცხლზე, 20-25 წუთის განმავლობაში.

მეთში მოშუშული მწვანე პამიდორი

4-5 თავი ხახვი მოშუშეთ 300 გ ზეთში, დაუმატეთ 1 კგ ოთხკუთხედად დაჭრილი მწვანე პამიდორი, წვრილად დაჭრილი ოხრახუში, რეპანი, ქინძი (ყველაფერი თითო კონა), 4-5 კბილი ნიორი, პილპილი და მარილი გემოვნებით და განაგრძეთ მოშუშვა 15-20 წუთის განმავლობაში.

პამიდორის საწებელა

10 კგ სალი, მწიფე პამიდორი გარეცხეთ, დაჭერით და მოათავსეთ ქვაბში, აქვე მოათავსეთ ხორცის საკებ მანქანაში გატარებული 10 კგ ბულგარული ტკბილი, წითელი წიწაკა (წიწაკას თესლი უნდა გამოაცალეთ) და 3 კგ წითელი, მწარე წიწაკა; აურიეთ კარგად და შედგით საშუალო ცეცხლზე მოსახარმად; როდესაც კარგად მოიხარშება, გახეხეთ, გახეხილი მასა მოათავსეთ კვლავ ქვაბში, დაუმატეთ 1 კგ დანაყილი ან გატარებული ნიორი, 2 ჩაის ჭიქა დანაყილი უცხო სუნელი, 2 ჩაის ჭიქა დანაყილი ხმელი ქინძი. აურიეთ, კვლავ შედგით საშუალო ცეცხლზე და აღუღეთ (ხშირი ძირვეთ) მანამ, სანამ არ მიიღებთ თქვენთვის

სასურველი სისქის საწებელს. შემდეგ შეაზავეთ მარილით (გემოვნებით), გააგრილეთ და ხელმეორედ გახეხეთ. საწებელი შეგიძლიათ შეინახოთ ქილებშიც და ბოთლებშიც (გრილ ადვილზე).

ბადრიჯანის მეგრულად

1 კგ კარგად გასუფთავებულ-გარეცხილი ბადრიჯანი დაჭერით ოთხკუთხედ ნაჭრებად, მოაყარეთ მარილი და მწარე გემო რომ გამოუვიდეს, დატოვეთ ასე ერთი საათით, შემდეგ გადაავლეთ წყალი, კარგად გაწურეთ, ჩაყარეთ მომინანქრებულ ქვაბში, დაუმატეთ 300 გ ზეთში მოშუშული (წვრილად დაჭრილი) 4-5 თავი ხახვი, კარგად აურიეთ და შედგით ნელ ცეცხლზე, ვიდრე ბადრიჯანი კარგად მოიშუშება. შემდეგ დაუმატეთ დანაყილი ხმელი ქინძი, უცხო სუნელი, ქონდარი (თითო ჩაის კოვზი), 3-4 კბილი ძალიან წვრილად დაჭრილი ნიორი, წითელი პილპილი (გემოვნებით), 1 სუფრის კოვზი ძმარი, 1 ჩაის ჭიქა ბროწეულის მარცვალი (თუ ბროწეული არ გექნებათ, იმ შემთხვევაში 2 სუფრის კოვზი ძმარი), მარილი გემოვნებით და კვლავ განაგრძეთ მოშუშვა 4-5 წუთის განმავლობაში.



პასუხი

კითხვა: რით არის გამოწვეული პირის ღრუში არასასიამოვნო სუნი და როგორ ავიცილოთ იგი თავიდან?

პასუხი: პირის ღრუში სუნის მიზეზი რამდენიმე ფაქტორი შეიძლება იყოს. პირველ რიგში ეს არის კარიესიანი კბილები – მოიწესრიგეთ პირის ღრუ. მეორე მიზეზი შეიძლება იყოს გინგივიტი (ღრმილების ანთება).

თუ პირის ღრუში ყველაფერი წესრიგშია, მაშინ სუნის მიზეზი კუჭ-ნაწლავია. კუჭის მოტორული ფუნქციის დარღვევის დროს მასში ძლიერდება მოსახელებელი საჭმლის დუღილისა და ლპობის პროცესები. პირველ შემთხვევაში, პირიდან ამოდის ხოლმე დამწარებული ზეთის სუნი, ხოლო მეორე შემთხვევაში – გაფუჭებული კვერცხის სუნი. ასეთ შემთხვევებში პაციენტს შეიძლება ჰქონდეს კუჭის ფუნქციური ან ორგანული პათოლოგია. ჩვენ შემდგომში ვისაუბრებთ კუჭის სხვადასხვა დაავადებაზე. გირჩევთ, თავდაპირველად მიიღოთ ის მცენარეული წამლები, რომელთა რეცეპტებსაც მოგაწვდით.

კითხვა: ვარ 17 წლის, რა საკვები უნდა მივიღო, რომ სიმაღლეში გავიზარდო?

პასუხი: გოგონების სიმაღლეში ზრდა გრძელდება 18 წლის ასაკამდე, ხოლო ვაჟების – 23 წლამდე. ადამიანის სიმაღლეს განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორი, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი ძირითადი მემკვიდრული ფაქტორია. თუმცა, შესაძლოა, გენეტიკურად ბოძებული რეზერვის მაქსიმუმის მიღწევა ხელშემწყობი მომენტების გამოყენებით. ცნობილია, რომ ორგანიზმის ზრდის მასტიმულირებელი ნივთიერებებია ვიტამინები. მათ შორის წამყვანი ადგილი უჭირავს A ვიტამინს, A ვიტამინი დიდი რაოდენობით შედის სტაფილოში, კვერცხში, თევზის ქონში, რძეში. ვიტამინებთან ერთად ორგანიზმს ზრდისთვის ესაჭიროება სრულფასოვანი კვება, რაციონში ცილების საკმარის რაოდენობით. ამიტომ მოზარდმა უნდა მიიღოს ხორცი რეგულარულად.

ზრდის პროცესში ორგანიზმზე საკმარის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ისეთი სპორტის სახეობები, რომელიც სხეულის გაჭიმვას იწვევს (ცურვა, კალათბურთი, წყალბურთი და სხვა).

კითხვა: მყავს 3 თვის გოგონა, რომელსაც აქვს თანდაყოლილი საზარდულის თიაქარი. ექიმმა გვირჩია ოპერაცია, რადგან თიაქარი ეჭვდება ხოლმე. შეიძლება თუ არა ასეთ პატარა ასაკში ოპერაციის გაკეთება?

პასუხი: თუკი პატარას აქვს თიაქარი და არსებობს მისი ჩაჭედვის საშიშროება, აუცილებელია ქირურგიული ჩარევა, რადგან ჩაჭედვის შემთხვევაში, შესაძლოა, მის სიც-

ოცხლეს საფრთხე შეექმნას. რა თქმა უნდა, უმჯობესია, ჩატარდეს გეგმიური ოპერაცია, მშვიდ ვითარებაში. მანამდე კი ეცადეთ, პატარამ ნაკლები იტიროს.

კითხვა: არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ ფორთოხლის და მანდარინის დიდი რაოდენობით მიღების შემთხვევაში, ადამიანს შეიძლება კანი გაუყვითლდეს. შეესაბამება თუ არა ეს სინამდვილეს?

პასუხი: ციტრუსები შეიცავს ყვითელ პიგმენტს, რომლის ჭარბად დაგროვებამ ორგანიზმში მართლაც შეიძლება გამოიწვიოს კანის მოყვითალო შეფერილობა, მაგრამ ეს არ არის ის სიყვითლე, რაც ბიორუბინის ცვლის დარღვევასთანაა დაკავშირებული (რომელსაც ადგილი აქვს ლეიძლის პათოლოგიის დროს).

კითხვა: მყავს 1 წლის პატარა. ბავშვს ხშირად ახველებს და სულ ვშიშობ, რომ ფილტვების ანთება არ ჰქონდეს. ყოველთვის არ მაქვს იმის საშუალებაც, რომ ექიმს გავასინჯო. აქვს თუ არა ფილტვების ანთებას ისეთი მახასიათებელი ნიშნები, რომლის შემჩნევსაც ნამდვილად უნდა შევიტანოთ ეჭვი ამ დაავადების არსებობაში?


პასუხი: 1) ფილტვების ანთების აუცილებელი ნიშანი გახლავთ სუნთქვის აჩქარება. სუნთქვის სიხშირე წუთში შემდეგ მაჩვენებლებს აღწევს: 0-2 თვის ბავშვებში – 60-ს, 2-12 თვის ბავშვებში – 50-ს, 1-3 წლის ბავშვებში – 40-ს.

- 2) ბავშვი უარს ამბობს ჭამაზე.
- 3) აგზნებულია ან ძილადაა მივარდნილი.
- 4) აქვს ხმაურიანი სუნთქვა.
- 5) ტუჩები და კანი მოლურჯო ელფერს იღებს.
- 6) გულმკერდი ჩაზნექილია.

ასეთი ნიშნები ახასიათებს ანთების კლასიკურ ფორმას, მაგრამ მაინც გირჩევთ, გახანგრძლივებული ხველის, ბავშვის უხასიათობის, ტემპერატურის მომატების დროს, პატარა, ექიმს აჩვენოთ.

კითხვა: რა შეიძლება იყოს სისხლში ეოზინოფილების მომატების მიზეზი?

პასუხი: ეოზინოფილი სისხლის თეთრი უჯრედების – ლეიკოციტების ერთ-ერთი სახეობაა. ჯანმრთელ ადამიანში იგი ლეიკოციტების საერთო რაოდენობის 2-4%-ს შეადგენს. ეოზინოფილების მომატებას (5-6%-ზე მეტად) ეოზინოფილია ეწოდება. იგი ვითარდება, როგორც სისხლში უცხო ცილების და მათი დაშლის პროდუქტების მოხვედრის საპასუხო რეაქცია. გვხვდება ალერგიული დაავადებების, ჭიებით ინვაზიის, ლიმფოგრანულომატოზისა და სხვა დაავადებათა დროს. აღინიშნება აგრეთვე პენიცილინით, სტრეპტომიცინით და ლვიძლის პრეპარატებით მკურნალობის შემთხვევაში.



როცა 1977 წლის 16 აგვისტოს ელვის პრესლის გარდაიცვალა, ის მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ მომღერლად ითვლებოდა. როკის ეკრანმა მემკვიდრეობად 63 „ოქროს“ ფიფიკა და 26 „პლატინის“ ალბომი დატოვა. ის სამჯერ იყო დაჯილდოებული „გრემით“ და 33 ფილმში შეასრულა მთავარი როლი. მიუხედავად იმისა, რომ მუდამ მასმედიის მოჭარბებული ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა, ელვისის ცხოვრება მაინც იდუმალეებით იყო მოცული, განსაკუთრებით – ბოლო წლებში. ცნობილია, რომ მომღერალს ხშირად ტანჯავდა გაურკვეველი დეპრესიის შეტევები, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ელვისის დაბადებაც ტრაგიკული იყო და ამქვეყნად ცხოვრება მხოლოდ როკ-ენ-როლის მეფის „ნახევარს“ უწევდა...

როკ-ენ-როლის მეფე

ელვისის ოჯახი მისისიპის შტატის ქალაქ ტუპელოს უღარიბეს უბანში ცხოვრობდა. მამამისს – ვერნონ პრესლის პატივმოყვარეობის გრძნობის ნასახივ კი არ გააჩნდა. ის საბარგო მანქანას მართავდა, მაგრამ მის მომსახურებაზე ყველა უარს აცხადებდა – ვერნონის ლოთობისა და ყოყლოჩინობის გამო. ელვისის დედის – გლედის ლავ პრესლის ძარღვებში ინდიელის, ებრაელისა და ირლანდიელის სისხლი ჩქეფდა (ალბათ სწორედ ამ გენების დამსახურება იყო შვილის თავისებური გარეგნობა). ელვისის დაბადებამდე ქალი ადგილობრივ ტანსაცმლის ფაბრიკაში მუშაობდა. ქმრისგან განსხვავებით, გლედისს დროაღრო პატივმოყვარე აზრები აწუხებდა, მაგრამ 30-იან წლების დიდმა დეპრესიამ და უიღბლო ქორწინებამ ყველა ამ განზრახვას ხაზი გადაუსვა და ქალმაც სანუგეშოდ ალკოჰოლი აირჩია...

თავიდან ელვისს არ უმართლებდა. ის 1935 წლის 8 იანვარს, პატარა ბინაში დაიბადა. მამინ გლედისი 22 წლის იყო, ვერნონი კი – 18-ის. მშობიარობა მძიმე აღმოჩნდა. თავდაპირველად, ქალმა მკვდარი ბავშვი დაბადა, რომელსაც მოგვიანებით, ჯესი მეირონ პრესლი დაარქვეს, 35 წუთის შემდეგ კი ელვისი არონიც გაჩნდა. მოგვიანებით ქალს აუწყეს, რომ შვილის გაჩენას ვეღარ შეძლებდა.


ოჯახი იმდენად ღარიბი იყო, რომ მკვდარი ბავშვის დამარხვაც არ შეეძლო. ადგილობრივმა ეკლესიამ კუბო და საფლავის ადგილიც გამოუყო. სამწუხაროდ,

საფლავს ქვა ვერ დაადეს და, მოგვიანებით, როცა ელვისმა ძმის ნეშტის გადასვენება გრეის ლენდში მოისურვა, საფლავი ვეღარ იპოვეს... ოჯახში მუდამ პატივის მიაგებდნენ ჯესის სსოვნას. მის სახელს აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა: „ჯესი თავს არასოდეს მისცემდა იმის უფლებას, რომ დედა გაენაწყენებინა!“ – ეუბნებოდა გლედისი პატარა ელვისს. განსვენებული ძმა თითქოს მისი ნახევარი გახდა, რომლის გარეშეც ელვისმა საკუთარი მთლიანობის აღქმა ვერ შეძლო. „ნეტავი ჯესი აქ იყოს!“ – იმდენად ხშირად იმეორებდა ამას, რომ ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ ეს სურვილი რაღაც ავადმყოფობად ექცა...

როცა ელვისი სამი წლის გახდა, მამამისმა 100 დოლარიანი ჩეკის გაყალბებისთვის ციხეში ამოყო თავი. გლედისმა სახლი დაკარგა და ქუჩაში აღმოჩნდა. ლუკმაპურისა და რაიმე სამუშაოს საძებნელად ის ქუჩა-ქუჩა დაეხეტებოდა, გვერდით კი, დედის ერთადერთი ნუგეში – ქერათმანი და ცისფერთვალე ბიჭუნა დაჰყვებოდა. გლედისმა გადაწყვიტა, მიეღო თავისი ცხოვრება შვილის აღზრდისთვის მიეძღვნა. ყოველდღე დედას ელვისი სკოლაში მიჰყავდა და ამოწმებდა, დადიოდა თუ არა ბავშვი ეკლესიაში. თავად ელვისს

კი ერჩივნა, დედის ღვეწისაგან დაეღწია თავი. იმ წუთებში, როცა გლედისი შვილის ხასიათში მამამისის დაუდგრომელ ბუნებას აღმოაჩენდა, ქალი საშინელ გუნებაზე ღებოდა. ერთხელ, ელვისი სკოლიდან თავის ბიძაშვილთან ერთად დაბრუნდა. ორივეს

1974 წლის დეკემბერში როკ-ენ-როლის მეფე, მისი მეუღლე პრესცილა და ქალიშვილი ლიზა მარია შობის აღსანიშნავად ბევერლი-ჰილზში ჩავიდნენ



ჯიბები ფერმიდან მოპარული ვაშლებით ჰქონდა საყვ. ელვისმა ერთი ცალი საყვარელ დელას მართვა, ქალმა კი აიძულა, შორ გზაზე დაბრუნებულიყო, ფერმაში ვაშლები დაებრუნებინა და ბოდიშიც მოეხადა პატრონისთვის.

მეათე დაბადების დღეზე დელამ ელვისს გიტარა უყიდა, ბიძამ კი უმარტივესი აკორდები ასწავლა. ამის შემდეგ ელვისი რადიომიმღებთან საათობით იჯდა და სმენით არჩევდა ყველაფერს, რასაც კი მოისმენდა.

როცა პრესლის 13 წელი შეუსრულდა, ოჯახი იძულებული გახდა, საცხოვრებლად მემფისში გადასულიყო: არყის უკანონო გამოხდისთვის მამამისი შერიგმა დასაჯა. ელვისი სიბრაზეს ვეღარ მალავდა: უკვე მერამდენედ, მამამ სახალხოდ გაუტეხა ოჯახს სახელი. ვერნონმა პირობა დადო, რომ გამოსწორდებოდა, მაგრამ ყველაფერი ისევ ძველებურად წარიმართა. ელვისი ყოველგვარ სამუშაოს ასრულებდა, რათა ოჯახს თავის გატანა შესძლებოდა. როცა ძალიან მძიმე სიტუაციაში ვარდებოდნენ, რამდენიმე დოლარის საფასურად ვაჭი სისხლსაც აბარებდა ხოლმე; ოჯახი ზანგების კვარტალში ცხოვრობდა. თანაკლასელები ელვისს ხშირად დასცინოდნენ: „შენ ისეთივე საშინელი ხარ, როგორც ზანგები, ამიტომაც ცხოვრობ მათთან ერთად. არ მოგვახლოვდეს — ვინ იცის, შენგან რა გადაგვედება!“

ელვისი კი სულ უფრო მეტ დროს ატარებდა ბლუზის კლუბებში, ზანგ მუსიკოსებს უსმენდა და სცენაზე მათ ქცევას აკვირდებოდა. სწორედ მაშინ გარდაიქმნა ცისფერთვალა, ქერა ყმაწვილი ცეცხლოვან, მუქთმიან ბრილიანტსმულ ჭაბუკად. „სექონდ ჰენდში“ (ნახშირი ტანსაცმლის მაღაზია) მან გაქუცული, მაგრამ უფრო გამორჩეული ნივთები — ვარდისფერი პერანგი და მწვანე შარვალი შეიძინა. გარდა ამისა, ტუშით წამწამებსაც იღებავდა. „ძველი იყო, ვინმეს არ შევეჭმნიე, როცა გვერდით ჩაუვლიდი. მაშინ რომ ჯვრის დავენახე...“ — იხსენებდა შემდგომში ელვისი.

ელვისის პირველი სიყვარული, დიქსი ლოკი, კლასში მის პირდაპირ იჯდა. ბიჭი ფიქრობდა, რომ ასეთი ლამაზი გოგონა არასოდეს მიაქცევდა ყურადღებას. მაგრამ რაოდენ დიდი იყო ელვისის გაოცება, როცა სიყვარულის ახსნისას, აღმოაჩინა, რომ გოგონა დიდი ხანია მხოლოდ ერთ რამეზე — ელვისთან ჩახუტებაზე ოცნებობდა.

მან ვარიეტეს მსახიობთა მოსამზადებელ კურსებზე დაიწყო სიარული. კონკურსზე ბალადა იმღერა, ყველა კონკურენტს აჯობა და არაკეთილმოსურნე თანაკლასელები აიძულა, შურით გამსკდარიყვნენ. პირველ ზანგებში ის ფრთაშესხმულივით დადიოდა, ოცნებობდა იმაზე, რომ ცნობილი მომღერალი გახდებოდა და დელას უყიდა ყვე-

ლაფერს, რასაც კი ქალი მოისურვებდა. და კიდევ — მას სურდა, ცოლად მოეყვანა დიქსი, მაგრამ როცა ელვისმა ცოლობა სთხოვა, დიქსიმ უარით გაისტუმრა. ეს ვაყისთვის ნამდვილი დარტყმა იყო, თანაც, სრულიად მოულოდნელი...

1953 წელს მან სკოლა დაამთავრა: მანამდე პრესლებს შორის არც ერთი ნასწავლი კაცი არ ყოფილა. ელვისმა კვირაში 45 დოლარიანი სამსახურიც იშოვა — მან მძღოლად დაიწყო მუშაობა. თავისუფალ დროს კი, გაბუღულ კლუბებში ატარებდა, მუსიკას უსმენდა და ქალებს ეცნობოდა, რომლებიც დიქსის არ ჰგავდნენ. ვინმე ლაურა, მისი „ერთი ღამის ქალების“ უსასრულო სიაში პირველი აღმოჩნდა. სწორედ მაშინ ელვისმა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ არც ერთ ქალს არ მისცემდა მისი მიტოვების უფლებას...

დროდადრო ელვისი სამოყვარულო საღამოებში მონაწილეობდა. 1953 წლის ზაფხულში კი, პირველად შედგა ფეხი ხმის ჩამწერ სტუდიაში. ამ ნაბიჯის გადადგმისკენ განცხადებამ უბიძგა, რომელშიც ეწერა: „ჩავწერთ ვისაც უნდა, სადაც უნდა და როცა უნდა. 3 დოლარი — ფირფიტის ერთი მხარე, 4 დოლარი — ორივე მხარე“. მისი ჩანაწერები შემთხვევით SUN RECORDS-ის მფლობელს სემ ფილიპსს მოასმენინეს. ეს ადამიანი იმით იყო ცნობილი, რომ რომი ორბინსონი და ჯერი ლი ლუისი აღმოაჩინა და მათ თავის გამოჩე-

ნის საშუალება მისცა. თავდაპირველად, სემი პრესლით არ აღფრთოვანებულა. 1954 წლის იანვარში ელვისი ისევ ეწვია სტუდიას და მას საცდელად შესთავაზეს, სიმღერა WITHOUT YOU ჩაეწერა. ორი დღის შემდეგ, ფილიპსის საამებლად, მემფისის რადიოსადგურმა სიმღერა ეთერში გაუშვა. მეორე დღით ელვისს უკვე ქვეყანა იცნობდა: მემფისს მთელი ამერიკიდან მოაწყდა შეკვეთების ტალღა. ფილიპსმა ელვისს ცხოვრებაში პირველი — 200 დოლარიანი ჩეკი გადასცა. ელვისმა ბავშვობაში დათქმული პირობა შეასრულა: იმ ფულით დელას ახალი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი უყიდა.

მეორე და მესამე რადიოჩანაწერებმა ნამდვილი მღელვარება გამოიწვია. ამერიკის პურიტანული წრეები შეშფოთდნენ: მათ სასწრაფოდ გააჩაღეს კამპანია „ამ ცხოველური ზანგური ჯგროს“ წინააღმდეგ. საქმე რელიგიურ მიტინგებადღეც კი მივიდა. 1955 წლის მაისში ოცი წლის ელვისი თავის პირველ საგასტროლო ტურნეში გაემგზავრა. მას იმდენად დიდი წარმატება ხვდა, რომ გასტროლიორს საკუთარ პერანგთან, ჟაკეტთან და ფეხსაცმელებთან გამოთხოვება მოუხდა, რათა ალტაცებული გოგონები დაემოშმინებინა...

ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ, პრესლიმ ტომ პარკერი გაიწვია. მისი ნამდვილი სახელი დრაიზ ვან კუიკი იყო. პარკერმა ელვისის მშობლები კლუბში მიიწვია და შეიღის



1971 წლის მაისი, მემფისი. ელვისი და პრესლია, პრესლის საყვარელი მცველის ქორწილში



1956 წელი. პრესლი და მისი მეგობარი გოგონა კინოვარსკვლავი ნატალი ვუდი

მომავალი კარიერისთვის სასარგებლო კონსულტაცია შესთავაზა. სულ მალე, პარკერის ხელშეწყობით, ელვისმა ხელი მოაწერა კონტრაქტს, ყველაზე მსხვილ ხმის ჩამწერ სტუდიასთან – RGA-სთან და მან 5.000 დოლარიანი ჩეკი მიიღო. მისთვის ამ თანხაზე ოცნებაც კი წარმოუდგენელი იყო. ამის შემდეგ პრესლის თამამად შეძლო, ქალაქის ყველაზე ძვირად ღირებულ რესტორანში დაეპატიჟებინა ნებისმიერი გოგონა...

DON'T BE CRUEL, HOUND DOG, I WANT YOU, I NEED YOU, I LOVE YOU... სიმღერებს დასასრული აღარ უჩანდა. თვალის დახამხამებაში, ზანგების კვარტალში გაზრდილი თეთრი ბიჭი ამერიკის ყველაზე „ცხელ“ მომღერლად იქცა. გოგონებს კი, როგორც იქნა, ახალი სექს-სიმბოლო გაუჩნდათ.

როცა ერთ-ერთმა კომპანიამ ახალი ვარსკვლავის ბიოგრაფიის გამოცემა გადაწყვიტა, ელვისმა პარკერს მამის წარსულის შესახებ უამბო. ტომ პარკერი დაჰპირდა, რომ ამის შესახებ ვერც ერთი სულიერი ვერაფერს შეიტყობდა. მენეჯერის ხელში აღმოჩნდა აგრეთვე ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ელვისისა და მისი ორი თაყვანისმცემელი გოგონას გართობის სცენები იყო აღბეჭდილი. ამის შემდეგ მომღერალი დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმის საშუალებას უნდა გამოსთხოვებოდა. პარკერმა ის ყველა ფინანსურ საქმესაც ჩამოაშორა.

მალე მენეჯერმა გადაწყვიტა, რომ ტელევიზიის დაპყრობის დროც მოვიდა და ელვისიც რეგულარულად უდიმოდა ტელეეკრანებთან მოკალათებულ ამერიკულ

ოჯახებს. ტელევიზიას კინო მოჰყვა. პარკერის ხელშეწყობით პრესლი, ფილმში – LOVE ME TENDER გადაიღეს.

ელვისის ახალ მეგობარ გოგონათა რიგს პოლივუდის მსახიობებიც შეემატნენ, მათ შორის იყო „ვესტსაიდური ამბავი“ მთავარი როლის შემსრულებელი ნატალი ვუდი. სულ ცოტა ხანში მომღერალმა დონ ჟუანის იმიჯი დაიკვიდრა. მან ოჯახისთვის მემფისის გარეუბანში მდებარე ახალი სახლი შეიძინა. სახლს „გრეის ლენდი“ უწოდეს. მისი ღირებულება 100 ათას დოლარს შეადგენდა. იმ დროს ასეთი სახლის შეძენის უფლებას თავს მხოლოდ ამერიკის უმ-

დიდრესი ადამიანები აძლევდნენ. „გრეის ლენდი“ არა მატო გლედისი და ვერნონი, არამედ ელვისის უახლოესი ნათესავები და მეგობრები დასახლდნენ.

გამოსვლების და ჩანაწერების მიხედვით, 1958 წელი ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა, მაგრამ ძირითადი ფილმის გადაღების დროს ელვისი მოულოდნელად ამბავმა შეადრწუნა: მას ჯარში იწვევდნენ. მომღერალი ისტერიკაში ჩავარდა. ბევრლი-ჰილზის სასტუმროს ლუქსიდან, რომელშიც ის ცხოვრობდა, ქუჩაში ღარნაკები და შანდლები ცვიოდა. „ეს წყევლა! ის არ შორდება ჩემს ოჯახს. აჰა, ისეც ამოქმედდა, თანაც მამინ, როცა საქმე, ბოლოს და ბოლოს, აეწყო! ჯესი, თუ გესმის ჩემი, მიშველე, ძმაო!“ – გაჰყვიროდა აღგზნებული ელვისი, მაგრამ პარკერმა მისი დამშვიდება შეძლო: ორწლიანი პაუზა კიდევ უფრო გააღვივებდა თაყვანისმცემელთა მისდამი ლტოლვას, სამხედრო სამსახურიდან მისი დაბრუნება კი ნამდვილ ტრიუმფად იქცეოდა...

ფოტოკამერების ჩხაკუნის თანხლებით ელვისი სამხედრო ვალის მოსახდელად, ფორტ-ჰუდში გაემგზავრა. ორი კვირის შემდეგ, მისი ოჯახი სამხედრო ნაწილის მახლობლად მდებარე სახლში საცხოვრებლად გადავიდა. თუმცა, ახალ ადგილას პრესლის მშობლებს დიდხანს დარჩენამ არ მოუწიათ: გლედისის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა და ვერნონმა ის კვლავ მემფისში წაიყვანა. იქ, ქალაქის ჰოსპიტალში დაისვა დიაგნოზი – ჰეპატიტი. გლედისი 1958 წლის 14 აგვისტოს გარდაიცვალა. პრესლიმ ვერასოდეს აპატია თავს, რომ დედის სიცოცხლის ბოლო

წუთებში მის გვერდით არ იყო.

ცოტა ხანში სამსახურის გასაგრძელებლად, ელვისი გერმანიაში გადაიყვანეს. პრესლი ჯარისკაცის ცხოვრებას ვერ ვეუბოდა, ზშირად იპარებოდა პარიზსა და მიუნხენში, სადაც ერთ-ერთ წვეულებაზე 14 წლის პრისცილა ბუაღი – ავიაციის კაპიტნის ქალიშვილი გაიცნო. პრისცილა მისი ფანატიკური თაყვანისმცემელი იყო და გაცნობისას ისე აღელდა, რომ ლაპარაკის უნარიც კი დაკარგა. გოგონას კრთომამ ელვისზე საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა. „ეს ხომ დედაჩემია, რომელიც თითქოს ჯესისგან დაძმბრუნდა და ახალი სახე მიიღო“ – ამბობდა პრესლი. ის ბუაღიებს შინ ესტუმრა. ტანადმა, ლამაზმა, სამხედრო უნიფორმაში მოხდენილად გამოწყობილმა პრესლიმ უმალ მოაჯადოვა კაპიტანი და მისი მეუღლე კარგი მანერებით. მას ნება დართეს დროდადრო შეხვედროდა პრისცილას, იმ პირობით, რომ ყოველთვის სახლამდე მააცილებდა გოგონას. ბუნებრივია, ის თანახმა იყო... 1960 წლის 2 მარტს კი ელვისი ამერიკაში ბრუნდებოდა. გერმანიიდან მას პრისცილა აცილებდა და გაზეთები ათასგვარი ჭორით აივსო.

შინ დაბრუნებულ პრესლის აეროპორტში თაყვანისმცემლების არმია, ხოლო ლას-ვეგასში – კონცერტების სერია ელოდა. პოლივუდი ფილმებში მონაწილეობას სთავაზობდა, მაგრამ ოჯახში მომხდარმა მოვლენებმა მომღერლის ტრიუმფალური დაბრუნება გააფერმკრთალა. მამამ განუცხადა, რომ ვინმე დი სტენლიზე – 20 წლით მასზე უმცროს, ქერთიან ქალზე იყო შეყვარებული. ვერნონი მის ცოლად მოყვანას აპირებდა, როგორც კი ქალი ქმარს გამოვლდებოდა. ელვისი განრისხებული იყო. ის არც ქორწილს დასწრებია. მისი ერთადერთი ნუგეში ახლა სამუშაო იყო...

1962 წელს ელვისი მეტისმეტად დაღონებული იყო. სულ უფრო მეტად მარტოსულად გრძნობდა თავს. მან ახალი მეგობრები მიიყვანა შინ, მაგრამ დეპრესიისგან ამანაც ვერ იხსნა. ჩანაწერებისგან მიღებული შემოსავლები შემცირდა, მისი ფილმების ჩვენებისას, დარბაზები უწინდებურად აღარ ივსებოდა. ახალი თაობა „ბითლზსა“ და „როლინგ სთოუნზს“ უფრო ეტანებოდა. ელვისის პრესლის ეპოქა ნელ-ნელა წარსულს ჰბარდებოდა. ელვისის აზრით, გამოსავალი ერთი იყო – პრისცილა უნდა გამოეხსნა, მშობლები გოგონას გამოშვებას იმ პირობით დათანხმდნენ, თუ მათი ურთიერთობა მეგობრობის საზღვრებს არ გასცდებოდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ პრისცილა მემფისში გადავიდა. იმედი ჰქონდა, რომ სულ ელვისთან ერთად იქნებოდა, მაგრამ ცდებოდა: ელვისი არ აპირებდა ცხოვრების სტილის შეცვლას – პრესა არცთუ ისე

უსაფუძვლოდ ჭორაობდა მის რომანებზე საკერანო პარტნიორ ქალებთან. მისი ინტერესის მიღმა მხოლოდ პრისცილა რჩებოდა – ელვისი თვლიდა, რომ მისი ასაკის გოგონას არ შეეძლო გამხდარიყო სრულფასოვანი სექსუალური პარტნიორი, მაგრამ თავად პრისცილაც არაფერს ითხოვდა – გარდა მცირედი ყურადღებისა. სულ მალე ელვისის ღებრესიამ კვლავ იჩინა თავი. თავის შველა მან ჰობის საშუალებით სცადა: ხან ცხენებმა გაიტაცა, ხან კარატემ, ხან ბიბლიის კითხვამ, ხან კი საათობით უცქერდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას...

პრისცილასთან დაკავშირებული ამბავი სკანდალად შემოუბრუნდა. პარკერი უმტკიცებდა ელვისს, რომ თავიანთი ცემები ვერ აიტანდნენ პრესლის სახლში გოგონას ყოფნას, თუ მათი ურთიერთობა კანონიერი არ გახდებოდა. 1966 წელს, შობის წინ როკ-ენ-როლის მეფემ პრისცილას ცოლობა სთხოვა, 1967 წლის 1 მაისს კი ლას-ვეგასში, უამრავი ადამიანის თანდასწრებით მათი ქორწილი გაიმართა.

თავლობის თვის დაწყებიდან სულ რამდენიმე კვირა გავიდა და ყველაფერი ისევ ძველებურ კალაპოტს დაუბრუნდა: ელვისი დროს პალმ-სპრინგზში მდებარე თავის მეორე ბინაში ატარებდა, მისი ცოლი კი „გრეის ლენდში“ სადამოებით განმარტოებული იჯდა. მეუღლის ორსულობამ მათ დამოკიდებულებაში არაფერი შეცვალა.


ლიზა მარია პრესლი 1968 წლის 1 თებერვალს დაიბადა. ეს იმ იშვიათი დღეთაგანი იყო, როცა ელვისი ბენდიერების მწვერვალზე იმყოფებოდა. თუმცა, უფრო ყურადღებიანი ქმარი და შემდგომში ყურადღებიანი მამა ის მინც ვერ გახდა.

მოულოდნელად, 70-იანი წლების დასაწყისში პრესლის კვლავ დაუბრუნდა პოპულარობა. წონაში მკვეთრად მომატებული ელვისი სცენაზე ძვირფასი ქვებით გაწყობილი კოსტიუმით გამოდიოდა. ის

„გრემით“ დააჯილდოეს 1972 წლის ალბომისთვის HE TOUCHED ME. ელვისის რომანებს ბოლო არ უჩანდა. ერთხელ პრისცილამ წერილი იპოვა, რომელშიც რომელიღაც ქალი მის ქმარს მადლობას უხდოდა ერთად გატარებული მშვენიერი ღამის გამო და ხელს ასე აწერდა: „ხელიკის ენა“. ცოლის მოთმინებას ბოლო მოეღო. მან თავიდან რომანი ცეკვის მასწავლებელთან გააბა, შემდეგ, როცა, ქმრის მიბაძვით, კარატეზე სიარული დაიწყო, თავისი მწვრთნელი, მაიკლ სტოუნი შეუყვარდა. პრისცილა მიხვდა, რომ მის ქორწინებას ბოლო მოეღო და საკუთარ თავში ძალები იპოვა, რათა ელვისისთვის ეთქვა, მისგან წასვლას რომ აპირებდა. 1973 წლის 9 ოქტომბერს წყვილი ერთმანეთს გაეყარა. კომპენსაციის სახით ქალმა 2 მილიონი დოლარი და ლიზა მარიასთვის განკუთვნილი ალიმენტი – თვეში 10 ათასი დოლარი მიიღო. გაყრის შემდეგ ელვისს კვლავ დაეწყო ღებრესია და პარანოიდული სიმპტომები. მას თავდასხმის პათოლოგიური შიში გაუჩნდა და საკუთარი თავის უსაფრთხოების მიზნით, ყველგან იარაღით დადიოდა; ის ტკბილეულმა და ნარკოტიკებმა გაიტაცა.

ცხოვრების ბოლო ორი წელი ელვისმა სრულ მარტოობაში – რელიგიური და მისტიკური ლიტერატურის კითხვაში გაატარა. უწამლოდ ვეღარ ძლებდა, კონცერტის დროს სიტყვები ავიწყებოდა, მისმა წონამ კი 100 კგ-ს გადააჭარბა. 1976 წელს ელვისი თავისზე 20 წლით უმცროს ჯინჯერ ალენს შეხვდა და როგორც ქალი ამტკიცებდა, ცოლობაც სთხოვა. 1977 წლის 16 აგვისტოს კი სწორედ ალენმა აღმოაჩინა უსულო პრესლი დღის 2 საათზე სააბაზანოს იატაკზე. ექიმების ყველა მცდელობა, რომ ესნათ ელვისი, უშედეგო აღმოჩნდა.

მომდერალთან გამოსათხოვებლად ათასობით თავყვანისმცემელი მივიდა. რადიო-




ში დღე და ღამე მისი სიმღერები ისმოდა. ელვისის ნეშტი ჯერ ფორესტნილის მავზოლეუმში, დედის გვერდით დაასვენეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც სამმა ნიღბიანმა გარდაცვლილის მოტაცება გადაწყვიტა (იმის დასამტკიცებლად, რომ მომღერლის სიკვდილი მოგონილი იყო), ორივე კუბო „გრეის ლენდში“ გადაასვენეს. სახლის ბაღში ელვისის პრესლიმ და მისმა საყვარელმა დედამ, გლეხისმა საშუალო განსასვენებელი პოვეს.

ელვისის პრესლის გავლენა მილიონობით თავყვანისმცემელზე იმდენად დიდი იყო, რომ ახლაც, მისი გარდაცვალებიდან თითქმის 25 წლის შემდეგ, არიან ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მათი კერპი ცოცხალი და საღსალამათი იხილეს. ბევრს სჯერა, რომ სინამდვილეში ელვისი არ მომკვდარა და სადღაც, სხვა სახელითა და გვარით ცხოვრობს. არადა ელვისის პრესლის სიკვდილი უდავო ჭეშმარიტებაა.

ასევე უდავოდ ითვლება მისი სიცოცხლის გაგრძელების ვერსიაც, თუმცა ეს არ შეეხება მის სიცოცხლეს სხვა სახელითა და გვარით, რის შესახებაც დროდადრო ვრცელდება ხოლმე ჭორები. ელვისი ვედარასოდეს დაწერს მეზუარებს, ვეღარ გაანდობს თავყვანისმცემლებს თავის სულიერ განცდებს. ბევრი თვლის, რომ ელვისი რეალურად ცხოვრობს – ოღონდ სხვა განზომილებაში: მას ძალუძს ადამიანებთან კონტაქტის დამყარება და აკეთებს კიდევ ამას. პარაფსიქოლოგები ჰყვებიან, რომ ელვისი ახერხებს ჩვენს სამყაროსა და იმქვეყნიურ ყოფას შორის უფსკრულის გადალახვას, სეანსების დროს ამტკიცებს, რომ კონტაქტზე სწორედ ის – ელვისის პრესლი გამოდის და არა სხვა ვინმე. ერთ-ერთი ასეთი სეანსის დროს თურმე ელვისის სამყაროსთვის, რომლის მიტოვებაც მოუხდა, ასეთი სიტყვები გამოუგზავნა: „მე ჯანმრთელი და უვნებელი ვარ, ყველაფერი წესრიგში მაქვს, მე აქ ვარ, თქვენთან!“

1956 წლის 27 სექტემბერი. ელვისი დედ-მამასთან ერთად მშობლიურ ქალაქ ტუპელოში გამართული კონცერტის შემდეგ





ღაიხვენეთ, გაერითეთ, იხარჯიეთ!



ეს თამაში ერუდიციაზე, ინტუიციასა და აზარტზეა აგებული. თუ ეს ყველაფერი გახასიათებთ, აუცილებლად გამოსცადეთ თავი და გონების გავარჯიშების შემდეგ, წარმატების მიღწევა არც ერთ სხვა თამაშში არ გაგიჭირდებათ! თითოეულ ეთხვავზე მოცემული ოთხი ჰასუხიდან, თქვენი აზრით, სწორი მონიშნეთ. თავის შემონიშნება არ გაგიჭირდებათ, გამოიჩინეთ თქვენთვის დამახასიათებელი დაკვირვებულობა და ჰასუხები იქნებ, ამ გვერდზე იპოვოთ ყიდევ...

1) რას უწოდებენ მაღალი კლასის მოდელ ქალს?

- ა) ტობ-მოდელს;
- ბ) პობ-მოდელს;
- გ) ვაკ-მოდელს;
- დ) აი-მოდელს.

2) ჩვეულებრივ, რომელი ცხოველის ძალით იზომება ძრავის სიმძლავრე?

- ა) ხარის;
- ბ) საილოს;
- გ) ცხენის;
- დ) აქლემის.

3) რომელ სატრანსპორტო საშუალებებს აქვს იაპონიაში მარჯვნივ განლაგებული საჭე?

- ა) ველოსიპედებს;
- ბ) მოტოციკლებს;
- გ) ავტომობილებს;
- დ) თვითმფრინავებს.

4) ბალეტის მოცეკვავე მამაკაცს ჰქვია:

- ა) ბალერო;
- ბ) ბალეტომანი;
- გ) ბალერონი;
- დ) სოლისტი.

5) რა ეწოდება მღვიმეების შემსწავლელ მეცნიერებას?

- ა) მღვიმეთმცოდნეობა;
- ბ) გრიფოლოგია;
- გ) სპელეოლოგია;
- დ) მიწისქვეშაობა.

6) სპორტის რომელ სახეობაში არ თამაშობენ და მხოლოდ ხელმძღვანელობენ გუნდს გუნდის კაპიტნები?

- ა) ფრენბურთი;
- ბ) კეგლი;
- გ) წყლის პოლო;
- დ) დიდი ჩოგბურთი.

7) ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის დანარჩენი სამის სინონიმი?

- ა) ავაზა;
- ბ) იაგუარი;
- გ) პანტერა;
- დ) ლეოპარდი.

8) რომის რომელი იმპერატორი თელიდა საკუთარ თავს გენალებს მსახიობად და ხშირად გამოდიოდა პუბლიკის წინაშე?

- ა) ტიტუსი;
- ბ) კარაკალა;
- გ) ნერონი;
- დ) ტრაიანი.

9) რომელი შტატი არ არსებობს ამერიკაში?

- ა) სამხრეთ დაკოტა;
- ბ) ჩრდილოეთ კაროლინა;
- გ) აღმოსავლეთ ვირჯინია;
- დ) დასავლეთ ვირჯინია.

10) ჩამოთვლილთაგან რომელი არ იყო შვილის მკვლეელი?

- ა) ივანე მრისხანე;
- ბ) შაჰ-აბასი;
- გ) პეტრე I;
- დ) იური დილგოროვი.

11) კვირა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს:

- ა) საუფლოს;

- ბ) შვიდუღოს;
- გ) უქმე დღეს;
- დ) მთვარის დღეს.

12) ამოსხენით ძველი რომული მაგალითი: MD - CLXXX =

- ა) MCLXXX;
- ბ) MDLXXX;
- გ) MCCLXXX;
- დ) MCCCXX.

13) რა ერქვა შვლის ნუკრის ბემბის მეგობარ ფურორემს?

- ა) ფაინი;
- ბ) ჯონი;
- გ) ალინი;
- დ) კონი.

14) რომელი იყო ალადინის მშობლიური ქალაქი?

- ა) ადენი;
- ბ) აღისაბება;
- გ) ათრიკი;
- დ) აგრაბა.

15) რას ნიშნავს ებრაული სიტყვა ბელ ზებელი?

- ა) ცაში ფრენას;
- ბ) პოლიტიკურ სიცრუეს;
- გ) ეშმაკს ან სატანას;
- დ) აუნაზღაურებელ შრომას.

16) 1982 წელს ფებურთის მსოფლიო ჩემპიონატზე ესპანეთში ფრანგების წინააღმდეგ სიტხიანი თამაშობდა:

- ა) კლინსმანი;
- ბ) მათუსი;
- გ) რუმენიგე;
- დ) შტილიკე.

(ა-9) (ბ-5) (გ-4) (დ-1) (ე-1) (ვ-2) (ზ-1) (თ-1) (ი-0) (კ-6) (ლ-8) (მ-7) (ნ-6) (ო-5) (პ-4) (რ-3) (ს-2) (ტ-1)

კვირის (17 - 23 სექტემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

ქალწული - 24/VIII-23/IX



ამ კვირაში საგრძობლად ამაღლებულა თქვენი ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალი. ეცადეთ, ყოველივე ეს პრაქტიკულად გამოიყენოთ. კროსორდების ამოხსნა და ხატვა, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ახლა თქვენი ნიჭი უფრო ნაყოფიერად შეგიძლიათ დააბანდოთ.

სასწორი - 24/IX-23/X



მოემზადეთ! ოთხშაბათიდან დაწყებული, კვირის ბოლომდე ძალზედ ხშირად შეგაქებენ - თუმცა, ძირითადად, წარსული, თანაც საკმაოდ მოკრძალებული მიღწევებისთვის, მაგრამ ესეც ზომ სასიამოვნოა! თანაც ამ ქებას სტიმული უნდა მოგცეთ და უფრო სერიოზული წარმატებებისკენ ვიბიძგოთ.

ღრიანკალი - 24/X-22/XI



კვირის დასაწყისში ყველაზე უმნიშვნელო და უბრალო საქმეზეც კი ვერ მოახერხებთ ყურადღების კონცენტრირებას. ყველა და ყველაფერში მეგობრებისა და ოჯახის წევრების დახმარება დაგვირდებათ. პარასკევისთვის ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში ჩადგება და ნორმალურ ცხოვრებას განაგრძობთ.

მშვილდოსანი - 23/XI-21/XII



ეცადეთ, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ყველა საქმე შეძვედოთ კვირისთვის გადაღოთ. განსაკუთრებით მოერიდეთ ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომლის განხორციელებას ხანგრძლივი დრო სჭირდება, რადგან ახლა მასზე საკმარის ინფორმაციას არ ფლობთ. უმჯობესია, კვირა მეგობრებს, ნათესავებსა და საყვარელ ადამიანს მიუძღვნათ.

თხის რქა - 22/XII-20/I



კარგი იქნება, თუ ხშირ-ხშირად გაიმეორებთ ანდაზას - „ხერხი სჯობია ღონესა...“, რადგან შესაძლოა, მთელი ენერჯითა და მონდომებით შეეჭვიდეთ ისეთ საქმეს, რომლისთვისაც საერთოდ არ ღირდა თავის შეწუხება. მოკლედ, სიფრთხილე გმართებთ, თორემ შესაძლოა, შაბათისთვის დიდი უსიამოვნებებიც შეგხვდეთ.

მკრანული - 21/I-19/II



შეგიძლიათ ხუთშაბათამდე ბედს მიენდოთ და მშვიდად ადევნოთ თვალ-ყური მოვლენების განვითარებას. ყველაფერი თქვენს სასარგებლოდ წარიმართება. ამის შემდეგ მთელი სერიოზულობით უნდა მოკიდოთ საქმეს ხელი. თუ გონივრულად მოიქცევით, კარიერაში წარმატებას მიაღწევთ და თქვენი სოციალური სტატუსის ამაღლებასაც შეძლებთ.

თავზები - 20/II-20/III



კვირის დასაწყისში შესაძლოა, ვერ მოახერხოთ საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედება, რადგან გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება იმ გარემოებებს, რომელშიც აღმოჩნდებით. ასეთი მომენტები ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში დგება, ამიტომ გულს ნუ გაიტყენთ: ცოტაც მოითმინეთ და ხუთშაბათიდან სრული თავისუფლება გექნებათ.

მშვიდი - 21/III-20/IV



გამორჩეულად დანამიკური კვირა გვლით. რასაც მოიწადინებთ, ყველაფრის განხორციელებას ეცდებით და საამისოდ არაფერს დაიშურებთ. ამასთან, თუ ვინმე წინ გადაგვლობთ, სერიოზულად უნდა გიფრთხილდეთ, რადგან ახლობელ ადამიანსაც არაფერს აპატიებთ.

კურო - 21/IV-21/V



შესაძლოა, მთელი კვირის მანძილზე, ნებისმიერ საქმეზე კონცენტრირება გაგიჭირდეთ, რის გამოც გვიანობამდე მოვიხდებით სამსახურში დარჩენა და შეიძლება, შინაც წაიღოთ სამუშაო. კვირის ბოლოსთვის კვლავ ჩვეულ რიტმს დაუბრუნდებით.

მარცხი - 22/V-21/VI



ზედმეტმა ცნობისმოყვარობამ, შესაძლოა, მოულოდნელი და სერიოზული პრობლემები შეგიქმნათ, ამიტომ, აუცილებლად უნდა გამოამჟღავნოთ დისციპლინა და ორგანიზატორული ნიჭი, თორემ ნამდვილად რაღაც სათაბალაში გაეხვევით. ხუთშაბათი და პარასკევი საფინანსო წამოწყებისთვის იქნება ხელსაყრელი, შაბათი კი აუცილებლად დასვენებასა და გართობას მიუძღვენით.

მირიანობა - 22/VI-22/VII



თვითღამკვიდრების დაუოკებელი სურვილი შეგიპყრობთ, ამავე დროს, ისიც ძალიან მოეინდებათ, რომ ირგვლივმოყოფთ უჩვენოთ, რამდენად დამოუკიდებელი ადამიანი ხართ. კაცმა რომ თქვას, ეს კარგიც შეიძლება იყოს და ცუდიც - ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწორად მოიქცევით. მოთმინება გამოიჩინეთ და ნუ აჩქარდებით.

ლობი - 23/VII-23/VIII



შესაძლოა, მოგეჩვენოთ, რომ შეზღუდვები, რომელიც თქვენს ცხოვრებას ახლავს, მეტისმეტად გბოჭავთ. ამიტომაც დაიწყებთ ახალი შესაძლებლობისა და პერსპექტივის ძიებას. თუ საქმე საქმეზე მიდგა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება სჯობს, ხუთშაბათს მიიღოთ: ამ დღეს ინტუიცია არ ვიღალატებთ.



30 მლნ სამეთო ტიტელის აღსადგენად

შოუბიზნესისთვის რეკორდული თანხა – 30 მლნ დოლარი დახარჯა მაიკლ ჯექსონმა თავისი ახალი ალბომის გამოსაშვებად. მისი ბოლო ალბომი – HISTORY, 6 წლის წინ გამოიცა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ პოპკერპი თავისი თავყანისმცემლების სამსჯავროზე გამოიტანს ალბომს, რომელსაც INVINCIBLE („უძლეველი“) დაარქვას. კორპორაციის – EPIC RECORDS GROUP – ხელმძღვანელის დევი გლუს თქმით, ის წლის ნამდვილ საუკეთესო მუსიკალურ მოვლენად იქცევა და სადღეისოდ არსებულ ყველა კომერციულ რეკორდს მოხსნის. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, შესაძლოა გლუ გადაჭარბებით აფასებს ალბომს, რადგან ცნობილია – ჯექსონის სუპერ-პროექტში ყველაზე მაღალი დონის პროდიუსერები არიან ჩართულნი, რომელთა ამოცანაა, პიტად აქციონ თითოეული სიმღერა. შემსრულებელს კი პოპ-მუსიკის მეფის ტიტული დაუბრუნონ...


გეხმანიის უჩინი ნაღები დედაქალაქი

ასეთი სტატუსი „წაართვა“ ამ ცოტა ხნის წინ მაინის ფრანკფურტს ჰამბურგმა: ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ამ ქალაქში შარშან 16675 სამართალდარღვევა დაფიქსირდა, რაც 500-ით აღემატება ფრანკფურტში ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობას.



„ხეხოხდემენი“ ჩაიდანი

ჩინელმა ოსტატებმა მ ს ო ფ ლ ი ო შ ი უდიდესი ჩაიდანი დაამზადეს: მისი სიმაღლე 3 მეტრს, დიამეტრი – 1,8 მ-ს, წონა კი – 0,5 ტონას აღწევს. ჩაიდანი სახელგანთქმული ჩინური ფაიფურისგან არის დამზადებული, მის შექმნას კი



შანდუნელმა ხელოსნებმა ნახევარი წელიწადი მონაღმეს. ნაკეთობას საგანგებოდ შერჩეული სახელიც აქვს – „უდიდესი ჩინური დრაკონის ჩაიდანი“: მისი ზედაპირი გადახლართული ორი დრაკონის რელიეფური გამოსახულებით არის შემკული.

ქურნალი „გზა“ ახსნაღეს კონკრეტს „ორიგინალური რუბრიკა“

ნავისიძე შურნალისტ (არაშურნალისტაც) შუაქლია წარმოადგინოს შურნალის გვირდის ან რუბრიკის ორიგინალური ვარიანტი. კონკურსში გამარჯვებული უზრუნველყოფილი იქნებოდა სტაბილური სამსახურით (შესაძლებელია ერთჯერადი ანაზღაურებაც). რუბრიკის იღვა და შინაარსი გთხოვთ წარმოადგინოთ წერილობით, რედაქციაში, ან გამოგზავნოთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთის საშუალებით.

ინფორმაციისთვის დარეკეთ: 33-50-32

რედაქცია მადლობას მოახსენებს ყველას, ვინც ჩვენს განცხადებას გამოეხმაურა და ახალ წინადადებებსაც მადლიერებით მიიღებს.

ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონმა კანა თარგამაძემ და ბატონმა კანა ბაკურაძემ.

ვულოცავთ ბატონ კანებს და ვუსურვებთ წარმატებებს!

გამჭვირვალე ცნოვრების წესი

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნება)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გაფარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (18 სექტემბრის) 13 საათამდე.



**„ფანტაზია“
გამჭვირვალე სსოვრების წესი**

ას(ლ)ევი



**„ფანტაზიურებს
მკითხველი“**

ნიმო დარასელი
„მოამბეუნი“ გამის
„ზურგით“ მუზაოზდა

გვ. 28

